გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

№12

2021

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2017 წლის 08 ივნისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on June 08, 2017 at LEPL-Gori State Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by Gori State Teaching University History and Archaeology Centre.

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სოსიაშვილი
გიორგი ხორბალაძე
ალექსანდრე მღებრიშვილი
მარიკა შერაზადიშვილი
იოსებ ალიმბარაშვილი
დავით ჩოჩიშვილი
ელდარ მამისთვალიშვილი
ვიანორ ახალაია
ჯემალ ქირია
ნელი ჭამპურიძე
თეა ხორგუაშვილი
ზურაბ ჩხიკვაძე
ივანე ბალახაშვილი
ქეთევან ბარბაქაძე
თამარ გოგოლაძე
ციური დურული
კლარა ელჩიბეგაშვილი
ზურაბ ზერაკიძე
მარიამ კობერიძე
მალხაზ ლომსაძე
ლევან მიდოდაშვილი
გიორგი ყაზიშვილი

Editorial Board:

Giorgi Sosiashvili
Giorgi Khorbaladze
Aleksandre Mghebrishvili
Marika Sherazadishvili
Ioseb Alimbarashvili
David Chochishvili
Eldar Mamistvalishvili
Vianor Akhalaia
Jemal Kiria
Neli Champuridze
Tea Khorguashvili
Zurab Chkhikvadze
Ivane Balakhashvili
Ketevan Barbakadze
Tamar Gogoladze
Tsiuri Duruli
Klara Elchibegashvili
Zurab Zerakidze
Mariam Koberidze
Malkhaz Lomsadze
Levan Midodashvili
Giorgi Kazishvili

ISSN 2233-3193

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

მარიამ კობერიძე - *ბრუნების პარადიგმები იოანე ქართველიშვილის „ქართულ ღრამმატიკაში“ – 7*
ნიკოლოზ ოთინაშვილი - *ზოგიერთი გვარსახელის წარმოება ყანჩაეთის ტყავის სახარების მინაწერებში – 12*

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

თამარ გოგოლაძე - *მკვლევართა ნააზრევი ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკის შესახებ – 14*
ზურაბ ოქროპირიძე - *ქართული დრამატურგია და 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყება (ნ. შიუკაშვილისა და გრ. რობაქიძის პიესების მიხედვით) – 18*
მარინე ცერცვაძე - *ლაშა იმედაშვილის ერთი პოსტმოდერნისტული რომანი – 23*

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ლალი აზმაიფარაშვილი - *მოზარდის მამოძრავებელი თვისებების განვითარების თავისებურებები – 26*
ციური ბაქრაძე - *მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ზოგიერთი სტრატეგიები – 31*
ნანა ნადირაძე - *ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენება – 34*

ზ უ ს ტ ი დ ა ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

ნელი გოგინაშვილი - *პროვიტამინ A - კაროტინის აკუმულაცია Rosaceae ოჯახის სამკურნალო მცენარეებში შიდა ქართლის ბიოცენოზებში – 40*
ალექსანდრე იაშვილი - *სპორტი, ასაკი და ჯანმრთელობის განმტკიცება – 43*
გიორგი მძინარაშვილი, მარიამი უბირია - *მოქნილობის განვითარების სპეციფიკური თავისებურებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტის გაკვეთილზე – 46*
გიორგი მძინარაშვილი - *სპორტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის პედგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში – 49*
გიორგი მძინარაშვილი - *ნორჩ მოსწავლეთა საერთო ფიზიკური მომზადების ზრდის დინამიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სადაც სპორტის სახეობად არჩეულია თავისუფალი ჭიდაობა – 50*
თინათინ მშვიდობაძე - *სტოქასტიკური აპროქსიმაციის მეთოდის ეფექტურობა ენერგოსისტემების ოპტიმიზაციის ამოცანების გადასაწყვეტად – 52*

ბ ი ზ ნ ე ს ი დ ა მ ა რ თ ვ ა

თეა ანესაშვილი - *საქართველოში მოქმედი საინვესტიციო ფონდები და მათი საქმიანობის პრიორიტეტები – 56*
ლია ბიბილაშვილი - *გლობალიზაციის გავლენა უმუშევრობაზე – 61*
დავით ბიძინაშვილი - *ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების სრულყოფის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში – 63*
მანია გოგიძე - *ფრენშაიზინგი - ბიზნესის ეფექტურობის ზრდის ცნობილი მექანიზმი ქართული ბაზრისათვის – 67*
ციური დურული - *მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ფორმირების პრობლემები საქართველოში – 72*
ნინო ლიპარტელიანი - *ფინანსური კრიზისები დედამიწის ევროპულ და აზიურ ნაწილებში – 76*
ლეილა მამულაშვილი - *ეკონომიკური კრიზისების ბუნება და მიზეზები – 81*

რუიზან მექვაბიძე - *დიდი მოცულობის მონაცემების ანალიტიკა ტურიზმსა და სასტუმრო ბიზნესში – 84*
ნანა ნადირაძე - *საერთაშორისო ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები – 91*
ნინო ორჯონიკიძე - *ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“ – 96*
ლალი ოსაძე, ნანული ქოქაშვილი - *მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში – 101*
გიორგი ყაზიშვილი - *მომსახურების კლასიფიკაცია მარკეტინგში – 107*
მირანდა ყაჩლავაშვილი - *საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკა – 114*
სოფიო ცეცხლაძე - *საქართველოს საგარეო ვაჭრობა – 120*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

ნუგზარ აბრამიშვილი - *მითოსი - ადამიანის თავდაპირველი მსოფლმხედველობა – 123*
ალექსანდრე მღებრიშვილი - *ჟურნალისტური საქმიანობის სპეციფიკა (ახალი ამბების ყოველმხრივობა და პროპორციულობა) – 127*
ლალი სრესელი - *სტრუქტურული უმუშევრობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზების შესახებ – 135*

CONTENTS

Linguistics

Mariam Koberidze - *CASE PARADIGMS IN IOANE KARTVELISHVILI'S "GEORGIAN GRAMMAR" – 7*
Nikoloz Otinashvili – *PRODUCTION* OF *SOME OF THE SURNAMES IN THE RECORDINGS OF THE KANCHETI LEATHER GOSPEL - 12*

Literature

Tamar Gogoladze - *RESEARCHERS' OPINIONS ABOUT THE LOVE LYRICS OF N. BARATASHVILI – 14*
Zurab Okropiridze - *GEORGIAN DRAMATURGY AND ANTI-BOLSHEVIK REVOLT OF 1924 (ACCORDING TO N. SHIKUKASHVILI'S AND GR. ROBAKIDZE'S PLAYS) – 18*
Marine Tsertsvadze - *LASHA IMEDASHVILI'S ONE POSTMODERN NOVEL – 23*

Education

Lali Azmaiparashvili – *PECULIARITIES OF THE MOTOR DEVELOPMENT IN TEENAGERS – 26*
Tsiuri Bakradze - *STUDENTS' MOTIVATION, AS THE LEARNING ACTIVITY – 31*
Nana Nadiradze - *USAGE OF INTERACTIVE TEACHING – 34*

Exact and Natural Sciences

Neli Goginashvili - *ACCUMULATION OF PROVITAMIN A – CAROTENE IN THE MEDICINAL HERBS OF ROSACEAE OF SHIDA KARTLI BIOCENOSIS – 40*
Aleksandre Iashvili - *SPORT, AGE AND HEALTH STRENGTHENING – 43*
Giorgi Mdzinarashvili, **Mariami Ubiria** – *SPECIFIC PECULIARITIES OF FLEXIBILITY DEVELOPMENT AT THE SPORT LESSON IN GENERAL EDUCATIONAL SCHOOLS – 46*
Giorgi Mdzinarashvili – *PEDAGOGICAL PRACTICE FOR SPORTS BACHELOR PROGRAM STUDENTS IN GENERAL EDUCATIONAL SCHOOLS – 49*
Giorgi Mdzinarashvili – *GENERAL GROWTH DYNAMICS OF YOUNG PUPILS IN GENERAL EDUCATIONAL SCHOOLS, WHERE WRESTLING IS CHOSEN – 50*
Tinatin Mshvidobadze - *THE EFFECTIVENESS OF THE STOCHASTIC APPROXIMATION METHOD TO SOLVE THE TASKS OF ENERGY SYSTEM OPTIMIZATION – 52*

Business and Management

Tea Anesashvili - *INVESTMENT FUNDS OPERATING IN GEORGIA AND THEIR PRIORITIES – 56*
Lia Bibilashvili – *INFLUENCE OF GLOBALIZATION ON UNEMPLOYMENT - 61*
Davit Bidzinashvili - *PROBLEMS AND PROSPECTS OF IMPROVEMENT OF ACCOUNTING AND AUDITING AREAS IN GEORGIA – 63*
Mania Gogidze - *FRANCHISING – WELL-KNOWN MECHANISM OF BUSINESS EFFICIENCY GROWTH FOR GEORGIAN MARKET – 67*
Tsiuri Duruli - *PROBLEMS OF FORMATION OF THE NECESSARY INFRASTRUCTURE FOR THE DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESS IN GEORGIA – 72*
Nino Liparteliani - *FINANCIAL CRISES IN THE EUROPEAN AND ASIAN PARTS OF THE EARTH – 76*
Leila Mamulashvili - *THE NATURE OF ECONOMIC CRISES AND THEIR CAUSES – 81*
Ruizan Mekvabidze - *ANALYTICS OF BIG DATA IN TOURISM AND HOTEL BUSINESS MANAGEMENT – 84*

Nana Nadiradze - *PERSPECTIVES OF THE MODERN STATE OF INTERNATIONAL TOURISM DEVELOPMENT – 91*
Nino Orjonikidze - *EUROPEAN NEIGHBORHOOD POLICY AND "COPENHAGEN CRITERIA" – 96*
Lali Osadze, **Nanuli Kokashvili** - *SMALL BUSINESS DEVELOPMENT PROBLEMS IN GEORGIA – 101*
Giorgi Kazishvili - *SERVICE CLASSIFICATION IN MARKETING – 107*
Miranda Kachlavashvili - *INVESTMENT POLICY OF GEORGIA – 114*
Sophio Tsetskhladze - *FOREIGN TRADE OF GEORGIA – 120*

Social Sciences and Law

Nugzar Abramishvili - *MYTH – THE HUMAN`S PRIMARY WORLD OUTLOOK – 123*
Aleksandre Mghebrishvili - *THE PECULIARITY OF JOURNALISTIC BUSINESS (VERSATILITY AND PROPORTION OF NEWS) – 127*
Lali Sreseli - *OBJECTIVE AND SUBJECTIVE REASONS OF STRUCTURAL UNEMPLOYMENT – 135*

ლინგვისტიკა
Linguistics

ბრუნების პარადიგმები იოანე ქართველიშვილის ,,ქართულ ღრამმატიკაში“

მარიამ კობერიძე, პროფესორი

იოანე ქართველიშვილი ცნობილია, როგორც სასულიერო მოღვაწე, პედაგოგი, გრამატიკოსი, სასულიერო და სამეცნიერო ლიტერატურის კარგი მთარგმნელი. მის მემუარებში ვკითხულობთ: ,,ამისავე წლისა სივრცესა შინა ვკითხულობდი და ვისწავლე აღჰსხნით ვარლამისაგან წიგნნი ესენი: ღრამმატიკა, რიტო[რ]იკა, კატიღორია, ლოღიკა და მეტაფისიკა და გარდავწერეცა წიგნნი ესენი თვინიერ კატიღორიისა“. აქვე დასძენს: ,,გან[ვ]ლე წელიწადიცა 1793 ქრონიკონსა უპა (481) კითხვითა და წერითა ზემოჰ3სენებულთა წიგნთთათა“ (ქართველიშვილი, 1952: 70).

1803 წლიდან სამეფო ოჯახს ჩამოშორებულ იოანე ქართველიშვილს კათალიკოს ანტონ მეორისათვის მიუმართავს, მცხეთაში საპასუხისმგებლო საეკლესიო ხარისხი და თანამდებობა მიუღია. იგი იხსენიება საქართველოს საკათალიკოსოს დიგასტერიის წევრად და მცხეთის დიდი ეკლესიის პროტოიერად (**Акты, 1868: 180).** 1804 წლის 16 იანვარს თბილისში სკოლის გახსნის სამზადისით დაინტერესებულ საქართველოს მმართველ პავლე ციციანოვს ანტონ II კათალიკოსისათვის უთხოვია იოანე ქართველიშვილის მცხეთიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად გადაგზავნა. წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მას მიუღია სახელმწიფო ჯილდო: ,,ჯუარი მებოძა ხელმწიფისაგან და მომემატა ათი თუმანი ჯამაგირი 1806 წელსა დეკემბრის 2-სა დღესა'' (ქართველიშვილი, 1952: 96]

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენა თავდაპირველად ისწავლებოდა გაიოზ რექტორის ქართული გრამატიკით. გაიოზ რექტორის ქართული გრამატიკა იყო პირველი სახელმძღვანელო დაბეჭდილი ქართულ ენაზე. იგი გამოიცა თავისი დროისათვის საკმაოდ დიდი ტირაჟით. ქართველი ახალგაზრდობა ამ წიგნით სწავლობდა მშობლიურ ენის გრამატიკას მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში (თავზიშვილი, 1948: 26; ნიკოლაიშვილი, 1970: 18-19).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენა ისწავლებოდა გაიოზ რექტორის მიერ შედგენილი და გამოგზავნილი გრამატიკით. შემდეგ იოანე ქართველიშვილს შეუდგენია სასწავლო სახელმძღვანელო ,,ქართული ღრამმატიკა“. ამ გრამატიკის შესახებ ,,ქართულ წიგნში“ გვხვდება ასეთი ცნობები: ,,1801-1815 წ.წ. არა გვაქვს არც ერთი თბილისში დაბეჭდილი წიგნი. გამონაკლისს წარმოადგენს იოანე ქართველიშვილის უთარიღო გრამატიკა, რომელიც ვარაუდით თბილისში 1815 წ. გამოცემულად ითვლება“ (ქართული წიგნი, 1941: 88-97). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1830-იან წლებამდე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო თაობები იოანე ქართველიშვილის გრამატიკაზე იზრდებოდნენ.

მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციისას ერთ ფაქტს უნდა მივაქციოთ ყურადღება: ,,თუ გაიოზთან სახელის განსაზღვრისას -- მხოლოდ არსებითს ეწეოდა ანგარიში (,,სახელი არს ნაწილი სიტყვისა აღმნიშვნელი ნივთისა ანუ პირისა რამესა დასახელებით“) - ახლა ანგარიში ეწევა ზედსართავსაცა და რიცხვითსაც (საილუსტრაციო მაგალითებიც ამაზე მიუთითებენ. ,,კაცი გულისხმიერი“, ,,ქვეყანა ნაყოფიერი“, ,,ორი დღე“). ,,ტერმინი ,,რიცხვითი'' ანტონის მიერ შექმნილი ტერმინების მოდელის მიხედვითაა გაკეთებული და იოანე ქართველიშვილს ეკუთვნის. ანტონთან გვქონდა ,,ერთის“ ბრუნება და ნათქვამი იყო: ,,...იქმნების უკვე სახელებრ, ბრუნვაი რიცხვთაცა“. თვით ტერმინზე არაფერი იყო ნათქვამი. გაიოზთან გვქონდა ,,რიცხვობითი“, რაც, ალბათ, დაედო საფუძვლად ქართველიშვილის ტერმინს ,,რიცხვითი“ (ფოცხიშვილი, 1979: 279).

იოანე ქართველიშვილი ასახელებს რვა ბრუნვას. ამ მხრივ იოანე ქართველიშვილი ანტონ პირველისა და გაიოზის გრამატიკას მისდევს (ანტონი, 1885: 213; გაიოზი, 1970: 58). სიახლე ის არის, რომ ბრუნვებს კითხვებიც დაამატა: 1. წრფელობითი (ვინ? რა?), 2. ნათესაობითი (ვისი? რისი?), 3. მიცემითი (ვის? რისა?), 4. შემასმენლობითი (ვინ? რა?), 5. დაწყებითი (ვისგან? რისგან?)), 6. მოთხრობითი (ვინ? რაიმენ?), 7. მოქმედებითი (ვის მიერ? რაისა მიერ? რათა?), 8. წოდებითი (არავითარი კითხვა არ დაესმის).

ბრუნვათა პარადიგმებზე სრულ წარმოდგენას გვაძლევს იოანე ქართველიშვილის მიერ განხილული კანკლედობის ტიპები. ანტონის მსგავსად მან დააწესა ოთხი ბრუნება:

1. ყოველი სახელი (განურჩევლად საზოგადოისა და კერძოსა) უხმოზე დაბოლოებული; მას უხმოდ მიაჩნია თანხმოვნები იმ ნიშნის გამო, რა ნიშნითაც მათ ანტონმა შეარქვა ,,ვერ შემძლებელ არიან გამოღებად ხმათა უბნობათა შინა თავით თვისით თვინიერ შეერთებისა ხმოვანთა ასოთათა". 2. ყოველნი სახელნი ა, ე, უა, უწ; 3. ყოველნი სახელნიი, ჯ-ზე დაბოლოებულნი და 4. ყოველნი სახელნი ო და უ-ზე დაბოლოებულნი.

საილუსტრაციოდ მოვიტანოთ იოანე ქართველიშვილის მიერ შედგენილი სქემა კანკლედობისა ოთხსავე ყოველთა სახელთა არსებითთა და ზედშესრულთა.

რიცხვი მხოლობითი

ბრუნვანი	კანკლედობა პირველი	კანკლედობა მეორე	კანკლედობა მესამე	კანკლედობა მეოთხე
წრფელობითი	ყოველნი უხმონი ასონი	ა, ე, უა, უწ	ი, ჯ	ო, უ
ნათესაობითი	ისა, ისი	ისა, სი, ჯსა	სა	ჲსა, სი
მიცემითი	სა, ს, დ-ად	სა, ს,დ.	სა,ს,დ	სა, ს, დ
შემასმენლობითი	ი----	ჲ-----	ჲ-----	ჲ------
დაწყებითი				
მოთხრობითი	ისგან, ითგან	საზოგადოდ ოთხსავე კანკლედობათა		
მოქმედებითი	მან----			
წოდებითი	ითა---	ითა, თა	თა, თ	თა-----
	ჶ --	ო! ვ	ო. ვ.	ო! ვ-----

რიცხვი მრავლობითი

წრფელობითი - ნი-ები
ნათესაობითი - თა-ებისა
მიცემითი - თ-ებს
შემასმენლობითი - ნი-ები
დაწყებითი - თაგან, ებისგან
მოთხრობითი - თა, ებმან
მოქმედებითი -თამიერ, ებითა
წოდებითი - ნო, ებო.

ეს სქემა ი. ქართველიშვილის ხელითა შედგენილი და შესანიშნავად მეტყველებს იმაზე, რომ მისი ავტორი ბრწყინვალედ იცნობს ქართული ენის სახელთა ბრუნების ყველა საკითხს (ფოცხიშვილი, 1979: 284).

იოანე ქართველიშვილის გრამატიკის მიხედვით რიცხვი ორია: მხოლობითი და მრავლობითი. ,,იოანე ქართველიშვილი პირველი გრამატიკოსია, რომელმაც ერთიმეორის პარალელურად მოგვცა მრავლობითი რიცხვის ნართანიანი და ებიანი სახეობა, რითაც, საბოლოოდ სწორ საფუძველზე დააყენა მრავლობით რიცხვში ბრუნვის ნიშანთა საკითხი, თუმცა ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები მაინც ვერ დაიცალკევა (ფოცხიშვილი, 1979: 282).

პირველი კანკლედობის მაგალითად დასახელებული აქვს მარიამ. მაგალითად:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. წრფელობითი - მარიამ	მარიამ- ნი/ები
2. ნათესაობითი - მარიამ-ის/ ისი	მარიამ- თა/ებისა
3. მიცემითი- მარიამ-ს/ სა	მარიამ- თ/ებს
4. შემასმენლობითი - მარიამ-ი	მარიამ- ნი/ები
5. დაწყებითი - მარიამ-ისგან	მარიამ- თაგან/ ებისგან
6. მოთხრობითი -მარიამ-მან	მარიამ/ თა/ ებმან
7. მოქმედებითი -მარიამ-ითა	მარიამ- თამიერ/ ებითა

8. წოდებითი -მარიამ! მარიამ- ნო/ ებო.

თუ შევადარებთ ანტონის გრამატიკას, დავინახავთ, რომ ანტონი მრავლობითის ორივე ფორმას იცნობს, მაგრამ რატომღაც პარადიგმებში არ გვხვდება თანიანი ფორმები. (ანტონი, 1885: 17). საილუსტრაციო მაგალითი მოვიტანოთ ანტონის გრამატიკიდან.

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
წრფელობითი	მარიამ	მარიამნი
ნათესაობითი	მარიამისა	მარიამებისა
მიცემითი	მარიამს	მარიამებს
შემასმენლობითი	მარიამი	მარიამნი
დაწყებითი	მარიამისგან	მარიამებისგან
მოთხრობითი	მარიამან	მარიამებმან
მოქმედებითი	მარიამითა	მარიამებითა
წოდებითი	მარიამ!	მარიამ ნო

ანტონი მიუთითებს, რომ ბრუნვებს აქვთ რამდენიმე ნიშანი. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად დასახელებული აქვს შვიდი ნიშანი. ეს ნიშნებია: 1. -ისი -ისრაელისი, 2.-ისა -მზისა, 3. სა- ჯვარსა-, 4. ჲსა -ოქროჲსა, 5. ისა-სიტყჳსა, 6. ის -ჯვარის, 7. სი-პეტრესი (ანტონი, გვ. 7-10).

იოანე ქართველიშვილის აზრით, ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებულ საზოგადო სახელებს კვეცა მოსდის ნათესაობითს, მოქმედებითსა და დაწყებით ბრუნვებში (მრავლობითზე არაფერია ნათქვამი). რადგან ი ფუძისეულ ხმოვნადაა გაგებული, ნათქვამია ისიც, რომ მხოლობითის მიცემითში, მოთხრობითსა და წოდებითში ი იკვეცება., იკვეცება იგი მრავლობითის რვასავე ბრუნვაში, თუ მრავლობითი ,,ებიანია“. ეს არის განსხვავებული ფაქტი წინა გრამატიკებთან შედარებით და აღსანიშნავია (ფოცხიშვილი, 1979: 282).

იოანე ქართველიშვილი საუბრობს კუმშვაზე და დადგენილია (უკვე სრულიად ზუსტად მისი მოქმედების არე) მხოლობითში: ნათესაობითი, მოქმედებითი, დაწყებითი ბრუნვები. მრავლობითზე არაფერს ამბობს. აქვე უთითებს, რომ სათვითონი (საკუთარი სახელები) არ იკვეცენ ფუძეს არც ერთ ბრუნვაში და სქოლიოში შენიშნავს, რომ ეს არ ეხება ბევრ სახელს, ნივთის აღმნიშვნელს: მაგალითისათვის მოტანილია მცხეთა, რომელიც იკვეცსო ხმოვანსო. კვეცა ეხება იმ ფუძეებსაც, რომლებიც ბოლოვდებიან უა და უჯ ხმოვნებზე.

მესამე კანკლედობის საილუსტრაციოდ მოტანილია მაგალითები: კაცი, ანტონი, მოგჯ. აქვე აღნიშნულია, რადგან ი ფუძისეულ ხმოვნადაა გაგებული, იკვეცება მხოლობითის მიცემითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ებიანი მრავლობითი რიცხვის რვავე ბრუნვაში. იოანე ქართველიშვილი აქვე ყურადღებას ამახვილებს კუმშვაზე. მოქმედების არე - მხოლობით რიცხვში ნათესაობითი, მოქმედებითი, დაწყებითი. მრავლობითში - ყველგან. ეს შემთხვევა ანტონთან არ დასტურდება.

მეოთხე ბრუნების (კანკლედობის) საილუსტრაციოდ მოტანილია მხოლოდ ო-ზე დაბოლოებული სიტყვები - ოქრო, აბო. იქვე მითითებულია, რომ ასევე იბრუნვის ყოველი სახელიო, რომელიც ბოლოვდება უ-ზე.

იოანე ქართველიშვილს მეტად საინტერესო შენიშვნები აქვს ოთხივე ბრუნებისათვის (კანკლედობისათვის). მისი დაკვირვებით, 1. სათვითო ანუ საკუთარ სახელთა წრფელობითი და მოთხრობითი (მხოლობით რიცხვში) ემთხვევიან ერთმანეთს - ჰრქუა იესო მოწაფეთა თვისთა. ეს მოვლენა შემჩნეულია ძველ ქართულში, როგორც საკუთარ სახელთა თავისებურება. 2. საკუთარი სახელები ნართანიანი მრავლობითი რიცხვის წრფელობითსა და წოდებითში ემთხვევიან ერთმანეთს. 3. ყოველგვარი სახელი მარავლობითის ნათესაობითში, მიცემითსა და მოთხრობითში ემთხვევიან ერთმანეთს. 4. შემასმენლობითი ბრუნვა ოთხივე კანკლედობაში ემსგავსება წრფელობითს. 5. დაწყებითი მიიღება ან ნათესაობითი ბრუნვიდან-გან თანდებულით, ან მოქმედებითიდან მიერ თანდებულით, ან მოქმედებითიდან მიერ თანდებულით. 6. მოქმედებითი ბრუნვა დაწყებითის აზრს თუ გადმოგვცემს, არ მიიღებს გან თანდებულს. განსაკუთრებით, თუ მეორე სიტყვას -მდე თანდებული ახლავს - ქალაქ-ით, ქალაქად-მდე.

იოანე ქართველიშვილის წარმოდგენილი სქემიდან ყურადღებას იქცევს ო და ვ. ეს ორი ნიშანი ერთმანეთის პარალელურად მხოლოდ ქართველიშვილთანაა მოცემული და მანამდე არავისთან არ შეგვხვედრია. აქვე აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ პარადიგმებში იოანემ ეს სიახლე მხოლოდ ,,ანის“ ბრუნებისას გამოიყენა. ამავე პრინციპით იგი მოსალოდნელი იყო ,,არსება“ სიტყვის ბრუნების დროსაც (ფოცხიშვილი, 1979: 284).

იოანე ქართველიშვილი ნაცვალსახელს ორ ჯგუფად ჰყოფს: 1. არსებითად, რომელიც არსებით სახელს ენაცვლება; 2. ზედშესრულად -დანარჩენი ნაცვალსახელები. გამოჰყოფს ნაცვალსახელის შემდეგ ჯგუფებს: 1. არსებითი: ,,იგი, რომელიც იხმარება ,,ნაცვლად სახელისა პირის მნიშვნელობისა სამთა შინა პირთა განრჩევითა" (მე, შენ, იგი); 2. ჩვენებითი. აჩვენებს ,,პირსა ანუ ნივთსა მახლობელ მდებარესა ანუ მყოფსა" (ეს, ეგ, ის); 3. მოგებითი (კუთვნილებითი); 4. კვლამოღებითი; 5. კითხვითი; 5. განუსაზღვრებელად ანუ უსახელოდ -რომელიმე, ზოგი, ვიეთიმე, ვინმე" (22, r).

იოანე ქართველიშვილს საილუსტრაციოდ მოტანილი აქვს: მე, ჩვენ, შენ, თქვენ, იგი, იგინი, ესე, ესენი, ეგე, ეგენი, ისი, ისინი, ჩემი, ჩემნი, ჩვენი, ჩვენნი, რომელიმე, ვინ, ვინმე ნაცვალსახელები. ,,მათი ბრუნების ფორმულები მთლიანად აღებულია ანტონისგან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მიცემითში პირის ნაცვალსახელთა ბრუნებისას ანტონის ფორმების პარალელურად წარმოდგენილია, გაიოზისაგან აღებული მისდა, მათდა და მოქმედებითი ბრუნვის მიერ თანდებულიანი ფორმები.

ნაცვალსახელთა ბრუნების სქემა იოანე ქართველიშვილის გრამატიკის მიხედვით შეადგინა ალექსანდრე ფოცხიშვილმა.

წრფ. მე	იგი	თქვენ
ნათ. ჩემი	მისი	თქვენი
მიც. ჩემდა-მე	მას-მისდა	თქვენდა-თქვენ
შემას. მე	იგი	თქვენ
დაწყ. ჩემგან	მისგან	თქვენგან
მოთხრ. მე	მან	თქვენ
მოქმ. ჩემ-მიერ-ჩემითა	მის-მიერ-მით	თქვენ-მიერ-თქვენდა
წოდ ------	--------	-------

იოანე ქართველიშვილი პირველი განიხილავს არსებითი სახელის არსებითთან შეთანხმების საკითხს. მისი მოსაზრებით, თუ ორი ან რამდენიმე არსებითი ერთისა და იმავე პირის ან ნივთის აღმნიშვნელნი ერთმანეთთან დაიდებიან უკავშიროდ, მაშინ ისინი ერთმანეთს შეუთანხმდებიან ბრუნვასა და რიცხვში: ,,ქალაქი ტფილისის", ,,პეტრე მოციქული". თუ ერთ არსებით სახელს მიეწერება ორი ან უმეტესი, იგი მრავლობითში დაისმის: ,,პეტრე და პავლე მოციქულნი".

უკავშიროდ შეერთებული ორი არსებითი სახელი, როცა სხვადასხვა პირს თუ ნივთს აღნიშნავენ, სხადასხვა ბრუნვაში გვხვდება. ასეთ შემთხვევაში მომდევნო სახელი დაისმის ნათესაობითში: ,,სიყვარული მოყვრისა", ,,აღსრულება სჯულისა". მომდევნო სახელის აღმნიშვნელად გვხვდება ტერმინი: ,,გამნათვისებელი წინამავლისა სახელისა და ეთანხმება წინამავალსა სახელსა თვისი ბრუნვის ფორმის შენარჩუნებით: ,,ძენი ისრაელისანი", ,,ძემან ისრაელისამან" ე. ი. დარჩებიან ნათესაობითშიაცა და მიიღებენ წინამავალი სიტყვის ბრუნვასაც (ლაპარაკია მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელზე.

ზედშესრული სახელი ძიებად (რომელიც მისი განმათვისებელიცაა) მიიღებს ხან ნათესაობითს (,,ბნელი უმეცრებისა"), ხან მოქმედებითს (,,მდიდარი სიბრძნითა"). თუ ზედშესრული უარესობითს ხარისხშია, სახელს მოითხოვს ნათესაობითში. მაგ.: ,,უძვირფასესი სიმართლისა", მაგრამ შებრუნებული წყობით: სიბრძნე უპატიოსნეს არს ვიდრეღა ოქრო". არსებითსა და ზედშესრულს შორის შეთანხმება, უპირველესად, გვაქვს ბრუნვასა და რიცხვში (,,კეთილი კაცი"), ასეთსავე სურათს გვაძლევს ,,რიცხვითები, მიმღეობები და ზედშესრულ-ნაცვალსახელები". ერთი ზედშესრული ორ მხოლობითში მყოფ არსებითთან დგას მრავლობითში. ნაცვალსახელნი, კვლამოღებითს გარდა, თანხმობენ სახელსა მისთა, რომელთანაც ან რომლის ნაცვლადაც მდებარენი არიან.

ამრიგად, იოანე ქართველიშვილი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უდიდეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. მისი გრამატიკა ლოგიკური გაგრძელებაა ანტონ პირველისა და გაიოზ რექტორის მდიდარი გრამატიკული მემკვიდრეობისა. ის ტრადიციულად განიხილავს სახელთა ბრუნების საკითხებს, გამოყოფს განსხვავებულ ჯგუფებს ბრუნებისას და საინტერესო დაკვირვებებითა და ორგანული გაშუქებით წარმოგვიდგენს ბრუნვის პარადიგმებს. ეს ფორმები დაწერილია მარტივად და დღევანდელ გრამატიკებთან მიმართების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია.

ლიტერატურა:
1. ანტონ, I, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1885.
2. გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1970.
3. გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801-1870), თბილისი, 1948.
4. ე. ნიკოლაიშვილი, გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკა: გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1970.
5. ა. იოსელიანი, იოანე ქართველიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 1952.
6. ა. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1979.
7. იოანე ქართველიშვილი, ქართული ღრამმატიკა, 1809: კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი S- 4432.
8. ქართული წიგნი, I, თბილისი, 1941.
9. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი-H-1217.
10. **Акты, 1868:** -- Акты, собранные Кавказского Археографического Комиссиею, II.

რეზიუმე

იოანე ქართველიშვილის გრამატიკა ანტონ პირველისა და გაიოზ რექტორის მდიდარი გრამატიკული მემკვიდრეობის ლოგიკური გაგრძელებაა. ის ტრადიციულად განიხილავს სახელთა ბრუნების საკითხებს, გამოყოფს განსხვავებულ ჯგუფებს ბრუნებისას და საინტერესო დაკვირვებებითა და ორგანული გაშუქებით წარმოგვიდგენს ბრუნვის პარადიგმებს. ეს ფორმები დაწერილია მარტივად და დღევანდელ გრამატიკებთან მიმართების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. ბრუნვათა პარადიგმებზე სრულ წარმოდგენას გვაძლევს იოანე ქართველიშვილის მიერ განხილული ბრუნების ტიპები. მან, ანტონის მსგავსად, დააწესა ოთხი ბრუნება. იოანე ქართველიშვილის წარმოდგენილი სქემიდან ყურადღებას იქცევს ო და ვ. ეს ორი ნიშანი ერთმანეთის პარალელურად მხოლოდ ქართველიშვილთანაა მოცემული და მანამდე არავისთან არ შეგვხვედრია. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პარადიგმებში ერთდროულადაა წარმოდგენილი მრავლობითი რიცხვის -ნ და -ებ მაწარმოებლები.

CASE PARADIGMS IN IOANE KARTVELISHVILI'S "GEORGIAN GRAMMAR"

Mariam Koberidze, Professor

RESUME

Ioane Kartvelishvili's grammar is a logical continuation of the rich grammatical heritage of Anton I and Gaioz Rector.It traditionally discusses issues of case of the names, separates different groups during the case and provides case paradigms presented with interesting observations and organic coverage.These forms are written easily and in relation to the grammar of the present times are very important. Types of case discussed by Ioane Kartvelishvili gives the full imagination on paradigms case.Like Anton Catholics, he established four cases.From the scheme presented by him -O and -V endings of vocative case attracts the attention. These two marks in parallel with each other are given only by Kartvelishvili and we have not seen before.It should be noted that, plural number in paradigms are presented parallel with each other by N and EB endings.

ზოგიერთი გვარსახელის წარმოება ყანჩაეთის ტყავის სახარების მინაწერებში

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასისტენტ პროფესორი

სოფელი ყანჩაეთი ერთ-ერთი ძველი დასახლებაა ქსნის ხეობაში, სადაც რამდენიმე ისტორიული ძეგლია. მათ შორის აღსანიშნავია ყანჩაეთის კაბენი, გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის დიდებული ნიმუშია. 1908 წელს ამ ტაძარში ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა ტყავის სახარება, რომელიც მანვე გამოაქვეყნა (თაყაიშვილი ე., „საისტორიო მასალანი“, ტფ., 1913)

სახარება სულ 259 ფურცლისაგან შედგება და ტექსტი შესრულებულია ნუსხახუცური გრაფიკით მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში. სახარების არშიები სავსეა მინაწერებით, ვისაც რა შეუწირავს ყანჩაეთის კაბენის მონასტრისათვის. ეს მინაწერები არის თავისებური ისტორია გასული საუკუნეებისა, რომელთა შესწავლა და სამეცნიერო სფეროში ჩართვა აუცილებელი საქმეა.

სახარების ფურცლის პირველ გვერდზე ხუცური გრაფიკით შესრულებულია წარწერა, რომელიც ქარაგმების გახსნით ასე იკითხება: „ ... მე ბილქან ათარის ძემა ოდეს ყანჩელი ხარასანს აწიეს, დამეჭირა და თქვენ ჯაჭვ-მუზარადი შემოგეხვეწე, მიბოძეთ და მოგყიდე ვენახი ოგომურისა თავსა. მიწა ბურკულას ძისაგან ნასყიდი მქონდა აწ გიბედნიერეს ღმერთმან თქვენ მონასტრისა კრებულთა..“

სახარების ფურცლებზე მეთექვსმეტე საუკუნემდე ხუცური გრაფიკაა გამოყენებული, ხოლო შემდგომ უკვე მხედრულია, რაც წერის გამარტივებასა და ამ სახეობის შემოღებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ყანჩაეთის სახარებაში და მინაწერებში წარმოდგენილია ძე-ზე და შვილ-ზე დაბოლოებული გვარები, რომლებიც ნაწარმოებია თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი სახელებისაგან. მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტები ორივე შემთხვევაში -**ს**-ს ინარჩუნებს. **მიცემითში**: ბურკულასძე, ჭოლთასძე, ასლასძე, ვაშაბასძე, ათრასძე, იშხანასშვილი, ძაბლასშვილი, ჭულოსშვილი, სომინასშვილი. **ნათესაობითში**:რატისშვილი, მიქელისშვილი, მახარებლისშვილი, კასაბერისძე, ჭოლაისძე, ჯორმელისშვილი. **ს** ელემენტი ამ შემთხვევებში ჩამომავლობის მაჩვენებელია და სხვა მაწარმოებლებთან ერთად არის წარმოდგენილი.

უკვე მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში სახარების არშიების ჩანაწერებში **ს**-ს გარეშე გვხვდება გვარები, რაც ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე მეტყველებს. ასეთი გვარებია: მარკოზაშვილი, რატიშვილი, ძაბლაშვილი, ჯორმელიშვილი, რომელიც დღეს ჯარმელიშვილია, ჭულოშვილი, გიორგიშვილი, პავლეშვილი, ბახუაშვილი. ეს გვარები ზოგიერთი ცვლილების მიუხედავად დღესაც მოქმედებაშია.

ხსენებული სახარების მინაწერები სხვადასხვა საუკუნეებშია შესრულებული და ეს არის მიზეზი, რომ სახელთა წარმოებაც სხვადასხვანაირია. საკუთარი სახელები ტექსტში ფუძის სახით არის წარმოდგენილი:

ჩვენმა ძმისწულმა **ბაგრატ**, **ოტია**, **ლევან**...

იმ წესით ბარათით გავყარეთ **ფარსადან**, **რატი**, **ოტია**...

ლუარსაბ და **რევაზ** ოთხათ გაიყარნენ.

არქაული ფორებიდან გვხვდება **-მან** დაბოლოებიანი მოთხრობითის ბრუნვის ნიშნები:

ძე**მან** ქუენიფნეველისა**მან** .

იასე და თანამეცხედრე**მან** ჩუენ**მან.**

ძეთა ჩუენთა ლარგუელ**მან**.

კაც**მან** დიდ**მან** ანუ მცირე**მან**.

პატრონ**მან** როდამ ძეთა ჩუენთა ლარგუელ**მან** და ქუენიფნეველ**მან**..

მოთხრობითი ბრუნვის ფორმები ასევე გვხვდება **-მა** დაბოლოებით:

მოგეცით ჩემ**მა** შვილმა აფთარ**მა**...

დაგიწერეთ დაწერილი ბასილ**მა** და პიპია**მა**.

შანშე**მა** და ჩემ**მა** მეუღლემ თადუკა**მა**, შვილ**მა** ჩვენ**მა** გიორგი**მა**.

სახარების ტექსტში გვხვდება 1814 წლის მინაწერი, სადაც გვარებია დასახელებული -**ანთ** მაწარმოებელით, რომელიც საკუთრებას გამოხატავს. მაშინდელმა გვარის ადამიანებმა მამულები შესწირეს ყანჩაეთის კაბენს:

ბახუა**ანთ** (ბახუაშვილი) ბაღებს ზევით ერთი დღის მიწა.

ბუღლა**ანთ** (ბუღლაშვილი) კარს ერთი დღისა.

სარუკა**ანთ** კარს (სარუკაშვილი) გოგია ჯარმელიშვილს უჭირავს.
ასანა**ანთ** (ასანაშვილი) ხევში ერთი დღისა.
ჯიღნა**ანთ** (ჯიღნაშვილი) კარი საკომლო არის.
თეზია**ანთ** კარს (თეზიაშვილი) ერთი დღის ნავენახობი.
ხარება**ანთ** კარს (ხარებაშვილი) ერთი დღიურია.
კასაბ**ურთ** (კასაბური) უჭირავთ ორი დღისა.
დემურა**ანთ** (დემურიშვილი) აძევს ორი ლიტრი სანთელი და სხვა.

სახარების მინაწერებში საკუთარ სახელებთან რამდენჯერმეა გამოყენებული **გან** თანდებული. აღნიშნული თანდებული ზოგადად ორ ბრუნვასთან - ნათესაობითთან და მოქმედებითთან იხმარება. ნათესაობითში დასმული გან თანდებულიანი სახელი აღნიშნავს წყაროს, მიზეზს, ვისგანაც მომდინარეობს ზმნით გამოხატული მოქმედება. აღნიშნულ თანდებულს დაესმის კითხვები: ვისგან? რისგან?

სახელის **გან** თანდებულიანი მოქმედებითი **იდან** დაბოლოებით არის წარმოდგენილი და უპასუხებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან?

ზემოხსენებული სახარების მინაწერებში ძირითადად წარმოდგენილია გან თანდებულის ნათესაობითი ბრუნვის ფორმები:

მიწა ნასყიდი ბურკულის ძისა**გან**.
ნაყიდი სარგისისა**გან** და დათიასა**გან**.
ვიყიდეთ ასლას ძისა**გან**.
ერასტისა**გან** მამული და სასახლე ვიყიდე.
არა გეთხოვებოდეს არცა ერისთავისა**გან** და არაცა ჩვენისა სახლის კაცისა**გან**.
იცვალების სჯულისა**გან**. და სხვა.

ლიტერატურა:

1. გიგინეიშვილი ი., „თანდებულთა და თანდებულიან სახელთა მართლწერა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, I, 1970.
2. თაყაიშვილი ე., „საისტორიო მასალანი“ წიგნაკი პირველი, ტფ., 1913.
3. ჟორდანია თ., „ქრონიკები“, II, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს. თბ, 1984.
4. შანიძე ა., „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ მორფოლოგია, თხზ, III ტ, თბ, 1973.

რეზიუმე

სოფელი ყანჩაეთი ერთ-ერთი ისტორიული სოფელია ქსნის ხეობაში. 1908 წელს სოფლის ტაძარში ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა ტყავის სახარება, რომელიც გამოაქვეყნა 1913 წელს (თაყაიშვილი ე, „საისტორიო მასალანი“, 1913).

სახარებას აქვს შემწირველთა მინაწერები, რომელიც თავისებური ისტორიაა გასული საუკუნეებისა, რომელთა შესწავლა საშური საქმეა.

სახარების წიგნში და მინაწერებში გვხვდება ძე-ზე და შვილ-ზე დაბოლოებული გვარები, რომლებიც მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში **-ს**-ს ინარჩუნებს: ბურკულასძე, ჭოლთასძე, ასლასძე, რატისშვილი, ძაბლასშვილი, მიქელისშვილი...

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში სახარების ჩანაწერებში გვარები -ს-ს გარეშეა წარმოდგენილი: რატიშვილი, ძაბლაშვილი, ჯორმელიშვილი, გიორგიშვილი...

საკუთარი სახელები ფუძის სახით არის წარმოდგენილი: ბაგრატ, ლევან, ფარსადან, ლუარსაბ...

ტექსტში გვხვდება მოთხრობითის -**მან** დაბოლოებიანი ფორმები:

ძეთა ჩვენმან ლაგუელმან.
კაცმან დიდმან ანუ მცირემან.

გვარსახელები ასევე სხვადასხვა წარმოებით არის შენარჩუნებული, რაც ეპოქების ენობრივ სინამდვილეს ასახავს.

PRODUCTION OF SOME OF THE SURNAMES IN THE RECORDINGS OF THE KANCHETI LEATHER GOSPEL

Nikoloz Otinashvili, Assistant Professor

RESUME

The village Kancheti is one of the historical village in thevalle of Ksani. In 1908 Ekvtime Takaishvili discovered in the temple of the village, the Gospel of the leather published in 1913 (E. Takaishvili historical material 1913).

The gospel has the signatures of the donors, which was the historical document of the last century.

In the text of the Gospel and in the writings are found surnames which ending on- "ze" and on-"shvili".

These surnames keep in Give and in relatives circulation "-s-": Burkulasdze, Choltasdze, Ratisshvili, Bablasshvili, Mikelisshvili.

At te beginning of the 18th Century in the Gospel recordings the surnames are presented without "-s-": Ratishvili, Bablashvili, Giorgishvili.

Own names are presended as a base: Bagrat, Levan, Farsadan, Luarsab.

The text is found forms which ending "Man".

Surnames are performed in different production, which reflects the linguistic situation of the epoch.

ლიტერატურა
Literature

მკვლევართა ნააზრევი ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკის შესახებ

თამარ გოგოლაძე, პროფესორი

ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845) შემოქმედება მისი გარდაცვალების შემდგომ, XIX საუკუნის 60-იან წლებში, შეფასდა როგორც მოვლენა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ასევე შეფასდა მისი სატრფიალო ლირიკაც. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ამ პერიოდში, ისე „საბჭოურ" და „პოსტსაბჭოურ" ეპოქებში აღნიშნული მწერლობის შეფასება-კრიტიკა წარმოებდა განსხვავებულად მკვლევართა მიერ, ეს არ შეხებია მეტ-ნაკლებად ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკას. სავარაუდოდ, ამისი მიზეზი რომანტიზმის, კერძოდ ქართული რომანტიზმის, ზოგადი სპეციფიკით უნდა იყოს გამოვლენილი სიყვარულის კონცეფციაში. წინამდებარე სტატიაში ვცადეთ, ერთგვარად მიმოგვეხილა სხვადასხვა ეპოქის მკვლევართა, ლიტერატურათმცოდნეთა, თუ კრიტიკოსთა ნააზრევი, რომელშიც იმთავითვე გამოიკვეთა რომანტიკოსი პოეტის სატრფიალო ლირიკის უკიდურესი ინდივიდუალობა, განუმეორებლობა როგორც ქართული, ისე მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით.

ილია ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ერთი პირველი შემფასებელთაგანი, მას ევროპეიზმის შემომტანად მიიჩნევს ქართულ ლიტერატურაში და, ხაზს უსვამს რა მისი სატრფიალო ლირიკის სპეციფიკას, აღნიშნავს: „ესეც უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, როგორც ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, **ხოლო იმ განსხვავებით რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხადიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორცისას და ამიტომაც** ამბობს იგი:

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს, მარტო მშვენიერ სულთა კავშირი ჰშობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსაო..."

გარდა იმისა, რომ **ნ. ბარათაშვილმა გააწმინდავა სიყვარული და ამ სიყვარულში სულიერობას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელებას"**. (1, 189)

კიტა აბაშიძე, პლატონური სიყვარულის პირველ წარმომსახველად ქართულ პოეზიაში თუმც გრიგოლ ორბელიანს მიიჩნევს, ასევე გამოყოფს ხაზგასმით იმ ფაქტსაც, რომ **„ღვთაებრივობა ტრფობისა ჩვენს ლიტერატურაში სავსებით და სრულის სიღრმით შეიგნო მარტო ბარათაშვილმა,** მარტო მან შეძლო

ამ გრძნობის ამ მხარის, საუცხოოდ, აღმატებულად დასურათება...“ (2, 71). ამავდროულად კ. აბაშიძე თვლის, რომ ნ. ბარათაშვილმა გამოჰყო სიყვარულში, „რაც კი რამა აქვს გრძნობას იდეალური, ღვთაებრივი, უზენაესი და **უკვდავი“, ხოლო „იმის ხორციელ მხარეს, „რაღაც უცნაური, ზეციური, არა-მიწიერი ფერი მისცა“**.

გერონტი ქიქოძე („რომანტიკოსთა თაობა“), ერთი შეხედვით, თითქოს განსხვავებულ აზრს გამოთქვამს, ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკა უფრო მატერიალურიაო, თუმცა იქვე: „არაჩვეულებრივად გასულიერებულნი არიან ის ქალებიც, რომელთაც პოეტი თავის სამიჯნურო სტრიქონებს მიუძღვნის. რა უცნაურნი არიან ეს ქალები! საეჭვოა, რომ მათი ცოლად შერთვა ან, მით უმეტეს, საყვარლად ყოლა შეიძლებოდეს. ისინი მეტად ჰაეროვანნი, მეტად უსხეულონი ჩანან. მათ გასაოცარი ყურები და საყურეები აქვთ: შეყვარებულ ვაჟკაცს შეუძლია მათ ჩრდილში დაისვენოს, გული გაიგრილოს, უკვდავების შარბათი დალიოს, მაგრამ ბოლოს მაინც იქვე მოკვდეს. მათ ჩვეულებრივი ფეხების მაგიერად „ბუდეშურის ფეფები“ აქვთ. **ესაა ვნებათა ღელვის აყვანა ციურ სფეროებში, ლირიული სინამდვილის დანახვა ახალი და მოულოდნელი თვალსაზრისით, ლირიკული საგნების დემატერიალიზაცია და სულის მატერიალიზაცია“ (3, 104).**

„ამავე დროს ის უღრმეს სტრიქონებს უძღვნის ცისიერ უხრწნელ სიყვარულს (გ. ქიქოძე „ნიკოლოზ ბარათაშვილი“) და კაცთა ერთ გამოუთქმელ გრძნობას. შეიძლება თუ არა უფრო ვნებიანი სახის ხმარება, ვიდრე გველად ქცეული დალალების მოძრაობაა ქალის სპეტაკ მკერდზე და შეიძლება თუ არა სიყვარულის უფრო იდეალისტურად წარმოდგენა, ვიდრე პოეტი მშვენიერ სულთა შეუღლების სახით იძლევა თავის ლექსში - „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?“ (3, 111).

ეს, ბუნებრივია, რომანტიკული სიყვარულის გაგებიდან უნდა იყოს წამოსული. მართალია მკვლევარი, როდესაც ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლექსთა ადრესატებს, უსულო საგნების დარად, ერთგვარ ჰაეროვან არსებებად მიიჩნევს და ვნების ცეცხლი ესთეტიკურ პლანში იშლება. ესაა რომანტიკოსის ოცნება რეალობიდან წარმოსახულ სატრფოზე, რომელთან შეხება შესაძლებელია მხოლოდ სულთა ერთობით.

გიორგი ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ „ძველი მიმართულების მწერალი სიყვარულს ასწერდა არა სულიერ თვისების, არამედ დახატავდა მის ფიზიკურ სილამაზეს, ბარათაშვილი კი იშვიათად აგვიწერს ხორციელ სილამაზესო“ (4, 167-168). ვახტანგ კოტეტიშვილი, გამოდის რა ლამაზი სხეულის თაყვანისცემის ქართული ტრადიციიდან, სრული კატეგორიულობით აცხადებს: „ჩვენი ძველი მწერლებიც ამ სხეულს ადიდებდნენ და ბარათაშვილმაც არ უღალატა თავის ეროვნულ და პოეტურ მოდგმას. პირიქით, მან ეს ხორციელი ტრფიალი ისე გაამახვილა და იქამდე გაბედა, რომ ლამაზ ფეხსაც კი ხოტბა შეასხა, რაც მანამდე არ გვხვდება... და თუ პოეტი იტყვის: მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი-ო, ეს სიტყვა-სიტყვით კი არ უნდა იქნას გაგებული, არამედ აქ უბრალო პოეტური გადაჭარბებაა, რომლის გარეშე ხელოვნება არც არსებობს. თორემ რა დასაჯერებელია, რომ რაღაც „ზეციურს“ გულისხმობდეს პოეტი, როდესაც ამბობს:

„მიყვარს თვალები მიბნედილები,
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები“.

აქ სული - კი არა, „ხორცია“, აქ განყენებული იდეა კი არა, სამეგრელოს დედოფალია აღწერილი, ისევ ის ეკატერინე, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლამაზი ქალი“ (5, 142). ამ მოსაზრებას კი ვ. კოტეტიშვილი ხსნის იმ თეზით, რომ „...ბარათაშვილი თავის ეპოქასთან შერთული იყო... ეროსი ყოველმხრივი გაგებით მუდამ იყო ჩვენი სინამდვილისა და ზმანების წყარო, შთამაგონებელი ძალა და ბარათაშვილის პოეზიაშიც მას დიდი ადგილი აქვს დათმობილი, განსაკუთრებით ქალისადმი ტრფიალს ბარათაშვილმაც პოეზიის კოშკი აუგო და რაინდულად უმღერა“ (5, 140).

კონსტანტინე კაპანელი, გამოდის რა ქართული რომანტიზმის თავისთავადობის პრინციპიდან, ორგანოტროპიული თეორიის თვალთახედვით იკვლევს ნ. ბარათაშვილის მსოფლიო სულს: „დღემდე ადამიანი იცნობდა ლიტერატურაში მხოლოდ ადამიანურ ფორმას სიყვარულისას, ნიკოლოზ ბარათაშვილი გვეუბნება, რომ არსებობს სიყვარული ბუნების მოვლენებშიაც: ბუნების მოვლენებიც ხშირად ისე ეტრფიან ერთმანეთს, როგორც რომეო და ჯულიეტა, როგორც ავთანდილ და თინათინი: სიყვარული ამოძრავებს ყოველგვარს ცხოვრებას და იქ, სადაც სიყვარული არ არის, ცხოვრებაც შეუძლებელია“ (6, 89). ამ ფონზე მკვლევარი ამტკიცებს, რომ „პოეტი უარყოფს ხორციელ სიყვარულს, „რამდენადაც სილამაზე ხორციელი ნიჭიაო, რომელიც ჭკნობადია“, ამდენად „სილამაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის განმარტებით, ხორციელი თვისებაა, მშვენიერება კი სულიერი; მშვენიერება უკვდავებასთან არის დაკავშირებული. ნიკოლოზ ბარათაშვილი უახლოვდება საბერძნეთის

ფილოსოფოსს პლატონს, ნეოპლატონისტ პლოტინს: პლატონის ფილოსოფიური მოძღვრებაც მშვენიერებას უკაშირებს უკავდავებისა და მარადისობის იდეას“ (6, 89-90).

ჩვენ ვეთანხმებით მკვლევარს ნ. ბარათაშვილთან სილამაზის და მშვენიერების ინტერპრეტაციაში, მაგრამ საეჭვოდ მივიჩნევთ მის მიერ ხორციელი სიყვარულის უარყოფას (“ღამე ყაბახზედ“, „საყურე“, „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ და სხვ.).

ამასვე ასაბუთებს მკვლევარი **მიხეილ ზანდუკელი**, როდესაც წერს: „...ნ. ბარათაშვილი ერთგვარ მოგვიანებულსა და სუსტ ხარკს აძლევს ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების გავლენას, ისიც ხანდახან უმღერის ვნებიან - ეშხიან სიყვარულს, გარეგნულ, ხორციელ სილამაზეს...“ (7, 276)

„სიყვარულის გრძნობა რომანტიკოსების შეგნებაში მარადიული ძალაა, რომელიც ადამიანს სიცოცხლის მთლიანობას, უკვდავებას განაცდევინებს, ღვთაებას აახლოვებს... ამგვარ ლექსებშიც ვნებიანობასთან ერთად რამდენი სინაზე, ძალა, სისპეტაკე, ტემპერამენტი იხატება“ (7, 276-277). ამას კი მ. ზანდუკელი ასე ხსნის დამატებით: „სილამაზე“ - ეს გარეგნული, ხორციელი სიყვარულია, ის დროულია, წარმავალია, ზერელეა. ის ადამიანის „მე“-ს ვერ გამოხატავს, ის მას ვერ დააკმაყოფილებს, ჭეშმარიტ სიხარულს, ბედნიერებას ვერ განაცდევინებს“ (7, 278), მაშინ, როდესაც „მშვენიერება“ ზეცით მოსული ნათელია, რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული“. ამიტომ დასაჯერებელია, რომ ადამიანში, როგორც ღვთაების „კერძში (ტიპიური რომანტიკული გაგება და შეხედულება ადამიანზე) საუკუნო მადლი ტრფობისა იყოს.

მ. ზანდუკელი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ ბარათაშვილის პოეზიაში ჩანს მისი დიდი სურვილი, ძიება ტრანსცენდენტალური სამყაროსი, რაც ასე დამახასიათებელი იყო ევროპული რომანტიკოსებისათვის (ტიკი, ნოვალისი, ჟუკოვსკი, ლერმონტოვი და სხვა).

არჩილ პოპიაშვილი („ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიაში“) გამოკვეთს ასევე სიახლოვეს ნ. ბარათაშვილის პოეზიისა იენელთა თეორიულ მოსაზრებებთან, რომელთაც საქართველოში სოლომონ დოდაშვილის მეშვეობით იცნობდნენ და იზიარებდნენო.

შალვა რადიანი ნ. ბარათაშვილს „სიყვარულის პოეტს“ უწოდებს, მაგრამ გამორიცხავს მის შემოქმედებაში აღმოსავლური პოეზიის გავლენით ერთგვარად დაამკვიდრებდა ხორციელი განცდის მოძიების მცდელობას, რომ „ნ. ბარათაშვილის სიყვარული არ არის ასკეტური და უგრძნობი, მაგრამ ის სავსებით დაშორებულია ავადმყოფურ მგრძნობელობას... სიყვარულის თემაზე დაწერილი ლექსები ნ. ბარათაშვილისა შთაგონებულია დელფინა ლაბიელისა და, განსაკუთრებით, ეკატერინე ჭავჭავაძის ტრფიალით“ (8, 120). შ. რადიანის ეს თვალსაზრისი დიდი ხნის მანძილზე იყო დამკვიდრებული ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

მოგვიანებით, მკვლევარმა **აპოლონ მახარაძე** ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლექსებში სულიერებისა და ხორციელების პრობლემის ახსნას პოეტის პირად ცხოვრებაში მომხდარი მწარე სატრფიალო გამოცდილების შედეგად წარმოსახავს: „ჩვეულებრივი, ამქვეყნიური სიყვარულის გამოხატვის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „საყურე“. **სამართლიანი არ** იქნებოდა, რომ ამ ლექსში მხოლოდ ხორციელება ამოგვეკითხა; მას არც „სულიერი მხარე აკლია. პირველი სჭარბობს მეორეს, ამაში პოეტის „სიჭაბუკეა „დამნაშავე“. შემდგომ პერიოდში, როდესაც ნ. ბარათაშვილი საკუთარი გამოცდილებით მიჯნურობის სიტკბოება-სიმწარეში კარგად ჩაიხედავს, იგი წინ წამოსწევს მშვენიერებისა და უკვდავების იდეალს“ (9, 352).

დავით გამეზარდაშვილი გადაჭრით აცხადებს, რომ „მართალია, ნ. ბარათაშვილი არ გაურბის არც „ლამაზი ფერების“ პოეტურ წარმოსახვამდე ამაღლებას და „საყურეში“ თავისი ფიქრების ჩაქსოვას, მაგრამ შორსაა უხეშ ხორციელ ვნებათაგან და მხოლოდ სილამაზის მშვენიერებას ეთაყვანება“ (10, 299-300).

განსაკუთრებით საყურადღებოა **გურამ ასათიანის** შეხედულებანი აღნიშნულ საკითხზე, რომელიც მან ჩამოაყალიბა ესსესა „როგორ უყვარდათ საქართველოში“ და ნაშრომში „ქართველი რომანტიკოსები“. მისი აზრით, „ქართული ლირიკის ინტიმური საყრდენების ნამდვილი განახლება ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელთანაა დაკავშირებული“, რომ ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“ გაცხადებულია „ქართული სიყვარულის ახალი, ეპოქისეული კონცეფცია“, რაც შემდეგში მდგომარეობს: „... ბარათაშვილს თვალი არ აურიდებია იმ სილამაზისთვისაც, რომელსაც „ხორციელების ნიჭს“ უწოდებს, მაგრამ „მერანის“ ავტორისათვის პოეზიის მთავარ შინაარსს (რუსთაველისა და შემდგომ ვაჟა-ფშაველასაგან) განსხვავებით წარმოადგენს „არა „ფერუთვალავი“, ხილვადი სინამდვილე, არამდ უპირატესად, ადამიანის შინაგანი, სულიერი, „ზემატერიალური“ სამყარო. ეს მეორე უხორცო და, ამის გამო უხრწნელი, მარადიული რეალობა მას მიაჩნია უფრო მაღალი მშვენიერების გამოვლინებად, ვიდრე ის, თავისთავად მომხიბლავი სილამაზე, რომელიც სწორედ თავისი „ხორციელების“ გამო პოეტის თვალში დროებით, წარმავალ ნიჭს წარმოადგენს“ (11, 410-411).

XX საუკუნის დასასრულისათვის განსაკუთრებით გაიზარდა ლიტერატურათმცოდნეთა დაინტერესება ნ. ბარათაშვილის ლექსით „ქეთევან!“ (ივანე ლოლაშვილი, გიორგი აბზიანიძე, ლეილა ნანიტაშვილი, როსტომ ჩხეიძე, თამაზ ჯოლოგუა).

თამაზ ჯოლოგუას აზრით, ამ ლექსში „ერთი სიტყვით, აქ ჩვენთვის საიდუმლოებით მოცული სასიყვარულო კოლიზია იმალება. ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ ვფიქრობთ, გამორიცხულიც არ უნდა იყოს, რომ ესაა ქეთევან და ელიზბარ ერისთავების სიყვარულის ისტორიის ნ. ბარათაშვილისეული თავისუფალი ტრანსფორმაცია“. (12, 230)

მკვლევარი **ზაზა აბზიანიძე** შენიშნავს ბარათაშვილის ბიოგრაფიაშია საძიებელი ინტიმური მხარის პოეტური ფორმით წარმოსახვა.

იუზა ევგენიძე ცდილობს, თანმიმდევრულად გასდიოს რა პოეტის სულიერი მღელვარების ტრანსფორმაციას, მეტად მნიშვნელოვან დასკვნებს იძლევა ბარათაშვილისეული სიყვარულის ფენომენის შესწავლის გზაზე: „შემდგომ და შემდგომ ნ. ბარათაშვილისათვის უფრო მკაფიო ხდება სიყვარული, როგორც „ზეცით მოსული“ „ნათელი მშვენიერების“ ღირებულება, როცა სულიერი საწყისი ხორციელის გამაძლიერებლად გამოდის და პირუკუ. **ეს უკვე ქართულ გარემოში გამოვლენილი რომანტიკოსის ესთეტიკური მრწამსია, რომელიც ნასაზრდოებია, ერთის მხრივ, ტრადიციით და, მეორეს მხრივ, ახალი დროის ევროპული მწერლობის მონაპოვრით. ნ. ბარათაშვილი ქართველ პოეტთა შორის ერთი პირველთაგანია, რომელმაც „სულის მშვენიერება“ უკვდავების სადარ ადამიანურ ფენომენად გამოაცხადა და თქვა, რომ „მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა შობს სიყვარულსა“** (13, 53).

წინამდებარე სტატიისათვის შეირჩა ძირითადი მასალა სხვადასხვა დროის მკვლევართა ნააზრევიდან, რომლებიც ავსებს ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკის შეფასების ერთიან მონოლითს, რაც დასკვნისათვის გვაძლევს უფლებას, აღვნიშნოთ, რომ მისმა სატრფიალო ლირიკამ, ჭეშმარიტად გამოიყენა რა ტრადიცია, თუ ევროპული რომანტიკული თვალთახედვა, საფუძველი ჩაუყარა ამავდროულად აღნიშნული თემის მაგისტრალურ ხაზს შემდგომი პერიოდების ქართულ პოეზიაში.

ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი., ტ. 3, რჩეული თხზულებანი „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985;
2. აბაშიძე კ., „ეტიუდები“, თსუ, თბილისი, 1962;
3. ქიქოძე გ., „ეტიუდები და პორტრეტები“, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1958;
4. ჯავახიშვილი გ., „ნიკ. ბარათაშვილის ლექსები“, 1922;
5. კოტეტიშვილი ვ., „რჩეული ნაწერები“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1942;
6. კაპანელი კ., „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, ნაწ.1, ტფილისი, 1926;
7. ზანდუკელი მ., თხზ. ტ. 1, თბილისი, 1972;
8. რადიანი შ., „ახალი ქართული ლიტერატურა“, ნაწ. 1, სახელგამი, 1949;
9. მახარაძე ა., „ქართული რომანტიზმი“, თსუ, თბილისი, 1967;
10. გამეზარდაშვილი დ., „ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“, ტ. 4, თსუ, თბილისი, 1974;
11. ასათიანი გ., „სიყვარულის წიგნი“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1981;
12. ჯოლოგუა თ., „ქეთევან ერისთავის საიდუმლო“, კრებულიდან „ელიზბარ ერისთავი“, „ლომისი“, თბილისი, 1997;
13. მინაშვილი ლ., ევგენიძე ი., „ქართული ლიტერატურა“, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2012.

რეზიუმე

ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845) შემოქმედება მისი გარდაცვალების შემდგომ, XIX საუკუნის 60-იან წლებში, შეფასდა როგორც მოვლენა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ასევე შეფასდა მისი სატრფიალო ლირიკაც.

შესწავლილია და მიმოხილულია ი. ჭავჭავაძის, კიტა აბაშიძის, გ. ქიქოძის, გ. ჯავახიშვილის, ვ. კოტეტიშვილის, კ. კაპანელის, მ. ზანდუკელის, ა. პოპიაშვილის, შ. რადიანის, აპ. მახარაძის, დ. გამეზარდაშვილის. გ. ასათიანის, თ. ჯოლოგუას, ი. ევგენიძის მოსაზრებანი.

დასკვნისათვის კი უნდა აღინიშნოს, რომ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწორედ ნ. ბარათაშვილმა ჩაუყარა საფუძველი სიყვარულის თემის მაგისტრალურ ხაზს შემდგომი პერიოდების ქართულ ლიტერატურაში.

RESEARCHERS'OPINIONS ABOUT THE LOVE LYRICS OF N. BARATASHVILI

Tamar Gogoladze, Professor

RESUME

The creative work of Nikoloz Baratashvili (1817-1845) was praised and evaluated as a phenomenon in the history of Georgian literature only After his death, in the 60s of the 19th century.

The opinions of I.Chavchavadze, Kita Abashidze, G. Kikodze, G. Javakhishvili, V. Kotetishvili, K. Kaplan, M. Zandukeli, A. Popiashvili, Sh. Radian, Ap. Makharadze, D. Gamezardashvili. G. Asatiani, T. Jologua, I. Evgenidze's have been studied and reviewed.

For the conclusion it should be noted that all of the above mentioned indicates N. Baratashvili made the foundation to the theme of for love story in Georgian literature for further periods.

ქართული დრამატურგია და 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყება (ნ. შიუკაშვილისა და გრ. რობაქიძის პიესების მიხედვით)

ზურაბ ოქროპირიძე, უფროსი მასწავლებელი

ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე 1924 წლის აჯანყება და მარცხი ჩვენი ერის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელია. მეოცე საუკუნის დასასრულამდე (სსრკ-ის დანგრევამდე) ეს თემა მკაცრად იყო ტაბუირებული. საბჭოური ისტორიოგრაფია საგულდაგულოდ უმალავდა ქართველ ხალხს აჯანყების რეალურ მიზეზებსა და მიზნებს და მას „მენშევიკურ ავანტიურად" ნათლავდა. აჯანყების ერთ-ერთი მესვეურის, სოლომონ ზალდასტანიშვილის თქმით, რუსეთმა დაანიავა საქართველოს ძირძველი ტერიტორიები, შეურაცხყო ქართველთა ეროვნული სიწმინდენი, რასაც ქართველმა ხალხმა აჯანყებით უპასუხა." [8,11]. მისი მოგონებების მიხედვით, გამოსვლები ჯერ კიდევ 1921 წლის ზაფხულში დაიწყო, როცა ქართველებმა სვანეთი დაიკავეს. „ამ გამოსვლამ მთელი საქართველო გამოაფხიზლა" – წერდა იგი [8,11]. 20-იანი წლების I ნახევრის მოვლენებმა სათანადო ასახვა პოვა ქართულ მწერლობაში. დღეისათვის მიჩნეულია, რომ თავის პოეზიაში გალაკტიონმა მძაფრი სახე-სიმბოლოებით წარმოაჩინა 1924 წლის „ტფილისი თმაგაწეწილი და მწუხარება ჩვენი ქართული". [1,404] ქართული დრამატურგიაც ცხელ კვალზე გამოეხმაურა ბოლშევიკთა გაუგონარ სისასტიკეს. ქართველთა ხოცვა-ჟლეტვით აღშფოთებულმა გრიგოლ რობაქიძემ ორიგინალური ფორმით გამოხატა პროტესტი მოძალადეთა მიმართ. იგი თავადაც მითოსით გატაცებული, მოხიბლული იყო ვაჟას ღრმა მითოლოგიზმით. მისთვის მთიელი გენიოსი „მკვდრეთით აღმდგარი ძეა მითოლოგიური წარსულისა" [2,93]. ვაჟას მხატვრული მემკვიდრეობიდან მწერალი ყველაზე ღრმა და მშვენიერ ქმნილებად „გველისმჭამელს" მიიჩნევდა. ამიტომ დიდი სურვილი ჰქონდა მინდიას უძველესი მითი გაეცოცხლებინა სცენაზე. 1924 წლის ზაფხულში (აჯანყებამდე) მას უსაუბრია კოტე მარჯანიშვილთან „გველისმჭამელის" გასცენიურების შესახებ. დიდ ხელოვანს მოსწონებია იდეა. მწერალმა ხელი მოჰკიდა პოემის დრამად გადაკეთებას, მაგრამ მოხდა ისე, რომ უმოკლეს დროში პოემას გვერდში ამოუდგა არა მისი სასცენო ვარიანტი, არამედ სრულიად ორიგინალური პიესა „ლამარა". ფაქტია, რომ ვაჟას პოემა იქცა პიესის შთაგონების წყაროდ. თუმცა, ირკვევა, რომ ქართული დრამატურგიის ვარსკვლავის - „ლამარას" ნაუცბათევი დაბადება სხვა ფაქტორითაც ყოფილა განპირობებული. უკვე გვიან, ემიგრაციის წლებში (1954 წ.) გრ. რობაქიძე დაწერს, რომ უკვირს პიესის ასე სწრაფად დამთავრება. ამის მიზეზად ის ასახელებს მის მაშინდელ სულიერ მდგომარეობას, რომელიც 1924 წლის ამბოხის მარცხთან იყო დაკავშირებული: „წამებულმა ქართველმა ისეთი სიმძაფრით გაიღვიძა ჩემში, მოვინდომე: „ლამარა" უმალვე მიმეხალა მტარვალთა მიმართ..." [3,276]

„ლამარა" უძველეს მითებზე დაფუძნებული, ღრმად ეროვნული და საერთო კავკასიური ერთობის გამომხატველი ქმნილებაა. პიესაში ერთმანეთს ერწყმის ქრისტიანული რწმენა და წარმართული ღმერთების კულტი. პიესის სიუჟეტისა და იდეის უმთავრესი განმსაზღვრელი მძაფრი დრამატიზმით გამორჩეული ზეგრძნობადი სიყვარულია, რომელიც ვითარდება „გველისმჭამელიდან" გადმოსულ ბრძენ

ხევსურ მინდიასა და ქისტ ლამარას შორის. ლამარასადმი ტრფიალებაში მინდიას მეტოქეა ნახევარძმა თორღვაი - ხორციელად მსგავსი და სულიერად საპირისპირო მინდიასი. მას შემოაკვდება ლამარას ძმა - მურთაზი. ქისტები სისხლის ასაღებად ემზადებიან. მინდია კარგავს მისნურ ძალას, მაგრამ ვაჟას გმირისაგან განსხვავებით, თავს არ იკლავს (გრ. რობაქიძე ფიქრობდა, რომ გველისმჭამელს თავი არ უნდა მოეკლა). იგი თორღვას სახელით ეახლება მრისხანე იჩოს - ლამარას მამას. იმედოვნებს, ქისტები მასზე იძიებენ შურს და მოძმენი ერთურთის სისხლს აღარ დაღვრიან. მინდიას ქცევით გაოგნებული იჩო ხმალს ქარქაშში ჩააგებს. სიყვარული, ვაჟკაცობა ამარცხებს მტრობას.

როგორც ვხედავთ, პიესის სიუჟეტი პირდაპირ არ უკავშირდება 1924 წლის აჯანყებას, თუმცა, მან დააჩქარა „ლამარას“ შექმნა. ამ პროცესში ავტორის თვალწინ ტრიალებენ აგვისტოს ამბოხის „წამებული ქართველები“, რომელნიც შეიძლება ითქვას, მიღმიერი პერსონაჟები არიან „ლამარასი“. ისინი, უხეში ძალისაგან ძლეულნი, უშორესი ჟამის თანამემამულეებს უძველეს მითებში მისტიკური ჭვრეტით ეროვნული ცნობიერების სათავეებთან მიჰყავთ, სადაც კავკასიონის მთებივით ჯანსაღი სიცოცხლე ჩქეფს. პიესაში მთელი ძალით ცოცხლდება გაუტეხელობა ამაყი მოდგმისა, რომელიც მყარად დგას სულიერებით გაპოხიერებულ ქართულ-კავკასიურ ნიადაგზე. იგი ძალადობას, შიშს, ჩაგვრას არ ცნობს.

„ლამარათი“ ავტორმა პირდაპირ მიანიშნა საბჭოელ ოკუპანტებს: ჭეშმარიტ ბედნიერებასა და სიყვარულს თავისუფლება განაპირობებს და არა ერების დამონებაო. გრ. რობაქიძემ ქართველთა სისხლისმსმელ ბოლშევიკურ რეჟიმს ყოვლისშემძლე წმინდა სიყვარულის, საერთო კავკასიური ერთობის იდეა დაუპირისპირა, რომლის რეალური განხორციელება ვერ შეძლეს 1832 და 1924 წლების აჯანყებათა მესვეურებმა. ავტორს პირველსაწყისში - მითოსში ეგულებოდა ამაღლებული, ჰეროიკული სული, „ჩვენი კაცობის ფესვები“ **(ალ. ახმეტელი)** აწ დაკნინებული ქართული მოდგმისა. მწერალი უნაზესი ფრაზებით ეფერება სისხლმდინარე სამშობლოს: „ჩვენი დედული ლბილია: რძიან ძუძუებს გვაწოვებს...“ [**3,159-165**]. იგი ერთ კონტექსტში მოიაზრებს ენასა და სარწმუნოებას, რადგან მართლმადიდებლობა მწერლობასთან ასოცირდებოდა მუდამ. მისი განმარტებით, ლამარაში“ მისნურ სიწმინდეს (რწმენას) გვერდით უდგას ხმალი **(ფიზიკური ძალა)** – „ორი ნაკადი საქართველოს თავგადასავლისა... ჯვარი და ხმალი...“ [**2,18**] დრამატურგი მითოსის საფარქვეშიდან მოუწოდებს ერს, ზოგადად კავკასიელებს, არ დანებდნენ მტერს, წინაპართა მსგავსად რწმენით და მახვილით დაიცვან მამული.

დრამატურგიული ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანებებს თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე უპირველესად სცენა განსაზღვრავს. იქ ცხადდება მწერლის იდეა-ჩანაფიქრი. ფაქტობრივად, დამდგმელ რეჟისორსა და მსახიობთა ოსტატობაზეა დამოკიდებული პიესის ბედი. „ლამარა“ გენიალური ქართველი რეჟისორის ალ. ახმეტელის მიერ დაიდგა 1926 წლის 29 ივნისს რუსთაველის თეატრში [**4,154**]. დრამატურგს თითქმის არ ჰქონია შენიშვნები თეატრის დასთან. სცენაზე გაცოცხლებულმა მითოსმა, ღრმად ეროვნულმა და საერთო-კავკასიური ერთობის გამომხატველმა სახე-ხასიათებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს მაყურებელზე. წარმოდგენა საბჭოური ძალადობის ფონზე კავკასიელ ერთა თვითმყოფადობისა და ძმობის მანიფესტად იქცა. გრ. რობაქიძე იგონებს: „ფეხზე დგება მთელი თეატრი... ტაშის გრიალი... თეატრი მისტერიას ზიარებული... რა ემართება თეატრს არ აგიწერთ...“ [**3,288**] ის, რისთვისაც მწერალმა „ლამარა“ „მიახალა“ მტარვალებს, ახმეტელმა უფრო თვალსაჩინო გახადა დადგმით. „ლამარამ“ დაადასტურა ორი სახელოვანი მოღვაწის მიმართება საბჭოურ რეჟიმთან და თანხვედრა თეატრალურ-ესთეტიკური პრინციპებისა. პიესაში უკიდურესი ტრაგიზმით განვითარებული კოლიზიები ახმეტელმა სცენაზე წარმოაჩინა დაპირისპირებულ, მაგრამ თავისუფალ მხარეთა სულის წრთობა, მტრობაზე ყოვლისშემძლე სიყვარულის გამარჯვება. თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძის თქმით, „ავტორისა და რეჟისორისთვის „ქართველი ხალხის ეროვნული ენერგიის გამოხატვა უმთავრესი იყო“ [**5,98**]. მათი აზრით, ტყვედპყრობილ ერს უნდა ერწმუნა საკუთარი ძალების.

დადგმას არაერთგვაროვნად შეხვდა კრიტიკა. ერთხმად აღინიშნა სპექტაკლის ,,უმაღლესი ხელოვნება, მიმზიდველობა...“ **(,,მუშა“, 26.11.1927).** კრიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღიარებდა პიესის მხატვრულ სრულყოფილებას, მაგრამ იდეოლოგიურ მარწუხებში მოქცეულნი ნაკლად უთვლიდნენ, რომ მასში ,,არ იყო გაშუქებული პროლეტარული ყოფის პრობლემები...“ [**11,36**] პროლეტკრიტიკა „ლამარას“ ასამართლებდა „სიყვარულის იდეის გაღმერთებისთვის“. „სიყვარულისთვის კრიტიკოსები შოლტებს მირტყამდნენ... [**6,241**]. ოფიციოზმა მკაცრად მიუთითა რეჟისორს, „ლამარა“ აღარ დაედგა. მიუხედავად ამისა, 1926-27 წლების სათეატრო სეზონში იგი ოთხჯერ წარმოადგინეს. ბოლოს სპექტაკლი აკრძალეს. დაამსხვრიეს დეკორაციები. რეჟისორმა ყურად არ იღო ეს და 1929 წელს კვლავ განაახლა „ლამარას“ რეპეტიციები. 1930 წლის 25 აპრილს „კომუნისტმა“ (01.05.1930) იგი ,,მავნე და მიუღებელ“ სპექტაკლად მიიჩნია. ზემდგომთაგან დიდი ზეწოლის მიუხედავად, ახმეტელმა იგი 1930 წლის ივნისში მოსკოვის საკავშირო თეატრალურ ოლიმპიადაზე წაიღო, რომელსაც მრავლად

ესწრებოდნენ ევროპელი და ამერიკელი ცნობილი სათეატრო მოღვაწეები. „ლამარა“ ოლიმპიადის გვირგვინად იქცა. რუსი და უცხოელი სპეციალისტები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ მისით. მას უწოდებდნენ „ხალხთა მეგობრობის სპექტაკლს“, „სპექტაკლს შექსპირისებურს“, „ზეიმს ხელოვნებისა“ [7,170] და სხვა. ოსლოს თეატრის დირექტორის, ნილსენისთვის „ლამარა“ წარმოუდგენელი სპექტაკლი იყო, რუსთაველის თეატრი კი - საუკეთესო [7,239]. ოლიმპიადის პროგრამის მიხედვით თითო პიესა ორჯერ უნდა დადგმულიყო. „ლამარა“ რვაჯერ დაიდგა. ერთ-ერთ წარმოდგენას სტალინიც დასწრებია. ახმეტელი იგონებს, რომ სპექტაკლის შემდეგ იგი „უფრო წმინდანს ჰგავდა, ვიდრე მრისხანე სტალინს...“ [6,253]

პიესის წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო კავკასიელთა ტრადიციებისა და ფოლკლორის, ეროვნული ტკივილის ზოგადსაკაცობრიო ჭრილში ჩვენება იყო. დრამის გმირები კავკასიის მიუვალი მთებიდან მიუთითებენ „განათლებულ“ კაცობრიობას, რომ მან განდევნა რა ღვთაებრივი თავისი ყოფიდან, განვითარების ყალბი გზა აირჩია. უღვთოობამ ზნეობრივი ღირებულებების ნგრევა, ომები და ქაოსი გამოიწვია. ამ უმსგავსობის უკიდურეს გამოვლინებად ავტორი რუსულ-ბოლშევიკურ იდეოლოგიას მიიჩნევდა, რომელმაც უარყო ღმერთი და შეეცადა ადამიანი და ერები კლასთა ბრძოლისა და სხვა ჯურის თეორიებით „გაებედნიერებინა“. „ლამარას“ გამო რუსთაველის თეატრმა უამრავი მოწვევა მიიღო უცხოეთიდან. თითქმის გადაწყვეტილი იყო დასის გამგზავრება ევროპასა და ამერიკაში.

საბჭოთა პოლიტელიტამ სტალინის მეთაურობით აღიარა „ლამარას“ გამარჯვება. იმავდროულად სასტიკად ებრძოდნენ ავტორსაც და რეჟისორსაც. საბჭოთა კრიტიკა ცხადია, პიესას პირდაპირ ვერ უკავშირებდა 1924 წლის აჯანყებას, მაგრამ გრძნობდა, რომ იგი „მათი არ იყო“. პიესისა და სპექტაკლისადმი გაორებული დამოკიდებულება აშკარად ჩანდა. როგორც მივუთითეთ, ადიდებდნენ დადგმას უჩვეულო სიყვარულისა და თავგანწირვის, კავკასიური ყოფის უბადლო ჩვენების გამო, თან ჯვარს აცმევდნენ, ნაციონალიზმში ადანაშაულებდნენ, რადგან თვალს ჭრიდათ საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ღვთიური ნათელი. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა თეატრი არ გაეშვა საგასტროლოდ უცხოეთში. მოგვიანებით, გრ. რობაქიძის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ (1931 წ.) მწერლის სახელი აიკრძალა. პიესა ჩამოართვეს ავტორს და ვაჟა ფშაველას მიაწერეს. თავად ,,ლამარა“ ვერ იქნა ტაბუირებული, რადგან ქართული თეატრის წარმატებებზე საუბარი მის გარეშე შეუძლებელი იყო. „ლამარა“ რობაქიძის მძაფრი პროტესტი იყო უდანაშაულო ქართველთა მასობრივი დახვრეტების გამო. დრამატურგმა შექმნა ხალხთა თანაცხოვრების ისეთი მოდელი, რომელშიც ადამიანის, ერების თავისუფალი ნება უზენაესია. „ლამარა“ უცხო ყვავილი იყო 20-იანი წლების პროლეტმწერალთა მიერ უღვთოდ დანაგვიანებული ქართული მწერლობის თაიგულში. იგი პირველი ქართული სპექტაკლია, რომელმაც გაარღვია საბჭოეთის დახურული სივრცე და პლანეტის თეატრალური სამყარო აალაპარაკა.

თუ „ლამარა“ მიმზიდველი მითოსური ყოფის გაცოცხლებით ებრძვის ბოლშევიზმს, ცნობილი დრამატურგის, ნიკო შიუკაშვილის 1926-27 წლებში შექმნილი პიესები „ამერიკელი ძია“ და „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“ შეულამაზებლად ასახავენ რა XX ს-ის დასაწყისის საქართველოს სოც-პოლიტიკურ რეალობას, პირდაპირ ამათრახებენ საბჭოურ რეჟიმს. ამ კომედიების სცენური განხორციელება დიდ სანდრო ახმეტელთანაა დაკავშირებული. მათმა ღრმად კრიტიკულმა პათოსმა იმთავითვე მიიპყრო მისი ყურადღება და უმალვე წარმოადგინა რუსთაველის თეატრში („ამერიკელი ძია“ დაიდგა 1926 წლის 2 დეკემბერს, „ძიას გასაბჭოება“ კი - მომდევნო წლის 8 დეკემბერს). ახმეტელის რეჟისორულმა ვირტუოზობამ „ამერიკელ ძიას“ დიდი წარმატება მოუტანა. ყოველი დადგმა დიდის ანშლაგით მიდიოდა. პიესის დადგმამ „ლამარას“ მსგავსად კრიტიკოსთა არნახული ვნებათაღელვა გამოიწვია. უკიდურესად ტენდენციური იყო ბოლშევიკური პრესა. მათთვის პიესა „მავნე იყო და დასაწვავი...“ [13,9] კიდევ უფრო მწვავე გამოდგა პიესის გაგრძელება - „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“. ავტორმა კომედიის მთავარი პერსონაჟები - ვაჭარი არშაკა სიძით - არტაშათი, კვაჭი (რომლის ლიტერატურული ტიპის ავტორი მიხეილ ჯავახიშვილია), ვაჭრის ყოფილი მოსამსახურე კომბალა და სხვა გააკომუნისტა. მათი მაქინაციებისა და ძალადობის ასპარეზად ქცეულა მთელი ქვეყანა. პიესის წარმოდგენამ სკანდალური ხასიათი მიიღო. კომბალას როლის შემსრულებლის, აკაკი ვასაძის თქმით, „გასაბჭოებული ძია“ ისეთ მწვავე პოლიტიკურ პასკვილში გადაიზარდა, რომ მალე მოხსნეს რეპერტუარიდან...“ [10,243]. ავტორსა და რეჟისორს საბჭოთა სისტემის აბუჩად აგდებაში დასდეს ბრალი: „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“ გასაბჭოება კი არ არის, გასაბჭოების გამასხრებაა...“ („მუშა“, 1927, N1515). სპექტაკლმა ნათლად გააცხადა ახალი რეჟიმის მანკიერებანი: მასობრივი გაუნათლებლობა და სიღატაკე, მართვის ბიუროკრატიული და ანტიეროვნული ხასიათი... თუმცა, ხელისუფლების შფოთის მთავარი მიზეზი 1924 წლის აჯანყების ჩვენება იყო. ნაწარმოებში აჯანყებულთა გამოსვლებია აღწერილი. ბოლშევიკებს ეშინოდათ, პროცესები საერთო-სახალხო ამბოხში არ გადაზრდილიყო. ოფიციოზი ყველა ღონეს ხმარობდა აჯანყებულთათვის

ჩამოეშორებინა და იდეოლოგიურად თავისკენ მოექცია საზოგადოების ფართო ფენები. ამიტომ იგი ეწეოდა ამბოხების მონაწილეთა დისკრედიტაციას, მშრომელ მასებში მათ ყაჩაღებად და სამშობლოს მოღალატეებად ნათლავდა, რისთვისაც ისინი სასტიკ მოპყრობას იმსახურებდნენ.

პიესაში გაკომუნისტებული მაქინატორი კვაჭი სოფლის საბჭოს ხეპრე თავმჯდომარეს კომბალას აქებს, „ყაჩაღებს რომ მუსრი გაავლე გაზეთებშიც დაიწერა... იქნება მინისტერადაც დაგნიშნონო... რაზედაც იგი პასუხობს, ვა, ჩემზე უკეთესები არიან თუ...“ [9,12] ბოლშევიზმმა გამანქურთების გზაზე დააყენა ყოფილი მოჯამაგირე. მან დიდ სიბრძნედ მიიჩნია პოლიტგრამოტა და ყოველდღე იზუთხავს მას. ღმერთისა და სამშობლოს ცნება მისთვის გაუგებარი დარჩა. კომბალამ ადვილად ირწმუნა, რომ იგი მართლაც ყაჩაღებს ებრძვის და არა ქართველ მამულიშვილებს. თან ამაყობს ამ „დამსახურებით“ და მინისტრის პორტფელიც ეცოტავება. კომიკურიცაა და დრამატულიც ეს სურათი. სამწუხაროდ, მართალია კვაჭის შეგირდი, არ არიან მასზე უკეთესები და ეს აწუხებს ავტორსაც. კვაჭი ასწავლის კომბალას როგორი უნდა იყოს კომუნისტი: ,,ფხიზლად მოიქეცი, დროებას შეფერება უნდა... როგორც თასმა, ისე უნდა იყო მოქნილი...“ [9,4] კვაჭისგან დამოძღვრილი კომბალა კიდევ უფრო მეტი შეუბრალებლობით ებრძვის „ყაჩაღებს“. კომედიაში კონკრეტული ფაქტია აღწერილი: სოფელში (მოქმედება კახეთის სოფელ ჩუმლაყში ხდება) მისი მეთაურობით ამბოხებულთა მომხრეებს ანგარიშს უსწორებენ. ერთ განათლებულ ოჯახში მშობლებს დააპატიმრებენ, მათ ქალიშვილს კი ძალადობით კომბალა იგდებს ხელთ.

ასეთი სისასტიკის ფონზე, როდესაც ქართველთა სისხლით ირწყვებოდა ქართული მიწა, „განთლებული“ ბოლშევიკი ინსტრუქტორები სოფელ-სოფელ დადიან და მოსახლეობას უმუშევარი ჩინელი და ინგლისელი მუშებისთვის სოლიდარობის გამოცხადებას სთხოვენ. პასუხად გლეხები მათ ბედს შენატრიან: ჩვენ ამდენს ვმუშაობთ, მაინც სიღატაკეში ვართ, ისინი კი უმუშევრადაც ირჩენენო თავს. ბოლოს კი დასძენენ: ღმერთი არ გაწირავსო თავის გაჩენილს [9,18]. ე.ი. ქვეტექსტის მიხედვით ქართველობა ისევ ღვთის იმედზეა და არა ბოლშევიკებისა. დრამატურგი მიუთითებს, რომ საპროტესტო ინგლისელ მუშებს კი არა, ქართველ ხალხს აქვს, რომელიც ეროვნული თავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაშია ჩაბმული საბჭოურ რეჟიმთან.

პიესის მიხედვით, სოფელში წერა-კითხვის მცოდნე არავინაა. კომედიის იდეიდან გამომდინარე ისინი (ე.ი. ინტელიგენცია და სამღვდელოება) 1924 წლის მოვლენებს ემსხვერპლენენ, რადგან ოფიციოზი პოტენციურ საფრთხეს ხედავდა მათში. ბოლშევიკებისათვის მხოლოდ ცალმხრივი, კომბალას მსგავსი პოლიტგრამოტის მოძღვრებით დაბანგული პერსონაჟები იყვნენ მისაღები.

პიესაში აჯანყების მესვეურთა შორის ორი თვალსაზრისი იკვეთება: ერთნი აშკარად პათეტიკურად მსჯელობენ. მათი აზრით, ერთ დაძახილზე მთელი საქართველო ფეხზე დადგებოდა, ევროპაც უმალ დაგვეხმარებოდა. მეორე ფრთა უფრო თავშეკავებულია. ისინი მომხრენი არიან აჯანყებისა, მაგრამ ამ ეტაპზე ეჭვი ეპარებათ მის წარმატებაში. ამის მთავარი მიზეზი სასურველი ერთიანობის, ფულისა და იარაღის უქონლობაა, რის პასუხადაც პირველნი მიუგებენ: „ქე გამოჩნდება რო დავიწყებთო...“ [9,22]

დრამატურგი კარგად იცნობს აჯანყების მზადების პერიპეტიებს და იმ წინააღმდეგობებსაც, რომელიც თან ახლდა ამ პროცესს. მართლაც, სოლომონ ზალდასტანიშვილი ემიგრაციაში წერდა, რომ „პოლიტიკურ პარტიებში ჯერ კიდევ სჭარბობდა ვიწრო პარტიული შეხედულებანი... იყო უნდობლობა...“ [8,28,34] ამ და სხვა მიზეზებმა აჯანყების თარიღი რამდენჯერმე გადაავადა. შექმნილი სიტუაციის გამო თავად ქაქუცა ჩოლოყაშვილი გამოსვლების გადადებას ოქტომბრამდე ფიქრობდა [8,33]. სიფრთხილეს იჩენდნენ ეროვნულ-დემოკრატებიც. ისინი ეჭვის თვალით უყურებდნენ სოც-დემოკრატების პათეტიკურ განცხადებებს - დავიწყოთ ამბოხი, ევროპის ქვეყნები მხარს გვიჭერენო. [8,27] პიესიდან ჩანს, რომ ნიკო შიუკაშვილი ეროვნული ძალების პოზიციას იზიარებს. იგი კიცხავს ზოგიერთი მესვეურის მყვირალა პათოსს და საეჭვოდ მიიჩნევს მათ ილუზიებს, მაგრამ არ გმობს თავისუფლების იდეას და ამ იდეის ყველაზე ყველაზე უკეთ მატარებელ გმირს - ქაქუცა ჩოლოყაშვილს. 1927 წელს (როვოლუციის 10 წლისთავზე, როდესაც დაიდგა „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“) მაყურებელს სცენიდან ესმოდა ასეთი სიტყვები: „დღეს ყველა ჩვენგანი მოვალეა ისტორიის წინაშე პატარა ქაქუცად მაინც იქცეს. ქაქუცობა - აი, ჩვენი მთავარი ბაირაღი - გაუმარჯოს ქაქუცას...“ [9,25] მაშინ ამ სიტყვების ხმამაღლა თქმა, ვისგანაც არ უნდა თქმულიყო იგი, ავტორის მხრიდან გმირობა იყო. კომედიიდანაც ირკვევა, და აჯანყების უშუალო მონაწილენიც აღნიშნავენ, რომ აჯანყებამ შიში და დაბნეულობა გამოიწვია ხელისუფლებაში. „ჩეკა“ შიშობდა, თავის გადასარჩენად იოლ გამოსავალს ეძებდა... გამბედაობა დაკარგა...“ [8,36] ერთ-ერთი გამოსავალი ხელისუფლებისათვის დამსმენთა ფართო ქსელის შექმნა იყო. ამ კონტექსტში ფრიად სასაცილოა პიესის პერსონაჟი ვაჭარი არშაკა. მას ჭირის დღესავით სძულს „რაზბოინიკი ბალშევიკები“, რადგან მის ქონებას განადგურებთ ემუქრებიან. არშაკამ მფარველი იშოვნა - პორტფელიანი ბოლშევიკი, თანატომელი არტაშა დაისიძევა. ახლა დაასკვნა, რომ „ბალშევიკობას“ მართლაც არაფერი სჯობიაო...“

[9,23] აჯანყებულთა დასმენის გზით იგი პარტიის კანდიდატი გახდა. თავისი რესტორანი „წითელ სასადილოდ“ გადააკეთა და პარტიის წევრობასაც უმიზნებს. როგორც კანდიდატს, საბრძოლველად იწვევენ. მიკირტუმ გასპარიჩის შთამომავალი ახლა ნანობს პარტიისკენ გადადგმულ ნაბიჯს. მისი მიზანსწრაფვა - გახდეს დიდი „ბალშევიკი“ და ამავე დროს მბორკავი გრძნობა შიშისა ქმნის კომიკურ განწყობას. მკვლევარ რომან ფიცხელაურის თქმით, „კომიზმი აქ დანის პირივითაა წამახვილებული...“ [11,43] არშაკა ისევ დასმენებით ცდილობს გაპარტიელებას. პირობას დებს „როცა დაიჭერენ აჯანყებულებს და ხელებს შეუკრავენ, მე ჩასავოით გავყვებიო“. [9,27] შემთხვევითი არ უნდა იყოს სიძე-სიმამრის 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირება. მეამბოხეთა წინააღმდეგ არც ქართველ ბოლშევიკებს დაუკლიათ ხელი, მაგრამ არტაშას ტომელებიც ხშირად გვევლინებოდნენ დამსმენ-ჯალათთა როლში როგორც მაშინ, ისე შემდგომ წლებშიც.

ეს პერსონაჟები კონცენტრირებულად გამოხატავენ იმ რეალობას, რომელიც წარმოიშვა საქართველოში ბოლშევიკური ოკუპაციის შედეგად. ნიკო შიუკაშვილის მორალი და პრინციპები შეურიგებელ წინააღმდეგობაშია მოძალადე რეჟიმის სოციალურ ფილოსოფიასთან. „ამერიკელი ძიას გასაბჭოებაში“ მან იშვიათი გამბედაობით ამხილა 1924 წლის აგვისტოს მოვლენების დროს საბჭოელთა აღვირახსნილი ქმედებანი უდანაშაულო ქართველი ხალხის მიმართ. „ლამარამ“ და „ამერიკელმა ძიამ“ (ორივე ნაწილმა) უდიდესი როლი შეასრულეს ქართული დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. ისინი თითქმის ერთდროულად დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე განუმეორებელი ალ. ახმეტელის მიერ და დიდი თავსატეხი გაუჩინეს ახალი იდეოლოგიის მამებს. ფილიპე მახარაძემ „ამერიკელ ძიას“ „უმსგავსო რამ“ უწოდა [16,29]. ორივეს დადგმა აიკრძალა. „ლამარა“ სულაც ავტორის გარეშე დატოვეს. ზემოაღნიშნული პიესების ავტორები და მათი დამდგმელი რეჟისორი მიიჩნევენ, რომ თავისუფლება უზენაესი ღირებულებაა, რომლის მოპოვება მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური ერთობით მიიღწევა. ყოველმა ქართველმა ვიწრო პარტიული დროშა უნდა დაკეცოს და ეროვნული დროშის ირგვლივ გაერთიანდეს.

ლიტერატურა:

1. ნიკოლეიშვილი ავთანდილ, ქართული ლიტერატურა, III, ნაწ. I, თბ., 2012.
2. ქართული სიტყვიერება, გრ. რობაქიძე, წ. 10, თბ., 2012.
3. რობაქიძე გრიგოლ, დრამები, წერილები თეატრის შესახებ, თბ., 2003.
4. ოქროპირიძე ზურაბ, პიესა „ლამარას“ შექმნისა და დადგმის ისტორია, ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2016.
5. კიკნაძე ვასილ, სინამდვილე და სახიობა, თბ., 1990.
6. კიკნაძე ვასილ, ცხოვრება სანდრო ახმეტელისა, თბ., 1986.
7. კიკნაძე ვასილ, სანდრო ახმეტელი, თბ., 1977.
8. ზალდასტანიშვილი სოლომონ, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, მოგონებები, თბ., 1989.
9. შიუკაშვილი ნიკო, „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“, რუსთაველის თეატრის მუზეუმი, ინვ. N649, გვ.12.
10. ვასაძე აკაკი, მოგონებები, ფიქრები. 1977, წ. I, გვ. 243.
11. ფიცხელაური რომან, ქართული დრამატიული მწერლობა, თბ., 1928.
12. „ისტორიანი“, თბ., 2017, N8.
13. „საბჭოთა ხელოვნება“, 1927, N6.
14. „მუშა“, 1927, N1515.
15. „თეატრი და ცხოვრება“, თბ., 1998, N2-3.
16. „მნათობი“, 1928, N4.

რეზიუმე

ქართველმა მწერლებმა (დრამატურგებმა), მიუხედავად მკაცრი ცენზურისა, შეძლეს მხატვრულ ქმნილებებსა და წერილებში ეჩვენებინათ ბოლშევიზმის სისასტიკე და ცინიზმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1924 წელს (და შემდგომაც). პიესაში „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“, ნ. შიუკაშვილმა მხატვრულად დაგვისურათხატა მოძალადე რეჟიმის მხეცური ანგარიშსწორება აჯანყებული ქართველების მიმართ. ხელისუფლების ძალადობით აღშფოთებულმა გრ. რობაქიძემ „უმალ მიახალა მტარვალებს“ სიყვარულისა და ერთობის მქადაგებელი პიესა „ლამარა“, რომელშიც იდეურად დაგმო კომუნისტური ზნეობა და მორალი.

GEORGIAN DRAMATURGY AND ANTI-BOLSHEVIK REVOLT OF 1924 (ACCORDING TO N. SHIKUKASHVILI'S AND GR. ROBAKIDZE'S PLAYS)

Zurab Okropiridze, Senior Teacher

RESUME

Georgian writers (dramatists), despite the strictest censorship, were able to demonstrate the brutality and cynicism of Bolshevism in artistic creations and letters, which was in Georgia in 1924 (and later) in the play "Sovietization of American uncle". N. Shiukashvili artistically presented the brutal repression of the violent regime towards the rebellious Georgians. Concerned with the violence of the government, Gr. Robakidze immediately presented play of love and unity preaching "Lamara", where artistically condemned the communist morality.

ლაშა იმედაშვილის ერთი პოსტმოდერნისტული რომანი

მარინე ცერცვაძე, პროფესორი

პოსტმოდერნიზმზე დღეს ბევრს წერენ. ისმის კითხვა - როგორ უნდა განვიხილოთ პოსტმოდერნიზმი - როგორც მოდერნიზმის ანტითეზა, თუ მისი გამგრძელებელი? 2016 წლის თებერვალ-მარტის „ლიტერატურული გაზეთის" ფურცლებზე გაიმართა დისკუსია - ამ თემის ირგვლივ საუბრობს სამი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მეოცე საუკუნის 50-60-იანი წლებიდან მოდერნიზმი მივიდა სრულყოფილებამდე და ამოწურა თავისი თავი, ამის შედეგად გაჩნდა სრული სიცარიელე, რომელიც უნდა რაღაცით შევსებულიყო. ამის შემდეგ იწყება პოსტმოდერნიზმი „კლასიკისა და ავანგარდის შერწყმით" [3. გვ. 11].

არის არსებითი განსხვავება მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის. კოკა ბრეგაძეს (ლიტერატურათმცოდნე და გერმანისტი) მიაჩნია, რომ მოდერნისტული ლიტერატურა მაღალი დონის ლიტერატურა იყო, მოდერნისტული ტექსტი ელიტარული, ღრმად ინტელექტუალური და იმდენად ფართო მკითხველისთვის არც იყო განსაზღვრული და არც ჰყავდა ფართო მკითხველი, პოსტმოდერნისტული ტექსტი კი „მასობრივია" და ამ ტექსტში უამრავი შრე გამოიკვეთება.

ზურაბ ქარუმიძის (ლიტერატურათმცოდნე, მწერალი) აზრით, განსხვავება მოდერნისტ და პოსტმოდერნისტ ავტორებს შორის ის არის, რომ მოდერნისტი ავტორი ქმნის ჰერმეტულად ჩაკეტილ ტექსტს, რომლის გაგებასაც სერიოზული ძალისხმევა სჭირდება, ხოლო პოსტმოდერნისტი ავტორი სამყაროს ხედავს ფრაგმენტულად, ის თხრობისას თხრობის ამბავსაც გვიყვება. პოსტმოდერნიზმი იმითაც განსხვავდება მოდერნიზმისაგან, რომ პოსტმოდერნიზმში აღარ არსებობს მაღალი და დაბალი დონის ლიტერატურა, აქ ისინი ერთიანდებიან.

პაატა ჩხეიძე (ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი) კი ფიქრობს, რომ მოდერნისტული ლიტერატურა იყო მაღალი დონის ლიტერატურა და არც სჭირდებოდა ფართო მკითხველი, მაგრამ ეს იყო რეაქცია XIX საუკუნეში წერა-კითხვის დემოკრატიულ გავრცელებაზე. ყველამ ისწავლა წერა-კითხვა, ყველა კითხულობდა. შემდეგ ტომას ელიოტმა, ეზრა პაუნდმა განაცხადეს, რომ საერთოდ არ სჭირდებოდათ ფართო მკითხველი; პოსტმოდერნიზმმა, პირიქით, ისევ გაუღო კარი დემოკრატიულ მკითხველს.

კოკა ბრეგაძე იზიარებს როლან ბარტის აზრს, რომ პოსტმოდერნისტული ტექსტის მკითხველმა ინტელექტუალური სიამოვნება უნდა მიიღოს და თუმცა გათვლილია მასებზე, მეორე მხრივ, ღრმად ინტელექტუალური საკითხავია და თუ შესაბამისად არ ხარ მომზადებული ინტელექტუალური თამაშებისათვის, ვერაფერს გაიგებ ტექსტიდან და ინტელექტუალურ სიამოვნებასაც ვერ მიიღებ - ესაა პოსტმოდერნისტული ტექსტის სპეციფიკა.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში იკვეთება პოსტმოდრნისტული ტენდენციები. ლევან ბრეგაძე, მიმოიხილავს რა ქართულ მოდერნიზმს, დაასკვნის, რომ არსებობს უაღრესად საინტერესო ქართული პოსტმოდერნიზმი, არსებობს დიდი ხანია და გ. დოჩანაშვილის, აკა

მორჩილაძის, ირაკლი სამსონაძის, ნაირა გელაშვილის და სხვათა გვერდით ლაშა იმედაშვილიც იყენებს პოსტმოდერნისტულ ტექსტებს.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ როლან ბარტი ფიქრობს, მკითხველმა უნდა მიიღოს ტექსტით სიამოვნება. თავის „მითოლოგიებში“ როლან ბარტი განიხილავს რა ამერიკულ კეჩს - თავისებურ მითოლოგიურ ბრძოლას კეთილსა და ბოროტს შორის, წერს, რომ კეჩში ყველაფერი ტოტალურად არსებობს, აქ არ არის არავითარი სიმბოლო და მინიშნება, ყველაფერი ამომწურავი სისრულითაა მოცემული. მებრძოლის ჟესტი არაფერს ტოვებს ჩრდილში, ის ჩამოიშორებს ყველა დამაბრკოლებელ აზრს და მაყურებელს საზეიმოდ წარუდგენს წმინდა ნიშანს. „როდესაც დრამის გმირი ან ანტიგმირი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ მეტაფიზიკური ნიშნის მასშტაბებამდე იყო გააფთრებული, გულგრილად და ანონიმურად, პატარა ჩემოდნით ცოლთან ერთად ტოვებს კეჩის დარბაზს, უეჭველი ხდება, რომ კეჩს შეუძლია რეალობის გაყალბება, რაც საერთოდ ახასიათებს სანახაობას....“ [1. გვ. 21]. როლან ბარტს მიაჩნია, რომ კეჩისტები, მიუხედავად შერცხვენისა, მაინც ღმერთებად რჩებიან, რადგან ისინი წამიერად ფლობენ სიკეთის და ბოროტების გამყოფ წმინდა ჟესტს და ააშკარავებენ საბოლოოდ მისაწვდომ სამართლიანობის სახეს.

შევეცადოთ ეს მოდელი მოვარგოთ ლაშა იმედაშვილის რომანს: ევროპიდან თბილისში პრემიერის მკვლელობის საქმის გამოსაძიებლად ჩამოსული ერკიულ პუარო, რომელიც დიდის მონდომებით ცდილობს ჭეშმარიტების დადგენას, რომანის ბოლოს „პატარა ჩემოდნით“, (ამ შემთხვევაში - ცოლის გარეშე) ტოვებს თბილისს. მოტყუვდა პუარო, თუმცა საქმე გახსნა, ვერ გაახმაურა სიმართლე, რადგან ეს „სიმართლე“ ქალაქში ყველამ კარგად იცის, და ამიტომ ყველა ერიდება მასთან კავშირს, ეშინიათ. პუარო კი მაინც ახერხებს დარჩეს ყოველი რთული და გახმაურებული საქმის გახსნის ღმერთად და გამოააშკარაოს „საბოლოოდ მისაწვდომი სამართლიანობის სახე“.

ერკიულ პუარო იძიებს საქართველოს პრემიერის მკვლელობის საქმეს და ჩამოდის თბილისში. შეიძლება თუ არა ამგვარი რამე მოხდეს ჩვენში? როგორც სხვა არაერთ რომანში, ლაშა იმედაშვილი რეალობიდან გამოდის. მკვლელობა ნამდვილად მოხდა და მთავარი მოქმედი პირიც სახელმწიფოს პრემიერია. ავტორის განცდების გამოსახატავად კი ზედგამოჭრილი აღმოჩნდა დასავლეთის პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში შემუშავებული ხერხები და მეთოდები.

ლაშა იმედაშვილი ახერხებს ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელი კრიზისი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს დასავლეთთან, პოსტმოდერნისტული ხერხების მომარჯვებით გამოხატოს. ეს კი ძალიან რთულია, რადგან ხერხები, რომლებსაც მწერალი მოიმარჯვებს, „სულ სხვა კულტურულ გარემოში, სულ სხვა საჭიროების გამო, მკითხველამდე სულ სხვა ინფორმაციის მისატანად შეიქმნა“ [7. გვ. 347].

რომანში არ არის არც ერთი დადებითი პერსონაჟი, მათი უმრავლესობა ავტორის ფანტაზიის ნაყოფია.

განიხილავს რა ლაშა იმედაშვილის მეორე რომანს - „პატრიარქის ზაფხული“, მაია ჯალიაშვილი წერს, რომ „როცა რეალობა უძლურია ტრაგიკული გამოცანების ამოსახსნელად, მშველელად ჩნდება რომელიმე შერლოკ ჰოლმსი, ყველგანშემღწევი მზერით, გამჭრიახი გონებით, უცნაური ლოგიკითა და მაგიური ანალიზით, რომელსაც მკვლელობის საქმის გახსნამდე მივყავართ. ამგვარ დეტექტივად გვევლინება თანამედროვე მწერალი ლაშა იმედაშვილი“ [4. გვ. 14]. ასე წერს და ასეც არის - ჩვენს მიერ განსახილველ რომანშიც საქმეს იძიებს თავად მწერალი, მაგრამ „ბოზოიანის დღიურში“ ერკიულ პუაროა შერლოკ ჰოლმსის ნაცვლად, ამ, დღემდე ტაბუდადებული, საქმის გამომძიებელი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თუმცა პუაროსთვისაც და საქართველოს ყველა მოქალაქისათვის გასაგებია მკვლელობის მოტივიც და ტაბუს დადების მიზეზიც, საქმე დღემდე გაუხსნელია და გამოძიება იზიარებს იმ შედეგს, პირველივე კვლევისას რომ დაიდო.

რატომ არის რეალობა სიმართლის გასარკვევად ისევე უძლური ოცდამეერთე საუკუნეში, ისევე, როგორც 1918 წლის 26 ივლისს, როცა დღემდე გაუხსნელ მკვლელობათა რიცხვს მიემატა კიდევ ერთი - საქართველოს კათალიკოსის კირიონ მეორისა.

როლან ბარტის აზრით ნებისმიერ თხრობაში სხვადასხვა კოდებია გადახლართული, გამუდმებით რომ ენაცვლებიან ერთმანეთს, რაც ბადებს „მკითხველის მოუთმენლობას“ ჩასწვდეს აზრის ნიუანსებს, რომლებიც მუდამ უსხლტება ხელიდან.

ლევან ბრეგაძის აზრით, კი პოსტმოდერნისტული თხრობისას, ამგვარ შემთხვევაში, ავტორის განმარტების გარეშე ფონს ვერ გავალთ. ავტორმა თვითონ უნდა გაშიფროს კოდი, უნდა აგვიხსნას რატომ იყენებს ამა თუ იმ მხატვრულ ხერხს. აქ საჭიროა ავტორის ესეისტურ-თეორიული ჩარევა თხრობაში. ამ რომანში საქმე გვაქვს პოსტმოდერნისტულ ირონიასთან, რომელიც მიმართულია ქართული საზოგადოებისაკენ, რომელმაც ყველაფერი იცის და დუმს, თბილისელი ქურთის, ტარიელ

ბოზოიანისაკენ, რომელიც გულწრფელად ცდილობს დაეხმაროს პუაროს, თბილისელი „კარგი ბიჭის“, პალადი გვათუასაკენ, „დედით აზერბაიჯანელი“ ელდარ ციმაკურიძისაკენ, გულით რომ სურს შუამავლის როლი შეასრულოს პუაროსა და მკვლელობის მეორე მსხვერპლის, აზერბაიჯანელი ბიჭის, მშობლებს შორის და ამით ოდნავი წვლილი მაინც შეიტანოს სიმართლის გარკვევაში, რადგან მათ გარშემო „გაგიჟდები კაცი ისეთი რამეები ხდება“ [6. გვ. 7]. პასუხი კი არც ერთ კითხვაზე არ ჩანს.

პოსტმოდერნიზმის კანონების თანახმად „უკვე დიდი ხანია ერთმანეთში აირია განსხვავებული ეპოქების კულტურისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა მხატვრული სტილი და ხედვა ... დღეს ერთსა და იმავე ნაწარმოებში შეიძლება ერთმანეთის გვერდით მშვიდად თანაარსებობდნენ ყოვლად ფანტასტიკური და ასევე ყოვლად რეალისტური ამბები“ [7. გვ. 324]. ამიტომაც არავის უნდა გაუკვირდეს და არც არავის უკვირს, რომ დიდი აღფრთოვანებით ხვდება ტარიელ ბოზოიანს და ერკიულ პუაროს თბილისელი „ნაღდი, ჯიგარი“ კაცის - პალადი გვათუას დაკრძალვაზე მოსული ხალხი. მეუღლე სიტყვითაც მიმართავს მიცვალებულს: „ადე, ბიჭო, პალადი, შენ რომ კაცი მოგწონდა ტელევიზორში, ის მოვიდა, შენებურად შეხვდიო“[6. გვ.7]. ამას მოყვება თბილისური ქელეხი, სადაც ტარიელ ბოზოიანმა და ერკიულ პუარომ კარგად მოილხინეს - პუროს „ჭიქა არ ჩაუგდია“ [6. გვ. 7].

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და პუაროს გამგზავრების დროც მოვიდა. საქმის ვითარების საბოლოოდ გარკვევას ცნობილი დეტექტივი დისკუსიის დროს აპირებს. ახლა მთავარია ტარიელ ბოზოიანმა ყველა ის ადამიანი მოაგროვოს ერთად, ვისაც ამ საქმესთან შეხება ჰქონია, ბოლოს კი სტუმარს ბელგიურ რესტორანს მოუძებნიან სადმე, რომ „ჯიგრულად“ სცენ პატივი საკუთარი კუთხის საჭმელმონატრებულ კაცს, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი რესტორანი თბილისში არ აღმოჩნდა და ის ფრანგულით ჩანაცვლდა.

მწერლის ირონია მიმართულია ქართული საზოგადოებისაკენ, რომელიც დაეჭვდა პუაროს კომპეტენტურობაში და ფიქრობს, რომ „ამ კაცის სახელი ცოტა გაბუქული უნდა იყოს, ეგ ამბები ჩვენც ძალიან კარგად ვიცოდით და ახალი არც არფერი გაგვიგიაო“ [6. გვ.11]. მაგრამ არც ისეა საქმე, როგორც თბილისელებს ეგონათ; პუაროს ვერსია ყველას გააოგნებს. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფოს მეორე კაცს ორეული ჰყოლია, რომელსაც საჭირო დროისათვის ინახავდა, საგანგებოდ ჰყავდა გადამალული, რადგან თვითონ საზღვარგარეთ წასვლას აპირებდა. რატომ? „შური, ჭორები, ათასგვარ სიბინძურეში პიდაპირი ბრალდება, ამას ემატება ფინანსური საკითხები, ეს ყოველივე კი აუცილებლად სასიცოცხლო საფრთხეში გადაიზრდება, ასეთ დროს გაცლა სჯობს, თანაც ისე, რომ არავინ მოგნახოს, მიცვალებულს ძებნას ვინღა დაუწყებს“ [6. გვ.12]. ყოველივეს გარკვევის შემდეგ კითხვა ისევ აქტუალურია: ვინ და რატომ მოკლა ეს ორი კაცი? და, რადგანაც მკვლელობის გამოძიება სახელმწიფოს მიერაა ტაბუდადებული, პუარო - ლაშა იმედაშვილი ცდილობს გაარკვიოს მოვლენათა თანმიმდევრობა: „მას ამ საქმის დიდი გამოცდილება აქვს, ამაზე მეტყველებს მის მიერ „გამოძიებული“ ამგვარი ცნობილი რეზონანსული საქმეები, როგორებიცაა: მაცხოვრის ჯვარცმა, ილია ჭავჭავაძის, ვანო მაჩაბლის და სხვა მსგავსი გაუგონარი მკვლელობების ლიტერატურული გამოძიება“ [4. გვ. 14]. პუარომ კარგად იცის, ვინ მოკლა, მაგრამ არ სურს მისი ვინაობის დასახელება: „თქვენთვის უკეთესი იქნება, თუ არ გეცოდინებათ, მართალია დღეს მას ძალა აღარ აქვს და თვითონაც ქვეყნიდან მოუწია გაქცევა, მაგრამ რა იცი, რა ხდება“ [6. გვ. 12]. 2009 წელში (როცა გამოქვეყნდა რომანი) არა, მაგრამ მწერლური ინტუიციით განჭრეტილი დასასრული მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირისა, დღეს უკვე რეალობაა, მაგრამ დღესაც გაურკვეველია სიმართლე. ვერავინ ვერ ბედავს ქართველ ხალხს უთხრას ვინ და რატომ მოკლა მათი პრემიერი, რადგან მართლაც „რა იცი, რა ხდება“.....

ერკიულ პუაროს როლის უზადო შემსრულებელი, ხაშურის თეატრის ნიჭიერი მსახიობი - თემურ ცარციძე კი ბრუნდება მშობლიურ ქალაქში და განრისხებული თეატრის რეჟისორის კითხვაზე, სად იყავი ერთი კვირაო? აუღელვებლად პასუხობს: „თქვენ არ მითხარით, მთავარი როლი უნდა მოგცე აგატა კრისტის პიესაში....შენს მეტი ვერავინ შეძლებსო?... როლში შედიო, ენაც დახვეწეო... როლშიც შევედი და ენაც დავხვეწე, ახლა მხოლოდ პარტნიორებთან მუშაობა მაკლია“ [6. გვ. 14].

ნაშრომი დავასრულოთ ლევან ბრეგაძის სიტყვებით: „რა ფორმებს შეიმუშავებს ახალი ეპოქის, ახალი მოდერნის ხელოვნება, ახლა მის გამოცნობას ალბათ ვერავინ შეძლებს. ეპოქის მაქსიმალურად შესატყვისი ფორმების მოძებნას დრო სჭირდება. მანამდე კი პოსტმოდერნისტული ინერცია გაგრძელდება. და, მე მგონი, იმის თქმაც თამამად შეიძლება, რომ თხრობის ესეისტურ მანერას არც პოსტმოდერნიზმის მომდევნო მიმდინარეობისაგან (ნეტავ რა სახელს შეარქმევენ!) მოაკლდება ყურადღება [2. გვ. 238].

იმის თქმაც თამამად შეიძლება, რომ სხვა ქართველ მწერალთა შორის ლაშა იმედაშვილიც დაიკავებს თავის კუთვნილ ნიშას ამ ახალი მოდერნის ხელოვნებაში.

ლიტერატურა:
1. ბრეგაძე ლევან - მოთხრობები ლიტერატურაზე, თბილისი 2008.
2. ბარტი როლან - მითოლოგიები, თბ.2011.
3. ლიტერატურული გაზეთი - #4, 2017.
4. ლიტერატურული გაზეთი - #48, 2016.
5. „ჩვენი მწერლობა“ #25, 2009.
6. „ჩვენი მწერლობა“ #26, 2009.
7. ვასაძე თ., მუზაშვილი ნ., ჩუბინიძე ნ., ქართული 12, თბ., 2008.

რეზიუმე

პოსტმოდერნიზმზე დღეს ბევრს წერენ. ისმის კითხვა - როგორ უნდა განვიხილოთ პოსტმოდერნიზმი - როგორც მოდერნიზმის ანტითეზა, თუ მისი გამგრძელებელი? ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში იკვეთება პოსტმოდრნისტული ტენდენციები და გ. დოჩანაშვილის, აკა მორჩილაძის, ირაკლი სამსონაძის და სხვათა გვერდით ლაშა იმედაშვილიც იყენებს პოსტმოდერნისტულ ტექსტებს. ლაშა იმედაშვილი ახერხებს ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელი კრიზისი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს დასავლეთთან, პოსტმოდერნისტული ხერხების მომარჯვებით გამოხატოს. ეს კი ძალიან რთულია, რადგან ხერხები, რომლებსაც მწერალი მოიმარჯვებს, „სულ სხვა კულტურულ გარემოში, სულ სხვა საჭიროების გამო, მკითხველამდე სულ სხვა ინფორმაციის მისატანად შეიქმნა“.

LASHA IMEDASHVILI'S ONE POSTMODERN NOVEL

Marine Tsertsvadze, Professor

RESUME

Today, many people write about postmodernism. The question is – how to consider postmodernism? As antithesis of modernism or its continuation. In the Georgian literature of the Soviet period, postmodernist trends are already visible and beside of Guram Dochanashvili, Irakli Samsonadze and etc. Lasha Imedashvili also uses postmodern texts. Lasha Imedashvili manages to express with postmodern techniques the distressing crisis of our lives, which has no common with west. It is too difficult, because the technique of writer 'was created in different culture, for different uses and to give the reader different information'.

განათლება
Education

მოზარდის მამოძრავებელი თვისებების განვითარების თავისებურებანი

***ლალი აზმაიფარაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი*

საყოველთაო აღიარებით, სქესობრივი მომწიფების პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე "კრიტიკული" მომენტია ადამიანის ცხოვრებაში, რომელსაც 2-4 წლის განმავლობაში გადაჰყავს ორგანიზმი ახალ, სიმწიფის მდგომარეობაში. ამ დროს ხორციელდება არა მარტო სქესობრივი მომწიფება, არამედ აღინიშნება ენდოკრინული ჯირკვლების ცვლილებები. მიმდინარეობს სწრაფი ზრდა და ყველა ორგანოს განვითარება, იზრდება ნივთიერებათა ცვლის ხანგრძლივობა.

ამაღლებული ინტერესი, მოცემული ასაკობრივი განვითარების ეტაპის მიმართ ნაკარნახევია ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნილებებით, რაც გულისხმობს ყოველ ასაკობრივ პერიოდში დაშვებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვის ნორმების განსაზღვრას, ორგანიზმის სხვადასხვა სისტემების სენსიტიური ზონების დადგენასა და სხვადასხვა ორგანოების და სისტემების განვითარების კანონზომიერების გახსნას.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისათვის აუცილებელია სქესობრივი და ფიზიკური განვითარების თანაფარდობისა და მათი ტემპების დადგენა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ვარჯიშისა და შეჯიბრებების დატვირთვების რეგლამენტირებისა და სპორტული მიღწევების პროგნოზირებისათვის. მოზარდებსა და ახალგაზრდებში სქესობრივი განვითარების სპეციფიკურ თავისებურებებს წარმოადგენს რეპროდუქციული ფუნქციის ჩამოყალიბება, რომლის რეგულირებაც წარმოებს ჰიპოთალამოგონადური სისტემის ჰორმონებით.

მცნება პუბერტატიული პერიოდი, ანუ სქესობრივი მომწიფების პერიოდი, ლიტერატურაში სხვადასხვანაირად განიმარტება. თუმცა, პუბერტატული პერიოდის ყველა განმარტებაში იგულისხმება სქესობრივი სფეროს განვითარება, ანუ უნარი, წარმოქმნან და გამოყონ ცხოველუნარიანი სასქესო უჯრედები.

სქესობრივი მომწიფების პროცესში დიდ როლს თამაშობს თირკმელზედა ჯირკვლების ანდროგენული ჰორმონები: ისინი ხელს უწყობენ კუნთების მასის განვითარებას, სტიმულაციას უკეთებენ ონტოგენურ აქტიურობას, აჩქარებენ ასიფიკაციის პროცესებს და მათ დასრულებას.

მორფოლოგიური გარდაქმნის ყველაზე ინტენსიური პროცესი წარმოიქმნება სქესობრივი მომწიფების პერიოდის დასაწყისში და ნაკლებად ინტენსიური პუბერტატული პერიოდის დასასრულს. სქესობრივი მომწიფების დასაწყისის მაჩვენებელს წარმოადგენს მეორადი სქესობრივი ნიშნების მოვლენა.

პუბერტატიულ პერიოდში ჩქარი ტემპებით იზრდება სიმაღლე და სხეულის მასა, ვითარდება კუნთების სისტემა. 14-15 წლის ასაკისათვის კუნთები თავისი ფუნქციონალური თვისებებით ნაკლებად განსხვავდება უფროსი ადამიანის კუნთებისაგან. კუნთოვანი ქსოვილის მასის და მოცულობის აბსოლუტურ და ფარდობით ზრდასთან ერთად იზრდება კუნთების ძალაც. როგორც ტანერი აღნიშნავს, კუნთის ძალის მომატების სისწრაფის მაქსიმუმი აღინიშნება დაახლოებით 1 წ-ში ძვლის ზომების ზრდის მაქსიმალური სისწრაფის მიღწევის შემდეგ. კუნთების მასის და ძალის განვითარება ხდება არაერთნაირად ონტოგენეზის სხვადასხვა ეტაპზე. პუბერტატიული პერიოდის დასაწყისს ზოგიერთი ავტორი უკავშირებს მაქსიმალური ძალის აბსოლუტური მნიშვნელობის ზრდას. სპორტის რუსი მეცნიერები: ვ.ს. ფარფელი, ა.ვ. კორობკოვი, ვ.პ. ფილინი მიუთითებენ კუნთოვანი ძალის განსაკუთრებულ ზრდაზე 13 წლის ასაკიდან. სპორტის აკადემიის სპორტული მედიცინის სექტორის მასალებში აღინიშნება, რომ სხეულის გამშლელი კუნთების ძალის ყველაზე მეტი ზრდა იწყება 14 წლიდან 16 წლამდე. ფ. გ. რაზორინის გამოკვლევებით, არსებობს კუნთების მაქსიმალური ძალის ნახტომისებრი განვითარების სამი პერიოდი: 10-11, 13-14, 15-17 წლები. მისი მონაცემების თანახმად, ფარდობითი ძალის ყველაზე დიდი ზრდა ხდება საშუალო სასკოლო ასაკში, განსაკუთრებით 13 წლის შემდეგ. ამჟამად ვითარდება წარმოდგენა იმის შესახებ, რომ 13-15 წლამდე ასაკში არსებობს ხელსაყრელი პირობები კუნთების ძალის ზრდის საშუალებების გამოყენებისათვის.

მოძრაობის სიჩქარე განსაკუთრებით ვითარდება 7-დან 13-14 წლამდე. ე. ს. ფარფელი, ა. ვ. კორობკოვი, ვ. მ. კორეცკი, რ. სტემლერი, ვ. ი. ფილიპოვიჩი, ვ. პ. ფილინი წერენ, რომ საშუალო და უფროსი ასაკის ჭაბუკებში მოძრაობის სისწრაფის უფრო მაღალი შედეგების მიუხედავად, მეტად საგრძნობი ძვრები სისწრაფის განვითარებაში აღინიშნება 10-12 წლის ასაკის ვაჟებში. ვ. პ. კისელოვი სირბილში სისწრაფის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების შესწავლისას აღნიშნავს, რომ 30 მეტრზე სირბილში სისწრაფის ყველაზე მაღალი ზრდის ტემპები შეიმჩნევა 10-11 წლის ვაჟებში, ხოლო 12-14 წლების ასაკში ხდება სიჩქარის ტემპის ზრდის მაჩვენებლების დაქვეითება. ვ. ბ. ვოლკოვს მოჰყავს მონაცემები იმის შესახებ, რომ 12-16 წლის დიაპაზონში 20 მეტრზე სირბილის სიჩქარის ყველაზე დიდ ზრდას მოზარდები ავლენენ 12-13 წლის ასაკში. როგორც ნ. ა. ფომინი და ვ. პ. ფილინი აღნიშნავენ, 14-15 წლისათვის ასაკობრივი ფუნქციონალური და მორფოლოგიური გარდაქმნის ტემპები, რომლებიც უზრუნველყოფენ სისწრაფის ზრდას, ეცემა, ხოლო ძალისმიერი ამტანობის ზრდა ხდება ძირითადად 15-16 წლის ასაკში. არსებული ლიტერატურის მონაცემები მოწმობენ, რომ პუბერტატიულ ასაკში სიჩქარისა და ძალის განვითარების მაქსიმალური ტემპები ვლინდება 12-14 წლის ასაკში. რიგი ავტორები ხტომაში შედეგების მაქსიმალურ გაუმჯობესებას აღნიშნავენ 12-13 წლის ასაკში. ნ. ა. ფომინა და ვ. პ. ფილინი წერენ, რომ ვაჟებს სიჩქარისა და ძალის თვისებების ინტენსიური ზრდა აღენიშნებათ 12-13 წლის ასაკში. მათი მონაცემებით, ხტომის უნარი ვაჟებში იზრდება ასაკის მატებასთან ერთად და აღწევს მაქსიმალურ

განვითარების დონეს 16-18 წლის ასაკში. ხტომის უნარის მაქსიმალური ზრდის პერიოდები ვაჟებში აღინიშნება 9-10 და 13-14 წლის ასაკში. ვ. ფ. ლომეიკოს კვლევებმა ცხადყო, რომ მამრობითი სქესის პირებში ხტომის უნარის ასაკობრივი სრულყოფა მიმდინარეობს 20 წლის ასაკამდე. ს. ი. ფილატოვის აზრით, სწრაფძალოვანი თვისებების განვითარების დონის ამაღლება მოსწავლეებში 17 წლის ასაკამდე გრძელდება. ზოგი ავტორის მონაცემებით, სწრაფძალოვანი თვისებების განვითარების ტემპი 13 წლიდან მუდმივად იზრდება და 14-15 წლის ასაკისათვის აღწევს მაქსიმალურ სიდიდეს. ნიშანდობლივია, რომ მოსწავლეებში მამოძრავებელი თვისებების ყველაზე დიდი ზრდა აღინიშნება სქესობრივი მომწიფების პერიოდში.

ფიზიკური აღზრდის პრობლემებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში განვითარების კრიტიკული პერიოდების პრობლემა ბავშვებისა და მოზარდების ფიზიკურ აღზრდასთან მიმართებაში განიხილება არც თუ ისე დიდი ხანია. ჰიპოთეზა იყო დაფუძნებული იმაზე, რომ მამოძრავებელი თვისებების განვითარებისათვის ხელსაყრელი პერიოდები უკავშირდებოდა ამ თვისებების მაქსიმალური ზრდის პერიოდებს. აქედან გამომდინარე, ვარაუდობენ მამოძრავებელი ფუნქციების მაჩვენებლების მაქსიმალური ზრდის პერიოდების და ფიზიკური აღზრდის პროცესში მოძრაობის თვისებების მიზანმიმართული სრულყოფის პედაგოგიური შეთავსების მიზანშეწონილობას. ექსპერიმენტული გზით ეს ჰიპოთეზა იყო დადასტურებული ზ. ი. კუზნეცოვის და ა. ა. გუჟალოვსკის ხელმძღვანელობით ჩატარებულ სამუშაოებში.

ავტორებმა გააკეთეს დასკვნა, რომ აქცენტირებული ზემოქმედებისა და მამოძრავებელი თვისებების დაჩქარებული განვითარების პერიოდების დროში შეთავსება უზრუნველყოფს მათი განვითარების ტემპის ზრდას.

ორგანიზმის მორფოლოგიური სტრუქტურის ცვლილებებს, რომლებიც იწყება სქესობრივი მომწიფების პერიოდში, თან ახლავს ფიზიკურ შრომასთან ადაპტაციის მექანიზმის სრულყოფა, ფიზიკური შრომის უნარიანობის ზრდა. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ბავშვებისა და მოზარდების ფიზიკური შრომისუნარიანობა 8-15 წლამდე ასაკობრივ პერიოდში 2-4-ჯერ იზრდება, მაგრამ ეს ზრდა არათანაბარია. სქესობრივი მომწიფებისთანავე ფიზიკური შრომის უნარიანობა მნიშვნელოვნად იზრდება.

სასკოლო ასაკის ბავშვების განვითარების პროცესში ხდება გულისცემის სიხშირის შემცირება, რომელიც მოზარდობის პერიოდში უახლოვდება ზრდასრული ადამიანის სიხშირეს. ლ. ვ. აბრამოვმა და სხვა მკვლევრებმა აღმოაჩინეს გულისცემის გახშირება მოზარდებში. ავტორები თვლიან, რომ გულისცემის ეს გახშირება დაკავშირებულია ორგანიზმში ნეირო-ენდოკრინულ გარდაქმნებთან. ლიტერატურაში მონაცემები სასკოლო ასაკის ბავშვებში სტატიკური წონასწორობის ფუნქციის განვითარების შესახებ მცირეა და არაერთგვაროვანი. ბონდაროვსკის გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ წონასწორობის ფუნქციის ყველაზე ინტენსიური განვითარება ხდება 7-10 წლის ასაკში. 11 წლის ასაკში ყალიბდება ბუნებრივი წლიური პლატო, 12 წლის ასაკში ეს მონაცემები აღწევენ მოზარდების მონაცემების დონეს. ლ. ფ. ევტუშევა აღნიშნავს, რომ ვაჟების სხეულის სტატიკური წონასწორობა ყველაზე მაღალ დონეს აღწევს 14 წლის ასაკში. ს. ს. ვოლკოვას მონაცემების მიხედვით წონასწორობის ფუნქცია ასაკთან ერთად უმჯობესდება და სტაბილიზირდება 15-17 წლის ასაკის ვაჟებში. კანურ-გალვანური რეაქცია (კგრ) წარმოადგენს ვეგეტატიური რეაქტიულობის და ორგანიზმის ცხოველმოქმედების ობიექტურ მაჩვენებელს.

ექსპერიმენტული მონაცემებით კანის-გალვანური რეაქცია გამოხატავს ჰიპოთალამუსის სიმპატიური ცენტრის რეტიკულარული ფორმაციის და თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ტონუსს. ლიტერატურული წყაროების მონაცემებით ფიზიკური დატვირთვები იწვევენ კანის ელექტრული თვისებების ცვლილებებს. კანურ-გალვანური რეაქციის გამოკვლევა სულ უფრო ხშირად გამოიყენება სპორტულ პრაქტიკაში საწვრთნელი პროცესის სამართავად და სპორტსმენების ფსიქიური მდგომარეობის რეგულირებისათვის. ლიტერატურაში იშვიათად განიხილება საკითხები მოსწავლეებში კგრ-ის შესწავლის შესახებ. არ არსებობს ნაშრომები, რომლებიც ეხება 12-16 წლის ასაკის ვაჟებში ონტოგენური განვითარების პროცესში ამ რეაქციის რეგისტრაციას.

ბოლო 20-15 წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში შესწავლილ ბავშვთა და მოზარდთა სქესობრივი მომწიფებისა და სიმაღლის მომატების (აგრეთვე გონებრივი განვითარების) ზრდის ტემპის დაჩქარებას, სხეულის ზომის ტოტალურ ზრდას შეერქვა აქსელერაცია. ლიტერატურაში აგრეთვე გვხვდება ტერმინი „საუკუნებრივი ტენდენცია“. აქსელერაციის ცნებასთან შედარებით ეს უფრო ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს მომწიფების მთელ მორფოლოგიურ და ფუნქციონალურ კომპლექსს,

განვითარების ტემპის აჩქარებას, ზრდის პერიოდის შემცირებას, შვილოსნობის უნარიანობის პერიოდის გაგრძელებას და მთლიანად სიცოცხლის გახანგრძლივებას.

ამ რთულ ფენომენს ვერ ავხსნით რომელიმე ერთი ფაქტორით. რიგი ავტორების აზრით, აქსელერაცია გამოწვეულია გენეტიკური და გარემოების კომპლექსური ფაქტორებით, ამასთან, დომინირებული მნიშვნელობა აქვს ცხოვრების სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს. ავტორების უმრავლესობა განიხილავს აქსელერაციას, როგორც დადებით მოვლენას, რომელიც ობიექტურად ასახავს სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების გავლენას ბავშვების ორგანიზმზე, იმიტომ რომ ფიზიკურ განვითარებასთან ერთად, მათ აღენიშნებათ მოძრაობის გაუმჯობესება და სპორტული შედეგების ზრდა.

აქსელერაციის ფენომენის სრული გამოვლენის პირობებშიც კი აქსელერანტებთან გვხვდებიან ინდივიდები, რომლებიც განვითარების სხვა ტემპებით ხასიათდებიან: ზოგიერთი ბავშვი და მოზარდი ვითარდება საშუალო ან ნელ ტემპში. თანამედროვე ბავშვების თავისებურება, რომლებიც ჩამორჩებიან ფიზიკურ განვითარებაში, წარმოადგენს მეტად ნელ, მაგრამ უფრო ხანგრძლივი ზრდის და მომწიფების პერიოდს და საბოლოო ჯამში მიღწეული სიმაღლის და სხეულის წონის პარამეტრები ხშირად აღემატება აქსელირებულთა პარამეტრებს. თანამედროვე ბავშვები შეიძლება იყვნენ აქსელირებულნი მხოლოდ სხეულის სიგრძით, ან მარტო სქესობრივი განვითარებით, მაგრამ უმეტესად აქსელერაცია ეხება ფიზიკური განვითარების ყველა პარამეტრს აჩქარებული და ადრე დასრულებული სქესობრივი მომწიფებით. განვითარების ტიპი, რომელსაც ახასიათებს აჩქარებული ზრდა და სქესობრივი მომწიფება ასახავს ჭეშმარიტ აქსელერაციას.

პუბერტატიული განვითარების პერიოდში მოზარდების ბიოლოგიური და კალენდარული ასაკი ხშირად არ ემთხვევა, ზოგჯერ სხვაობა ძალიან მნიშვნელოვანია. იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბიოლოგიური ასაკის გათვალისწინება პუბერტატიული ასაკის ბავშვების ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების ანალიზის დროს, გვიჩვენებენ სპორტის მეცნიერთა უმრავლესობა.

ბიოლოგიური ასაკი შეიძლება განისაზღვროს მეორადი სქესობრივი ნიშნების განვითარებით, ჩონჩხის განსაზღვრული ნაწილების გაძვალებით და სხვა მეთოდებით. თითოეული ეს კრიტერიუმი ასახავს ბავშვის ორგანიზმის საერთო განვითარებას. სქესობრივი განვითარების პროცესში შეიძლება ვიმსჯელოთ ასევე სქესობრივი ჯირკვლების ჰორმონების, ჰიპოფიზის და ჰიპოთალამუსის საფუძველზე. მეორადი სქესობრივი ნიშნები, ძვლის ასაკი კორექტულად ასახავს სასქესო ჯირკვლების და ჰიპოფიზის აქტიურობის ხასიათს. როგორც აღნიშნავს ვ. მ. ვაინრემი, თირკმლისზედა ჯირკვლების ქერქის ანდროგენული ჰორმონების შემცველობა იმყოფება მჭიდრო კავშირში მეორადი სქესობრივი ნიშნების ხარისხულ გამოხატულებასთან. ლიტერატურაში არის მონაცემები იმის შესახებ, რომ სქესობრივი მომწიფების დონე მჭიდროდ კოლერილებს ბიოლოგიური განვითარების სხვა მაჩვენებლებთან – ძვლის და კბილის ასაკთან, ამიტომ მამრობითი სქესის 12-19 წლის ინდივიდების ბიოლოგიური ასაკის ერთ-ერთი მაჩვენებელი არის სქესობრივი მომწიფების დონე.

ბევრი ავტორი თვლის, რომ მოსწავლე სპორტსმენების ფიზიკური განვითარების შეფასებისას, მნიშვნელოვანია სქესობრივი მომწიფების ხარისხის გათვალისწინება. ისინი ფიზიკური განვითარების, სქესობრივი სიმწიფის დონისა და კალენდარულ ასაკს შორის ურთიერთკავშირის შესწავლისას მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ვაჟებს, რომლებიც სქესობრივად მწიფდებიან ადრე, აქვთ ფიზიკური განვითარების უფრო მაღალი მაჩვენებლები, ვიდრე სქესობრივი მომწიფების ნორმალური ტემპების მქონე ვაჟებს, ხოლო მომწიფების დაბალი ტემპების მქონენი ფიზიკური განვითარებით ჩამორჩებიან საშუალო ჯგუფს. ბიოლოგიური განვითარების ტემპის მაჩვენებლად ვ. გ. ელასტოვსკიმ მიიღო მეორადი სქესობრივი ნიშნების გამოხატულების დონე, რომლის საფუძველზეც ავტორი განსაზღვრავდა დაჩქარებულ, საშუალო და შენელებულ განვითარებას. ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ფიზიკური განვითარების დონე და მისი ჰარმონიულობა ვერ შეფასდება სქესობრივი განვითარების ტემპებისაგან იზოლირებულად. მრავალი ავტორის დასკვნები ადასტურებენ, რომ სქესობრივი მომწიფების სხვადასხვა ტემპების მქონე ერთი და იმავე კალენდარული ასაკის 12-16 წლის ახალგაზრდა სპორტსმენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მორფოლოგიური და ფუნქციონალური მაჩვენებლების განვითარების დონით.

მოზარდები, რომლებიც უსწრებენ თავიანთ თანატოლებს სქესობრივი მომწიფების ტემპებით, აქვთ შედარებით დიდი მოცულობის გული, ფიზიკური შორმისუნარიანობის მაღალი დონე, სისხლის მიმოქცევის და სუნთქვის ადაპტიური რეაქცია, ასევე მოძრაობის თვისებების განვითარების მაღალი დონე. ამავე დროს ზოგიერთი მკვლევარი მოსწავლეთა სხეულის და წონის ზრდისას აღნიშნავს დოზირებულ, ფიზიკურ დატვირთვაზე ნეგატიური რეაქციების რაოდენობის ზრდას. იმ მოზარდებში, რომლებიც არ არიან დაკავებული სპორტით, ამგვარი განსხვავების მიზეზს ხედავენ ჰიპოდინამიაში.

ჰიპოდინამიის დროს, რომელიც ახასიათებს მოსწავლეთა განსაზღვრულ ნაწილს, გარკვეულწილად აღენიშნება ჰეტეროქრონობა ორგანიზმის მორფოლოგიური ფუნქციონალური პარამეტრების განვითარებაში.

სასკოლო ასაკის ბავშვების ინდივიდუალური განვითარების სხვადასხვა ტემპები სვამენ საკითხს სასწავლო პროცესში, და კერძოდ, ფიზიკურ აღზრდაში, დიფერენცირებული მიდგომის შესახებ.

გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ფიზიკური აღზრდის სისტემის ნორმატიული მოთხოვნილების დადგენისას უნდა ავიღოთ ორიენტაცია არა მარტო კალენდარულ ასაკზე, არამედ ბიოლოგიურზეც. სქესობრივი მომწიფების პროცესზე ყურადღების აქცენტირებით. მრავალი ავტორი მიუთითებს სპორტული მეცადინეობის პროცესში მოსწავლეთა ბიოლოგიური ასაკის აღრიცხვის აუცილებლობაზე. რიგი მკვლევრებისა თვლის, რომ ბავშვების და მოზარდების სპორტული ორიენტირებისას უნდა გავითვალისწინოთ მათი ბიოლოგიური ასაკი. ფიზიკური აღზრდის სისტემაში ჯერ არასრულად არის დამუშავებული დებულებები, რომლებიც ეხება მოზარდი თაობის სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზაციის საკითხებს. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე მოსწავლეებისადმი დიფერენციული მიდგომის ეფექტურობა, ბიოლოგიური მომწიფების ინდივიდუალური ტემპებიდან გამომდინარე, სულ ახლახან იქნა დასაბუთებული სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომში. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები იქნა გადადგმული. ამ პრინციპებზე აგებული მეცადინეობები ძირითადად ექსპერიმენტული ხასიათისაა. ამგვარად, 12-16 წლის ასაკის ვაჟების განვითარების პროცესში აღინიშნება მოძრაობის ფუნქციის ინტენსიური, მაგრამ ჰეტეროქრონული ზრდა, რაც განსაზღვრულ პერიოდებში ქმნის ამ ფუნქციის ამა თუ იმ მხარეზე მიზანმიმართული პედაგოგიური ზემოქმედებისათვის ხელსაყრელ წინაპირობებს.

ფიზიკური განვითარების და ფიზიკური მომზადების მაჩვენებლების ასაკობრივი თვისებების აღრიცხვა ბავშვებში და მოზარდებში აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისა და მწვრთნელებისათვის, ვინაიდან ეს აღრიცხვა იძლევა ფიზიკური დატვირთვის რეგლამენტირების ნორმატიული მოთხოვნების დადგენის, მეცადინეობათა მეთოდიკის განსაზღვრის საშუალებას და ამით ხელს უწყობს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას.

ლიტერატურა:

1. მატვეევი ლ. პ. სპორტული წვრთნის საფუძვლები - თბილისი „განათლება“, 1987., გვ. 267
2. ძაგანია ჯ. ხელბურთი - სახელმძღვანელო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისათვის - თბილისი, „განათლება“, 1974, გვ. 120
3. ძაგანია ჯ. ხელბურთი - სახელმძღვანელო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისათვის - თბილისი, „განათლება“, 1993, გვ. 179
4. ძაგანია ჯ. სპორტულ თამაშებში მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადების სპორტული პედაგოგიური საფუძვლები - თბილისი, 1998, „საზოგადოება ცოდნა“ , გვ. 270

რეზიუმე

ფიზიკური აღზრდის სისტემის ნორმატიული მოთხოვნილების დადგენისას უნდა ავიღოთ ორიენტაცია არა მარტო კალენდარულ ასაკზე, არამედ ბიოლოგიურზეც, ეს აღრიცხვა იძლევა ფიზიკური დატვირთვის რეგლამენტირების ნორმატიული მოთხოვნების დადგენას.

PECULIARITIES OF THE MOTOR DEVELOPMENT IN TEENAGERS

Lali Azmaiparashvili, Invited specialist

RESUME

To conclude regulatory requirements of the system of Physical Education, we should take into consideration not only the calendar age, but the biological one as well. This record gives the opportunity to conclude regulatory requirements of the physical exertion.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ზოგიერთი სტრატეგიები

ციური ბაქრაძე, ასოცირებული პროფესორი

ტერმინი „მოტივაცია“ პედაგოგიკაში მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობას, სწავლის მიმართ ინტერესსა და დადებით განწყობას აღნიშნავს. იგი ინდივიდუალურია, ამავე დროს არ არის თანდაყოლილი და უცვლელი. საკმაოდ დინამიურია და იცვლება ასაკთან სოციალური ფაქტორების ზეგავლენით.

არსებობს მოტივაციის ორი ფორმა – შინაგანი და გარეგანი. შინაგანი მოტივაცია – განპირობებულია პიროვნული ფაქტორით, შინაგანი ინტერესით, ხოლო გარეგანი მოტივაცია – ადამიანის ქცევა როცა განპირობებულია გარეგანი ფაქტორებით. გარეგანი ფაქტორებია: სხვა პირის, მაგ., მასწავლებლის ან მშობლის მიერ შექება, წახალისება და სხვა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს შინაგან მოტივაციას. მოსწავლეებს, რომელთაც შინაგანი მოტივაცია აქვთ, უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას, ხასიათდებიან თვითრეგულაციის მაღალი უნარით, ისინი უფრო ეფექტური გზების მუდმივ ძიებაში იმყოფებიან.

გარეგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეების მიზანია, ნებისმიერ სიტუაციაში ძალისა და ენერგიის მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის (წახალისება, ჯილდო) მიღება. მათი მცდელობაა თავი აარიდონ რთულ დავალებებს. ხანგრძლივი დროით ამ მოტივაციის გამოყენება მნიშვნელოვნად აქვეითებს წარმატებების მიღწევას, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა ერთ შემთხვევაში მოსწავლის ქცევას წარმართავდეს გარეგანი ფაქტორი, მეორე შემთხვევაში კი – შინაგანი. ერთი და იგივე მოსწავლე სხვადასხვა დროსა და გარემოში შეიძლება იყოს ორიენტირებული ხან საკუთარ განვითარებაზე, ხან შესრულებაზე.

მოსწავლის სწავლისა და კოგნიტური განვითარების ხელის შესაწყობად, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა წაახალისოს, განამტკიცოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული ქცევა, შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც შეცდომა, წარუმატებლობა და სირთულე აღიქმევა, როგორც მოსწავლის სწავლისა და განვითარების თანამედროვე ფაქტორები. მოტივაციის თემაზე ქართველი მეცნიერებიც მუშაობდნენ. მაგ., დ. უზნაძეს მიაჩნდა, რომ „ნამდვილი სწავლა შესაძლებელია მხოლოდ შემეცნებითი ინტერესის, ცოდნის წყურვილის, მაშასადამე შინაგანი მოტივაციის პირობებში“ [1. 103]. იგივე მოსაზრება ჰქონდა შ. ჩხარტიშვილსაც. თავის შრომებში ერთმანეთისგან ანსხვავებს შინაგან და გარეგან მოტივაციებს და აღნიშნავს, რომ „სწორედ ჰომოგენური“ (შინაგანი) მოტივაცია გულისხმობს სწავლის ობიექტური ღირებულებების შეგნებას. [2. 8].

უდიდესი გავლენა აქვს სასწავლო გარემოს რამდენიმე კომპონენტს მოსწავლეთა მოტივაციაზე. ეს კომპონენტებია: სასწავლო აქტივობები, მოსწავლეთა შეფასება-წახალისება და კონტროლის - პასუხისმგებლობის განაწილება.

სასწავლო აქტივობაში იგულისხმება მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაზე ორიენტირებული აქტივობათა ერთობლიობა. ყოველი კონკრეტული სასწავლო აქტივობა მოსწავლისათვის საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების ერთგვარი საზომია. თუ მოსწავლე აქტივობას რთულად, დაუძლევლად მიიჩნევს, მაშინ ალბათობა დიდია იმისა, რომ მან დაკარგოს რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში და ინდიფერენტული გახდეს სწავლის მიმართ. შეიძლება მოტივაცია დაკარგონ იმ შემთხვევაშიც, როცა აქტივობა მარტივია, არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას, უინტერესოა. ორივე შემთხვევა ნეგატიურად აისახება სასწავლო პროცესში მის ჩართულობაზე.

როგორი უნდა იყოს დავალება, რომ მოსწავლე სიამოვნებით ერთვებოდეს მის შესრულებაში? მარტინი აღნიშნავდა, რომ „დავალება მოსწავლისათვის საინტერესო და მოტივაციის აღმძვრელია, თუ ის არის: 1. ორიგინალური და შემოქმედებითი; 2. მრავალფეროვანი, რაც უფრო განსხვავებულია ესა თუ ის აქტივობა მოსწავლისათვის უკვე კარგად ნაცნობისაგან, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ იგი ინტერესით ჩაერთოს მის ჩართულობაში“ [3. 14].

გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებისათვის ნათელი იყოს დავალების შესრულებაში ჩართვის აუცილებლობაც და შესრულების მიზანი. ამისათვის მასწავლებელმა უნდა შეძლოს ყოველი კონკრეტული აქტივობის დაკავშირება მოსწავლისათვის საინტერესო სფეროსთან.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის შეფასების პოლიტიკას. პოლიტიკაში იგულისხმება შეფასების სტანდარტები, კრიტერიუმები, კონკრეტული მეთოდები და მათი გამოყენების

სიხშირე. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ შეფასების პოლიტიკის ობიექტურ მახასიათებლებზე, არამედ ამ მახასიათებლების ინტერპრეტაციაზე მოსწავლეების მიერ, იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად და ობიექტურად მიაჩნიათ მათ არსებული პოლიტიკა.

შეფასების სისტემის თავისებურებებს შეუძლია მნიშვნელოვნად შეიცვალოს მოსწავლეთა მოტივაცია არა მხოლოდ ხარისხობრივად, არამედ მიმართულების თვალსაზრისითაც. მასწავლებელი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს შეფასების სისტემის შემუშავებისას და მუდმივად უნდა აანალიზებდეს, თუ რა ტიპის ქცევას - შედეგებს წაახალისებს მოსწავლეებში არსებული შეფასების სისტემით.

მოსწავლეთა მოტივაციაზე გავლენა აქვს იმასაც, თუ რას მიიჩნევენ ბავშვები შეფასების დანიშნულებად. ანდერმანი აღნიშნავს, რომ „შეფასების გამოყენება მოსწავლეთა ურთიერთშედარებისათვის (ყველაზე წარმატებული მოსწავლის საჯაროდ გამოყოფა, საკლასო რეიტინგების შედგენა და ა. შ.) ნეგატიურად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე, მათ თვითშეფასებასა და ჩართულობაზე სასწავლო პროცესში“ [4.35].

მაგალითად, თუ მოსწავლე რეიტინგის ბოლო ადგილზე მოხვდა, იგი დაკარგავს არა მხოლოდ ინტერესს სწავლის მიმართ, არამედ საკუთარი შესაძლებლობების რწმენასაც. შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია წახალისების პოლიტიკის საკითხის განხილვაც, მცირე წარმატებები შეიძლება გახდეს უფრო დიდი წარმატებების მიღწევის სტიმული.

ბოლო პერიოდში, სპეციალურ ლიტერატურაში მოსწავლის სწავლის მოტივაციის გაღვივების ერთ-ერთ ეფექტურ სტრატეგიად განიხილება აკადემიური მიზნების მცირე „ქვემიზნებად დაყოფა“.

მარტივი მიზნების მიღწევა პროგრესის მიღწევის განცდას უჩენს მოსწავლეს. მცირე და მარტივი ქვემიზნების მიღწევის პირობებში იზრდება მოსწავლის დაინტერესება და მოტივაცია, დაძლიოს უფრო დიდი და რთული მიზნები.

მარტინი აღნიშნავდა, რომ „მოსწავლეებში წარმატების მიღწევის სტიმულირებისა და მოტივაციის გაღვივებისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა საგანგებოდ გაამახვილოს ყურადღება მოსწავლეების პროგრესზე, სისტემურად მიაწოდოს მათ დადებითი უკუკავშირი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წახალისება და შექება ყოველთვის არ არის ეფექტური. თუ მოსწავლე ჩათვლის, რომ წახალისებისას მასწავლებელი არ იცავს სამართლიანობის პრინციპს, შესაძლებელია მან სწავლაზე აიცრუოს გული. პოპულარული არ უნდა გახდეს წახალისება მცირეოდენი წარმატებისათვის, ეს შეიძლება ნეგატიურად აისახოს მოსწავლის მოტივაციაზე“ [3. 14]. მაგალითად, თუ მოსწავლეს (დაწყებით კლასებში) აინტერესებს კითხვა და მისთვის ეს აქტივობა თავისთავად ღირებულია, ანუ ბავშვი შინაგანად არის მოტივირებული, მასწავლებლის მხრიდან ამ აქტივობის სისტემატური წახალისება მაღალი ნიშნით, საჯარო შექებით და ა. შ. შეიძლება შინაგანი ინტერესის შესუსტების ან დაკარგვის წინაპირობა გახდეს.

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართულობა მნიშვნელოვანი საკლასო გადაწყვეტილებების მიღებასა და საკუთარი სასწავლო პროცესის მართვა-დაგეგმვაში. ტრადიციულად, მასწავლებელი სასწავლო პროცესის ძირითად მაკონტროლებელ პირად გვევლინება. ის ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებზე, შეფასების სისტემაზე, განსახილავი საკითხების თანმიმდევრობაზე, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლა-განათლების მიმართ პასუხისმგებლობის დაკარგვას. რაკი მასწავლებელი თავის თავზე იღებს ყველაფრის პასუხისმგებლობას, მოსწავლეც ხდება პასიური და აღარ ზრუნავს აკადემიურ შედეგებზე.

მოსწავლეს არ უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ იგი სწავლობს მასწავლებლისთვის და არა საკუთარი თავისთვის. საჭიროა მასწავლებელმა ისეთი სასწავლო გარემო შექმნას, რომ მოსწავლეები ნაწილობრივ მაინც პასუხისმგებლები იყვნენ საკუთარ განათლებასა და განვითარებაზე. ამდენად გარემო, სადაც ისინი თავს მასწავლებლის პარტნიორებად, სკოლის სრულფასოვან წევრებად გრძნობენ, ხელს უწყობს მოტივაციის ზრდასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას.

მოტივაციის სტრატეგიები შეიძლება ავამაღლოთ:

- სასწავლო პროცესის გამდიდრებით, შეიძლება დამატებითი, კლასგარეშე აქტივობებით, მრავალფეროვანი სასწავლო მასალებით და ახალი სწავლების მეთოდების სტრატეგიების გამოყენებით.
- მოსწავლეთა გააქტიურებით, რომელიც მოსწავლეთა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ბავშვებისათვის ბევრად უფრო ბუნებრივი და სასიამოვნოა რაიმე საქმიანობაში აქტიურად ჩართვა, ვიდრე გაკვეთილზე ჯდომა და მოსმენა. გაკვეთილის „გააქტიურება“ ბევრი სტრატეგიით შეიძლება,

მაგალითად, დისკუსიები, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციები, როლური თამაშები, საგანმანათლებლო ექსკურსიები და სხვა. ამისათვის მნიშვნელოვანია დროის სწორი შერჩევა. ყველაზე ეფექტური სტრატეგიაც კი შეიძლება არ იყოს შედეგიანი, თუ კი მასწავლებელმა იგი დღის ბოლოს, დაღლილ მოსწავლეებთან ან რაიმე სხვა შეუსაბამო დროს გამოიყენა.

• მოსწავლეთა ჩართვა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში, ერთ-ერთი სახალისო და სასარგებლო აქტივობაა, რომელშიც მოსწავლეები შეიძლება იყვნენ ჩართულნი, აქ იგულისხმება მოსწავლეების ჩართვა სემესტრული ტესტების, კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული კროსვორდების, სიტუაციური ამოცანების და სხვ. მომზადებაში.

• განსხვავებული სირთულის დავალებების აქტივობები, როცა ერთსა და იმავე საკითხზე - თემაზე განსხვავებული სირთულის ამოცანები, დავალებები და აქტივობებია მოფიქრებული. ეს შესაძლებლობას იძლევა მოსწავლეთა შესაძლებლობების და შესაფერისი დავალებების მიცემის გზით გავზარდოთ მათი მოტივაცია.

• „უნიშნო“ აქტივობები - ამგვარ დავალებებში მოსწავლეთა ყურადღება საბოლოო შედეგიდან უფრო პროცესზე გადაერთვება, მათთვის მნიშვნელოვანი იქნება არა იმდენად ნიშანი, არამედ პროგრესი და აქტიურობა.

• შეცდომები, როგორც სწავლის საუკეთესო საშუალება - მნიშვნელოვანია კლასში ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეებზე ნეგატიური შეფასების კრიტიკის ან შეცდომის დაშვების შიში არ ექნებათ. კოდუა აღნიშნავდა, რომ „დაშვებული შეცდომა და სწორი პასუხის აღმოჩენის სურვილი მოსწავლისათვის ხშირად ახალი ცოდნის მიღების, საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების ბიძგი ხდება. [5. 60]. ზოგიერთი პედაგოგის აზრით ეფექტურია მოსწავლეებისათვის საკუთარ ნაშრომში შეცდომების გასწორების შესაძლებლობის მიცემა, ვიდრე ამ შეცდომების წითელი კალმით მონიშვნა და შეფასების დაწერა.

• მოსწავლეთა გაკრიტიკება საჯაროდ ყოვლად დაუშვებელია. საჯარო კრიტიკამ შეიძლება ძლიერი ნეგატიური გავლენა მოახდინოს მოსწავლის თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. ზოგჯერ ყოველდღიურ ვითარებაში პედაგოგისათვის შეუძლებელი ხდება საჯარო კრიტიკისაგან თავის შეკავება, მაგრამ ეს აქვეითებს ასევე მასწავლებლისადმი ნდომას და პატივისცემასაც.

• მიუკერძოებლობა - პედაგოგი უნდა იყოს მიუკერძოებელი. დაუშვებელია პიროვნული შეხედულებების და განწყობის გამოვლენა სასკოლო გარემოში. ეს ეხება როგორც ზოგადად ურთიერთობებს მოსწავლეებთან, ისე მათი შეფასებისა და წახალისების კონკრეტულ შემთხვევებს.

• ტესტირებისას სხვადასხვა ტიპის შეკითხვების გამოყენება ნამდვილად ეფექტურია სასწავლო პროცესში. ზოგიერთ მოსწავლეს წერის კარგი უნარი აქვს, ღია კითხვებს ადვილად სცემს პასუხს, ზოგს კი დახურული კითხვები მოსწონს. მასწავლებელმა უნდა შეუქმნას ცოდნისა და შესაძლებლობების გამოვლინებისათვის პირობები, რათა ინდივიდუალურმა თვისებებმა არ მოახდინონ ნეგატიური ზეგავლენა მოსწავლეთა ტესტირების შედეგებზე. კარგი იქნება თუ დაცული იქნება ბალანსი ღია და დახურულ კითხვებს შორის.

ამდენად, საგაკვეთილო პროცესსა და მოსწავლეებთან ურთიერთობაში უნდა იკვეთებოდეს მასწავლებლის დამოკიდებულება, რწმენა, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს და იყოს წარმატებული, თუმცა ამისათვის თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მიდგომა და ყურადღება ესაჭიროება.

მასწავლებლის განწყობას მოსწავლის მიმართ ძალიან დიდი გავლენა აქვს მის განწყობაზე საკუთარი თავის მიმართ, მის თვითრწმენაზე და ზოგადად სწავლისადმი დამოკიდებულებაზე.

ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბ., 2003.
2. შ. ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური სტრუქტურა, თბ., 1978.
3. Martin., A & Dawson, M. (2009) Interpersonal relationships, motivation, engagement and achievement: yields for theory, current issuers and educational practice, 2010.
4. Anderman, H., L. & Midgley, Motivation and Middle School Students, ERIC Digest, Retrived on December 1, 2010.
5. ნ. კოდუა, სოციოლოგია, II ნაკვ. თბ., 1999.

რეზიუმე

აკადემიური მიღწევების ამაღლების, აგრეთვე, სწავლისა და ცოდნის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს მოსწავლეთა მოტივაციაზე.

მოტივაცია არის ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც მიმართავს ქცევას, ყურადღებას ადამიანისთვის სასურველი მიმართულებით. იგი ხასიათდება დინამიურობით და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, ისე გარემო ფაქტორებზე. სასწავლო აქტივობები, შეფასების პოლიტიკა და პასუხისმგებლობის განაწილება - მოტივაციასთან დაკავშირებული ელემენტებია. მოსწავლეთა მოტივაციაზე ზრუნვა არ უნდა იფარგლებოდეს კონკრეტული საკლასო ოთახით. მოტივირებული გარემო უნდა იქმნებოდეს მთელი სკოლის მასშტაბით. მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის განვითარებაზე, ორიენტირებული ქცევის ჩამოყალიბებაზე. ამ გზით არის შესაძლებელი მოსწავლეთა წარმატების ხელშეწყობა როგორც სასკოლო გარემოში, ისე ზრდასრულებში.

STUDENTS' MOTIVATION, AS THE LEARNING ACTIVITY

Tsiuri Bakradze, Associate Professor

RESUME

For Raising the academic achievements, as well as a positive attitude towards learning and knowledge creation, it is important for teachers to care for its pupils' motivation.

Motivation is an internal state of the organism, which applies to the behavior of people in the desired direction. It is characterized by the dynamics and depends on the individual and environmental factors. Learning activities, evaluation of policies and responsibilities are the elements connected with the motivation.

The care of students' motivation should not be limited by specific classrooms. Motivated environment should be created throughout the school system.

ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენება

ნანა ნადირაძე, სტუდენტთა საქმის მწარმოებელი

თანამედროვე პედაგოგიური ლიტერატურა მიუთითებს იმაზე, რომ მოსწავლეები, რომლებმაც იციან სწავლების/სწავლის სტრატეგიებით სარგებლობა და დამოუკიდებლად ახერხებენ მათ გამოყენებას, უფრო მაღალ აკადემიურ მოთხოვნებს პასუხობენ, ამიტომაც პედაგოგმა მათ სწავლების სტრატეგიებით სწავლა უნდა ასწავლოს. მაგალითად: სტრატეგიები აქტიური კითხვისა და წერითი მეტყველების რედაქტირებისთვის, სტრატეგიები ფაქტებისა და მოვლენების ანალიზებისთვის, შეჯამებისათვის და ა.შ.

როდესაც მასწავლებელი მოსწავლეების მიმართ რაიმე მოთხოვნას აუწყებს, აუცილებელია, რომ პედაგოგი თავად იყოს თანმიმდევრული და მოსწავლე ამას განუწყვეტლივ გრძნობდეს.

მოთხოვნილებების დაყენებისას უმჯობესია პედაგოგი სხვადასხვა ხერხით მოქმედებდეს და ყველა მოსწავლემდე თანაბრად მიაღწიოს მისმა გზავნილმა.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მაღალი მოთხოვნილებები და მოლოდინი არ ნიშნავს გადაჭარბებულ, შეუსაბამო, ასაკობრივი ჯგუფისთვის არაადეკვატური მოთხოვნების დაყენებას. არარეალისტური მოთხოვნები არათუ მოტივაციის ამაღლების, არამედ პირიქით, სწავლაზე გულაცრუებას შეუწყობს ხელს, ამიტომ სწავლა რომ სახალისო და საინტერესო პროცესად იქცეს, სხვადასხვაგვარი სტრატეგიის გამოყენებით უნდა დაიტვირთოს, თუკი მასწავლებლის მიზანია, რომ მაქსიმალურად მიიპყროს მოსწავლეების ყურადღება და დააფიქროს ისინი ამა თუ იმ საკითხზე, მას საამისოდ გარკვეული სტრატეგიები დასჭირდება, რომლებიც:

ხელს უწყობს მოსწავლეს ყურადღების მობილიზებაში;
ააქტიურებს მის წინა ცოდნას;
ეხმარება მასალის მთლიანობაში გააზრებას;
უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას;
უვითარებს კითხვის დასმის უნარ–ჩვევებს;
უჩვენებს, რა არის მნიშვნელოვანი მოცემულ მასალაში;
მიუთითებს, რა ისწავლა მან ამ მასალის დამუშავებით;
უმაღლებს მოტივაციას;
უვითარებს წერით უნარ–ჩვევებს.

როგორც ცნობილია, სწავლა არის ახალი ინფორმაციის, ცოდნის, ჩვევების, დამოკიდებულებებისა და განწყობების შეძენა, რაც საბოლოოდ გამოცდილების შედეგია, მას მოჰყვება ადამიანის მოქმედების ცვლილება. ცვლილება შეიძლება იყოს როგორც რეალური (დაკვირვებადი), ასევე პოტენციური (არაადეკვატური)

აქტიური სწავლის იდეა სულაც არ არის იმის მცდელობა, რომ ბავშვებს მიეცეთ სკოლაში სერიოზული გონებრივი მუშაობისაგან დასვენებისა და გართობის საშუალება, არამედ უპირველეს ყოვლისა ეს არის პედაგოგიური მიზნები, რომ ბავშვებმა უკეთესად და ხარისხიანად ისწავლონ ის, რასაც სკოლაში ასწავლიან და რომ ეს ცოდნა იყოს აზრიანი, უფრო ხანგრძლივი და უფრო გამოსადეგი.

აქტიური სწავლებით მხოლოდ ზოგიერთი მიზნის მიღწევა შეიძლება, როგორიცაა მაგალითად კომუნიკაციისა და დიალოგის უნარის განვითარება, მაგრამ მნიშვნელოვანი აღმზრდელობით–საგანმანათლებლო ამოცანების უმრავლესობა განუხორციელებელი რჩება.

როგორც მოცემული პროექტიდან ჩანს, მოსწავლის აქტიურობა, სწავლებაში განსაზღვრავს სამ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ელემენტს:

მიზანს, რომლის მიღწევაც გვსურს;

მასალას (ანუ სასწავლო პროგრამა), რომელიც მოცემული გვაქვს დაგეგმილი მიზნების განსახორციელებლად და მუშაობის მეთოდს, რომელსაც ჩვენ ვირჩევთ პირველ ელემენტთან მიმართებაში, (თუ მე მსურს ამ მიზნის, ამ სასწავლო პროგრამით მიღწევა, რა გზას, რა მეთოდს გამოვიყენებ ამის საუკეთესოდ მისაღწევად), ამ სამი, ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტის მიზნის, შინაარსისა და მუშაობის მეთოდის დაკვირვება გვაძლევს პასუხს მთავარ კითხვაზე: რას აკეთებენ ბავშვები, ანუ არის თუ არა ბავშვების დაგეგმილი საქმიანობა კონკრეტული და მოცემულ დისციპლინასთან, საგანთან შესაბამისი; რატომ აკეთებენ ისინი ამას, ანუ, რეალურად რა არის მათი საქმიანობის შედეგი.

აქედან ცხადია, რომ სწავლის/სწავლების აქტიური მეთოდების საშუალებით შეიძლება ფართო მასშტაბის მიზნების მიღწევა, აგრეთვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აქტიურ სწავლაში მხოლოდ ერთი, რომელიმე გაკვეთილი კი არ გვაინტერესებს, არამედ მთავარი ამოცანაა გარკვეული სასწავლო პროგრამა უკეთ როგორ გავაგებინოთ ბავშვს, ხოლო გეგმას, რომელსაც შევიმუშავებთ, ერთ ან მეტ გაკვეთილზე გააჩნდეს სრულიად ახალი მოსაზრება თითოეული გაკვეთილის ირგვლივ და რომ მოსაზრებები ერთი გაკვეთილის საკითხის გადაჭრას კი არ ეხება, არამედ ყველაზე საუკეთესო გზის აღმოჩენას, არჩეული პროგრამის გარკვეული ასაკის ბავშვამდე მისატანად.

იმისათვის, რომ სწავლება უფრო ეფექტური და ხარისხიანი იყოს, უნდა ხდებოდეს შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

მოსწავლეს გაუჩნდეს ინტერესი გარემომცველი სამყაროს კვლევის, სიახლეთა აღმოჩენისა შეცნობის მიმართ;

განუვითარდეს საგნისადმი საჭირო ელემენტარული კვლევა–ძიებითი და მათი სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენების უნარ–ჩვევები;

გაცნობიერებული ჰქონდეს მუშაობაში ზრუნვის უნარ–ჩვევები;

გამოუმუშავდეს დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების და კომუნიკაციის უნარი;

განუვითარდეს თვითშეფასების და თვითკონტროლის, სხვათა აზრის დაფასების და გაზიარების უნარი, განსაზღვროს საკუთარი ადგილი საზოგადოებაში;

მიეცეს ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაუფლების შესაძლებლობა;

გაცნობიერებული ჰქონდეს მეცნიერების როლი და ადამიანთა თანამშრომლობის აუცილებლობა კაცობრიობის პროგრესისათვის.

სწავლებისას საჭიროა ყურადღების გამახვილება განწყობა–დამოკიდებულებებისა და უნარ ჩვევების განვითარებაზე, კვლევა–ძიებასა და ცოდნის გამოყენებაზე. ეს არის, როგორც თანამედროვე, პედაგოგიური მეთოდიკის, ისე ქართული კლასიკური დიდაქტიკის მოთხოვნაც.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ამიერიდან სწავლების თანამედროვე, აქტიური მეთოდები საქართველოს ყველა სკოლაში ინერგება, ეს მეთოდები მოსწავლეზეა ორიენტირებული.

მოსწავლე არ არის მხოლოდ მსმენელი, ის გაკვეთილის მსვლელობისას აქტიური მოსწავლეა, იგი ნათლად უნდა ხედავდეს საკუთარი კვლევებისა და ექსპერიმენტების რეალურ დანიშნულებას, უნდა გაუჩნდეს გარემოს კვლევის და შესწავლის სურვილი, გაუჩნდეს ჯანსაღი ამბიცია, რომ კაცობრიობის პროცესში საკუთარი წვლილის შეტანა შეძლოს.

სასწავლო პროცესში გარდა ცოდნისა მოსწავლე იმ უნარ–ჩვევებს უნდა დაეუფლოს, რომლის საშუალებითაც ის ცოდნას წარმატებით დაეუფლება და დახვეწოს უნარ–ჩვევები. საბოლოოდ ეს ყველაფერი მას პიროვნებად ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

პედაგოგიკის კვლევის სფერო დისციპლინათაშორის სივრცეს მოიცავს, იგი ორგანულად უკავშირდება განათლების ფილოსოფიას, პედაგოგიკის ისტორიას, აღზრდის, განათლებისა და სკოლათმცოდნეობის საკითხებს, მის თვალსაწიერშია მოქცეული როგორც თანამედროვე, ისე წარსულის გამოცდილება და მომავლის პერსპექტივები. ახალი ფსიქოლოგიურ–პედაგოგიური ტექნოლოგიების აღმოცენებისა და პრაქტიკული გამოყენების აღმძვრელ მიზეზად შეიძლება დასახელდეს:

ა) სწავლების ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებების უფრო ღრმად გათვალისწინება და გამოყენების აუცილებლობა;

ბ) სასწავლო პროცესის, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთზემოქმედების ორგანიზაციური ფორმების დაპროექტების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების გარანტირებულ შედეგებს.

სწავლის პროცესში მეთოდისტს ერთ–ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია. მთავარი საკითხი, რომელიც მას უნდა აღელვებდეს, ეს არის იმის შესწავლა და შეფასება, თუ როგორ არიან ჩართულნი სასწავლო მუშაობაში მოსწავლეები, როგორია სასწავლო პროცესის კომფორტულობა, მას უნდა შეეძლოს განსაზღვროს არა მარტო მოსწავლეთა განსწავლულობა და აღზრდილობა, არამედ მათი გონებრივი მუშაობის უნარის დონეც, გამოავლინოს ამ პროცესის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები, ამ როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში დახელოვნებულ პიროვნებას.

სასწავლო პროცესი, როგორც ვიცით მიმდინარეობს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, უფრო ყურადღებიანები იყვნენ გაკვეთილზე და აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში.

სწავლების პროცესის მეთოდური მიმართულება გულისხმობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას, რაც აუცილებლად მოსწავლეთა უშუალო გამოცდილებაზე დაყრდნობით ხორციელდება, ეს მიდგომა დაკავშირებულია ევროპაში გავრცელებულ „თანამედროვე აღზრდის'' მიმართულებასთან და ამერიკულ „პროგრესულ აღზრდასთან''. ორივე მიმართულება სწავლების პროცესს ბავშვების გამოცდილებაზე აგებს.

ასეთი სწავლების მოდელის მიზანი არა მხოლოდ ახალი ცოდნის შეძენაა, არამედ უკვე არსებული ცოდნის გადამუშავებაც. მასწავლებელმა დიალოგის, წარმოსახვის, ანალოგიების, მეტაფორის და სხვა ხერხების გამოყენებით უნდა წაახალისოს მოსწავლეები და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ასეთი პედაგოგიური გარემო ხელს უწყობს მოსწავლეს, დამოუკიდებლად ჩასწვდეს შესასწავლი მოვლენისა თუ ცნების არსს და გადაჭრას მის წინაშე მდგომი პრობლემა. მოსწავლე, უპირველეს ყოვლისა, გამოყოფს პრობლემას, შემდეგ დასახავს მისი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, არსებული ინფორმაციის საფუძველზე იკვლევს მათ, აკეთებს არჩევანს და გამოაქვს დასკვნები. და ბოლოს, ავლენს პარალელს მიღებულ დასკვნებსა და ახალ მონაცემებს შორის.

კვლევითი, ძიებითი მიმართულება სასწავლო პროცესში დაკავშირებულია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასთან. ამისათვის მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას შემოქმედებითი სასწავლო გარემო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეთოდები, რომლებსაც სასწავლო პროცესის დროს იყენებს მასწავლებელი, ძალზე აქტუალურია და აუცილებელი. ერთ–ერთი ასეთი მეთოდი, რომელსაც მასწავლებელი იყენებს, არის „ინტერაქტიული სწავლება და ინტერაქტიული მეთოდები''.

ინტერაქტიული სწავლება არის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ის მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე

ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ინტერაქტიულ სწავლებას შემოაქვს პედაგოგიკაში სწავლების და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები.

შესატყვისად, იცვლება სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ–ჩვევებისა და განწყობა–დამოკიდებულებების განვითარებაზე.

მოსწავლე ინტერაქტიური სწავლების სუბიექტია, მისი აქტიური მონაწილეა, სწავლებას საფუძვლად ედება მოსწავლის პირადი გამოცდილება, პირადად მისი თვისებები და ცოდნა.

სწავლების ინტერაქტიული მიდგომოს ძირითადი პრინციპებია:

სწავლა აქტიური პროცესია, მოსწავლე აგებს ცოდნას მასწავლებლის მიერ გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე. სწავლება უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში. მოსწავლე ყველაზე უკეთ ითვისებს მაშინ, როდესაც საკუთარი გამოცდილების მეშვეობით წყვეტს პრობლემას;

სწავლა გულისხმობს მნიშვნელობის წვდომას. მასწავლებლის მიზანია აქტივობები ისე წარმართოს, რომ მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი იდეები და აღმოჩენები კარგად გაიზიარონ;

სწავლა სოციალური ურთიერთობების გზით აიგება. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება, მაგ., ჯგუფური მუშაობები, დისკუსიები;

სწავლების მიდგომის ეფექტურად განსახორციელებლად მიზანშეწონილია, მასწავლებლები იცნობდნენ ბავშვის ასაკობრივი განვითარებისა და სწავლების თეორიებს, ეს მათ დაეხმარება სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვასა და წარმართვაში;

სწავლა ყოველთვის გულისხმობს კონტექსტს. მოსწავლე ყველაზე კარგად ითვისებს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია კავშირშია უკვე ნასწავლთან.

ინტერაქტიული სწავლებისათვის ერთ–ერთი მთავარი და აუცილებელი პირობაა აგრეთვე ტრენინგი და მუშაობა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით. მხატვრული ტექსტების სწავლებისათვის შესაფერისი მეთოდების, დამხმარე მასალის, დავალებებისა და აქტივობების შერჩევით გაკვეთილის ეფექტურად დაგეგმვაა. სახელმძღვანელო საგანმანათლებლო რესურსია, მასში მოცემული აქტივობების გამოყენებით მოსწავლეს:

- ექმნება მოტივაცია სწავლისათვის;
- განსაზღვრავს კვლევის ობიექტს;
- აკვირდება სხვადასხვა მოვლენებს;
- გეგმავს, ატარებს და აანალიზებს ცდებს;
- სწავლობს აღმოჩენების გზით;
- იძენს და იყენებს მონაცემების მოძიებისა და წარმოდგენების სხვადასხვა ხერხებს;
- ქმნის და იყენებს კოლაჟებს, პროექტებს;
- ცდილობს, პრაქტიკულად გამოიყენოს ის, რაც გაიგო;
- იღებს გადაწყვეტილებებს.

მრავალმხრივი ინტერაქტიული მეთოდები სხვა ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით მრავალფეროვანია, ის ადამიანის შესაძლებლობების ფართო სპექტრს ასახავს, დაწყებული ლინგვისტური უნარებიდან დამთავრებული ნატურალისტური ინტელექტით.

სასწავლო ინტერაქტიული მიზანი არის სწავლების პროცესის აუცილებელი კომპონენტი, მიზანი განსაზღვრავს, თუ რა უნდა ვასწავლოთ და შემდეგ რა უნდა შევაფასოთ. შეუძლებელია სწავლების პროცესის ეფექტურობის დადგენა, თუ წინასწარ არ გვეცოდინება რისი მიღწევა გვინდა და შეფასების რა პროცედურას გამოვიყენებთ. მიზანი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ძალიან ზოგადად, მაგალითად: „მოსწავლეთა პოტენციის გამოვლენა, სრულფასოვანი მოქალაქეების ჩამოსაყალიბებლად.'' ზოგადი მიზანი ასახავს მოსწავლეთა ეფექტური განვითარების მიმართულებას, მაგრამ მოცემული მიზანი მასწავლებლისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმარისი არ არის, მისთვის აუცილებელია კონკრეტული, ყოველდღიური, სპეციალური მიზნების დასახვა.

მასწავლებელმა სასწავლო პროცესის განმავლობაში შემდეგ მიზანს უნდა მიაღწიოს:

მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ მოცემულ საგანში ცოდნა, უნდა ჰქონდეთ გააზრებული მიღებული ინფორმაციის არსი, შეეძლოთ ცოდნის გამოყენება, ინფორმაციის გაანალიზება, სინთეზირება და შეფასება, ასევე ყველა მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს სწავლების სათანადო სტრატეგია და მეთოდიკა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ მასალის ათვისებას, სწავლების მეთოდის შერჩევისათვის, პირველ რიგში, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სწავლის შედეგები, რა უნდა

იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს მოსწავლემ სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, სწავლის შედეგებით განისაზღვრება როგორც მისი შინაარსი, ასევე სწავლების მეთოდიკა და შეფასების ფორმატიც.

სწავლების მეთოდების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ყველა დეტალი:

რამდენი საათია გამოყოფილი ამ წლის სწავლებისათვის;

რამდენი მოსწავლე იქნება ჯგუფში;

რა ტიპის სასწავლო მასალაა ამ წლის ფარგლებში გასათვალისწინებელი სახელმძღვანელო, მასწავლებლის კომპონენტი და სხვა;

როგორი რესურსებია ხელმისაწვდომი სწავლებისათვის (ელექტრონული მედია, ლაბორატორია, სახელოსნო, ჩვეულებრივი საკლასო ოთახი და ა.შ.)

ინტერაქციონიზმი არის მიმართულება თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომელიც დამყარებულია ამერიკელი ფსიქოლოგის ჯ. მიდის კონცეფციაზე.

ინტერაქტივიზმში (ურთიერთდახმარებაში) იგულისხმება პიროვნებათაშორისი კოუნიკაცია, რომლის მთავარ თავისებურებად მიჩნეულია ადამიანის უნარი. ,,მიიღოს სხვისი როლი'', წარმოადგინოს, თუ როგორ აღიქვამს მას პარტნიორი, ან ჯგუფი, ამის შესაბამისად მოახდინოს სიტუაციის ინტერპრეტაცია და ააგოს საკუთარი მოსაზრება

ინტერაქტიული მეთოდებით სწავლება ძირეულად განსხვავდება სწავლების ტრადიციული მეთოდებისგან, ტრადიციული სწავლებისას, გაკვეთილზე ცენტრალური ფიგურა მასწავლებელია. იგი შესასწავლ მასალას მზა სახით აწვდის მოსწავლეებს, რომელიც ცოდნის პასიური მიმღების როლში იმყოფება.

ინტერაქტიული მეთოდიკით სწავლების დროს თვით მოსწავლე იმყოფება შესასწავლი მოვლენების ცენტრში. იგი თავის ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა მოსწავლეებთან ერთად აანალიზებს, აფასებს, აყალიბებს მოსაზრებებს, ეუფლება უნარ–ჩვევებს, უყალიბდება განწყობა–დამოკიდებულებები ფაქტებსა და მოვლენებზე. ინტერაქტიული მეთოდებია:

1. როლების გათამაშება;

2. საკლასო დისკუსია;

3. გონებრივი იერიში;

4. მოდერაცია;

5. ჯგუფური მუშაობა;

6. პროექტი (გრძელვადიანი დავალება).

შევაჩეროთ ყურადღება პროექტზე (გრძელვადიან დავალებაზე)

პროექტი ეს არის მოსწავლეთა მიერ წინასწარ დაგეგმილი და დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაო, რომელიც მათ შეუძლიათ წარმოადგინონ გამოკვლევების, თვალსაჩინოების, მოხსენების, ლექციის ან სხვა სახით.

პროექტის თემას ირჩევს მასწავლებელი. მოსწავლეები გეგმავენ თავიანთ მოქმედებებს და პროექტის შესრულების ხანგრძლივობას.

ეს მეთოდი დიფერენცირებული სწავლების უმნიშვნელოვენესი კომპონენტია: ამძაფრებს დამოუკიდებლობის, ზრდასრულობის განცდას, ავითარებს როგორც დამოუკიდებელი, ასევე გუნდური მუშაობის უნარ–ჩვევებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ინფორმაციას, ნასწავლ მასალას უაღრესად სახალისო და ინტელექტუალურად დატვირთულ ცხოვრებისეულ გამოცდილებად აქცევს.

პროექტის განხორციელების პროცესში მასწავლებელი მოსწავლეს რამდენიმე კრიტერიუმსა და ზუსტ მითითებას აძლევს, რითაც მოსწავლემ უნდა იხელმძღვანელოს. დავასახელოთ სხვადასხვა ტიპის პროექტის რამდენიმე მაგალითი:

ისტორიის მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეებს, რომ გაერკვიათ, რა განასხვავებს გმირს წარმატებული ლიდერისაგან, მოეყვანათ გმირის და ლიდერის მაგალითები.

პროექტის მეთოდით მუშაობა ეხმარება მოსწავლეებს:

– დაამყარონ უშუალო კავშირი გარე სამყაროსთან, ფაქტებთან და მოვლენებთან;

– დაგეგმონ საკუთარი მოქმედებები და დრო;

– მოიძიონ მასალები და ინფორმაციები;

– აკონტროლონ საკუთარი სწავლების შედეგები და სხვა.

მასწავლებელი გარკვეული დროის შემდეგ მოსწავლეებს წარმოადგენინებს თავთავიანთ პროექტებს და აფასებს მათ. ზოგიერთი მოსწავლე კარგად აკეთებს პროექტებს, ზოგი კარგია როლების გათამაშების დროს, ზოგი – ჯგუფური მუშაობის დროს, ზოგს გონებრივი იერიში იტაცებს, ზოგი ლიდერია, ზოგს პრეზენტაცია ეხერხება, ზოგიც წერით უკეთ ამჟღავნებს თავის ცოდნას.

ყოველი მოსწავლე თავისი შესაძლებლობების მიხედვით უნდა შეფასდეს, ამიტომ კარგად უნდა იქნეს შერჩეული შეფასების კომპონენტები და მათი პროცენტული წილი.

ერთი და იგივე თემა პარალელურ კლასებში სხვადასხვანაირად შეიძლება გაშუქდეს, რადგან იქ სხვადასხვა შესაძლებლობების მოსწავლეები სწავლობენ.

მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე სააზროვნო სქემების (კოგნიტური დიაგრამების) გამოყენება.

კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეებს გაკვეთილზე მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება.

ასეთი ინტერაქტიული მეთოდები, ხელს უწყობს არა მარტო სპეციფიკური –სტატისტიკური ცოდნის დაუფლებას და სტატისტიკური ალღოს ჩამოყალიბებას, არამედ ზოგადი ინტელექტუალური უნარიანობის განვითარებასაც, – ესაა პრობლემათა გადაჭრის უნარი.

სასწავლო–კვლევითი უნარების რამდენიმე ამ ტიპის საყოფაცხოვრებო კონტექსტის მქონე ამოცანის გადაჭრის შედეგად მოსწავლეებს უვითარდებათ სწავლის უნარი და უფრო აქტიურები და ხალისიანები ხდებიან.

ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით, მოსწავლეებს განუვითარდებათ დამოუკიდებლად სწავლის, დაგეგმვის, პრიორიტეტების დასახვის და პასუხისმგებლობის უნარ–ჩვევები, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს მოტივაციას სასწავლო პროცესის მიმართ.

ლიტერატურა:

1. ცუცქირიძე ზ., ორჯონიკიძე ნ. “განათლების თანამედროვე თეორიები”, თბ., 2005.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის 2008-2009 სასწავლო წელი
3. ჟურნალი “მასწავლებელი“, №1, 2010 წელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
4. შოთა მალაზონია, ,,პედაგოგიკა“, თბილისი, 2001.
5. Грейс Крайг, ,,Психология развития'', Питер, 2000.

რეზიუმე

ინტერაქტიული სწავლება არის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ის მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ინტერაქტიულ სწავლებას შემოაქვს პედაგოგიკაში სწავლების და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები.

ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით, მოსწავლეებს განუვითარდებათ დამოუკიდებლად სწავლის, დაგეგმვის, პრიორიტეტების დასახვის და პასუხისმგებლობის უნარ–ჩვევები, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს მოტივაციას სასწავლო პროცესის მიმართ.

USAGE OF INTERACTIVE TEACHING

Nana Nadiradze, Students secretary

RESUME

Interactive teaching is a modern educational system that is based on the search of the new roles and the principles of humanism of teacher and student. It aims to change the teacher- oriented authoritative learning process into a student- oriented learning process that involves their needs and interests.

In pedagogy, the new assessing methods of teaching and knowledge are brought by the interactive teaching.

Using interactive methods students will develop the skills of independent learning, planning, prioritization and responsibilities, which increase motivation towards the learning process.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
Exact and Natural Sciences

პროვიტამინ A - კაროტინის აკუმულაცია Rosaceae ოჯახის სამკურნალო მცენარეებში შიდა ქართლის ბიოცენოზებში

ნელი გოგინაშვილი, პროფესორი

ვიტამინები წარმოადგენენ შედარებით მაღალმოლეკულურ სხვადასხვა ქიმიური ბუნების ორგანულ შენაერთებს, რომლებიც თავისი ბიოლოგიური მოქმედებით გაერთიანებული არიან ერთ ჯგუფში.

ვიტამინები ესაჭიროება ყველა ცოცხალ ორგანიზმს, მაგრამ მათი ბიოსინთეზის უნარი უპირატესად აქვს მწვანე მცენარეს. ვიტამინების უმეტესობა ადამიანის ორგანიზმში შედის საკვების სახით, როგორც თვით ვიტამინების, ისე მათი წინაპირობების - პროვიტამინებიდან, მაგალითად, კაროტინოიდებიდან ეს უკანასკნელნი კი ცხოველურ ორგანიზმებში A ვიტამინად გარდაიქმნებიან.

მცენარეული ნედლეული საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროა ადამიანის ორგანიზმისათვის, რადგან მისი გამოყენებისას პრაქტიკულად გამორიცხულია დოზის გადაჭარბება და გვერდითი მოვლენები, რაც გარდაუვალია სინთეტიკური ვიტამინური პრეპარატების ხანგრძლივად და უკონტროლოდ გამოყენებისას.

კაროტინოიდები თავისი ბუნებით წარმოადგენენ ტეტრატერპენებს ($C_{40}H_{64}$) რომლებშიც შედის კაროტინი α, β, γ. აქედან ყველაზე აქტიური β-ფორმა, რომელიც ამავე დროს ჭარბობს კაროტინოიდების ჯამში (85%). კაროტინი და კაროტინოიდები მცენარეში მონაწილეობენ ფოტოსინთეზის პროცესში. მნიშვნელოვანია აგრეთვე მათი როლი მცენარის განაყოფიერებაში, ზრდასა და დაფესვიანებაში.

დიდია A ვიტამინის მნიშვნელობა ადამიანისათვის. ის ხელს უწყობს მხედველობის ნორმალიზებას, ასტიმულირებს სიმაღლეში ზრდის პროცესს, მოქმედებს იმუნურ სისტემაზე, ავლენს ანტიოქსიდანტურ და სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებას და სხვ. მისი უკმარისობის პირველი ნიშანია მხედველობის დაქვეითება ღამით (ქათმის სიბრმავე), დაავადებებისადმი გამძლეობის შემცირება, სიმაღლეში ზრდის შეჩერება, კანისა და ლორწოვანი გარსის გარქოვანება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შიდა ქართლის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში ფართოდ გავრცელებული ხე და ბუჩქოვან სამკურნალო მცენარეებში კაროტინის შემცველობის დადგენა.

კვლევის ობიექტი - ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის სამკურნალო მცენარეები, რომლებიც სხვა მცენარეებთან ერთად ნებადართულია ფარმაკოლოგიაში გამოსაყენებლად:

ასკილი - Rosa canina L.
წითელი კუნელი - Grataegus sanguinea Pall.
შავი კუნელი - Grataegus pentagina Waldsi et Kit.
მარწყვი - Fragaria vesca L.
მაყვალი - Rubus sp. diversa
ჟოლო - Rubus idacus L.
გარგარი - Armeniaca vulgaris Lam
ჩვეულებრივი ნუში - Amygdalus communis L.
ვერცხლისფერი მარწყვა ბალახი - Potentillea argentea L.

მცენარეთა საანალიზო სინჯები ჩვენს მიერ აღებული იქნა მედიცინაში გამოსაყენებელი ორგანოების და კალენდარული ვადების მიხედვით. კაროტინის შემცველობა განისაზღვრა საყოველთაოდ ცნობილი მეთოდით.

ვიდრე განვიხილავდეთ ექსპერიმენტის შედეგებს, მოკლედ შევეხებით საკვლევი მცენარეების ქიმიურ შედგენილობას და სამკურნალო თვისებებს:

ასკილი (Rosa canina L.) - ნაყოფი შეიცავს ვიტამინ C, E, P, K, კაროტინოიდებს, ნახშირწყლებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, უმაღლეს ალიფატურ სპირტებს, ლიპიდებს, ორგანულ

მჟავებს. წარმატებით გამოიყენება მედიცინაში ჰიპო- და ავიტამინოზისას, მხედველობის ნაკლებობისას, სიმაღლეში ზრდისათვის, ხოლო მისი ზეთი - დამწვრობის და ჭრილობების შესახორცებელ საშუალებად;

წითელი კუნელი (Grataegus monogina Iacq.) - ნაყოფი მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით სტეროიდებით, კაროტინით, C ვიტამინით, ორგანული მჟავებით. ყვავილებში წარმოდგენილია ორგანული მჟავები, ეთერზეთები, მთრიმლავი ნივთიერებები. მედიცინაში გამოიყენება გულის მუშაობის ფუნქციონალური დარღვევისას, ჰიპერტონული დაავადებების, ნევროზის, არითმიის, ტაქიკარდიის სამკურნალოდ, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს;

შავი კუნელი (Grataegus pentagina Waldsi et Kit) - ნაყოფი მდიდარის ფლავონოიდებით, ფენოლური შენაერთებით (განსაკუთრებით კატექინებით), C, E, K, პროვიტამინ A-თი. ყვავილები შეიცავს: ფლავონოიდებს გლიკოზიდებს, ორგანულ მჟავებს, ეთერზეთებს. მედიცინაში გამოიყენებიან კარდიოტონულ, სპაზმოლიტიკურ და ანტიარითმულ საშუალებად.

მარწყვი (Fragaria vesca L.) - ყვავილები შეიცავს შაქრებს, ორგანულ მჟავებს, კატექინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, კუმარინებს, ფლავონოიდებს, ვიტამინ C, B_1, B_2, B_6, P, PP, E და კაროტინოიდებს. მისი გამოყენება საკმაოდ ეფექტურია ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებების, ავიტამინოზის დროს. აქვს შარდმდენი, თირკმელებისა და შარდის ბუშტში ქვების დამშლელი თვისებები. ფოთლები მდიდარია C ვიტამინით, კაროტინოიდებით, ფენოლური და არომატული შენაერთებით, მთრიმლავი ნივთიერებებით, ალკალოიდებით, მინერალური მარილებით. ცნობილია ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებების სამკურნალო საშუალებად. გარდა ამისა, ფოთლებს გააჩნია ტკივილგამაყუჩებელი, სპაზმოლიტური, ანემიის, ათეროსკლეროზის, რაქიტის საწინააღმდეგო თვისებები.

მაყვალი (Rubus sp. diversa) - ნაყოფში გროვდება ორგანული მჟავები, შაქრები, პექტინები, ლორწოები, ცილები, ანტოცეანები. ხასიათდება ანტივირუსული თვისებებით. აქვს აღმგზნები და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.

ჟოლო (Rubus idacus L.) - ნაყოფი მდიდარია ვიტამინ C, P, B ჯგუფის ვიტამინებით და კაროტინოიდებით, ორგანული მჟავებით, ნახშირწყლებით, პექტინებით, კატექინებით, მთრიმლავი ნივთიერებებით, ფლავონოიდებით, ანტოცეანებით. აქვს სიცხის დამწევი, სისხლდენის შემაჩერებელი, პირღებინების საწინააღმდეგო, მადის მომგვრელი და ანტიბაქტერიული თვისებები.

გარგარი (Armeniaca vulgaris Lam) - საკვებ და ეკონომიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს ნაყოფში შაქრის დიდი შემცველობა, აქედან ძირითადია საქაროზა. შეიცავს ვიტამინებს. თესლში საკვები და სამედიცინო ღირებულების ცხიმოვანი ზეთია (30-40%). გარგარის გომოზსაც დიდი გამოყენება აქვს პრაქტიკაში. აქვს მდგრადი ემულგირებისა და შემოგარსვის უნარი.

ჩვეულებრივი ნუში (Amygdalus communis L.) - თესლი შეიცავს ციანოგენურ გლიკოზიდებს, მათ შორის ამიგდალინს, ციანწყალბადმჟავას. იყენებენ წვეთებსა და მიქსტურებს ტკივილგამაყუჩებელ და სედატიურ საშუალებად: ინახება B-სიით.

ვერცხლისფერი მარწყვა ბალახი (Potentillea argentea L.) - ნედლეულია მცენარის მიწისზედა ნაწილი, რომელსაც ამზადებენ ყვავილობის ფაზაში. ნედლეული შედგება ფოთლების, ყვავილებისა და ღეროების ზედა ნაწილებისაგან, რომლებიც მოთეთრო ქეჩისებური ბუსუსებითაა დაფარული. ბალახი შეიცავს ფლავონოიდებს, ჰიპეროზიდს, კვერცეტინს, რუტინს, კემფეროლს, ტრიტერპენოიდებს, ვიტამინ C-ს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ორგანულ მჟავებს, კატექინებს. ნედლეული შედის მიქსტურის ნაკრებში, რომელიც გამოიყენება გასტრიტის დროს, გააჩნია სპაზმოლიტური, ჰიპოტენზიური და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. ურჩევენ ციროზის, ტუბერკულოზისა და სტენოკარდიის, აგრეთვე ანგინის, სტომატიტის და პიორეის დროს.

ჩვენი კვლევის შედეგები Rosaceae-ს ოჯახის სამკურნალო მცენარეებში პროვიტამინ A - კაროტინის შემცველობის შესახებ, მოტანილია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

კაროტინის (პროვიტამინი A) შემცველობა
ვარდისებრთა ოჯახის სამკურნალო მცენარეებში, მგ%

№	მცენარე	სამკურნალო ნედლეული	კაროტინის დღე-ღამური ნორმა	კაროტინი საკვლევ მცენარეში
1	ასკილი - Rosa canina L.	ნაყოფი	3,5	6,30
2	წითელი კუნელი - Grataegus monogina Iacq.	ნაყოფი		7,20
		ყვავილი		1,40
3	შავი კუნელი - Grataegus pentagina Waldsi et Kit	ნაყოფი		3,90
		ყვავილი		0,22
4	მარწყვი - Fragaria vesca L.	ნაყოფი		2,30
		ფოთოლი		0,22
5	მაყვალი - Rubus sp. diversa	ნაყოფი		0,25
		ფოთოლი		კვალი
6	ჟოლო - Ribus idacus L.	ნაყოფი		0,44
7	გარგარი - Armeniaca vulgaris Lam	ნაყოფი		9,10
8	ჩვეულებრივი ნუში - Amygdalus communis L.	თესლი		0,25
9	ვერცხლისფერი მარწყვა ბალახი - Potentillea argentea L.	მიწისზედა ნაწილი		0,20

როგორც მონაცემებით ირკვევა, კაროტინის შემცველობა საკვლევ მცენარეთა სახეობების მიხედვით, მკვეთრად განსხვავებულია და მაქსიმალურ და მინიმალურ შემცველობას შორის ვარიაბელობა თითქმის 40-ის ჯერადია (ნაყოფებში). გარკვეული ვარიაბელობა აღინიშნება აგრეთვე თვით სახეობის შიგნით. კერძოდ, წითელი კუნელის ნაყოფში კაროტინის შემცველობა თითქმის 2-ჯერ მეტია შავი კუნელის ნაყოფებთან შედარებით. ასეთი მკვეთრი ვარიაბელობა სხვადასხვა სახეობის მცენარეთა შორის დაკავშირებული უნდა იყოს თითოეული მათგანის გენეზისთან.

კაროტინის დაგროვება მნიშვნელოვნად ცვალებადობს არა მარტო მცენარეთა სახეობების, არამედ ორგანოების მიხედვით (თუმცა სახეობების მიხედვით ცვალებადობასთან შედარებით მცირე მასშტაბით).

რაც შეეხება ფოთლებს (მარწყვის, მაყვალის), მიწისზედა ნაწილს (ვერცხლისფერი მარწყვბალახი) და თესლს (ჩვეულებრივი ნუში), კაროტინის კონცენტრაცია მათში მინიმალური ან საერთოდ კვალის სახითაა წარმოდგენილი.

ჩვენს მიერ შესწავლილი მცენარეებიდან კაროტინის მაქსიმალური შემცველობით (9,10 მგ% ნაყოფში) გამოირჩევა გარგარი (ცხრილი 1). მაღალი კონცენტრაცია აღინიშნება აგრეთვე წითელი კუნელისა და ასკილის ნაყოფებში (შესაბამისად - 7,20 და 6,30 მგ%), ხოლო შავი კუნელის და მარწყვის ნაყოფებში შედარებით მცირეა (3,90 და 2,30 მგ%).

მაშასადამე, სხვადასხვა სახეობის მცენარეებიდან პროვიტამინ A - კაროტინის მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა გარგარი, შემდეგ - წითელი კუნელი, ყველაზე მცირე შემცველობით - მაყვალი. აღნიშნულის საფუძველზე, შესწავლილი მცენარეები, კაროტინის დაგროვების (ნაყოფებში) მიხედვით შეიძლება დავალაგოთ შემდეგი კლებადი რიგით:

გარგარი - წითელი კუნელი - ასკილი - შავი კუნელი - მარწყვი - ჟოლო - მაყვალი - ჩვეულებრივი ნუში (თესლი) - ვერცხლისფერი მარწყვა ბალახი (მიწისზედა ნაწილი).

ჩვენი კვლევის შედეგები გარკვეულ დახმარებას გაუწევს მოსახლეობას ჰიპო- თუ ჰიპერვიტამინოზის მკურნალობასა და ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნებაში.

ლიტერატურა:

1. ალექსიძე ნ., ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები. თბილისი, თსუ, 2005.
2. ბოლქვაძე ა., ბიოქიმია. თბილისი, თსსუ, 1999.
3. ერისთავი ლ., ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები). თბილისი, საქართველოს მაცნე, 2005.
4. თურმანაული გ., ფარმაკოლოგია. II ნაწილი, თბილისი, 1992.
5. ონიანი ო., მარგველაშვილი გ., მცენარეთა ქიმიური ანალიზი. თბილისი, განათლება, 1985.

6. Гогинашвили Н. Корреляционная связь между продуктивности и биохимического состава некоторых растений с уровнем биогенных элементов в среде обьшания. გორის უნივერსიტეტი, პირველი ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, 3-4 ოქტომბერი, 2008, გორი, საქართველო, 2008.
7. Ловкова М.Я., Рабиновыч А.М., Пономарева С.М., Бузук Г.Н., Соколова С.М. Почему растения лечат. М., Наука, 1990.
8. Овчаров К.Е. Витамины растений. М., Колос, 1969.

რეზიუმე

ჩვენი კვლევის შედეგებით სხვადასხვა სახეობის მცენარეებიდან პროვიტამინ A-კაროტინის მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა გარგარი (Armeniaca vulgaris Lam), შემდეგ - წითელი კუნელი (Grataegus monogina Iacq), ბოლოს - მაყვალი (Rubus sp. diversa). აღნიშნულის საფუძველზე შესწავლილი მცენარეები კაროტინის დაგროვების (ნაყოფებში) მიხედვით შეიძლება დავალაგოთ შემდეგი კლებადი რიგით: გარგარი - წითელი კუნელი - ასკილი - შავი კუნელი - მარწყვი - ჟოლო - მაყვალი - ჩვეულებრივი ნუში (თესლი) - ვერცხლისფერი მარწყვა ბალახი (მიწისზედა ნაწილი).

ჩვენი კველვის შედეგები გარკვეულ დახმარებას გაუწევს მოსახლეობას ჰიპო- თუ ჰიპერვიტამინოზის მკურნალობასა და ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნებაში.

ACCUMULATION OF PROVITAMIN A – CAROTENE IN THE MEDICINAL HERBS OF ROSACEAE OF SHIDA KARTLI BIOCENOSIS

Neli Goginashvili, Professor

RESUME

According to the results of our research, Armeniaca vulgaris Lam stands out from different species of plants by the higher concentration of provitamin A, next comes Grataegus monogina Iacq, and the last is Rubus sp. diversa. On the basis of the above mentioned we can put the following plants with the accumulated carotene in their berries in the descending order:

Armeniaca vulgaris Lam - Grataegus monogina Iacq. - Rosa canina L. - Grataegus pentagina Waldsi et Kit - Fragaria vesca L. – Rubus idacus L. - Rubus sp. diversa - Amygdalus communis L. - Potentillea argentea L.

The results of our research will provide a certain help to the population in healing the hypo- or hypervitaminosis and in health maintenance and recovery.

სპორტი, ასაკი და ჯანმრთელობის განმტკიცება

ალექსანდრე იაშვილი, პროფესორი

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ყოველთვის სათანადო ყურადღება ეთმობოდა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფდა როგორც ფიზიკურ განვითარებას, აგრეთვე ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეს. განსაკუთრებით ხანდაზმულ ასაკში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე ტექნიკურმა პროგრესმა ახალი პრობლემები დააყენა ადამიანთა წინაშე, რადგან ფიზიკური შრომა მნიშვნელოვნად შეცვალა თანამედროვე ტექნიკამ. ადამიანთა ინტენსიური გონებრივი შრომისა და მოზღვავებული ინფორმაციის პირობებში მწვავედ იგრძნობა ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის დაქვეითება. გავრცელდა ეგრეთ წოდებული

საუკუნის სისხლძარღვთა დაავადება. ამ პრობლემის დაძლევაში თავისი სიტყვა უნდა თქვას ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა.

კერძოდ ფიზიკური ვარჯიშების სისტემატურმა გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს ნაადრევი სიბერის თავიდან აცილებას და შრომისუნარიანობის გახანგრძლივების საქმეს.

მეცნიერული კვლევების შედეგად ცნობილია, რომ თუ ადამიანი სისტემატიურად გამოიყენებს ფიზიკურ ვარჯიშებს, იგი იშვიათად ხდება ავად, ხოლო დაავადების შემთხვევაში იოლად გადაიტანს მას და მალე გამოჯანმრთელდება.

ადამიანის ყოველი ორგანო იმყოფება ცენტრალური ნერვული სისტემის მუდმივი გავლენისა და კონტროლის ქვეშ, იგი რეგულაციას უწევს მათ ფუნქციებს და მოქმედებებს. ფიზიკური ვარჯიშების შესრულებისას ადგილი აქვს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების აგზნებადობას, რის შედეგადაც კი მნიშვნელოვნად იზრდება მისი გავლენა სხვადასხვა ორგანოსა და მათ სასიცოცხლო ფუნქციებზე.

ფიზიკური ვარჯიში და სპორტის რომელიმე სახეობაში სისტემატიური მეცადინეობა დიდ გავლენას ახდენს გულის კუნთის განვითარებაზე, რომელიც სისტემატური ვარჯიშების გამოყენებით ხანდაზმულობამდე არ კარგავს ელასტიურობასა და შრომისუნარიანობას.

ფიზიკური გავლენით ძლიერდება გულისა და სასუნთქი აპარატის მოქმედება, რაც ხელს უწყობს ორგანიზმში სისხლის გაძლიერებულ მიმოქცევას, რაც უზრუნველყოფს შინაგან ორგანოებსა და კუნთებში დახარჯული ენერგიის აღდგენას და შრომისუნარიანობისათვის საჭირო ჟანგბადისა და საყუათო ნივთიერებათა მიწოდებას.

ცნობილია, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს შორის ყველაზე გავრცელებულია ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი და გულ-სისხლძარღვთა იშემია ანუ კორონალური უკმარისობა ჰიპერტონიისა და კორონალური უკმარისობის დაავადებათა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შორის მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფიზიკური ვარჯიშების სისტემატიურ გამოყენებას და სპორტს.

ამიტომ საჭიროა, რომ ადამიანი სისტემატურად მოძრაობდეს, ფიზიკური ვარჯიშების სისტემატური გამოყენება განამტკიცებს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებას, აუმჯობესებს გუნება-განწყობას, აყალიბებს სიდინჯეს, ადამიანს მატებს სიმხნევეს და უნერგავს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას დასახულ ამოცანათა შესასრულებლად.

ადამიანები, რომლებიც სისტემატურად მეცადინეობენ სპორტის რომელიმე სახეობაში, ყოველგვარ საქმიანობაში ხალისიანი და აქტიურნი არიან, გვიან გრძნობენ დაღლას. გარდა ამისა, ორგანიზმში ხდება კეთილსასურველი ფიზიოლოგიური ცვლილებების განვითარება.

ცხოვრების ჯანსაღი წესი ჯანმრთელობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, ის მოიცავს რამდენიმე ელემენტს: შრომისა და დასვენების ოპტიმალურ რეჟიმს, სწორ კვებას, მოძრაობით აქტივობას, პირად ჰიგიენას, სხეულის გაკაჟებას და მავნე ჩვევების უკუგდებას.

დადგენილია აგრეთვე, რომ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედება შემდეგნაირად ნაწილდება: ცხოვრების წესი და პირობები - 48-50%, გარემო - 20-22%, გენეტიკური ფაქტორები - 18-20%, ჯანმრთელობის დაცვის წილი - 12-14%.

ადამიანის ორგანიზმის ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შრომისუნარიანობის შენარჩუნებას ხელს უწყობს ფიზიკური აქტივობა.

ვარჯიში ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ასაკის ადამიანისათვის, მაგრამ მთავარია აქტივობა სწორად იქნას შერჩეული.

40 წელს გადაცილებული ადამიანებისათვის, რომლებსაც დიდხანს უწევთ ჯდომა, მათთვის აუცილებელია ვარჯიში, სუფთა ჰაერი და ნაკლები სტრესული გარემო, რაც უზრუნველყოფს კარგი ფიზიკური მდგომარეობის შენარჩუნებას. ვარჯიშების გამოყენებასთან დაკავშირებით საჭიროა რამდენიმე წესის დაცვა:

1. თუ არსებობს საშუალება სასურველია დღის განმავლობაში რამდენჯერმე შესრულდეს ვარჯიშები;
2. შერჩეული უნდა იქნას ისეთი ვარჯიშები, რომლებიც ხელმისაწვდომია პიროვნების ფიზიკური მდგომარეობისათვის;
3. ვარჯიშების ჩატარების ადგილი უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენურ მოთხოვნებს;
4. გამოყენებული ვარჯიშების განმეორებათა რიცხვი და ინტენსივობა უნდა დარეგულირდეს მომეცადინის ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ჯანმრთელობის მდგომარეობის განმტკიცებისათვის და შრომისუნარიანობის ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შენარჩუნებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს დღის რეჟიმს.

დღის რეჟიმი შედგენილი უნდა იყოს ადამიანის შრომითი საქმიანობის სფეროსა და ცხოვრების პირობების გათვალისწინებით. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ წარმოვადგინოთ რეჟიმი შემდეგნაირი ფორმით:

1. ადგომა, დილის ჰიგიენური ტანვარჯიში, გამკაჟებელი პროცედურები, საუზმე;
2. ფეხით გასეირნება 30-35 წუთის განმავლობაში (ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნას გზა სახლიდან სამსახურამდე);
3. შრომითი საქმიანობა;
4. დასვენება;
5. მოძრაობითი აქტივობის სხვადასხვა ფორმების გამოყენება;
6. ვახშამი;
7. ძილის წინ სუფთა ჰაერზე გასეირნება 30-35 წუთის განმავლობაში;
8. დასვენების დღეს 10-15 კილომეტრიანი გასეირნება ბუნების წიაღში.

აქვე მოგვყავს ზოგიერთი რჩევა დღის რეჟიმის კომპონენტების შესახებ.

დილის ჰიგიენური ტანვარჯიში აჩქარებს ორგანიზმის გადასვლას ძილიდან სრული სიფხიზლის მდგომარეობაში, ამაღლებს ცენტრალური ნერვული სისტემის ტონუსს, ააქტიურებს ყველა ორგანოს მუშაობას, ქმნის მხნე და ხალისიან განწყობილებას.

გამოწრთობა-გაკაჟების ტერმინი შემოღებული იქნა ქართველი ფიზიოლოგის ი. თარხნიშვილის მიერ. მან მეცნიერულად დაამტკიცა, რომ ისევე როგორც რკინა წრთობის შედეგად უფრო მტკიცე ხდება, ფოლადად გადაიქცევა, ორგანიზმიც გამოწრთობის შედეგად კაჟდება, უფრო ძლიერი და გამძლე ხდება.

გამოწრთობა-გაკაჟების მიზანია ბუნებრივი ფაქტორების - ჰაერის, წყლისა და მზის სისტემატური გეგმაზომიერი გამოყენება გარემო ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებებისადმი შეგუების უნარის განვითარების მიზნით.

გაკაჟებულ ადამიანს იშვიათად ხვდება გაციებითი დაავადება გრიპი, ზედა სასუნთქი გზების კატარი და ფილტვების ანთება. იგი გამოირჩევა განსაკუთრებული ამტანობით და შრომისუნარიანობით.

გამოწრთობის საშუალებებს შორის ყველაზე ხელმისაწვდომია ცივი წყლის პროცედურები, რომელიც შეიძლება ჩატარდეს ორი ფორმით: ტანის დაზელვა წყალში დასველებული უხეში ტილოთი და წყლის გადავლება.

საჭიროდ მიგვაჩნია, რომ აღვნიშნოთ ჩვენს უნივერსიტეტში მოღვაწე საკმაოდ ასაკოვანი ადამიანების სპორტისადმი დამოკიდებულება, რომელთა დღის რეჟიმი წლების მანძილზე მოიცავდა ყოველდღიურ ფიზიკურ აქტივობას, მათ კი 90 წლამდე იცოცხლეს ყოველგვარი დაავადებების გარეშე. ასეთი ადამიანები იყვნენ ღვაწლმოსილი პროფესორები: შოთა ქურდაძე და გიორგი ავალიანი.

დღეისათვის კი ჯანსაღი ცხოვრების წესის შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენებენ პროფესორები: გედევან ხელაია და ზურაბ ზერაკიძე, რომლებსაც დღემდე არ გაუწყვეტიათ კავშირი სპორტთან.

ლიტერატურა:

1. რ. სვანიშვილი, ფიზიკური კულტურა და ჯანმრთელობა, გამომცემლობა „საბჭოა საქართველო“, თბილისი, 1973.
2. ნ. დვალიშვილი, ჯანმრთელობის ჯგუფი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1987.
3. ც. მხეიძე, ი. გონაძე, გაკაჟება და აქტიური დასვენება, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1987.
4. www.msy.gov.ge

რეზიუმე

ნაშრომი ეხება სხვადასხვა ასაკის ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალებების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნებას.

ნაშრომში მოცემული რეკომენდაციები კი ეხება ფიზიკური აქტივობის სხვადასხვა ფორმების შერჩევას და გამოყენებას.

SPORT, AGE AND HEALTH STRENGTHENING

Aleksandre Iashvili, Professor

RESUME

The article is about establishing sports education as the way of healthy life in everyday routine of people of different ages, that will ensure health and work efficiency for a long period of our life. The recommendations in the article are about choosing and using different forms and kinds of sport activities.

მოქნილობის განვითარების სპეციფიკური თავისებურებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტის გაკვეთილზე

***გიორგი მძინარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი*
***მარიამი უბირია**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი*

ადამიანის ჰარმონიული განვითარება არის რთული მრავალწლიანი პროცესი, რომელიც დამოკიდებულია ბევრ გარე თუ შიდა ფაქტორზე, გარე თუ შიდა პირობებზე. მაგალითად: გენებზე, კვებაზე, კლიმატზე, ძილზე, ადამიანის აქტიურობაზე როგორც ფიზიკურად, ასევე გონებრივად, მავნე ჩვევებზე თუ არსებობს ეს ჩვევები და კიდევ უამრავ ფაქტორზე.

ერთ-ერთი დიდი ადგილი ამ პროცესში უკავია ადამიანის ფიზიკურ აღზრდას და მის ფიზიკურ განვითარებასა და სრულყოფას.

სპორტში ხუთ მომზადებას შორის, რომელსაც გადის სპორტსმენი: (ტექნიკური მომზადება, ტაქტიკური მომზადება, ფიზიკური მომზადება, ფსიქოლოგიური მომზადება, თეორიული მომზადება), ფიზიკურ მომზადებას აქვს პრიორიტეტული მნიშვნელობა და ადგილი. ფიზიკური მომზადება ითვალისწინებს და მიზნად ისახავს ადამიანის ფიზიკური თვისებების განვითარებასა და სრულყოფას და ამით მისი მორფო-ფუნქციური შესაძლებლობების და პოტენციალის ამაღლებას. ფიზიკურ თვისებებს: ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, სიმარჯვე და მოქნილობა აქვთ თავისი შეძენისა და განვითარების სპეციფიკა, ამავდროულად ერთი ფიზიკური თვისება დამოკიდებულია მეორეზე და მასთან ჰარმონიულ კავშირშია.

ამ ნაშრომში ჩვენ გვინდა შევეხოთ ფიზიკურ თვისება-მოქნილობას, მისი გაძლიერების ფორმებსა და შესაძლო ვარჯიშებს სპორტის გაკვეთილზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. მოქნილობაში იგულისხმება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მორფო-ფუნქციური თავისებურებანი, რომელნიც განსაზღვრავენ მისი რგოლების მოძრაობა-უნარიანობის დონეს. მოქნილობის საზომია მოძრაობის მაქსიმალური ამპლიტუდა. მას, ჩვეულებრივ, გამოსახავენ კუთხური ან ხაზობრივი განზომილებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წელს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ნაცვლად მიიღო ახალი საგანი სახელწოდებით - სპორტი. შეიქმნა ახალი საგნობრივი პროგრამა, ახალი სახელმძღვანელო „გზამკვლევის კრებული“, რომელშიც შეტანილ იქნა სპორტის 26 სახეობა, მათ შორის 10 სათამაშო სპორტის სახეობა, 6 ორთაბრძოლის სახეობა და 10 ინდივიდუალური სპორტის სახეობა.

ყველა აღნიშნულ სპორტის სახეობას გააჩნია თავისი არსენალი, მასში შემავალი ტექნიკური მოქმედებები და ილეთები (გამონაკლისია ჭადრაკი), რომლებიც მოითხოვენ მოსწავლეებისაგან ყველა ფიზიკური თვისების განვითარებას და მათ შორის მოქნილობასაც. ეს ფიზიკური თვისება საშუალებას აძლევს მოსწავლეს ეფექტურად აითვისოს ტექნიკური მოქმედება, რომელიც განვითარების თვალსაზრისით ჰარმონიულ კავშირშია ისეთ ფიზიკურ თვისებებთან, როგორიცაა: სიმარჯვე, სისწრაფე, ძალა. მოქნილი ადამიანები ნაკლებად იღებენ ტრავმებს ფიზიკური ვარჯიშის ან რაიმე სპორტის სახეობიდან ტექნიკური ილეთის შესრულებისას.

ყველა ფიზიკურ თვისებას, რომელიც ადამიანს გააჩნია, აქვს თავისი განვითარების, გაძლიერებისა და სრულყოფის სპეციფიკა და თავისებურებები. პროცენტული თვალსაზრისით მოქნილობის განვითარება მეტად შესაძლებელი და ეფექტურია ადრეულ ასაკში, ადამიანის (ბავშვის) მორფოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე.

სპორტსმენის ძალის, სისწრაფის და სხვა მოძრაობითი უნარიანობისაგან განსხვავებით მოქნილობა მიეკუთვნება არა მოძრაობის მიზეზობრივ ფაქტორებს, არამედ საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მორფო-ფუნქციურ თავისებურებებს, რომლებიც განაპირობებენ მისი რგოლების ერთმანეთის მიმართ მოძრავუნარიანობის ხარისხს.

მოქნილობის პოტენციურად შესაძლებელი მაჩვენებლები განისაზღვრება ამა თუ იმ სახსრებისა და შემაერთებელი აპარატის ანატომიური თავისებურებებით. მოქნილობის განვითარება არის მრავალწლიანი სისტემატური, შრომატევადი პროცესი. მოქნილობის მოპოვების შემდეგ ბავშვმა, ახალგაზრდამ ან ზრდასრულმა ადამიანმა უნდა ეცადოს შეინარჩუნოს ის.

სპორტის ყველა სახეობას გააჩნია თავის არსენალში მრავალფეროვანი და მრავალკოორდინირებული ტექნიკური მოქმედებები, რომლებიც გამოირჩევიან და განსხვავდებიან როგორც ძალის გამოყენებით, ისე მათი შესრულების სირთულით თავისი ბიომექანიკური სტრუქტურიდან გამომდინარე. ამიტომ მოქნილობის განვითარება და სრულყოფა უნდა მოხდეს იმ დონეზე, რომ იყოს შესაძლებელი ტექნიკური მოქმედების შესრულება სპორტის არჩეულ სახეობაში.

საგაკვეთილო სასწავლო-საწვრთნო პროცესში სპორტის მასწავლებელმა შესაძლებელია ჩართოს ვარჯიშები მოქნილობაზე გაკვეთილის როგორც მოსამზადებელ, ასევე ძირითად და დასკვნით ნაწილში. გარდა ამისა შეიძლება მიზნად დაისახოს გაკვეთილის ყველა ნაწილში მაქსიმალური ყურადღება გადაიტანოს მოქნილობის განვითარებაზე.

მოქნილობის განვითარების ძირითადი საშუალებაა „გაჭიმვის“ ზოგადმოსამზადებელი და სპეციალურ-მოსამზადებელი ვარჯიშები. ყველა ეს ვარჯიში გამოირჩევა მოძრაობის ამპლიტუდის ზღვრული ზრდით ვარჯიშების სერიული შესრულებისას. ვარჯიშები შეიძლება იყოს: აქტიური, პასიური, კომბინირებული (აქტიურ-პასიური).

„გაჭიმვის“ ვარჯიშთა უმრავლესობა სრულდება დინამიკური შესრულების რეჟიმში. ამ მიზნის განხორციელებისათვის ზოგადმოსამზადებელი ვარჯიშები „გაჭიმულობაზე“ შეირჩევა ძირითად და სპორტულ-გამოყენებითი ტანვარჯიშიდან, სადაც ხდება მოქნილობის განვითარებისა და სრულყოფის ამოცანების დეტალური დამუშავება. ეს ვარჯიშები მოიცავს ისეთ მოძრაობებს, როგორიცაა: მოხრა, განზიდვა, ზნექა, გაშლა, ბრუნება და ამ მოძრაობის შესრულების შედეგად ჩვენ გვეძლევა საშუალება ვიმოქმედოთ ამა თუ იმ სახსარსა და კუნთებზე.

ჩვენი აზრით, მოქნილობის განვითარებისათვის აუცილებელია მიზანმიმართული ვარჯიშების შერჩევა, ამა თუ იმ მოქმედების სტრუქტურის გათვალისწინებით.

ვარჯიშები სახსრების მოძრაობისუნარიანობის განვითარებაზე უნდა იყოს თანმხვედრი კუნთების ძალის განმავითარებელ ვარჯიშებთან და ვარჯიშებთან ფეთქებადი ძალის განვითარებაზე. აღსანიშნავია ის, რომ ადამიანს (სპორტსმენს), რომელიც იყენებს ძალისმიერ ვარჯიშებს, სადაც არის დაბალი ამპლიტუდა, ემატება კუნთოვანი ძალა, მაგრამ საგრძნობლად კლებულობს მოძრაობა და მოქნილობა სახსრებში. თუ მოხდება ძალის განვითარება და გვავიწყდება კუნთების გაწელვა, ან პირიქით მეტ ყურადღებას დავუთმობთ სახსრების მოქნილობის და მოძრაობის განვითარებას და დავივიწყებთ ვარჯიშებს ძალის განვითარებაზე, შედეგი იქნება არასრულყოფილი.

სპორტსმენი და მისი მწვრთნელი, რომელიც იცავს სპორტული თეორიისა და პრაქტიკის გამოცდილებებს, უფრო მალე აღწევს სასურველ მიზანს.

მოქნილობის განვითარებისათვის სასურველი ასაკი არის 10-16 წელი, ესენი არიან ბავშვები მეოთხე-მეათე კლასში. მერეც კი შეიძლება გარკვეული შედეგის მიღწევა, მაგრამ ეს იქნება უფრო ხანგრძლივი პროცესი. შეიძლება აღინიშნოს ის, რომ მოქნილობის განვითარების შესაძლებლობა კლებულობს, ამიტომ აქტიური სპორტსმენები (მოსწავლეები) უნდა ცდილობდნენ სისტემატური ვარჯიშებით მოქნილობის შენარჩუნებას.

მოქნილობის მატება შესაძლებელია ვარჯიშების მრავალჯერადი შესრულების შედეგად. სხვადასხვა სახსარი ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით სხვადასხვა რაოდენობის ვარჯიშს მოითხოვს. მაგალითად ხერხემლის სახსარს ვარჯიშის 100-მდე გამეორება სჭირდება, სხვა სახსრებში მოქნილობის განვითარებისათვის დაახლოებით ამდენივე გამეორება არის საჭირო.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ვიყენებდით და მოსწავლეებს ვავარჯიშებდით ლიტერატურასა და სპორტულ პრაქტიკაში ყველა არსებული მეთოდითა

და საშუალებით. ვარჯიშის პროცესში ჩავრთეთ შემდეგი სპორტული იარაღები: შვედური კედელი, ტანვარჯიშის ლეიბი ან საჭიდაო ლეიბი (ტატამი), ტანვარჯიშის ჯოხი, ტაიჭი სახელურებით და სხვა.

ვიზუალური შეფასების შედეგად მოქნილობის დადგენის სხვადასხვა მეთოდის საშუალებით და მათემატიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე დავადგინეთ, რომ ვარჯიშიდან ვარჯიშამდე, გაკვეთილიდან გაკვეთილამდე ხდებოდა მოქნილობის ზრდა, ეს ბუნებრივია, თუ სასწავლო-საწვრთნო პროცესი მიზანმიმართულია და სწორად არის წარმართული.

ფიზიკური თვისების - მოქნილობის განვითარებითა და სრულყოფით, როგორც ვთქვით, გვეძლევა შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებმა არ მიიღონ დაზიანებები სახსრებში როგორც ყოფით ცხოვრებაში, ასევე სპორტში და ფიზიკური და სპორტული აქტიურობის შედეგად ილეთები შეასრულონ მოხერხებულად.

ლიტერატურა:

1 Матвеев Л.П.,Новиков А.Д. Теория и методика физического воспитания, т.1,М.,Фис,1976.
2. ლ. პ. მატვეევი, ა. დ. ნოვიკოვი, ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის ზოგადი საფუძვლები, ტომი 1, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1979.
3. Туманян Г.С.,Спортивная барьба, М.,Фис,1985.
4. Медведь А.В. Кочурко Е.И. Совершенствование подготовки мастеров спортивной борьбы. Минск, Полымя,1985.
5. ლ. პ. მატვეევი, სპორტული წვრთნის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1987.
6. თ. სანებლიძე, ტანვარჯიში, პირველი ნაწილი, თბილისი, 1992.
7. თ. სანებლიძე, სპორტული ტანვარჯიში - 2-ე, თბილისი, 1983.

რეზიუმე

თავისუფალი სტილის მოჭიდავის მომზადების პროცესში დიდი ადგილი უკავია ფიზიკურ მომზადებას, სადაც ხდება ყველა ფიზიკური თვისების განვითარება და სრულყოფა. ფიზიკურ თვისებებს შორის მოქნილობა ერთ-ერთი ფიზიკური თვისებაა, რომლის განვითარებას სჭირდება სპეციფიკური მიდგომა. ჩვენი აზრით, მოჭიდავეთა მომზადების სასწავლო-საწვრთნო პროცესში მოქნილობის განვითარება უნდა მოხდეს მრავალი ხერხით, მეთოდითა და საშუალებით. ყველა ფიზიკური თვისების განვითარება უნდა მოხდეს ერთმანეთთან ჰარმონიულ კავშირში და სპორტის პრინციპებისა და კანონზომიერებების დაცვით.

SPECIFIC PECULIARITIES OF FLEXIBILITY DEVELOPMENT AT THE SPORT LESSON IN GENERAL EDUCATIONAL SCHOOLS

Giorgi Mdzinarashvili, Associate Professor
Mariami Ubiria, Invited Specialist, Doctor

RESUME

In free wrestling, like in other sport events, there are two difficulties when wrestlers reach older age, two important things. In one case the younger sportsmen who move to older group, they compete with older ones. And in the other case the younger sportsmen worry about this fact, are frightened and have no results.

With other important issues it`s necessary to consider the sportsmen`s age at any stage in the process of training, to develop a variety of stills and methods, to choose and use them correctly.

სპორტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

გიორგი მძინარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს განათლების სისტემაში ეტაპობრივად მიმდინარეობს სხვადასხვა მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელიც ეხება ცვლილებებს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში. ამ რეფორმების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და ამაღლება. ეს პროცესი და მისი ეფექტური შედეგი, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია თითოეულ მოქალაქეზე და ამ სისტემაში მომუშავე სპეციალისტებზე.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი, როგორც ამ პროცესის და სისტემის შემადგენელი ნაწილი მოითხოვს თავის მხრივ სპეციფიკური რეფორმების ჩატარებას. ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილის ძირითადი მიზანია: ჯანმრთელობის განმტკიცება, ტანდეგობის გაუმჯობესება, ბავშვის ჰარმონიული განვითარების ხელის შეწყობა, კოორდინაციის განვითარება. უკვე არსებული და შეძენილი უნარ-ჩვევების განმტკიცება სპორტის სხვადასხვა სახეობებიდან ილეთების შესწავლისა და სრულყოფის საფუძველზე, აგრეთვე ორგანიზმის გაკაჟების წესების დაუფლება, ჰიგიენის შესახებ ელემენტარული ცოდნის შეძენა, აზროვნებისა და მეხსიერების განვითარების ხელის შეწყობა. ამ პირობების დაცვა შესაძლებელია და დამოკიდებულია სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებზე, რომლებზეც ჩვენ არაერთხელ უკვე ვისაუბრეთ ადრე წარმოდგენილ ნაშრომებში. ერთადერთი და დიდი მიზეზი ამ პროცესის წარმართვის არის მასწავლებლის როლი. მოგეხსენებათ სპორტის მომავალი სპეციალისტი იღებს შესაბამის განათლებას გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სპორტის საბაკალავრო პროგრამაზე, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ოთხი წლის მანძილზე საბაკალავრო პროგრამაზე სწავლებისას სტუდენტები გადიან სავალდებულო და არჩევით საგნებს და ახერხებენ ამით არჩეულ სპეციალობაში არსებული ცოდნის მიღებასა და გაძლიერებას. მწვრთნელისა და სპორტის სპეციალისტის პროფესია და მისი პროფესიონალიზმი დამოკიდებულია მის განათლებაზე, რომელიც მიღებულია მის მიერ უნივერსიტეტში და მომდევნო პედაგოგიურ პრაქტიკაზე და გამოცდილებაზე. გარდა ამისა უმაღლეს სასწავლებელში გორის უნივერსიტეტის სტუდენტები გადიან პედაგოგიურ პრაქტიკას სკოლებში, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 6 სამუშაო კვირას (10 კრედიტს). სკოლაში სპორტის ხელმძღვანელის - პედაგოგის მუშაობა უაღრესად საპატიო, მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანია. პედაგოგიური პრაქტიკა სკოლაში ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია. ამ დროს სტუდენტს უხდება პედაგოგის როლში საკუთარი ძალის მოსინჯვა. პედაგოგი თავისი ყოველდღიური საქმიანობით ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის ჰარმონიულ აღზრდას. ყოველი სტუდენტი ვალდებულია იცოდეს, რომ პრაქტიკის პერიოდში ის სკოლაში ასრულებს სპორტის მასწავლებლის როლს და მოვალეობას, ამიტომ პასუხს აგებს გაკვეთილის მომზადებასა და ორგანიზებულად ჩატარებაზე, სპორტში მოსწავლეთა მოსწრებაზე, გაკვეთილის პროცესში გამაჯანსაღებელი, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტაზე. ამ პროცესში მოსწავლეთა მიმართ უნდა იყოს მომთხოვნი და ამავე დროს ჰქონდეს გულისხმიერი დამოკიდებულება. პედაგოგიური პრაქტიკის ნორმალური მსვლელობისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგი პირობების გათვალისწინებას. სხვანაირად რომ ვთქვათ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსამზადებელ პერიოდს. 1. უნდა მოხდეს სკოლის დირექტორის დასახული ამოცანების გათვალისწინება; 2. უნდა შედგეს სპორტის მასწავლებელთან საუბარი - სკოლაში სპორტის განხორციელების თავისებურებებზე, გაკვეთილის ორგანიზაციასა და ჩატარებაზე, სკოლაში კლასგარეშე მუშაობის მიმდინარეობაზე; 3. პრაქტიკანტი ინფორმირებული უნდა იყოს სკოლის ექიმისგან მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ, უნდა მოხდეს კლასების ხელმძღვანელებთან საუბარი მოსწავლეების შესახებ საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციის მისაღებად; 4. დასახული მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელია სკოლაში არსებული სპორტული ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და ხელსაწყოების გათვალისწინება; 5. სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს სკოლის მოსწავლეთა ფიზიკურ მომზადებას, სპორტულ მიღწევებს, სამედიცინო მონაცემებს; 6. გაეცნოს ყველა სამუშაო კლასში დამრიგებლის მიერ წარმოდგენილ სამუშაო გეგმას; 7. საფუძვლიანად შეისწავლოს კლასის ყველა მონაცემი, შეადგინოს მისი სრული დახასიათება, დაუკვირდეს მოსწავლეთა ქცევას გაკვეთილზე; 8. გაეცნოს კლასის წლიურ სასწავლო გეგმა-გრაფიკს; 9. შეადგინოს ყველა კლასისათვის სამუშაო გეგმა; 10. გაეცნოს სკოლის სპორტის მასწავლებლის კლასგარეშე მუშაობის გეგმებსა და

სააღრიცხვო მონაცემებს; 11. დაესწროს მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, შენიშვნები ჩაიწეროს დღიურში; 12. შეადგინოს მუშაობის ინდივიდუალური გეგმა, დაიწყოს დღიურების სისტემატური წერა; 13. დაეხმაროს სკოლის მასწავლებელს გაკვეთილის ორგანიზაციასა და ჩატარებაში; 14. მეცადინეობის დამოუკიდებლად ჩასატარებლად შეადგინოს თავისი კლასისთვის გაკვეთილის კონსპექტები.

ლიტერატურა:

1. გზამკვლევის კრებული სპორტის სახეობებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (VII–XII კლასები), თბილისი, 2010.
2. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები (მესამე ნაწილი), სპორტის თეორია, თბილისი, 2007.
3. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები, ტომი II, თბილისი, 2004.
4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2002.
5. მ. მაისურაძე, „ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“, თბილისი, 1987.

რეზიუმე

პედაგოგიური პრაქტიკა, რომელსაც გადიან სტუდენტები სასწავლო პროცესში, არის ამ პროცესის განუყრელი შემადგენელი ნაწილი, სადაც იწყება სტუდენტის ცხოვრებაში ახალი ეტაპი. ხდება უნივერსიტეტის კედლებში მიღებული ცოდნის რეალობად ქცევა. ეფექტური შედეგის მისაღწევად სტუდენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს ნაშრომში წარმოდგენილი პირობები.

PEDAGOGICAL PRACTICE FOR SPORTS BACHELOR PROGRAM STUDENTS IN GENERAL EDUCATIONAL SCHOOLS

Giorgi Mdzinarashvili, Associate Professor

RESUME

Pedagogical practice, which students have during studing at the university, is inseparable part of the learning. This is the beginning of a new stage in the students' life. Students have opportunity to transfer the acquired theoretical knowledge into practice. In the presented work students have to take into account the conditions in order to have an effective result.

ნორჩ მოსწავლეთა საერთო ფიზიკური მომზადების ზრდის დინამიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სადაც სპორტის სახეობად არჩეულია თავისუფალი ჭიდაობა

გიორგი მძინარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

თავისუფალი ჭიდაობა არის ერთ-ერთი საინტერესო და მრავალფეროვანი ჭიდაობის სახეობა, რომელიც გამოირჩევა თავისი ფილიგრანული ტექნიკით, სანახაობითა და დინამიკით. თავისუფალი სტილის მაღალკვალიფიციური მოჭიდავე ყოველმხრივ მომზადებულია. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ სტილში მოვარჯიშე სპორტსმენები გადიან დიდ დატვირთვას და ვინც ასრულებს ამ ყველაფერს, ის აღწევს დიდ წარმატებას.

თავისუფალი ჭიდაობა გამოიკვეთება ჭიდაობის და სპორტის სხვა სახეობებს შორის არსენალში შემავალი ტექნიკური ილეთების რაოდენობის თვალსაზრისით დომინანტად. სპორტის არცერთ სახეობაში არ არის იმდენი ტექნიკური მოქმედება, რამდენიც თავისუფალ ჭიდაობაში, საერთო ჯამში ილეთების რაოდენობა აღემატება 1000-ზე მეტს. ეს, ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას აადვილებს შეხვედრის წარმოების უნარს, მეორე მხრივ კი ართულებს. არ შეიძლება, რომ არ აღინიშნოს - თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გამოირჩევიან თავისი ფიზიკური შესაძლებლობებით გამორჩეულ ფიზიკური მომზადების მხარეებთან ერთად.

იმ ზოგადსაგანმანათლებლო (საჯარო) სკოლებში საქართველოს მასშტაბით, სადაც თავისუფალი ჭიდაობაა არჩეული სპორტის საგაკვეთილო პროგრამაში, შესაძლებელია ფიზიკური მომზადების ნორმატივების ორგანიზებული ჩატარება.

ფიზიკური მომზადება არის საფუძველი იმისა, რომ მოსწავლემ, სპორტსმენმა წარმატებულად აითვისოს და სრულყოფილების სიმაღლეზე აიყვანოს სპორტში და, კერძოდ, თავისუფალ ჭიდაობაში არსებული ტექნიკური არსენალი და მიაღწიოს დიდ წარმატებას. სასურველი სისწრაფის, ძალის, გამძლეობის, სიმარჯვისა და მოქნილობის გარეშე შეუძლებელია დიდი შედეგის მიღწევა და ჭიდაობის ტექნიკისა და ტაქტიკის მაღალ დონეზე აყვანა (ვ.მ.ზაციორსკი, 1969; ვ. ვ. მაკლაკოვი; ვ. ი. რუდნიცკი, 1976; ა. დ. ეგიაზიარიანი, 1976; ი. ვ. ვერხოშანსკი, 1977; ს. ფ. იონოვი, 1978; ვ . ნ. ვიკულინი, ვ. ი. კოსტიანოვი, ა. ნ. სოროკა, ე. გ. კოსოი, ტ. ა. ტრეტილოვა, 1979; ვ. გ. ივლევი, 1980; ი. გ. ზამიატინი, 1982; ი. მ. ზაკარიაევი, 1982; გ. ი. პოპოვი, ვ. ვ. რეზინკინი, ა. ო. აკოპიანი, 2000).

სპორტული ჭიდაობა მოითხოვს და საჭიროებს ფიზიკური თვისებების განვითარებას. მთავარს მათ შორის ჭიდაობის სპეციალისტები, მწვრთნელები და მოჭიდავეები ასახელებენ: ფეთქებად ძალას, რეაქციის სისწრაფეს, კოორდინაციას და გამძლეობას. ძირითად ფიზიკურ თვისებად მიიჩნევენ: სიმარჯვეს, მოქნილობას, სასტარტო სისწრაფეს, ძალის სისწრაფეს, მაქსიმალურ ძალას; დამატებით მიაკუთვნებენ სტატიკურ ძალას. აუცილებელია ამ ფიზიკური თვისებების ერთმანეთთან დაკავშირება, რომლებიც მათი განვითარებისა და ზრდის შემთხვევაში ხელს შეუწყობენ მოსწავლეების ოსტატობის ამაღლებას არჩეული სპორტის სახეობაში.

ფიზიკური თვისებების განვითარებისათვის ძირითადი საშუალება არის ფიზიკური ვარჯიშები. სპორტის თეორიასა და პრაქტიკაში მათ ყოფენ ოთხ ძირითად ჯგუფად: საშეჯიბრო, სპეციალური, ზოგადმოსამზადებელი და ზოგადგანმავითარებელი (ა. ვ. მედვედი, ე. ი. კოჩურკო, 1985).

ჩვენ მიერ სასწავლო წლის პერიოდში ჩატარებული იყო 11-12 წლის მოსწავლეთა ტესტირება საერთო ფიზიკურ მომზადებაში სამ ეტაპად. სასწავლო წლის დასაწყისში, სასწავლო წლის დაწყებიდან 5 თვის შემდეგ და სასწავლო წლის ბოლოს 9 თვის შემდეგ. ჩვენ გამოვიყენეთ 8 საკონტროლო ნორმატივი:

1. მხრის სახსრის მოქნილობის დასადგენად;
2. მენჯბარძაყის სახსრის მოქნილობის დასადგენად;
3. ღერძზე მიზიდვაში;
4. იატაკიდან აზიდვაში;
5. ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში;
6. თანაბარი წონის პარტნიორთან ჩაჯდომაში;
7. 10 მეტრზე სირბილი;
8. სირბილი 500 მეტრზე დროის დანიშვნის გარეშე.

რაც შეეხება პირველ ნორმატივს და პირველ ეტაპს, სადაც ხდებოდა მოსწავლეთა ტესტირება - მხრის სახსრის მოქნილობის დასადგენად ეს მაჩვენებელი არის 0,046 სმ, მეორე ეტაპზე 0,017 სმ, მესამე ეტაპზე კი 0,010 სმ. ე.ი. მოხდა მოქნილობის კარგი ზრდა მხრის სახსარში.

მეორე ნორმატივის (ტესტირების) ჩატარების შედეგად, რომელიც ეხება მენჯბარძაყს, უნდა აღინიშნოს რომ მოქნილობის მაჩვენებელი პირველ ეტაპზე შეადგენდა 7,06 სმ-ს; მეორე ეტაპზე 8,33 სმ-ს, რაც შეეხება მესამე შემოწმების ეტაპს, მისმა სიდიდემ მიაღწია 9,53 სანტიმეტრს.

ღერძზე მიზიდვის ნორმატივის დროს პირველ ეტაპზე ეს მაჩვენებელი იყო 3,66; მეორეზე 5,4, მესამეზე 6,2.

აზიდვები იატაკიდან, მაჩვენებლები ასე განაწილდა: პირველ ეტაპზე 26,46; მეორეზე 32,93; მესამე ეტაპზე 34,53.

რაც ეხება ტესტს - ადგილიდან სიგრძეზე ხტომა, ეტაპიდან ეტაპამდე ცვლილებები არ იყო ძალიან შესამჩნევი.

შემდეგი ნორმატივი - ბუქნები საკუთარი წონის პარტნიორთან ერთად: პირველ ეტაპზე მისი მაჩვენებელია 20,0; მეორეზე გაიზარდა 25,53-მდე; რაც ეხება მესამე ეტაპს, ეს რიცხვი არის 31,2.

სირბილი 10 მეტრზე იყო შემდეგი ნორმატივი: პირველ ეტაპზე ეს რიცხვი არის 3,16 წმ; მეორეზე 2,92 წმ; მესამე ეტაპზე 2,87 წამი.

500 მეტრი, დროის განსაზღვრის და დაფიქსირების გარეშე, გაირბინა ყველა მოსწავლემ.

ჩატარებულმა ტესტირებამ და მიღებულმა შედეგებმა მოგვცა იმის საშუალება რომ ვთქვათ: კანონზომიერი, მიზანმიმართული და რაციონალური საშუალებების გამოყენებით საჯარო სკოლებში სპორტის გაკვეთილის წარმართვის პროცესში შესაძლებელია როგორც მოსწავლეთა ტექნიკური უნარ-ჩვევების ათვისება და სრულყოფა, ასევე მოსწავლეთა მორფოფუნქციური შესაძლებლობების ზრდა და ამასთანავე ეს შესაძლებლობები ჰარმონიულ კავშირშია ერთმანეთთან.

ჩვენ ვაძლევთ რეკომენდაციას იმ სკოლებს, სადაც სპორტის საგნობრივი პროგრამის საფუძველზე არჩეული აქვს სპორტის გაკვეთილად თავისუფალი ჭიდაობა - ეტაპობრივად მოსწავლეებში ჩაატარონ ტესტირება ზემოდ აღნიშნულ ნორმატივებში საერთო ფიზიკური მომზადებიდან, ეს დაეხმარება სპორტის პედაგოგს სასურველი მიზნის მიღწევაში.

ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი „საზრისი“, შრომათა კრებული, თბილისი, 2003.
2. А. В. Медведь, Е. И. Кочурко Совершенствование подготовки мастеров спортивной борьбы, Минск, ,,Полымя” 1985.
3. Г. С. Туманян, Спортивная борьба, М, ФиС, 1985.
4. მ. ოყროშიძე, მ. თიკანაძე, ვ. ბალავაძე, ი. ალიხანოვი, თავისუფალი ჭიდაობა, თბილისი, 1970.

რეზიუმე

საექსპერიმენტო ჯგუფის მოჭიდავეთა ფიზიკური მომზადების ეტაპობრივი ტესტირების მიღებული მონაცემების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული ახალი მეთოდიკა - ტექნიკური მოქმედებების შესწავლისა - მნიშვნელოვნად ამაღლებს მოჭიდავეთა ფიზიკურ თვისებებს.

GENERAL GROWTH DYNAMICS OF YOUNG PUPILS IN GENERAL EDUCATIONAL SCHOOLS, WHERE WRESTLING IS CHOSEN

Giorgi Mdzinarashvili, Associate Professor

RESUME

The physical preparation testing of experimental group wrestlers on a different stages and its data basis,show that new methods which are used by us to study technical actions significantly improve wrestlers physical characteristics.

სტოქასტიკური აპროქსიმაციის მეთოდის ეფექტურობა ენერგოსისტემების ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტისას

თინათინ მშვიდობაძე, ასოცირებული პროფესორი

ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტა ენერგოსისტემების განვითარებისას. ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტისას და განსაკუთრებით ელექტროსისტემების განვითარებისას უმთავრესია შემთხვევითი ხასიათის საწყისი ინფორმაციის აღრიცხვა. განვიხილავთ სტოქასტიკური აპროქსიმაციის მეთოდის გამოყენებას ელექტროენერგეტიკული სისტემის განვითარების მოდელისათვის ამოცანების გადაწყვეტის დროს.

ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტისათვის ალბათობის თეორიის გამოყენება აუცილებელია, რადგან მოდელზე შედეგის სამართლიანობას განაპირობებს საწყისი ინფორმაციის შესაბამისობა რეალურ მდგომარეობასთან.

საწყისი მონაცემების ოპტიმიზაციის ამოცანა შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით, განვსაზღვროთ:

$$\min N(Z,D) \tag{1}$$

შეზღუდვებისას ტოლობის სახით:

$$W(Z,D)=0 \tag{2}$$

და უტოლობით:

$$F(Z,D)\le 0 \tag{3}$$

სადაც $N(Z,D)$ – მიზნის ფუნქციაა.

Z - ცვლადების N განზომილებიანი ვექტორია.

D - საწყისი მონაცემების ვექტორი.

შემდგომში საწყისი მონაცემების ალბათურ-განმსაზღვრელი ვექტორი ავღნიშნოთ D_w^*, მიზნის ფუნქცია კი $N(Z,D_w)$.

ოპტიმიზაციის ამოცანების ალბათური დასმისას ამონახსნის ამორჩევისათვის გამოიყენება სპეციალური კრიტერიუმები. ხშირად ოპტიმალურ კრიტერიუმად მიიღება მიზნის ფუნქციის მათემატიკური ლოდინი.

ამ შემთხვევაში ოპტიმიზაციის ალბათური ამოცანა დაიყვანება მიზნის ფუნქციის მინიმიზაციამდე შემდეგი სახით:

$$Q(Z)=\underset{D_w}{M}\left[N(Z,D_w)\right] \tag{4}$$

სადაც M – მათემატიკური ლოდინის სიმბოლოა. მიზნის ფუნქცია (4) აშკარა ფორმით უცნობია. ცნობილია მხოლოდ მისი რეალიზაციები $N(Z,D_w)$, რომელიც დამოკიდებულია Z ვექტორზე და შემთხვევით ვექტორზე D_w.

სტოქასტიკური აპროქსიმაციის მეთოდის გამოყენება ოპტიმიზაციის ამოცანის გადასაწყვეტად შეზღუდვების გარეშე.

ტოლობა (4) დაიყვანება იტერაციულ პროცესამდე [1].

$$Z^{n+1}=Z^n-\delta^{n+1}\times grad_z N(Z^n,D_w^{n+1}) \tag{5}$$

სადაც $grad_z N(Z^n,D_w^{n+1})$ – გრადიენტია $(n+1)$ ბიჯზე. $\delta^{n+1}-(n+1)$ – ბიჯის სიდიდეა.

პროცესი (5) მისაღებია იმ შემთხვევაში, როდესაც $gradN(Z^n,D_w^{n+1})$ მოცემულია ანალიტიკურად. რეკომენდებულია შემთხვევით შევცვალოთ საწყისი მონაცემები, გრადიენტის ყოველი კომპონენტის გამოთვლისას, ანუ განვსაზღვროთ სტოხასტიკური გრადიენტი გამოსახულებით:

$$grad_z N(Z^n,D_w^{n+1})=\sum_{j=1}^{N}\frac{N(Z^n+\rho^{n+1}\ell_j,D_w^{n+1})-N(Z^n,D_w^{n+1})}{\rho^{n+1}}\times\ell_j \tag{6}$$

სადაც ρ^{n+1} – საცდელი ბიჯია Z –ზე სტოქასტიკური აპროქსიმაციის $(n+1)$ ბიჯზე.

სიზუსტე ასეთი გამოთვლებისას სტოქასტიკური გრადიენტისა არსებითად დამოკიდებულია შემთხვევითი საწყისი მონაცემების ვექტორის მერყეობის ხასიათზე D_w^{n+1} მათემატიკური ლოდინის ფარდობითობით.

სტოქასტიკური აპროქსიმაციის მეთოდის გამოყენების დროს კრებადობა შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვანაირად. პროცესის კრებადობა საშუალო კვადრატულამდე, თუ თანმიმდევრობა (Z^n) აკმაყოფილებს პირობას:

$$\lim_{x\to\infty} M\left\{\left\|Z^n - \overset{*}{Z}\right\|^2\right\} = 0 \qquad (7)$$

სადაც $\left\|Z^n - \overset{*}{Z}\right\| - Z^n - \overset{*}{Z}$ ვექტორის ნორმაა.

$\overset{*}{Z}$ - ცვლადების ვექტორების ოპტიმალური მნიშვნელობაა.

სტოქასტიკური აპროქსიმაციის პროცესი დაიყვანება ერთის ალბათობამდე, თუ

$$P\left\{\lim_{x\to\infty}\left\|Z^n - \overset{*}{Z}\right\| = 0\right\} = 1 \qquad (8)$$

გამოიყენება სტოქასტიკური აპროქსიმაციის კრებადობა მიზნის ფუნქციაზე. მაგალითად სტოქასტიკური აპროქსიმაციის პროცესი დაიყვანება ერთეულ ალბათობაზე, თუ მიზნის ფუნქციის მნიშვნელობები $Q(Z^n)$, რომლებიც განისაზღვრება $\left\{Z^n\right\}$ მიმდევრობით, აკმაყოფილებენ პირობას:

$$P\left\{\lim_{x\to\infty}\left[Q(Z^n) - Q(\overset{*}{Z})\right] = 0\right\} = 1 \qquad (9)$$

სადაც, $Q(\overset{*}{Z}) = \min_{Z} Q(Z)$.

სტოქასტიკური აპროქსიმაციის პროცესი ქვევით ამოზნექილი ფუნქციისათვის ანალიტიკური გამოსახულებისას $grad_z N(Z, D_w)$ დაიყვანება ერთეულ ალბათობაზე, თუ შესრულებულია შემდეგი პირობები:

სადაც, $Q(\overset{*}{Z}) = \min_{Z} Q(Z)$.

$$\delta^n > 0\,,\ \sum_{n=1}^{\infty}\delta^n = \infty\,,\ \sum_{n=1}^{\infty}(\delta^n)^2 < \infty \qquad (10)$$

$$\underset{D_w}{M}\left\{\left\|grad_z N(Z, D_w)\right\|^2 / Z^1, \ldots, Z^n\right\} \le B < \infty \qquad (11)$$

(10) პირობები განსაზღვრავენ (11) ალგორითმის ისეთ არჩევანს, როდესაც იცვლება ფუნქციონალი (4)-ის შემცირების მიმართულებით. ელექტროქსელის პროექტირების დროს ელქსელს კონფიგურააციის ოპტიმიზაციისას ვარაუდობენ, რომ კაპიტალური დაბანდებებები ერთდროულია, საწარმოო ხარჯები კი მუდმივია დროში.

დაპროექტებული ელექტროქსელი წარმოდგენილია მაკავშირებელ გრაფად, რომელიც შეიცავს $R+1$ წვეროებს (კვანძს). მითითებული გრაფი შეიცავს N განშტოებას (ხაზები ან ტრანსფორმატორული ქვესადგურები). ცნობილია აქტიური სიმძლავრეები ყველა ქსელის კვანძისა, ამასთან გენერატორულ სიმძლავრეებს დატვირთულ კვანძებში ენიჭება სხვადასხვა ნიშნები.

ელექტროქსელის ოპტიმალური კონფიგურაციების განსაზღვრის დეტერმინირებული ამოცანა დაიყვანება მინიმიზაციის ფუნქციამდე მოყვანილი ხარჯებისა [2]:

$$I(q, p) = \sum_{s=1}^{N} I(q_S, p) \qquad (12)$$

შეზღუდვებისას

$$\Pi_i P = P^b \qquad (13)$$

$$|P| \le P_{\max} \qquad (14)$$

$$q_{\min} \le q \le q_{\max} \qquad (15)$$

სადაც $q=[q_s],\ S=1,\dots N$ – შტოს მდგომარეობის ვექტორია.

$P=[P_s],\quad S=1,\dots,N$ - შტოებში აქტიური სიმძლავრის დინების ვექტორია.

$q_{\min}=[q_{s\min}],\ q_{\max}=[q_{s\max}]$ - შტოებზე ზღვრულად დაშვებული დინების ვექტორია.

$P^b=\left[P_r^b\right],\ r=1,\dots,R$ -ზედა და ქვედა ზღვრების შესაძლებელი მდგომარეობის ვექტორების ვექტორები თითოეული შტოს ქსელისათვის.

Π_I - გრაფის წვეროებისა და შტოების ინციდენციის მატრიცაა.

ქსელის კონფიგურაციის ოპტიმიზაციის ამოცანა საწყისი ინფორმაციისას ალბათურ-განმსაზღვრელ ხასიათზე მდგომარეობს შემდეგში. განვსაზღვროთ:

$$\min_{p,q} Q(p,q)=\min_{p,q} \underset{D_w}{M}\left[\sum_{s=1}^{N} N_s(p_s,q_s,D_w)\right] \qquad (16)$$

$$\underset{D_W}{M}\left(\Pi_i P-P_W^b\right)=0 \qquad (17)$$

$$\underset{D_W}{M}\left(|P|-P_{\max}\right)\le 0 \qquad (18)$$

$$q_{\min}\le q\le q_{\max} \qquad (19)$$

შემთხვევით ხასიათს D_W –ში შეიძლება ჰქონდეს შემდეგი საწყისი მონაცემები: გენერატორული და სატვირთო კვანძების სიმძლავრეები, ელექტროენერგიის კარგვის ღირებულება, ელექტროენერგიის კარგვების დრო.

ოპტიმალური კონფიგურაციის განსაზღვრის ამოცანა საწყისი ინფორმაციით ალბათურ-განმსაზღვრელი ხასიათისას დაიყვანება ვექტორების პოვნასთან, რომლებიც საშუალოდ იძლევიან ქსელში კარგვის მინიმუმს.

(17) შეზღუდვის დეტერმინირებულ სახეზე დაყვანა ანალიტიკურად ძალიან რთულია, რადგან ნაკადის ვექტორი აქტიური სიმძლავრეებისა არა აშკარად დამოკიდებულია ვექტორზე. (18) აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ამ შეზღუდვების დარღვევა ზოგიერთი საწყისი მონაცემების რეალიზაციისას.

(17) – (19) ამოცანების დასმისას მოცემული ნაკლი შეიძლება მოვაცილოთ თუ მოვითხოვთ შეზღუდვების შესრულებას, წინასწარ მოცემული ალბათობით გამშვებ შესაძლებლობებზე ანუ (18)-ის ნაცვლად გამოვიყენოთ შეზღუდვები:

$$\mathrm{Q}\left(|\mathrm{P}|-P_{\max}\le 0\right)\ge C \qquad (20)$$

როცა შეზღუდვა $C_s=1,\ S=1,\dots,N$ (20) ალბათობით გარდაიქმნება ხისტად ანუ ნებისმიერი შემთხვევითი D_W რეალიზაციისას უნდა დაკმაყოფილდეს შეზღუდვები გამტარიანურობით. (20) შეზღუდვა ადვილად დაიყვანება ჩანაწერთან, რომელიც ანალოგიურია (17)-ისა.

გათვლითი ხარჯების ფუნქცია S –თან კავშირში უბან-უბან წრფივია და აქვს პირველი რიგის გახლეჩვები $P_S=0$ –ისას, ამიტომ ელექტროქსელების კონფიგურაციის ოპტიმიზაციის ამოცანა ალბათურ-განმსაზღვრელი ხასიათისას საწყისი ინფორმაციით წარმოადგენს მრავალექსტრემალურ სტოქასტიკურ არაწრფივ ამოცანას.

ამგვარად, სტოქასტიკურ არაწრფივი პროგრამირების ამოცანის გადასაწყვეტად შეიძლება ვისარგებლოთ სტოქასტიკური აპროქსიმაციის მეთოდით [3].

ლიტერატურა:

1. Гладышев.Е.Г. О стохастической апроксимации. Теория вероятностей и ее применение. Т. IO, №2, 1965, 12 стр.
2. Идельчик Е.М. Определение оптимальной конфигурации электрической сети и динамике с помощью релаксации по непрерывным и дискретным переменным. Тр. Иркутского политехнич. ин-та №72, Иркутск, 1971, Стр 25-53.
3. Вопросы применения математических методов при управлении режимами и развитием электрических систем. Труды иркутского политехнического института, Иркутск, 1972, стр. 71-90.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტა ენერგოსისტემების განვითარებისას. მოდელზე ოპტიმალური გადაწყვეტის მიღებისას აუცილებელია საწყისი ინფორმაციის შემთხვევითი ხასიათის გათვალისწინება. ამ მიზნისათვის გამოყენებულია სტოქასტიკური აპროქსიმაციის მეთოდი. ნაჩვენებია სტოქასტიკური აპროქსიმაციის მეთოდის გამოყენება ოპტიმიზაციის ამოცანის გადასაწყვეტად შეზღუდვების გარეშე. გაანალიზებულია ელექტროქსელების კონფიგურაციის ოპტიმიზაციის ამოცანა, რომელიც ალბათურ-განმსაზღვრელი ხასიათისას საწყისი ინფორმაციით წარმოადგენს მრავალექსტრემალურ სტოქასტიკურ არაწრფივ ამოცანას.

საკვანძო სიტყვები: აპროქსიმაციის პროცესი, ოპტიმალური კრიტერიუმი, მიზნის ფუნქცია.

THE EFFECTIVENESS OF THE STOCHASTIC APPROXIMATION METHOD TO SOLVE THE TASKS OF ENERGY SYSTEM OPTIMIZATION

Tinatin Mshvidobadze, Associate Professor

RESUME

The article discusses the optimization of power system development tasks. The optimal decision the model it is necessary to provide the accidental character of initial information, for this purpose there is used the method of stochastic approximation. It is shown to use the Stochastic Approximation Method to decide the Optimization Problem without Restrictions. It is analyzed the task of optimizing the configuration of the electrodes is analyzed, which probably is a multi-stroke stochastic nonlinear task with the initial information.

Keywords: Approximation process, optimal criterion, function purpose.

ბიზნესი და მართვა
Business and Management

საქართველოში მოქმედი საინვესტიციო ფონდები და მათი საქმიანობის პრიორიტეტები

თეა ანესაშვილი, *მოწვეული სპეციალისტი*

სს „საპატრნიორო ფონდი“ 2011 წელს დაფუძნდა, სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე, იგი სახელმწიფო საინვესტიციო ფონდია. იგი 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაა, არსებული კაპიტალი: 1.4 მლრდ. აშშ $-ია. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით. ფონდის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია: აგრობიზნესი, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი. „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობა ხორციელდება ორი მიმართულებით, ესაა: აქტივების მართვა და საინვესტიციო საქმიანობა. ფონდის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2012 წელს 750 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. სს „საპარტნიორო ფონდი“ უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში, მისი

სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან:

• საქართველოს რკინიგზა. აერთიანებს და მართავს საქართველოს სარკინიგზო ხაზებს (ჯამში 1,326 კმ და 114 სადგური) და მოძრავ შემადგენლობას, ახორციელებს სამგზავრო გადაყვანებსა და სატვირთო გადაზიდვებს. კომპანიის მოძრავი შემადგენლობა მოიცავს 139 ლოკომოტივს, 8,122 სატვირთო ვაგონს, 98 სამგზავრო ვაგონს. 2012 წლის ბოლოსთვის საქართველოს რკინიგზაში დასაქმებულებთა რაოდენობამ 12,000 ადამიანს გადააჭარბა. სს „საპარტნიორო ფონდის“ წილი - 100%, ჯამური აქტივები: 2,8 მილიარდი ლარი;

• საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ბუნებრივი აირის იმპორტი, გაყიდვა და გაზსადენების გაქირავება. კორპორაციას გააჩნია ეროვნული ნავთობის კომპანიის იურიდიული სტატუსი და წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესებს ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირების კუთხით. სს „საპარტნიორო ფონდის“ წილი - 100%, ჯამური აქტივები: 878,3 მლნ ლარი;

• საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა არის დისპეჩერიზაციის ლიცენზიის ექსკლუზიური მფლობელი, რომლის სერვისებით სარგებლობს 50-მდე კომპანია საქართველოში. კომპანია აწარმოებს ტექნიკურ კონტროლს მთლიან ელექტრო სისტემაზე, უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად. კომპანიას არ გააჩნია უფლება იყიდოს ან გაყიდოს ელექტროენერგია. სს „საპარტნიორო ფონდის“ წილი - 100%, ჯამური აქტივები: 1 მილიარდი ლარი;

• ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო). ესკოს მთავარი ფუნქციებია: საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა, გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა, საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და წარმოება, საქართველოს ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიისა და სიმძლავრის მიწოდება-მოხმარების დაგეგმვის მიზნით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა. სს „საპარტნიორო ფონდის“ წილი - 100%, ჯამური აქტივები: 33,8 მლნ ლარი;

• თელასი. თელასის ძირითადი საქმიანობაა თბილისში ელ. ენერგიის დისტრიბუცია კომუნალური და კომერციული მომხმარებლებისთვის. თელასის 75%-ის მფლობელია INTER RAO UES, ხოლო 24.53% არის საპარტნიორო ფონდის მფლობელობაში. დარჩენილი 0.47% ეკუთვნის კერძო პირებს. ჯამური აქტივები - 287,2 მლნ ლარი.

სს „საინვესტიციო ფონდის“ საინვესტიციო საქმიანობა განხორციელდა შემდეგ პროექტებში:

• სასტუმრო ჯინო ველნეს სპა. 38 ნომრიანი სასტუმრო და სპა ცენტრი ისტორიული რაბათის ციხის ტერიტორიაზე. ახალციხე, სამცხე ჯავახეთი. ინვესტორი: Eurocom Investment Georgia. ფონდის მონაწილეობის ფორმა: სესხი სულ ინვესტიცია: $5 მლნ. გაიხსნა: 2013 წლის აპრილში.

• მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობა კალანდა. ფერმა აღჭურვილი უახლოესი ტქნოლოგიებით. კოდა, ქვემო ქართლი. ინვესტორი: GeoAgro Ltd. ფონდის მონაწილეობის ფორმა: სესხი სულ ინვესტიცია: $5 მლნ. გაიხსნა: 2013 წლის ივნისში.

• სასტუმრო როიალ ბატონი. 32 ნომრიანი სასტუმრო. ყვარელი, კახეთი. ინვესტორი: ვინივერია ჯგუფი ფონდის მონაწილეობის ფორმა: სესხი სულ ინვესტიცია: $2,5 მლნ. გაიხსნა: 2013 წლის ივნისში;

• სამშენებლო მასალის საწარმო. ინდუსტრიული დანიშნულების შენობების მშენებლობისას გამოყენებული სამშენებლო მასალის, ე.წ. პოლიურეთანისსენდვიჩ პანელების საწარმო. ინვესტორი: შპს „აი-სი-ი-ეს" ჯამური ინვესტიცია: $6 მლნ. ფონდის მონაწილეობის ფორმა: კაპიტალი, სტატუსი: მშენებლობა;

• სამაცივრე მეურნეობა. თბილისის ლოგისტიკური ცენტრი, 4,700 ტონა ტევადობის სამაცივრე მეურნეობით, რომელიც აღჭურვილია ULO-ს სისტემის დანადგარებით. ჯამური ინვესტიცია: 7 მლნ $ ფონდის მონაწილეობის ფორმა: კაპიტალი, სტატუსი: მშენებლობა;

• გარდაბნის თბოსადგური. საქართველოში პირველი კომბინირებული ციკლის გაზის თბოელექტროსადგური (სიმძლავრე 230 MW). მშენებელი თურქული კომპანია ჩალიკ ენერჯი. გარდაბანი, ქვემო ქართლი. ინვესტორი: საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია ჯამური ინვესტიცია: $220 მლნ. ფონდის მონაწილეობის ფორმა: კაპიტალი, ამოქმედდა 2015 წელს;

• სასტუმრო Rixos Borjomi. 152 ნომრიანი სასტუმრო და დასასვენებელი კომპლექსი. ლიკანი, ბორჯომი, სამცხე ჯავახეთი. გაიხსნა 2014 წლის ბოლოს. სასტუმროს ოპერატორი: Rixos ინვესტორი: შპს „ყაზმუნაიგაზ სერვისი“ ჯამური ინვესტიცია: $48 მლნ. ფონდის მონაწილეობის ფორმა: კაპიტალი და ა.შ.

2013 წლის 30 სექტემბერს დაფუძნდა „საქართველოს თანაინვესტირების ფონდი“ 6 მილიარდი აშშ$ კაპიტალით. ფონდის საქმიანობა ძირითადად ენერგეტიკის, წარმოების, ტურიზმის, ლოჯისტიკის და სოფლის მეურნეობის სფეროებში განსახორციელებელ პროექტებს მოიცავს. ფონდის საქმიანობა მიზნად ისახავს ქვეყნის „მთავარი გამოწვევის“ დაძლევას, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური სიძნელეების გადალახვას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. თანაინვესტირების ფონდის სხვა ინვესტორები არიან: აბუ დაბი ჯგუფი (Abu Dhabi Group); რას ალ ხაიმას საინვესტიციო სამმართველო (RAKIA) ; ჩალიკ ჰოლდინგი თურქეთიდან (Çalik Holding); მაილსტოუნ ინთერნეიშენელ ჰოლდინგსი ჩინეთიდან (Milestone International Holdings); აზერბაიჯანის სახელმწიფოს ნავთობის ფონდი; ყაზტრანსოილის (KazTransOil) შვილობილი კომპანია - ბათუმის ინდუსტრიული ჰოლდინგი, რომელიც ბათუმის საზღვაო პორტის მმართველია; ასევე მილიარდერი და სამთომომპოვებელი გიგანტის ENRC–ს აქციონერი ალექსანდრე მაშკევიჩი, ბიძინა ივანიშვილი და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი.

პოტენციური საინვესტიციო პროექტის მინიმალური ღირებულება სულ ცოტა 5 მილიონ აშშ დოლარს უნდა შეადგენდეს იმისათვის, რომ თანაინვესტირების ფონდმა ისინი დააფინანსოს. არსებული სქემის თანახმად, ფონდის წილობრივი თანამონაწილეობა საინვესტიციო პროექტებში 25-დან 75%-მდე განისაზღვრება დაახლოებით შვიდი წლით, რაც შესაძლოა მაქსიმუმ კიდევ ორი წლით გახანგრძლივდეს. მაქსიმუმ ცხრა წლის შემდეგ თანაინვესტირების ფონდი გამოდის თავისი საინვესტიციო პროექტებიდან საკუთარი წილის პროექტის ერთ–ერთი თანამფლობელისთვის და მესამე მხარისთვის მიყიდვის გზით ან საფონდო ბირჟაზე პირველადი განთავსების (Initial Public Offering, IPO) გზით.

თანაინვესტირების ფონდში 2013 წელს ხელმისაწვდომი 6 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის კაპიტალის ნახევარი ენერგეტიკის სფეროს მოხმარდა, დაახლოებით 1.5 მილიარდი აშშ დოლარი წარმოების სფეროს, ხოლო 1 მილიარდი ტურიზმის სფეროს მოხმარდა. დარჩენილი თანხა კი სოფლის მეურნეობის და სხვა პოტენციურ საინვესტიციო პროექტებზე გადანაწილდა.

“თანაინვესტირების ფონდმა” რვა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი წარადგინა, რომელთა ნაწილი უკვე მშენებლობის ეტაპზეა. პროექტების ჯამური საინვესტიციო ღირებულება 574 მლნ აშშ დოლარია, მშენებლობის პროცესში კი 15 ათასი ადამიანი დასაქმდება. თანაინვესტირების ფონდის ახალი პროექტებია: სასტუმრო თავისუფლების მოედანი, სასტუმრო სოლოლაკი, თაბორის სარეკრეაციო სივრცე, სასტუმრო ერეკლე მეორის მოედანზე, კიდევ ერთი სასტუმრო ამავე მოედანზე, სასტუმრო განმუხური, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი “მაგნოლია” ბათუმში, სასტუმრო “შეკვეთილი”.

ფონდის მიერ განხორციელებული ინვესტიციები კი მოიცავს შემდეგ პროექტებს:

- ფონდმა პირველი ინვესტიცია განახორციელა ენერგეტიკის სფეროში, პროექტში „მტკვარი ჰესი“, რომელიც მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ახალციხის რაიონში, მდინარე მტკვარზე. ჰესის დადგმული სიმძლავრე 53.3 მგვტ-ი იქნება, წლიური ელ. ენერგიის გამომუშავება კი 255,2 გეგავატი. სთ. პროექტის სრულად განხორციელებით ენერგეტიკის სფეროში $98 მლნ ამერიკული დოლარის ინვესტიცია ჩაიდება. დასაქმებულთა რიცხვი 100-ს გაუტოლდება.
- ფონდის რიგით მეორე, $15 მლნ ამერიკული დოლარის ღირებულების ინვესტიცია განხორციელდა ტექნოლოგიების სფეროში, კერძოდ კომპანია BitFury-ში, რომელმაც საქართველოში კრიპტოვალუტა Bitcoin-ის იმ დროისთვის მსოფლიოში უმსხვილესი საპროცესინგო დატა ცენტრი განათავსა. აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში უახლესი მიღწევების დანერგვას და ექსპერტული ცოდნის გაზიარებას. პროექტის ფარგლებში შეიქმნა 20 მუდმივი მაღალინტელექტუალური სამუშაო ადგილი.
- ფონდის მესამე ინვესტიცია სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელდა. ეს გახლავთ 35 ჰა სასათბურე მეურნეობის განვითარების პროექტი ქვემო ქართლის რეგიონში, გარდაბანის რაიონში, რომლის ჯამური საინვესტიციო ღირებულება $40 მლნ ამერიკულ დოლარს შეადგენს. წარმოებული პროდუქციის მოცულობა პირველ ეტაპზე წლიურად 4,000 ტონას გაუტოლდება; სრულად განხორციელების შემდეგ კი 15, 000 ტონას. სათბურის მშენებლობის პროცესში ამჟამად დასაქმებულია 100-ზე მეტი ადამიანი, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ პროექტის ფარგლებში შეიქმნება 80 მუდმივი სამუშაო ადგილი, რომლის ძირითადი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობით (გარდაბნის რაიონი) დაკომპლექტდება. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პროექტის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ წლიურად 435,000 ლარის ოდენობის შემოსავალი შევა.

ფონდი პროექტს ახორციელებს ფრანგულ თანაინვესტორ კომპანია „რიშელ ჯგუფთან“ და ქართულ კომპანია „აი-სი-ი-ეს“-თან ერთად.

საქართველოს ტანაინვესტირების ფონდი გამოვიდა ინიციატივით, რომ პოტენციური ინვესტორებისთვის შეეთავაზებინა რვა (8) პროექტი, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 574 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, აქედან დღეის მდგომარეობით პროექტებში უკვე ინვესტირებულია 216 მილიონი ლარი. მშენებლობების პროცესში დასაქმდება 15,000 ადამიანზე მეტი, ხოლო კომპლექსების ამოქმედების შემდეგ პირდაპირ მუდმივად დასაქმდება დაახლოებით 2,500 ადამიანი. ეს პროექტებია:

- სასტუმრო შეკვეთილში, ინვესტიციის მოცულობა 75 მილიონი აშშ დოლარი - პროექტი დასრულდება 2016 წელს;
- სასტუმრო ერეკლე II-ის მოედანზე, ინვესტიციის მოცულობა 9 მილიონი აშშ დოლარი - პროექტი დასრულდება 2017 წელს;
- სასტუმრო ერეკლე II-ის მოედანზე, ინვესტიციის მოცულობა 40 მილიონი აშშ დოლარი - პროექტი დასრულდება 2019 წელს;
- სასტუმრო თავისუფლების მოედანზე, ინვესტიციის მოცულობა 90 მილიონი აშშ დოლარი - პროექტი დასრულდება 2018 წელს;
- თაბორის პროექტი, ინვესტიციის მოცულობა 40 მილიონი აშშ დოლარი - პროექტი დასრულდება 2018 წელს;
- სასტუმრო განმუხური, ინვესტიციის მოცულობა 40 მილიონი აშშ დოლარი - პროექტი დასრულდება 2018 წელს;
- სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი მაგნოლია, ინვესტიციის მოცულობა 80 მილიონი აშშ დოლარი - პროექტი დასრულდება 2019 წელს;
- სასტუმრო სოლოლაკი, ინვესტიციის მოცულობა 200 მილიონი აშშ დოლარი - პროექტი დასრულდება 2019 წელს.

თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთი თანამონაწილე, ბიზნესმენი ალექსანდრ მაშკევიჩი, პარტნიორებთან ერთად, მზადაა, საქართველოში რამდენიმე პროექტი განახორციელოს კომპანიების მეშვეობით, რომელთა ინტერესის ძირითად საგანს სამედიცინო მომსახურებისა და ფარმაცევტული სექტორები წარმოადგენს. ეს ის სფეროებია, სადაც, საერთაშორისო მასშტაბით, ალექსანდრ მაშკევიჩს დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი. ფარმაცევტულ სფეროში ოპერირება დაიწყო კომპანია „ჰუმანითი ჯორჯიამ“, რომლის მიერ იმპორტირებული ხარისხიანი მედიკამენტები რამდენიმე დღეში გამოჩნდება სააფთიაქო ქსელებში. „ჰუმანითი ჯორჯიას“ დაწყებული აქვს რეგიონში უპრეცედენტო მასშტაბის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფარმაცევტული ქარხნის, ხარისხის კონტროლის ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სერთიფიცირებული ლაბორატორიისა და სასაწყობო ცენტრის მშენებლობა. ჰოსპიტალური განვითარების პროექტის ტენდერში მონაწილეობას იღებს „ალფამედიკ კონსორციუმი“, რომელიც, გამარჯვების შემთხვევაში, მზადაა, სექტორში სოლიდური ინვესტიციები განახორციელოს. ინვესტიციები გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე და მათი მიზანია კონკურენტული გარემოს ხელშეწყობა, ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მედიკამენტებზე ფასების შემცირება. ალექსანდრ მაშკევიჩის ბიზნეს–ჯგუფი საქართველოში სხვა სისტემურ პროექტებშიც გეგმავს ინვესტირებას.

ეკონომიკის სტრუქტურული დივერსიფიკაციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში ფუნქციონირებს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი, რომელიც მუშაობს განვითარების პოტენციალის მქონე დარგების აღმოჩენაზე, ანალიზზე და ამ პროექტების განხორციელებაში კერძო სექტორის ჩართვაზე. დარგების ვერტიკალური ინტეგრაციის ხელშეწყობაზე, ანუ ღირებულებათა ჯაჭვებში ჩავარდნების გამოვლენაზე და ამ ჩავარდნებზე მთავრობის ძალისხმევის ორიენტირებაზე. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ საქართველოს განვითარების დონის ქვეყნებისთვის ეკონომიკური ზრდა ეკონომიკის დივერსიფიკაციით მიიღწევა. დივერსიფიკაციისთვის აუცილებელია ახალი დარგების, ახალი პროდუქტებისა და ახალი ბაზრების განვითარება; ყველაფერ ამას, ჩვენ, ახალ ეკონომიკურ საქმიანობას ვუწოდებთ. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ახალი ეკონომიკური საქმიანობის გასავითარებლად საჭიროა სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტენსიური თანამშრომლობა. ამ მიზნით, სამინისტროში ერთი წლის წინ შეიქმნა ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი, რომლის მიერ მომზადებული პროექტების ჯამური საინვესტიციო შესაძლებლობა 80 მილიონი აშშ დოლარია. მათი სრულად განხორციელების შემთხვევაში, დასაქმდება 1000 ადამიანი, არაპირდაპირ დასაქმდება დამატებით რამდენიმე ათასი ადამიანი.

ერთწლიანი არსებობის განმავლობაში ინდუსტრიული განვითარების ჯგუფმა სხვადასხვა დარგის 13 საწარმოს პროექტი შექმნა, რომლებიც რამდენიმე მიმართულებითაა მომზადებული. კერძოდ, ასანთის წარმოება, მწვანილის საექსპორტო კომპანია, თბილისის ქვის გადამამუშავებელი საწარმო, პანკისის

დიაბაზის მოპოვების პროექტი, დაფნის ფოთლის გადამუშავება-დაფასოება/დაფნის ფოთლის ეთერზეთის დამზადება, სამკერვალო საწარმო, ტექსტილის წარმოება, კერამიკული ფილების წარმოება, მუყაოს ყუთების წარმოება, ფოთის ქვის გადამამუშავებელი საწარმო, ფოლადის მილების წარმოება, რძის გადამამუშავებელი საწარმო და ეთერზეთების წარმოება.

ლიტერატურა:

1. ა. ცერცვაძე. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ფინანსური კაპიტალის შემოდინების უმნიშვნელოვანესი წყარო საქართველოში“. ჟურნალი - ახალი ეკონომისტი. თბ. 2015, გვ. 44-46.
2. ლ. მიქავა. „მუნიციპალური საინვესტიციო პოლიტიკა“. ჟურნალი - სოციალური ეკონომიკა. თბ. 2014, #3, გვ. 202-206
3. მ. ჭიპაშვილი. „საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის“. სეუ. 2014, #1, გვ. 130-138.
4. თ. კასრაძე. „საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი“. ჟურნალი - ეკონომისტი. თბ. 2014, #5, გვ. 33-42.
5. თ. იობაშვილი. „2014 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა“. ჟურნალი - აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. თბ. 2015, #4, გვ. 33-37.
6. თ. აბსანძე. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: მოცულობის ცვლილება და საბოლოო შედეგი“. Forbes Georgia. - თბ. 2014, N29, გვ.116-118
7. მ. გელაშვილი. “პირდაპირი უცხიური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში“. ჟურნალი - პროფესიონალის ხმა. ქუთაისი. 2014, #1, გვ. 27-31.
8. მ. ხაჩიძე. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე“. ჟურნალი - სოციალური ეკონომიკა. თბ. 2014 #1. გვ. 154-157.
9. თ. ბაქანიძე. „ინვესტიციები და საინვესტიციო მიმზიდველობა“. ჟუნალი - სოციალური ეკონომიკა. თბ. 2014, #2, გვ. 150-152.
10. მ. ხაჩიძე. „უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო ფონდები გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში“. ჟურნალი - სოციალური ეკონომიკა. თბ. 2014, #2, გვ. 153-155.

რეზიუმე

საქართველოში ხელსაყრელი კლიმატის ფორმირება წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ქვეყნის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასება ნებისმიერ საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის შედარებითი შეფასების ისტორია 30 წელზე მეტს ითვლის. საინვესტიციო პოლიტიკა, როგორც საინვესტიციო აქტივობისათვის წანამძღვრების, შესაძლებლობებისა და პირობების სისტემის შექმნის ამსახველი საქმიანობა, ერთნაიარად ეხება არა მარტო ყველა დონის სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოებს, არამედ მეწარმეებსაც. განსაზღვრულია სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს შეადგენს. ახალი ინვესტორების გააქტიურებისათვის ეფექტიანი ინვესტირების უზრუნველმყოფი პრაქტიკული ზომების მიღება უფრო მეტად მეწარმეობას ეხება. მოთხოვნის დაკმაყოფილების გზაზე წარმოების დაყენება, მწარმოებლური შრომის სტიმულირების შექმნა, შრომისა და მართვის თანამედროვე ორგანიზაციის გამართვა, ინვესტიციების მაღალი ეფექტიანობისა და სწრაფად გამოსყიდვის რეალიზება შეუძლიათ მხოლოდ მეწარმეებს, იმ მეურნე სუბიექტებსა და საწარმოებს, რომლებიც ინიციატივიანი და ეფექტიანი საქმიანობით არიან დაინტერესებული და საკუთარი კაპიტალით მიდიან რისკზე. ინვესტიციების მეშვეობით ამჟამად გადასაჭრელია სამამულო წარმოების პროდუქციის უდიდესი ნაწილის კონკურენტუუნარობის დაძლევის ურთულესი ამოცანა, თანაც, ეს ეხება არა მარტო ხარისხს, არამედ წარმოების ხარჯებსაც. სწორედ ამ პრობლემების დასაძლევად შეიქმნა საქართველოში ორი მნიშვნელოვანი საინვესტიციო ფონდი - საპარტნიორო და თანაისნვესტირების ფონდი.

INVESTMENT FUNDS OPERATING IN GEORGIA AND THEIR PRIORITIES

Tea Anesashvili, Invited specialist

RESUME

the formation of favorable climate in Georgia is one of the important factors for attracting investments and further economic development of the country. Investment attractiveness of the country is an important prerequisite for any investment decision. The history of comparative assessment of the investment climate of different countries in the world counts for more than 30 years. Investment policy. As an activity reflecting the creation of the system of prerequisites, opportunities and conditions for investment activity. Not only does the state governments and state governments not only manage all levels but also entrepreneurs. The State Amendment Policy defines the state's economic and social policy. Practical measures to ensure effective investments to activate new investors are more entrepreneurial. Satisfying way to install the production, stimulating the creation of productive labor, labor and management of the organization to hold a high-efficiency investments quickly and redemption can only be sold to entrepreneurs, the economic entities and enterprises, which are active and effective work and are interested in their own boats and take risks. Through investments, it is now a difficult task to overcome the competitiveness of a large part of the production of the indigenous products, and this concerns not only the quality but also the cost of production. In order to overcome these problems, two important Investment Funds in Georgia - Partnership and Co-investment Fund were created.

გლობალიზაციის გავლენა უმუშევრობაზე

ლია ბიბილაშვილი, ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო ეკონომიკაში აღინიშნება ძირეული ცვლილებები. გლობალიზაცია გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროზე და მათ შორის უმუშევრობაზეც. გლობალიზაციის გავლენის თავისებურებები დამოკიდებულია მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკებში არსებულ მდგომარეობაზე. თუ მსოფლიო ეკონომიკა გამართულად ფუნქციონირებს, მაშინ ეროვნული ეკონომიკებისთვისაც ხელსაყრელი გლობალური პირობები იქმნება და პირიქით. თუმცა ცალკეულ ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს მსოფლიო ეკონომიკაში არსებულ პირობებს. ეს უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის ჩართულობის ხარისხზე გლობალიზაციის პროცესებში, ასევე მოცემული ქვეყნის რესურსებით უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური განვითარების დონეზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობაზე.

უმუშევრობაზე გლობალიზაციის გავლენა განვითარებულ, განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. განვითარებულ ქვეყნებს აქვთ მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უდიდესი დონე, XX საუკუნის მიწურულს მათზე მოდიოდა მსოფლიო წარმოების 55%. მათგან აღსანიშნავია ეგრეთ წოდებული ,,შვიდეული“ (აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, კანადა), რომლებიც აწარმოებენ მსოფლიო შიგა პროდუქტის 44%-ზე მეტს. ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია უმუშევრობის დაბალი დონე, მაგრამ გლობალიზაცია მაინც დიდ გავლენას ახდენს მასზე.

შეიძლება გამოიყოს გლობალიზაციის ორი დიდი პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს უმუშევრობის ზრდაზე განვითარებულ ქვეყნებში: პირველი, მაღალი ტექნოლოგიების (უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების) ფართომასშტაბიანი დანერგვა, რომელიც სულ უფრო და უფრო ნაკლებ შრომას მოითხოვს ყოველ შექმნილ ახალ პროდუქციაზე, რაც თანდათან წარმოებიდან დენის დაბალ კვალიფიკაციურ მუშახელს და რაც მოქმედებს უმუშევრობის დონის ზრდის მიმართულებით. მეორე, გლობალიზაციის პირობებში განვითარებული ქვეყნები მიისწრაფიან თავიანთი წარმოება გაიტანონ საზღვარგარეთ იქ არსებული იაფი სამუშაო ძალისა და ბუნებრივი რესურსების გამო. შედეგად, ბუნებრივია ეს პროცესი იწვევს დასაქმების შემცირებას ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით, გადამამუშავებელ მრეწველობაში. ამიტომ, სამუშაო ადგილები მცირდება იმ სფეროებში, რომელიც ორიენტირებულია შიგა მოხმარებაზე. შესაძლებელია ეკონომიკის ამ ორ სფეროს შორის დასაქმების მიმართულებით ბალანსი დაირღვეს და დიდი უმუშევრობა გამოიწვიოს. მაგალითად, ამერიკის

შეერთებულ შტატებში საექსპორტო სექტორში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ბევრი სამუშაო ადგილი შემცირდა. ამაზევე მეტყველებს მონაცემები იმის შესახებ, რომ მსოფლიოში 2006-2007 წლებში შექმნილი 45 მლნ ახალი სამუშაო ადგილიდან მხოლოდ 4% მოდიოდა განვითარებულ ქვეყნებზე. ამ პროცესს, ამავე დროს, მოსდევს სამუშაოს პოვნის გაძნელება დაბალი კვალიფიკაციის მქონე უმუშევრებისათვის, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათი შესაბამისი სამუშაო ადგილების გატანა ხდება საზღვარგარეთ. განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დაბალი დონის შესანარჩუნებლად, ანუ უმუშევრობის ზრდის ზემოთ მოყვანილი ორი ფაქტორის კომპენსაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, ინოვაციების მეშვეობით უნდა მოხდეს ახალი ადგილების წარმოქმნა უმთავრესად მომსახურების სფეროში. მართალია, მომსახურებაშიც ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ზრდის უმუშევართა რაოდენობას, მაგრამ, ჩნდება მომსახურების ახალი სახეობები, რაც ასაქმებს გამოთავისუფლებულ მუშახელს პერსპექტივაში. ახალი სფეროები წარმოიშობა ასევე ეკონომიკის რეალურ სფეროში. განვითარებად ქვეყნებს მიეკუთვნება სახელმწიფოები საბაზრო ეკონომიკით და ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით. თუმცა, ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ამ ჯგუფში შემავალ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა და დღესაც გრძელდება მათი დიფერენციაციის პროცესი.

ამდენად, ამ ქვეყნებში უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია, მაგრამ პერსპექტივაში თუ პროცესები ასე გაგრძელდა, სამუშაო ძალა აქაც გაძვირდება და კაპიტალის შემოდინება შემცირდება. ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა შეძლეს განევითარებინათ მრეწველობა, განსაკუთრებით, მისი საექსპორტო დარგები. ისინი თანდათან ამაღლებენ თავიანთ კონკურენტუნარიანობას, ამიტომ ამ ქვეყნებში დაბალია ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე (შემოსავლების უკიდურესი სიმცირე, სიღარიბე, ძლიერ ცუდი საცხოვრებელი პირობები, არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობა, არასაკმაო განათლება ან მთლიანად უქონლობა, დაბალ ასაკში სიკვდილიანობის მაღალი დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობის ცუდი მაჩვენებლები და ა.შ). ეკონომიკაში წამყვანი მდგომარეობა უჭირავს მიწათმოქმედების ჩამორჩენილ, მათ შორის, არქაულ ფორმებს. მრეწველობა ძალზე მცირედაა განვითარებული. ამ ქვეყნების ექსპორტში ძირითადად ფიგურირებს ტრადიციული პროდუქცია. ნაკლებად განვითარებული ქვეყნები სუსტად არიან ჩართული გლობალიზაციის პროცესებში და მათზე გლობალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს. ამიტომაც უმუშევრობისა და შემოსავლების უთანაბრობის დონეზე მაღალია.

შრომის ბაზრის რეგულირება (როგორც დასაქმებაზე მოქმედი ღონისძიებების ორგანიზებული სისტემა) უნდა წარმოადგენდეს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. გლობალიზაციის გავლენა უმუშევრობაზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს კრიზისების პერიოდში. თანამედროვე გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ყველაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა განვითარებულ ქვეყნებზე (ანუ იმ ქვეყნებზე, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ჩართულნი იმ გლობალურ პროცესებში). ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ევროზონა (აქედან საბერძნეთი, ესპანეთი, ირლანდია, ესტონეთი და პორტუგალია) გარდა გერმანიისა. უმუშევრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ლიტვა, ლატვია და სლოვენია. განვითარებადი ქვეყნები შედარებით სტაბილურობას ინარჩუნებენ (გარდა ბულგარეთისა). ბევრგან უმუშევრობის დონის შემცირებაც კი შეიმჩნევა, განსაკუთრებით კრიზისის შემდგომ პერიოდში (ბრაზილია, ჩინეთი, ჩილე, ინდოეთი, ყაზახეთი, მაკედონია, საუდის არაბეთი და სხვ.). დიდი გავლენა იქონია საფინანსო კრიზისმა შრომის ბაზარზე. უმუშევრობის დონე მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა და დღესაც კრიზისამდელ ნიშნულზე მაღალი რჩება. ამჟამად მსოფლიოში აღინიშნება უმუშევართა ყველაზე დიდი რაოდენობა - 200 მილიონი კაცი. გლობალიზაციასთან ერთად წარმოიშობა შრომის გლობალური ბაზარი, რომელზეც კონკრეტულ საფუძველზე ხდება უცხო სამუშაო ძალის დაქირავება. ბუნებრივია, შრომის გლობალური ბაზარი გავლენას ახდენს შრომის როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ ბაზრებზე. გლობალური ბაზრის უშუალო მონაწილეებად შეიძლება ჩაითვალონ ტრანსნაციონალური კომპანიების ან სხვა სუბიექტების მუშაკები, რომლებიც გადიან საერთაშორისო ბაზარზე და მიგრანტები.

ამჟამად მიმდინარეობს გლობალური შრომის ბაზრის ფორმირების პროცესი და საბოლოოდ მასში ჩართული აღმოჩნდება ყველა ქვეყანა. ამდენად აუცილებელია ამ პროცესის საერთაშორისო რეგულირება, პროცესები რომ სწორად წარიმართოს.

ლიტერატურა:

1. აბესაძე რ., ეკონომიკური განვითარება. “მერიდიანი“, თბილისი, 2006.

2. აბესაძე რ., კაკულია ე., მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. "პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი", თბილისი, 2009.
3. წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ., პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები. (საქართველოს მაგალითზე), „მეცნიერება", თბილისი, 2004, გვ. 52.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის გავლენის თავისებურებები უმუშევრობაზე, რაც დამოკიდებულია მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკებში არსებულ მდგომარეობაზე. მუდმივ ცვლილებასა და სრულყოფაში მყოფი ეროვნული და გლობალური შრომის ბაზრების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების გაძლიერება, რათა მოხდეს ეროვნულ და გლობალურ ინტერესთა სრული თანხვედრა.

INFLUENCE OF GLOBALIZATION ON UNEMPLOYMENT

Lia Bibilashvili, Associate Professor

RESUME

Globalization influences all the sectors of national economy including unemployement. The peculiarities of influence of globalization on unemployment depends on the circumstance existing in world and national economies. The article analyzes the peculiarities the influence of globalization on unemployment in developed, developing and post communist countries and that of international labor market ar current stage.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების სრულყოფის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

დავით ბიძინაშვილი, პროფესორი

შესავალი: ყოველი ქვეყანა, საგადასახადო სისტემისა და ეროვნული კანონმდებლობისგან გამომდინარე, აფუძნებს და იყენებს ეროვნული აღრიცხვის სტანდარტებს.

შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სრულყოფის პრიორიტეტები განისაზღვრა საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული თეორიულ-მეთოდოლოგიური კონცეფციების, არსებული პრაქტიკისა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნების საფუძველზე.

საქართველოში დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა საჭიროებს ტრანსფორმაციას, რაც დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე რადიკალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებთან, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებასთან და ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების გაღრმავებასთან.

მსჯელობა: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებამ და ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოქმნის პრაქტიკამ, დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემის სრულყოფა, რომელიც წარმოადგენს ფუნქციურ კომპლექსს და უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციული მაჩვენებლების მიზანმიმართული უწყვეტი შერჩევის პროცესს, რაც აუცილებელია ეფექტური კორპორაციული მმართველობითი გადაწყვეტილებების,

ანალიზის, დაგეგმვისა და ანგარიშგების მომზადებისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდიკის მოსაწესრიგებლად ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სფეროში ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებით, შესაძლებელია, მნიშვნელოვანწილად, აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების საერთაშორისო მიმართულებების ჰარმონიზაცია ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების მასშტაბით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ჰარმონიზაცია ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობასთან, ეროვნული სტანდარტის შექმნა შესაძლებელია, რომელიც დაეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების გააზრებას.

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო ფუძემდებლური პრინციპების დამკვიდრება უნდა დაეფუძნოს პრაქტიკაში ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებას, სადაც ბუღალტრულ აღრიცხვას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მენეჯმენტის სრულყოფის საქმეში.

საქართველოში დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემის ტრანსფორმაციის აუცილებლობა დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე რადიკალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებთან, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებასთან, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების გაღრმავებასთან.

საქართველოში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რაც არის გარანტი იმისა, რომ სამსახურის საქმიანობა: ა) შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, დანერგილია და გამოიყენება საუკეთესო პრაქტიკებით აღიარებული აუდიტორული მიდგომები, ბ) დეპარტამენტი ხელმძღვანელობს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტით (ISQC 1; ISSAI 40; ISSAI 1220), როგორც ინსტიტუციურ, ისე ინდივიდუალური აუდიტების დონეზე. ხარისხის კონტროლის დანერგვა გულისხმობს ორეტაპიანი სისტემის ჩამოყალიბებას აუდიტორული პროცედურების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკის ანალიზით გამოვლინდა, რომ 1990-იან წლებში შეიქმნა პირველი დამოუკიდებელი საკანონმდებლო ბაზა, სადაც საქართველომ აღიარა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, შემოიღო პროფესიული თვითრეგულირებისა და პროფესიული სერტიფიცირების პრაქტიკა, განსაზღვრა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ღონისძიებები, რითიც მნიშვნელოვნად დაუახლოვდა რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკას. ხოლო 2012 წელს განხორციელებული აღრიცხვა-აუდიტის მარეგულირებელი კანონების მოთხოვნების პრაქტიკაში დანერგვით განისაზღვრა საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებები. აღინიშნა ქვეყანაში დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციებისა და დონორი ორგანიზაციების როლი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვისა და ბუღალტერთა გადამზადებისა და პროფესიული სერტიფიცირების პროცესების დაწყების სფეროში.

ქართული აუდიტორული კომპანიების 2014-2016 წლების შემოსავლების შედარებითი ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ მოთხოვნა ხარისხიან აუდიტორულ (ბუღალტრულ) მომსახურებაზე (რომელიც მოიცავს ბუღალტრულ და საკონსულტაციო მომსახურებას, ექსპერტიზას, საფინანსო დაბეგვრის, ქონების ღირებულების საშემფასებლო საქმიანობას და სხვა საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ საქმიანობებს) ყოველწლიურად იზრდება.

კვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოში აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების აღიარება და ქართულ ენაზე გამოცემა აუდიტორული საქმიანობის განვითარებისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, აუდიტის სტანდარტების მოთხოვნების პრაქტიკულად გამოყენებისათვის.

ამრიგად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პრაქტიკის ეროვნული სისტემის სრულყოფით შესაძლებელი იქნება: მეწარმეობისა და კაპიტალური ბაზრის განვითარება, ფინანსური ფონდების შექმნა და სხვ., რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას, ინვესტორების გარანტირებულობისა და ბიზნესპარტნიორებს შორის ურთიერთნდობის განმტკიცებას.

ღონისძიებები და დასკვნა:

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კერძოდ:

1) საქართველოში არსებული მარეგულირებელი ორგანოს (ორგანოების) აღჭურვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმებითა და იძულებითი უზრუნველყოფის შესაბამისი უფლებამოსილებით;

2) სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ფინანსური ანგარიშგების ცენტრალიზაცია უფლებამოსილების მქონე ერთ ორგანოში;

3) ახალი ორგანოს შექმნა (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, რომელიც უკვე შეიქმნა და თანდათან იხვეწება), რომელიც იქნება სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების (აუდიტორული ფირმების) რეგულირებაზე ან/და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანო აუდიტის დირექტივის მოთხოვნის შესაბამისად;

4) მარეგულირებლების ინსტიტუციური შესაძლებლობების უწყვეტი ზრდა ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგის და უზრუნველყოფის მიზნით;

5) თანამშრომლობის გაძლიერება მთავრობასა და ბუღალტრული აღრიცხვის (აუდიტის) პროფესიულ ასოციაციებს შორის ფასს-თან შესაბამისობის ასამაღლებლად, აუდიტზე ხარისხის კონტროლის დასაწესებლად, სტანდარტების დროული თარგმნის უზრუნველსაყოფად და უწყვეტი პროფესიული განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

6) შესაბამისობის მარეგულირებელ ორგანოებში მექანიზმების მნიშვნელოვანი გაძლიერება სტანდარტებთან შესაბამისობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად და შეუსაბამობისათვის შესაბამისი სანქციების დასაწესებლად.

შესაბამისად, აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით განისაზღვრება ორი ძირითადი მიმართულება:

1. შემუშავებული უნდა იქნეს აუდიტის სრულყოფის მარეგულირებელი მექანიზმი, ტექნიკური და ეთიკური სტანდარტები, პრაქტიკული და თეორიული რეკომენდაციები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა და განხორციელება უზრუნველყოფს აუდიტის აუცილებელ ხარისხს.

2. შემუშავებული უნდა იქნეს შემოწმების ისეთი პროგრამა როგორც შიდა საფირმო, ისე ამ ფუნქციების განმახორციელებელი უფლებამოსილი უწყებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს აუდიტის ხარისხის გასაუმჯობესებლად დასახული ღონისძიებების პოლიტიკისა და პროცედურების ობიექტურ შემოწმებას, ნაკლოვანებების გამოვლენას და ხელს შეუწყობენ მათ გამოსწორებას.

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ბაზის აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროების ანალიზით, გამოვლინდა პროფესიის რეგულირების სრულყოფის აუცილებლობა. საქართველოში თანამედროვე ეტაპზე განათლების ხარისხის შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების ყველა დონეზე საჭიროებს გაუმჯობესებას. შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიის შემდგომი განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფესიული განათლების სტანდარტის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების სრულყოფას, რამეთუ განათლების ხარისხის ამაღლება ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის გააძლიერებს ანგარიშგების წარდგენის პრაქტიკას და აამაღლებს ინფორმაციის ხარისხს.

შესაბამისად, საქართველომ უნდა განახორციელოს ძირითადი ცვლილებები საკუთარი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე. ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობის პროგრესული მისწრაფება საკანონმდებლო ბაზის რეფორმირებისაკენ, რომელიც არსებითი წინაპირობაა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების რეგულირების უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად შემდეგი ღონისძიებების გატარებით შესაძლებელი იქნება: ა) ფასს-ის თარგმნის პროცესის გაუმჯობესება, ბ) მიკროსაწარმოებისთვის შემდგომი ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტების შემუშავება და მიღება და გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიური და პრაქტიკის სახელმძღვანელოების შემუშავება, რაც გაუმჯობესებს აუდიტორული პროფესიის ხარისხს საქართველოში და უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობის ამაღლებას ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი ინფორმაციის მიმართ.

კვლევის შედეგად წარმოდგენილი მეთოდოლოგიურ პრაქტიკული რეკომენდაციებისა და ღონისძიებების ერთობლიობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და კონტროლინგის სისტემის საკანონმდებლო ნორმატიული რეგულირების პროცესში, ბუღალტერთა (აუდიტორთა) პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების ხარისხის ასამაღლებლად, ასევე ბიზნესის ღირებულებითი შეფასების მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული სრულყოფისთვის.

ლიტერატურა:
1. საქართველოს კანონი - ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ"; 08..06.2016 წ; 5386-IIს;
2. საქართველოს კანონი - ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ"; 26.03.2010 წ; 179-რს;
3. საქართველოს კანონი - ,,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ"; 26.12.2008 წ; #880-რს;
4. გ. ბარბაქაძე, დ.ბიძინაშვილი, ,,ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი", (სახელმძღვანელო), 2012, გამომცემლობა - ,,ახალციხის უნივერსიტეტი", 338 გვ.
5. დ. ბიძინაშვილი, ,,აუდიტის საფუძვლები", (სახელმძღვანელო), გამომცემლობა - ,,ახალციხის უნივერსიტეტი", 2016, 330 გვ.
6. http://sao.ge/
7. https://saras.gov.ge/
8. http://www.mof.ge/

რეზიუმე

ყოველი ქვეყანა, საგადასახადო სისტემისა და ეროვნული კანონმდებლობისგან გამომდინარე, აფუძნებს და იყენებს ეროვნული აღრიცხვის სტანდარტებს.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებამ და ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოქმნის პრაქტიკამ, დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემის სრულყოფა, რომელიც წარმოადგენს ფუნქციურ კომპლექსს და უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციული მაჩვენებლების მიზანმიმართული უწყვეტი შერჩევის პროცესს, რაც აუცილებელია ეფექტური კორპორაციული მმართველობითი გადაწყვეტილებების, ანალიზის, დაგეგმვისა და ანგარიშგების მომზადებისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდიკის მოსაწესრიგებლად ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ბაზის აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროების ანალიზით, გამოვლინდა პროფესიის რეგულირების სრულყოფის აუცილებლობა. საქართველოში თანამედროვე ეტაპზე განათლების ხარისხის შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების ყველა დონეზე საჭიროებს გაუმჯობესებას. შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიის შემდგომი განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფესიული განათლების სტანდარტის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების სრულყოფას, რამეთუ განათლების ხარისხის ამაღლება ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის გააძლიერებს ანგარიშგების წარდგენის პრაქტიკას და აამაღლებს ინფორმაციის ხარისხს.

PROBLEMS AND PROSPECTS OF IMPROVEMENT OF ACCOUNTING AND AUDITING AREAS IN GEORGIA

Davit Bidzinashvili, Professor

RESUME

Every country is based on tax system and national legislation and uses national accounting standards.

The strengthening of international economic relations and the establishment of transnational corporations has put in the agenda the perfection of the information system of financial management of economic subjects that is a functional complex and provides the targeted selection process of relevant information indicators Flexible corporate governance decision making, analysis, planning and reporting, in accordance with International Financial Reporting Standards (IFRS) for regulating accounting methodology.

The need for improvement of the regulation of the profession has been demonstrated by analyzing the legislative basis established in the modern stage in Georgia and analyzing the financial statements audit spheres. In the modern stage of education in Georgia, it is based on the quality of education that needs to be improved at all levels of accounting and auditing. Consequently, the development of professional education standards and continuous professional development programs is crucial for further development of accountant (auditor) professions in Georgia, for increasing the quality of education for current and future generations will improve the practice of reporting and increase the quality of information.

ფრენშაიზინგი - ბიზნესის ეფექტურობის ზრდის ცნობილი მექანიზმი ქართული ბაზრისათვის

მანია გოგიძე, *მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი*

თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა ახალი მექანიზმები. ერთ-ერთი ასეთი ეკონომიკური მექანიზმია ფრენშაიზინგი. დღესდღეობით ფრენშაიზინგი არის ერთადერთი ცნობილი „ინსტრუმენტი", რომლის საშუალებით შეიძლება ბიზნესის ეფექტურობა გავზარდოთ. ამ ინსტრუმენტის მიმართ ინტერესი გაფართოვდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ფრენშაიზინგი სრულიად ახალი ინსტიტუტია ქართული სამართლისათვის. გამოიყენება საქონლის წარმოების, გასაღების და მომსახურების თითქმის ყველა სფეროში, საცალო ვაჭრობასა და კვების ინდუსტრიაში. ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს მსხვილი კომპანია, ზოგჯერ ტრანსნაციონალური კორპორაციაც (ფრენშაიზის მიმცემი), რომელიც ბაზარზე სარგებლობს საქმიანი რეპუტაციით და გამოირჩევა მაღალი სამრეწველო ან კომერციული პოტენციალით. ასეთებია: კოკა-კოლა, მაკდონალდსი, პროქტერ ენდ გემბელი, კოლგეით-პალმოლივი და სხვები. ეს კორპორაციები თავად კი არ ხსნიან საწარმოებს, არამედ სხვის საკუთრებაში არსებულ დამოუკიდებელ საწარმოებს ხელშეკრულების ვადით გადასცემენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. მეორე მხარედ კი ყოველთვის ფრენშაიზის მიმღები გვევლინება. ფრენშაიზინგი ეხმარება ფრენშაიზის მიმცემს გააფართოოს ბიზნესი სხვისი კაპიტალის ხარჯზე, ხოლო ფრენშაიზის მიმღებს საშუალებას აძლევს გახდეს დამოუკიდებელი მეწარმე, გამოიყენოს უკვე ნაცადი ბიზნესმოდელი, ბაზარზე კარგად ცნობილი საფირმო სახელწოდება და სასაქონლო ნიშანი, რაც მთავარია ზოგავს დროს, დრო კი ფულია. მაგრამ საქმე ყოველთვის არ ამართლებს. ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება იყოს: პროდუქტი; მომსახურება; მწარმოებლობითი პროცესი; ბიზნესპროცესი; კომპლექსური საქონელი.

ფრენშაიზინგი არის მეწარმეობის ფორმა, დაფუძნებული ურთიერთობის სისტემაზე, გამყარებული შეთანხმებებით (ხელშეკრულებით), რომლის ძალითაც ერთი ქვეყანა (ფრენშაიზის მიმცემი) სთავაზობს სხვა ქვეყანას (ფრენშაიზის მიმღებს) სასყიდლიან უფლებას იმოქმედოს თავისი სახელით (საქონლის რეალიზაცია), გაყიდვების გაფართოებული ბაზრის საშუალებით. ფრენშაიზინგს ხშირად შეღავათიან მეწარმეობასაც უწოდებენ.

აღსანიშნავია ამ სფეროში არსებული სამართლებრივი უზუსტობები. ფრენშაიზინგთან დაკავშირებული საკითხები არ არის სამართლებრივად მოწესრიგებული ისე, როგორც უნდა იყოს. ეს ყოველივე გამომდინარეობს იქიდან, რომ თვით ფრენშაიზინგის სამართლებრივი ბუნება არასათანადოდაა შესწავლილი. მწარმოებლობითი, გასაღების (გაყიდვის), მომსახურების (სერვისული) ფრენშაიზინგი წარმოადგენს, თვით მხრივ, კოოპერაციის სხვადასხვა ფირმას, რომელთაც ზოგჯერ განსხვავებული ეკონომიკური შინაარსი და ფუნქცია აქვს. მეორე პრობლემა დაკავშირებულია ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე განსაკუთრებული უფლების გადაცემასთან და მის სამართლებრივად წერილობით სწორად გაფორმებასთან. ასეთი უფლებები აუცილებლად უნდა იყოს სათანადოდ დამოწმებული და აღიარებული ფრენშაიზის მიმღების მიერ. ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით მეორე მხარეს შეიძლება გადაეცეს განსაკუთრებული უფლებები სავაჭრო ნიშანზე, საფირმო სახელწოდებაზე, ნოუ-ჰაუზე. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოში ნორმატიული ბაზა ამ სფეროში ჯერ კიდევ ჩანასახის სტადიაზეა. აუცილებელია შესაბამისი კანონების შემუშავება, კვლევების ჩატარება, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, თუ როგორ გამოიყენება ფრენშაიზინგის ხელშეკრულება პრაქტიკაში, როგორ ხდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გადაცემა და სხვა. წარმოშობის მიზეზების მიხედვით ძირითადი პრობლემები საქართველოში ფრენშაიზინგის განვითარებასთან დაკავშირებით შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

- ეკონომიკური პრობლემები: ეკონომიკის არასტაბილური განვითარება საქართველოში;
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი პრობლემები.

ფრენშაიზინგის ძირითადი პრობლემები საქართველოში დღესდღეობით თავს იყრის სამართლის სფეროში, რაც გამოწვეულია იმით, რომ ფრენშაიზინგს, როგორც ურთიერთობების სისტემას, საფუძვლად უდევს სახელშეკრულებო სამართალი და იგი აუცილებლად უნდა იყოს გამყარებული სერიოზული სამართლებრივი ბაზით. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა; ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ის რვა მუხლი, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსშია წარმოდგენილი სრულიად საკმარისია ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, ზოგიერთი სულ სხვა

აზრს ავითარებს და ამტკიცებს, რომ ეს მუხლები არასაკმარისია ამ სამართლებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად. ვფიქრობ, უკანასკნელი მოსაზრება უფრო მართებულია, ვინაიდან რაც უფრო სრულყოფილად იქნება დახასიათებული ფრენშაიზინგის ინსტიტუტი, ხელშეკრულების სხვადასხვა პირობები, სახეები, ფრენშაიზის მიმცემისა და მიმღების ვალდებულებები და სხვა მათგან გამომდინარე ურთიერთობები, ეს საშუალებას მისცემს ქართველ მეწარმეებს სრული წარმოდგენა იქონიონ ფრენშაიზინგის სისტემაზე და უფრო გაბედულად დადონ ასეთი ხელშეკრულებები უცხოელ თუ ადგილობრივ ინვესტორებთან. სამოქალაქო კოდექსში სასურველი იქნებოდა ფრენშაიზინგის განმარტება უფრო ამომწურავად ყოფილიყო მოცემული, მისაღები იქნებოდა თუ არა კოდექსი, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტები მაინც თუ მოგვცემდა ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საგნის ამომწურავ ჩამონათვალს, ისეთ ძირითად ცნებებს და ტიპოლოგიებს, როგორიცაა საქონელი, ფრენშაიზინგის ობიექტი და სუბიექტი; ფრენშაიზინგის ფორმებისა და მათი გამოყენების განსაკუთრებულობა, როიალტის ცნება და სხვა. იგივე შეიძლება ითქვას ვადებზე. ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ხანგრძლივობის ვადები სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არ არის. სასურველი იქნება თუ საცდელი ურთიერთობის ვადა ფრენშაიზის მიმცემსა და მიმღებს შორის განისაზღვრება 3-დან 5 წლამდე. მართალია გრძელვადიანი ურთიერთობაა, მაგრამ მხარეები თუ არ მოისურვებენ ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას, სამოქალაქო კოდექსი ასევე უნდა აძლევდეს მათ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის უფლებასაც წინასწარი წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე, დავუშვათ, 6 თვით ადრე წინასწარი შეტყობინებით.

იმისათვის, რომ გაიზარდოს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ეფექტურობა და განვითარდეს, საჭიროა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, თუნდაც ცალკეული კანონების მიღება. ეს მიიღწევა შემდეგი მიზნების განხორციელებით:

- საჭიროა შეიქმნას პირობები ფრენშაიზინგის სისტემის რეალური კონკურენციისათვის;
- ტრადიციული საქონლის რეალიზაციის მექანიზმთან მიმართებაში;
- ფრენშაიზინგის ურთიერთობის მონაწილეთათვის საკანონმდებლო აქტების ხელსაყრელად გამოყენება;
- უზრუნველყოფილ იქნეს ფრენშაიზინგის სისტემის და მისი ელემენტების გამჭირვალობა;
- შეიქმნას ორგანო, რომელიც აღრიცხავს იმ კომპანიებს, რომელთაც ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით შემოაქვს ბრენდები საქართველოში და ახორციელებს მასზე მკაცრ კონტროლს, რაც ესოდენ საჭიროა დღეს გაუთვითცნობიერებელი მომხმარებლისათვის, რომლებიც საკმაოდ ბევრნი არიან. მაგალითად, მყიდველი შედის მაღაზიაში, რომ იყიდოს ყავა „ნესკაფე“, გამყიდველი მას აძლევს არა ყავას იმ სავაჭრო მარკით, რაც მყიდველმა მოითხოვა, არამედ სხვა „ნესკაფეს“, რომელიც ფასითაც ნაკლები ღირს და, რა თქმა უნდა, ხარისხითაც ვერ შეედრება მოთხოვნილ პროდუქციას. აქ ადგილი აქვს სხვისი უფლებების შელახვას. ამ უკანასკნელს ეს პროდუქცია გამოაქვს კანონდარღვევით ბაზარზე გასაყიდად, თანაც ფაქტობრივად რეალურ კონკურენციას უწევს ნამდვილ ბრენდს. ეს კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ კანონმდებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით დასახვეწია. იგივე შეიძლება ითქვას ვისოლის ბენზინგასამართ სადგურებთან დაკავშირებით, ადიდასის ბრენდთან დაკავშირებით და სხვა უამრავი მაგალითი.

საქართველოში ფრენშაიზინგის სისტემის წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელია გადაიხედოს საგადასახადო კოდექსი, რაც ერთობ მნიშვნელოვანია მეწარმეებისათვის. მეწარმეს უნდა ჰქონდეს შეღავათიანი გადასახადები და საქმიანობის ხელსაყრელი პირობები. ჩვენ ქვეყანაში ამ მხრივ მეწარმეებს ზოგჯერ კაბალურ მდგომარეობაშიც კი აყენებენ. ამის ნათელი მაგალითებია შეუსაბამოდ მაღალი გადასახადები. ქვეყანაში ფრენშაიზინგის ინსტიტუტის განვითარებისათვის ასევე აუცილებელია სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდეს აღნიშნული ინსტიტუტი და ზემოხსენებული ურთიერთობები. კომპანიებზე არ უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლა.

მსოფლიოს ცნობილი კომპანია „Procter&Gamble“-ის პროდუქციის სასაქონლო ფრენშაიზინგით გაყიდვის უფლება საქართველოში აქვს კომპანია დიპლომატს (ისრაელი) შპს Diplomat Georgia-ის სახით, იგი ფრენშაიზის მიმღებია და დიდი ნდობით სარგებლობს აშშ-ში. ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით მწარმოებელი „Protect&Gamble“ გადასცემს საკუთარი პროდუქციის გაყიდვის უფლებას ფრენშაიზის მიმღებ „Diplomat“-ს, ბუნებრივია, მხოლოდ საკუთარი სასაქონლო ნიშნის გამოყენების პირობით, განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში (ჩვენ შემთხვევაში საქართველოში). „Protect&Gamble“-ს აქვს სავაჭრო მარკების საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი, როგორიცაა მაგალითად, Ariel, Tide, Ace, Comet, Fairy, always, Camay, Safeguard და სხვა ბრენდები. დაახლოებით 300-მდე სავაჭრო ბრენდს წარმოადგენს ეს

კომპანია მსოფლიოს 160-მდე ქვეყანაში ბაზარზე გასაყიდად. იგივე შეიძლება ითქვას Colgate-Palmolive Company-ზე და სხვა.

ფრენშაიზინგის ანალიზისას, საჭიროა პრობლემას იმ თვალსაზრისით შევეხოთ, რომ ფრენშაიზინგის განვითარებას საქართველოში საკმაოდ ფართო არეალი აქვს. შესაძლებლობების პრაქტიკულად რეალიზაციისათვის კი აუცილებელია შესაბამისი პირობების შექმნა.

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა" საქართველოში მოღვაწე უცხოური სახელწოდების კომპანიების, სასაქონლო ნიშნის გამოყენებისა და იურიდიული სტატუსის, აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებული მოქალაქეები შრომითი უფლებებისა და მომხმარებელთა მიმართ კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მომზადებული მონიტორინგის შედეგები წარმოადგინეს, რომლის შედეგად მოქალაქეები უპირატესობას ანიჭებენ ძვირადღირებული ნივთების შეძენას მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ცალკეული კომპანიები პროდუქციას საერთაშორისო ნდობის მქონე ბრენდების სახელწოდებით სთავაზობენ, თუმცა სიღრმისეული დაკვირვების შემთხვევაში, შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ ასეთი კომპანიები ბაზარზე თვალთმაქცურად მოქმედებენ, მათ არ გააჩნდეთ შესაბამისი ხარისხის დამატასტურებელი დოკუმენტი, არ სარგებლობდნენ ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით და არც რაიმე ვალდებულება, საკუთარი სტატუსის თაობაზე არსებული ინფორმაცია მიეწოდოს მომხმარებელს. ორგანიზაციამ ყურადღება დაუთმო იმ გარემოების დადგენას, თუ რომელი კომპანიები იყენებენ სასაქონლო ნიშანს, სიმბოლოს ან სიმბოლოთა ერთიანობას კანონიერად, გააჩნდათ თუ არა მათ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, ან სხვა რაიმე ნებართვა / ლიცენზია ან უფლება გამოიყენონ უცხოური კომპანიის სახელწოდება. ამავე დროს წარმოდგენილი ინფორმაცია უაღრესად კრიტიკულად უნდა შეფასდეს და საზოგადოება ფლობდეს ინფორმაციას, კომპანიების მხრიდან გამოხატული ინდიფერენტული და ნაკლებად პასუხისმგებლობის მქონე დამოკიდებულების შესახებ.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მონიტორინგის შედეგად, კვლევაში შერჩეული 19 კომპანიიდან მონაწილეობა მიიღეს და დასმულ კითხვებზე სრულყოფილი ინფორმაცია მოამზადა მხოლოდ 3-მა კომპანიამ, 5-მა კომპანიამ ორგანიზაციას მიაწოდა მხოლოდ ინფორმაცია, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ ცნობილი ბრენდის სტატუსით მოსარგებლე კომპანიას საქართველოში. შესაბამისად, აღნიშნული კომპანიების მხრიდან ჩაითვალა, რომ არც დასმულ სხვა კითხვებზე გააჩნდათ გამოხმაურების ვალდებულება, ხოლო მონიტორინგის ფარგლებში, ორგანიზაციასთან კომუნიკაცია საერთოდ არ უზრუნველყო 12-მა კომპანიამ. ორგანიზაციამ მონიტორინგის პროცესში მოიწვია: „კარფური", „კოკა-კოლა", „მაკდონალდსი", „სოკარი", „დიზელი", „რედისონი", „ბენეტონი", „ბილაინი", „სვოჩი", „ივ როშე", „სამსუნგი", „ფორბსი", „ზირაათ ბანკი", „ყატარის ავიახაზები", „ვილეროი და ბოხი", „სვაროვსკი", „ვივუს.გე", „KFC" და „National Geographic", ხოლო შერჩევის კრიტერიუმი გახდა გარემოებები, როდესაც კომპანიები უნდა ყოფილიყვნენ სხვადასხვა სამომხმარებლო სფეროს და მათი სახელწოდების მიმართ არსებულიყო ბრენდის სტატუსის დადგენის ინტერესი.

„ახალგაზრდა ადვოკატების" მონიტორინგის შედეგად, ნაწილობრივ სრულყოფილი მონაწილეობა მიიღეს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ", „კარფურმა" და „ბილაინმა". გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებულთა უფლებებისა და ვალდებულებების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება სპეციალური სამსახურების მიერ. რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული კომპანიების მსოფლიო ბრენდის სტატუსის საქმიანობასთან, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" ინფორმაციით, ის სარგებლობს „კოკა-კოლას" სახელის უფლებით, რეგისტრირებულია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში, ხოლო კომპანია „კარფურს" და „ბილაინს", ამასთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ მოუწოდებია. რაც შეეხება „ივ როშეს", „ვილეროი და ბოხი", „National Geographic", „Forbes" და „სვოჩის". ყველა მათგანის გამოხმაურება ეხებოდა ბრენდის სტატუსით საქართველოში საქმიანობის საკითხს. კომპანიების ცნობით, მათი კომპანიები დაკავშირებული არ არის რომელიმე უცხოური კომპანიების საქმიანობასთან, დაფუძნებულია ადგილზე და არ წარმოადგენენ არც ერთი უცხოური კომპანიის ფილიალს, არ სარგებლობენ რომელიმე უცხოური კომპანიის შვილობილის სტატუსით. ამასთან, კომუნიკაცია არ უზრუნველყო სხვა 12-მა კომპანიამ. ამიტომაც, უცნობი რჩება მათი მხრიდან შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტი, სამართლებრივი სტატუსი და მომხმარებლებთან ურთიერთობის ანგარიშვალდებულების საკითხიც.

პეპსის, კოკა-კოლასა და მაკლდონალდსის გარდა საქართველოში უამრავი ფრენშაიზინგული კომპანია ფუნქციონირებს:

- Snap Fitness–ი ფიტნეს კლუბების საერთაშორისო ბრენდია, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით 1400–ზე მეტი ფილიალი აქვს. Snap Fitness–ი ქართულ ბაზარზე ფრენჩიზის ხელშეკრულებით შემოვიდა და პირველი ფილიალი ერთი თვის წინ თბილისში გახსნა. როგორც ცნობილია, კომპანია ფილიალების

გახსნას საქართველოს სხვა რეგიონებშიც გეგმავს. Snap Fitness-თან უკვე გაფორმებულია მასტერ ფრენჩაიზის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს სრულ წარმომადგენლობით უფლებებს საქართველოზე. ხოლო რაც შეეხება პარტნიორებს, ზაზა ფაჩულიასთან ერთად კომპანიის მფლობელები არიან ლევან დიასამიძე, არჩილ ფირიაშვილი და ივანე გაგუა. სნეპ ფიტნესის პირველი ფილიალი 2015 წლის 21 ნოემბერს გაიხსნა, საინვესტიციო გეგმის მიხედვით, 2017 წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 9 ფილიალის გახსნა. სნაპ ფიტნესი ქართულ ბაზარზე წარმოდგენილი იქნება 10 ფილიალით, რომელთაგან 6 განთავსდება თბილისში ხოლო 4 რეგიონებში. რაც შეეხება ინვესტიციის მოცულობას, ფრენჩაიზის კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, სამწუხაროდ არ იძლევა საშუალებას საჯარო გახდეს, ჯამური ინვესტიციების მოცულობა. რაც შეეხება რესურსების წარმომავლობას, ქართული ინვესტიციის გარდა, რესურსების გარკვეული ნაწილი მოზიდულია საერთაშორისო ბაზრიდან.

- ქართულ ბაზარზე წარმატებით ფუნქციონირებს ფრენშაიზინგული კომპანია „ედრესი", რომელიც 5 ბრენდს Etam, Promod Celio, Gerry Weber-ს და Orsay -ს აერთიანებს. უახლოეს პერიოდში დაგეგმილია „ეტამის" მაღაზიის კონცეფციის შეცვლა, რადგან წელს ამ ბრენდის 100 წლის იუბილეა და ამასთან დაკავშირებით საფრანგეთშიც და შესაბამისად, საქართველოშიც კონცეფციის განახლება მოხდება.
- კიდევ ერთი ფრენშაიზინგული კომპანია „ჯითექსი" ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე, რომელიც 6 ბრენდს წარმოადგენს, მათ შორისაა collezione, OVS, Terranova, English Home, Enza Home Penti.
- საქართველოს ტერიტორიაზე ფრენშაიზინგულ საქმიანობას ეწევა „შერატონი**“,** “ჰაიტი**“,** პარფიუმერული სალონი „ივ-როშე**“** (საფრანგეთი), „ისი-პარი“, „ვულე-ვუ“**.** რითეილური (საცალო) მაღაზიები: „ნაფ-ნაფი“, „ლინენსი“, „დავი“ , „ბატა“**,** ბენზინგასამართი სადგურების ქსელი **–** „ვისოლი“, „ლუკოილი“ და სხვ.
- ბრენდის ექსკლუზიური ლიცენზიის მფლობელი, „სპარ საქართველო“, ყველა ადგილობრივ საცალო მოვაჭრეს, მაღაზიას თუ მაღაზიათა ქსელს შიდა ფრენჩაიზინგის ლიცენზიის მოპოვებასა და ბრენდის ქვეშ გაერთიანებას სთავაზობს. ლოკალურად სპარის ბრენდის ქვეშ გაერთიანება, დამოუკიდებელ საცალო მოვაჭრეებს ყველა იმ უპირატესობით სარგებლობას სთავაზობს, რითაც თავად სპარი ოპერირებს. საერთაშორისო ექსპერტიზა და ბრენდის 84 წლიანი გამოცდილება ნებისმიერი მსურველისთვის ორგანიზებულ საცალო ვაჭრობის ბაზარზე აქტიურად, ეფექტურად და აგრესიულად შესვლის გარანტია. პროექტში ჩართვა და სპარის ლიცენზიის მოპოვება შესაძლებელია როგორც არსებული მაღაზიებისთვის, ისე ნებისმიერი მსურველი ინვესტორისა თუ მეწარმესთვის. სპარის ყველა ფრენჩაიზი, რომელიც მსოფლიოში რამდენიმე ათასი დამოუკიდებლად მოქმედი მაღაზიისგან შედგება, აღნიშნული მოდელის ეფექტურობის ცალსახა მტკიცებულებაა. სპარ საქართველოს მიზანია მომხმარებლებს შესთავაზოს უკეთესი არჩევანი, საკუთარი ბრენდული პროდუქცია და მასზე მორგებული მომსახურება. პირველი ფრანშიზის მიმღები შპს „ევროფუდია“, რომელიც აღნიშნული პროექტის საფუძველზე ჩამოყალიბდა.
- 2015 წელს თბილისში ამერიკული რესტორების ქსელი, “დანქინ დონატსი” შემოვიდა და კვების პირველი ობიექტი გახსნა. ბრენდი შტატებში 1950 წლიდან ფუნქციონირებს, ხოლო 1955 წლიდან აქტიურად განავითარა ფრენჩაიზინგი და სწრაფი ტემპით დაიწყო ქსელის გაფართოება სხვადასხვა ქვეყანაში.

ლიტერატურა:

1. ელენე ციგრიაშვილი, საქართველოში მოღვაწე უცხოური კომპანიები ფრენშაიზინგის ხელშეკრულებების არსებობაზე ინფორმაციას არ გასცემენ, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ #413. გვ. 8. თბილისი 2015. 29 ივნისი;
2. სალომე ჩხაიძე, დავით იმნაძე, ფრენშაიზინგის ცნება და გამოყენების მნიშვნელობა, სამეცნიერო შრომების კრებული: რეფერირებადი და რეცენზირებული სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი. N5. - გვ. 35-51. თბილისი, 2014.
3. თორნიკე ნემსწვერიძე, კონტრაჰენტთა თანასწორობის პრინციპის რეალიზება ფრენშაიზინგულ ურთიერთობებში, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი. გვ. 33-44. თბილისი, 2013.
4. მარი ქოქიაშვილი, საქონლის ხარისხის კონტროლი და პასუხისმგებლობის განაწილება ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი: აკადემიური მაცნე. Grigol Robakidze University. Academic Bulletin. N1, სამართალი. - გვ. 200-207. თბილისი, 2013.
5. მარი ქოქიაშვილი, თამარ ქოქიაშვილი, ფრენშაიზინგის რეგულირების სამართლებრივი ბაზისი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ცხოვრება და კანონი. Life and Law: საერთაშორისო სამეცნიერო-

პრაქტიკული ჟურნალი / გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი. ნომერი ეძღვნება არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს. - გვ.74-81. თბილისი, 2013.
6. თინათინ ბეგიაშვილი, ფრენშაიზინგის ხარიხსის კონტროლი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი: აკადემიური მაცნე. Grigol Robakidze University. Academic Bulletin. დამატება, სამართალი, ბიზნესი და მართვა. - გვ.9-15. თბილისი, 2012.
7. მარიამ ჯიბუტი, ფრენშაიზინგის განვითარება: პრობლემები, პერსპექტივები, ეკონომისტი: საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი, დეკემბერი. - N6. - გვ.92-94. თბილისი, 2012.
8. თამილა ხურციძე, ფრენშაიზინგი - პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. თემიდა: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი. გვ. 38-43. თბილისი, 2010.
9. ლეილა ქადაგიშვილი, ფრენშაიზინგი - ბიზნესის მართვის წარმატებული ფორმა: მეცნიერული ხედვა, საქართველოს ეკონომიკა: სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. გვ. 75-77. თბილისი, 2010.
10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 2010 თბილისი: გამომცემლობა"ბონა კაუზა".

რეზიუმე

ფრენშაიზინგი უნიკალურია საკორპორაციო საქმიანობის სხვა მრავალ სახეებს შორის იმით, რომ იგი შეიცავს სიმბიოზურ და კანონით გათვალისწინებულ განსხვავებულ ეკონომიკურ და სამართლებრივ ფორმებს. ფრენშაიზის მიმცემ-მიმღების ურთიერთობაში იკვეთება ორი ერთმანეთისგან მკვეთრად დამოუკიდებელი წარმონაქმნი, რომლებიც ამავე დროს მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რაც ფრენშაიზინგის ხელშეკრულებას ასახავს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორობასა თუ ალიანსს. საინტერესოა, თუ რატომ თანხმდებიან ფრენშაიზის მიმცემი და მიმღები თავიანთი სადისტრიბუციო საქმიანობის კოორდინირებაზე დეტალურად დამუშავებულ ფრენშაიზინგის სისტემაში. ამის არაერთი მიზეზი არსებობს. უპირველეს ყოვლისა, ეს ხდება იმიტომ, რომ ფრენშაიზის მიმცემს ამ გზით ბაზარზე შეღწევა ბევრად უფრო სწრაფად შეუძლია, თანაც ნაკლები კაპიტალითა და რისკით. ფრენშაიზის მიმღების კუთვნილი სავაჭრო ობიექტების მეშვეობით ამის გაკეთება უფრო ადვილია, ვიდრე ფრენშაიზის მიმცემის საწარმოს მიერ ახალი სავაჭრო ობიექტების გახსნის მეშვეობით განხორციელდებოდა. თანაც, იგი ამას ისე აკეთებს, რომ არ კარგავს კონტროლს კონკურენციის არსებით პარამეტრებზე. ფრენშაიზინგის წარმატების მთავარი მიზეზი არის პირველ რიგში ის, რომ ხდება წარმოების მასშტაბების ზრდა, რაც იწვევს ეკონომიას, ვინაიდან ხდება განსაზღვრული კომერციული ფუნქციების ცენტრალიზაცია პატარა საცალო სავაჭრო ობიექტებში ეკონომიკურ მოთხოვნილებებთან. მეორე, იგი სტიმულს აძლევს დამოუკიდებელ მეწარმეებს, რომ მათ, ფრენშაიზინგის სისტემის რეპუტაციის დაცვის მიზნით, მოახდინონ თავიანთი საქმიანობის კოორდინაცია.

FRANCHISING – WELL-KNOWN MECHANISM OF BUSINESS EFFICIENCY GROWTH FOR GEORGIAN MARKET

Mania Gogidze, Invited specialist, Doctor

RESUME

Franchising is unique among many other types of corporative activities, as it contains different economic and legal forms, which are symbiotic and prescribed by the law. There is two distinctly independent formations, between the relationships of franchisee-franchisor, which are closely related to each other at the same time that reflects the franchising agreement as a strategic partnership or alliance. It is interesting, why do the franchisee and franchisor agree about their coordination of distribution activities in the detailed system of franchising. There are many reasons for this. First of all, this happens because by this way franchisor can access the market faster, also with less capital and risks. It is easier to access the market by trade objects owned by franchisee, than by opening the new shopping facilities. Besides, he does so not to lose control over the essential parameters of competition. The main reason of franchising success is increasing the scale of production, which causes economy, because defined commercial functions centralized in small retail merchants with economic needs. Second, it stimulates independent entrepreneurs to make their activity coordination in order to protect the reputation of the franchising system.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ფორმირების პრობლემები საქართველოში

ციური დურული, პროფესორი

ქვეყანაში მცირე მეწარმეობაზე აქტიური სახელმწიფო ზემოქმედების ბერკეტია სახელმწიფო თანადგომის პროგრამა და მცირე მეწარმეობის განვითარება. მათში გამოიხატება ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და ფასების პოლიტიკის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მექანიზმები, ოფიციალური გარანტიების სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას, სამეწარმეო მოღვაწეობის განვითარებაში.

პროგრამაში გათვალისწინებულია საბაზრო ინფრასტრუქტურების ეფექტიანი ინსტიტუტების - ბაზრის და ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო და სარისკო მეწარმეობისა, საკონსულტაციო და აუდიტორული მოღვაწეობის ფორმირება, აგრეთვე მეწარმეობის თანადგომის კომპლექსური სახელმწიფო-საზოგადოებრივი სისტემების შექმნა, სამეწარმეო კადრების მომზადების და გადამზადების ჩართვით. ამ სფეროში მოსახლეობის სოციალურად აქტიური ფენების მოზიდვა. უნდა განისაზღვროს აგრეთვე შიგაეკონომიკური მოღვაწეობის და მეწარმეობის განვითარებისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველსაყოფი ღონისძიებები.

პროგრამაში დიდი ყურადღება ეთმობა სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ რეგულირებას, ღონისძიებათა რიცხვში გათვალისწინებულია: სამეწარმეო სექტორის მიერ საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობა: ახალი საკრედიტო დაწესებულებების (საკრედიტო-შემნახველ ამხანაგობების ტიპის) ორგანიზაციისათვის პირობების შექმნა. სავალუტო ამონაგების სავალდებულო გაყიდვის მინიმალური ნორმატივების დადგენა მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებისათვის, რომლებიც ახდენენ საკუთარი პროდუქციის ექსპორტს. მოგებაზე მიზანშეწონილია დაწესდეს შეღავათები კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც აძლევენ კრედიტს მცირე საწარმოებს საწარმოო მიზნებისათვის, უპირველესად პროექტებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე მეწარმეობის პრიორიტეტულ განვითარებას.

განსაკუთრებული როლი მცირე მეწარმეობის თანადგომაში ეკუთვნის საგადასახადო სისტემას. ამასთან დაკავშირებით პროგრამაში უნდა მოიძებნოს გადასახადების თანდათანობითი შემცირების პოლიტიკის ღონისძიებები, უპირველესად პრიორიტეტულ მიმართულებით მომუშავეთათვის. ასეთი სისტემა უნდა შეიცავდეს: საკუთარი წარმოების და სოციალური ბაზის განვითარებისათვის დროის გარკვეულ პერიოდში დაგროვილი და გამოყენებული საშემოსავლო თანხიდან გადასახადზე განთავისუფლებას, მცირე საწარმოების მოგებაზე შეღავათიანი გადასახადების დადგენას მათი რეგისტრაციიდან მუშაობის მესამე და მეოთხე წელს. დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირებას, მცირე წარმოებებზე საგადასახადო შეღავათების შენარჩუნებას და სხვა.

საქართველოში ბიზნესის განვითარების დღევანდელი დონე და ხასიათი უკეთესის იმედს ტოვებს. საბაზრო გარდაქმნები გადამწყვეტ ფაზაში შედის. დანგრეულ იქნა მანკიერი სოციალისტური ეკონომიკური სისტემა. ფასების ლიბერალიზაციამ და მასიურმა პრივატიზაციამ უზრუნველყო კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფორმირებისა და განვითარებისათვის პირობების შექმნა. მეტ-ნაკლებად ფუნქციონირებს ეკონომიკური რეგულირების ძირითადი საბაზრო მექანიზმები, თანდათან იცვლება მოსახლეობის ფსიქოლოგია. ბოლო წლებში საგრძნობლად გაიოლდა და გამარტივდა მცირე საწარმოთა შექმნა-ფორმირების პროცედურა. საწარმოთა რეგისტრაციის პროცესის გამარტივებამ ხელი შეუწყო დამწყებ მეწარმეებში, რიგი უსარგებლო დოკუმენტების მოძიება-შეგროვებისათვის დროის ფუჭად ხარჯვისა და სახელმწიფო ჩინოვნიკობის კაპრიზების თავიდან აცილებას.

მცირე ბიზნესი რეგიონებში შეიძლება განვითარდეს ფერმერული მეურნეობების სახით. აღნიშნული შეუწყობს ხელს ადგილობრივი ხელისუფლების განმტკიცებას და თვითმმართველობის მექანიზმების სრულყოფას. სოფლის მეურნეობის მასშტაბური აღორძინების პირობებში ეს შესაძლებლობები უფრო სწრაფად შეიძლება იქნეს რეალიზებული თუ გაწეული იქნება ნამდვილი მხარდაჭერა ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციის, ფინანსური და სამრეწველო სტრუქტურების მხრიდან.

ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაცია. დასავლეთის განვითარებული ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ინოვაციურ მოღვაწეობას მცირე ბიზნესის სფეროში, როგორც ინვესტირების ობიექტში. პრაქტიკა ადასტურებს, რომ დანახარჯები დაკავშირებული მცირე საწარმოების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების დამუშავებასა და დანერგვასთან, გაცილებით მცირეა მსხვილი ფირმების

დანახარჯებთან შედარებით, ხოლო კონკურენტული პროექტების გამოსყიდვის ვადები არსებითად დაბალია. ყველა სამრეწველო განვითარებულ ქვეყანაში მცირე ბიზნესი მიჩნეულია ინვესტირების უმნიშვნელოვანეს ობიექტად.

მეწარმეობის ფორმებისადმი ყოველმხრივი მხარდაჭერა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში მიჩნეული უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკურ მიზნად, რომელიც უზრუნველყოფს:

- მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის შემოქმედებითი კარიერის მხარდაჭერას, რაც იმედს აძლევს სტუდენტობას, მეცნიერებს;
- ახალი მცირე მეცნიერება ტევადი ბიზნესის დაფუძნების იურიდიული პროცედურების გაიოლებასა და გამარტივებას, რაც იქმნება უნარიანი ენთუზიასტების – მეცნიერების, გამომგონებლებისა და მენეჯერების მიერ;
- უნივერსიტეტების ბაზაზე ბიზნეს-ინკუბატორების სახით მცირე ფირმებისა, კომერციული ლაბორატორიების და ა.შ. შექმნას, როგორც ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი ობიექტების. მეცნიერების ბიზნესთან ინტეგრაციისა და კავშირების ინტერნაციონალიზაციის საუკეთესო საშუალებას;
- კორპორატიული სექტორის ინვესტიციური აქტიურობის სტიმულირებას (როგორც შიგა, ისე გარე), ტალანტით დაჯილდოებული მეცნიერებისა და ინჟინრების მოზიდვას, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა, მცირე ბიზნესის ეროვნული და ეროვნებათშორისი საინვესტიციო პროგრამების განსახორციელებლად;
- მცირე სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური, სამეცნიერო-საწარმოო ფირმების, ორგანიზაციების ლაბორატორიების, ასოციაციების, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პარკებში ცენტრების კონცენტრაციის, მსხვილ სამეცნიერო და ინდუსტრიულ ცენტრებთან ახლოს ტექნოპოლისების შექმნას. ხელშეწყობას ინვესტირებაში (უკვე 70-იან წლებში ასეთი პროგრამები მოქმედებდა აშშ-ში, ხოლო 80-იან წლებში დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში);

ჩამოთვლილი საშუალებების ინტეგრაცია ხორციელდება ურთიერთდაკავშირებული პირდაპირი და ირიბი რეგულიერების მეთოდების დახმარებით. ღონისძიებების არსებულ არსენალშია დაუბრუნებადი და დაბრუნებადი სუბსიდიები, კრედიტები. შეკვეთა-კონტრაქტები მზა პროდუქციის წარმოებაზე, საგადასახადო და საამორტიზაციო კანონმდებლობაზე, რაც მიმზიდველს ხდის კერძო ინვესტიციებს ინოვაციურ მოღვაწეობაში, წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სრულყოფას და ბაზარზე გასვლას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილების მექანიკური კოპირება საქართველოს ეკონომიკის განვითარების თავისებურებათა გათვალისწინების და წინასწარი აპრობაციის გარეშე შეიძლება უკვე ეფექტი იქონიოს და ხელი შეუწყოს მზარდი ბიზნესის ჩრდილოვან სექტორებში გადასვლას.

მცირე მეწარმეობის სახელმწიფოებრივი საინვესტიციო მხარდაჭერა თუნდაც განვითარებულ ქვეყნებში ზარალიანია. ასე მაგალითად, აშშ-ში გასული საუკუნის 70-იან წლებში მცირე ფირმებმა ვერ მოახერხეს დაებრუნებინათ სესხები 500 მილიარდზე მეტი დოლარის ოდენობით. ფედერალური მთავრობის დანაკარგები გარანტირებულ სესხებზე უფრო მეტი იყო და მიაღწია ასეულობით მილიონ დოლარს წელიწადში.

მიუხედავად დანაკარგებისა, სახელმწიფო აგრძელებს მცირე ბიზნესისადმი მასიურ მხარდაჭერას, რამდენადაც მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის განვითარება საშუალებას იძლევა დაძლეულ იქნეს ბაზრის წინააღმდეგობები და მიღწეული იქნეს საბაზრო გარემოს მართვადობა, რაც არბილებს ეკონომიკური კონიუნქტურის მერყეობას და ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას.

დანაკარგების მინიმიზაციის მიზნით გამოიყენება მცირე ბიზნესის ორგანიზაციის ახალი ფორმები. ბოლო პერიოდში ინტენსიურად ვითარდება ბიზნეს-ინკუბატორები, რომლებიც ტექნოპარკებთან ერთად წარმოადგენენ მცირე ბიზნესის განვითარების ეფექტურ და პერსპექტიულ ფორმას.

ტექნოლოგიების სრულყოფა, ახალი გლობალური კონკურენციის წარმოქმნა ქმნის მაღალდინამიურ საბაზრო გარემოს, რომელიც მოითხოვს პრინციპულად ახალი მეთოდების გამოყენებას კადრების ორგანიზაციისა და მართვის საქმეში, წარმოებაში, გასაღებაში, ფინანსებში მსხვილი კომპანიების, ტერიტორიული კონგლომერატების დონეზე. ეკონომიკაში მთლიანად, ასევე მცირე და საშუალო საწარმოთა დონეზე.

შეზღუდვა, რომელიც სერიოზულად ხელს უშლის და ეწინააღმდეგება მცირე ბიზნესის განვითარებას, წარმოადგენს საბაზრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა. ბიზნესის კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა კომპენსირებულ იქნეს სახელმწიფოებრივ მართვასა და ბაზრის თვითგანვითარებას შორის არსებული წინააღმდეგობები. მსოფლიო გამოცდილების

მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესის ცივილური განვითარებისათვის აუცილებელია ბიზნესის ინფრასტრუქტურის ფორმირება, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება. ინფრასტუქტურა ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ინფრა-დაბალს, ქვეითს. სტრუქტურა-განლაგებას, ნაგებობას. ე.ი. ინფრასტრუქტურა ნიშნავს ქვესისტემის აგებულებას, რომელიც უზრუნველყოფს ზედა სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. ინფრასტრუქტურა არსებობს: საწარმოო (ტექნოლოგიური), სოციალური და ინსტიტუციონალური (ორგანიზაციული).

- საწარმოო: გზები, გვირაბები, ხიდები, ნავსადგურები, კავშირგაბმულობის საშუალებები და ა.შ.
- სოციალური: სკოლები, ჯანდაცვის ობიექტები, კინოთეატრები და ა.შ.
- ინსტიტუციონალური: ბანკები, ბირჟები, აუდიტორული და საბროკერო ფირმები, კომპანიები, საინფორმაციო კომუნიკაციის საშუალებები: ტელე-რადიოკომუნიკაცია, ანალიზური და საკონსულტაციო ფირმები და ა.შ.

საწარმოო ინფრასტრუქტურა ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურასთან შედარებით წარმოადგენს შედარებით კაპიტალტევად ობიექტებს, რომლებიც გამოირჩევიან საკუთარი ფორმების მრავალსახეობით. ასეთი განსხვავება გვაიძულებს ყურადღებით მოვეკიდოთ მცირე ბიზნესისათვის მხარდაჭერის ინსტიტუციონალურიდან საწარმოო მხარდაჭერაზე გადასვლის საკითხებს: ერთი მხრივ, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს განსახორციელებელი ზომების მემკვიდრეობითობა, ხოლო მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ იმ სტრუქტურების თავისებურება, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებას. ინფორმაციული და ორგანიზაციული კომუნიკაციების ერთობლიობა წარმოადგენს ინსტიტუციონალურ ინფრასტრუქტურას, რომლის დახმარებითაც ბიზნესი ამყარებს საქმიან ურთიერთობებს და ახორციელებს კომერციულ ოპერაციებს. სახელდობრ:

- ბანკების მიერ ფინანსური მომსახურების გაწევა;
- საბითუმო და საცალო გამყიდველების მომსახურება;
- შუამავლების მომარაგებისათვის ნედლეულის, მაკომპლექტებელი მოწყობილობებით, მზა ნაწარმითა და საქონლით, პროდუქციის გასაღების მომსახურება;
- სპეციალიზებული ფირმებისა და დაწესებულებებისათვის პროფესიული მომსახურების შეთავაზება. მაგალითად, იურიდიული, ბუღალტერული აუდიტორულის და სხვა;
- სასწავლო დაწესებულებები, მეწარმეების სწავლება და თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება;
- ბაზრის შემსწავლელი სააგენტოების (ინფორმაციის გაცემა ბაზრის შესახებ);

სარეკლამო და სატრანსპორტო სააგენტოების, სადაზღვევო კომპანიების, კომუნალური მომსახურების გაწევა;

მცირე ბიზნესის კომპლექსური მხარდაჭერა ადგილებზე მოიცავს:

- ინფორმაციულ უზრუნველყოფას, მათ შორის რეკლამას;
- კადრების მომზადებას (საერთო და პროფესიონალური);
- პროფორიენტაციას;
- ბიზნეს პროექტების შერჩევას და მსვლელობის მიცემას;
- კონსალტინგს (ეკონომიკური, მმართველობითი, ტექნიკური საკითხები);
- აღრიცხვას;
- მარკეტინგულ უზრუნველყოფას (გასაღება);
- ლიზინგს;
- ინჟინერინგს;
- კრედიტების მიღებას;
- დაზღვევას;
- ინვესტორებიასათვის გარანტიების და კონტროლის განხორციელებას;

მცირე მეწარმეობისათვის კომპლექსური მხარდაჭერის ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებები წარმოადგენს მისი ინფრასტრუქტურის ფორმირების საფუძველს.

მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის ფორმირება უნდა მოხდეს პრობლემურ-რესურსული რუკის შედგენის გზით. ეს საშუალებას მოგვცემს ზუსტად გავერკვეთ არსებულ მონაცემებში და გამოვყოთ განვითარების მიმართულებები, რომლებშიც უფრო სრულად შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ-ინვესტორების ინტერესებისა და მცირე მეწარმეობის შესაძლებლობების შეთანხმება. რუკის შედგენას ხელმძღვანელობს ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები რეგიონულ თვითმმართველობასთან კოორდინაციაში. პრობლემურ-რესურსული რუკის ანალიზი მცირე ბიზნესის შესაძლებლობების გამოყენების თვალსაზრისით გვეხმარება გამოვიმუშაოთ ინფრასტრუქტურული განვითარების

პოლიტიკა. შესაბამისი ბიზნეს მიკრომარკეტინგული ანალიზის შედეგად, გამოვლინდება პოტენციური სამუშაო ადგილები, რომელთა შექმნაც ბუნებრივად პასუხობს ლოკალური ეკონომიკის საჭიროებას.

ინფარსტრუქტურის კონკრეტული ფორმები და ელემენტები, აგრეთვე მათი შიდა კონკურენტუნარიანობის ხარისხი დამოკიდებულია ადგილობრივი ბაზრის სპეციფიკაზე. უნდა მოხდეს რესურსების გამოყენების გამოკლვლევა და მიღებული შედეგების მიხედვით შესაძლო ორგანიზაციული ფორმების დაარსება - საგამოფენო კომპლექსი, ინოვაციური ცენტრი, რეწვის განვითარების ცენტრი, საერთაშორისო ცენტრი, საგარანტიო ფონდი, ლიზინგური ფონდი, სავაჭრო კოოპერატივი, სადემონსტრაციო დილერული ცენტრი, ურთიერთდაკრედიტების საზოგადოება, მცირე ბიზნესის არასახელმწიფოებრივი საპენსიო ფონდი და ა.შ. მსგავსი გამოკვლევები უზრუნველყოფს ბიზნესის საჭირო ინფრასტრუქტურის შესაბამისობას ეკონომიკური განვითარების ადგილობრივ პროგრამებთან.

ლიტერატურა:

1. მიხეილ ჯანელიძე, მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, საქართველოს ევროპული გზა. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. აპრილი. N4. გვ.28-31. თბილისი, 2015.
2. თამარ კილაძე, თამარ რუხაძე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. VII. - გვ. 496-500. თბილისი, 2014.
3. ნანი მამფორია, მცირე და საშუალო ბიზნესი - ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფაქტორები, ბიზნეს-ინჟინერინგი: ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საინჟინრო აკადემია. N1. გვ. 64-66. თბილისი, 2014.
4. ხათუნა თოდუა, მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები, ბიზნეს-ინჟინერინგი: ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საინჟინრო აკადემია. N1. - გვ. 44-46. თბილისი, 2014.
5. ქეთი დორეული, მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა საქართველოს რეგიონების განვითარებისათვის, სოციალური ეკონომიკა: XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები: საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, თბილისის ახალი უნივერსიტეტი და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. - ივნისი. - N2(32). - გვ. 162-164. თბილისი, 2014.
6. ლალი სილაგაძე, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები: საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ყოველკვარტალური რეფერირებული ჟურნალი. N3. გვ. 6-11. თბილისი, 2014.
7. ეთერ კაკულია, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი: ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. N6. გვ. 273-285. თბილისი, 2013.
8. მიხეილ ჯიბუტი, საქართველოს თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები და მათი დაძლევის სანიმუშო პროგრამის მონახაზი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია: შრომები. ტომი 11, ეძღვნება აკადემიის პრეზიდენტის პროფესორ ლეო ჩიქავას დაბადების 85-ე წლისთავს. გვ. 137-157. თბილისი, 2013.
9. თენგიზ თაქთაქიშვილი, მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში და მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ფორმები, ეკონომიკა და ბიზნესი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. - იანვარი-თებერვალი. - N1. გვ.99-110. თბილისი, 2013.
10. თამაზ იმედაძე, მცირე და საშუალო ბიზნესი - დროის მოთხოვნა, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ერთობლივი მოამბე. ტ. XV-XVI. გვ. 38-39. თბილისი, 2011.

რეზიუმე

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ღრმა თვისებრივი და სტრუქტურული ცვლილებების პროცესშია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი დამოუკიდებელი ეროვნული სამეურნეო სისტემა, არსებითად შეიცვალოს მეურნეობის პრინციპი. თანამედროვე ეკონომიკის პრობლემის შემადგენელი ნაწილია ბიზნესის, საერთოდ, და კერძოდ, მცირე ბიზნესისა და წვრილი მეწარმეობის, აგრეთვე შეზღუდული მასშტაბის მეურნეობრიობის სხვა სახეობათა პრიორიტეტული განვითარება. მათი ინსტიტუციონალური ფორმებისა და ფუნქციონირებისათვის ხელშემწყობი ეკონომიკური პირობებისა და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს დამკვიდრება. პრობლემის აქტუალურობას ემატება ისიც, რომ საქართველოში მცირე ბიზნესისა და წვრილი მეწარმეობის ფორმირება-განვითარებასთან უშუალოდაა დაკავშირებული ისეთი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა: მძიმე ეკონომიკური კრიზისის პირობებში ფართო მოხმარების საქონლისა და მრავალფეროვანი ფასიანი მომსახურებით სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება; მოსახლეობის მცირე ნაწილის ხელში თავმოყრილი ფულადი რესურსების მობილიზაცია და სამეურნეო ცხოვრების აქტივიზაცია, მოსახლეობის დასაქმება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ქალაქებში, რეგიონებში, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება და ეროვნული ეკონომიკის ტრადიციული დარგების აღორძინება.

PROBLEMS OF FORMATION OF THE NECESSARY INFRASTRUCTURE FOR THE DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESS IN GEORGIA

Tsiuri Duruli, Professor

RESUME

The economy of our country is in the process of profound qualitative and structural changes. In accordance with the market economy, a single independent national system must be set up to substantially change the principle of farming. The main part of the problem of modern economy is the priority development of businesses, in general, and in particular small businesses and small entrepreneurship as well as other species of limited scale farming. Establishment of economic conditions and psychological atmosphere supporting their institutional forms and function. The problem of the problem is added to the fact that in Georgia the small business and small entrepreneurship formation and development are directly related to the solution of acute social-economic tasks, such as: Consolidation of the consumer market with wide-consuming goods and a variety of paid services in the conditions of severe economic crisis; Mobilization of monetary resources in the hands of a small part of the population and activation of economic life, employment of the population, especially in small and medium cities, in the regions, developing healthy competition and the restoration of traditional economies of national economy.

ფინანსური კრიზისები დედამიწის ევროპულ და აზიურ ნაწილებში

ნინო ლიპარტელიანი, პროფესორი

აშშ-ს შემდეგ ფინანსური კრიზისის გავრცელება საყოველთაო იყო, რადგანაც მთავრობების მიერ მიღებული ზომები არც ისე კორექტული იყო. საექსპორტო შემოსავლების დაცემის შეჩერებას ისინი იმპორტზე ტარიფების მომატებით შეეცადნენ, რამაც ვაჭრობაში სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესა. ამის გარდა, როგორც კი დეფლაცია ეკონომიკური სტაბილიზაციის შენარჩუნების ერთადერთ პოლიტიკად გადაიქცა, მთავრობათა ერთადერთი პასუხი კრიზისზე მიმართული იქნა დანახარჯების შემცირებისკენ. ამის შედეგად სამომხმარებლო მოთხოვნილება კიდევ უფრო დაეცა. დეფლაციის პოლიტიკა ძალიან მჭიდროდ უკავშირდებოდა ვალუტების კურსებს. ვალუტების კურსები თავის მხრივ კავშირში იყო ოქროს ღირებულებასთან ოქროს სტანდარტის მიხედვით. ოქროს სტანდარტი სახელმწიფოებს

ავალდებულებდა ფიქსირებადი სავალუტო კურსი შეენარჩუნებინათ. ფასებისა და ვალუტისადმი ინტერესის დაცემასთან დაკავშირებით უფრო და უფრო რთული ხდებოდა ოქროს სტანდარტის შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებით ქვეყნებმა ერთმანეთის მიყოლებით უარი თქვეს ოქროს სტანდარტის შენარჩუნებაზე, რამაც მთელს მსოფლიოში ბანკების უმრავლესობის გაკოტრება გამოიწვია. სამრეწველო და საფინანსო სახელმწიფოში არსებულმა ეკონომიკურმა ქაოსმა სერიოზული გავლენა მოახდინა ევროპულ სახელმწიფოებში არსებულ სიტუაციაზე, რადგანაც ისინი მთლიანად იყვნენ დამოკიდებულნი ამერიკულ კაპიტალზე და ამერიკულ ბაზარზე. აშშ-ის კაპიტალდაბანდებანი ოკეანის იქით, კვამლივით გაიფანტა.

დეპრესიამ ძლიერი გავლენა მოახდინა გერმანიის ეკონომიკაზე. აქ არსებული ეკონომიკური სიტუაცია გამოწვეული იყო უზარმაზარი ვალით, რომელიც ქვეყანას გააჩნდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით დადებული პირობების მიხედვით. გერმანია იძულებული იყო აეღო სესხები, გამარჯვებული ევროპული ქვეყნებისთვის რეპარაციები რომ გადაეხადა სამრეწველო რეკონსტრუქციის ხარჯებთან ერთად. ამერიკული ბანკები გერმანიას სესხებს აძლევდა. ამერიკული ბანკების დაშლის შემდეგ ამ კრიზისში მათ გერმანელებიც ჩაითრიეს. დეპრესიას ღრმა პოლიტიკური აზრი და შედეგებიც გააჩნდა. გერმანიასა და იაპონიაში დეპრესიაზე რეაქცია ის იყო, რომ ძალაუფლება გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა ხელში შეიარაღებული გადატრიალების გზით ჩაიგდეს. ამ გარემოებამ დიქტატურის დამყარება და მალე მეორე მსოფლიო ომი გამოიწვია. გერმანიაში ჰიტლერმა აირჩია პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იყო უმუშევრობის შემცირებაზე მოსახლეობის წარმოებაში ჩართვის გზით, რის შედეგადაც 1939 წელს გერმანიის მთლიანმა ეროვნულმა პროდუქტმა 1929 წლის მაჩვენებელს 51%-ით გადააჭარბა. ზრდა ძირითადად გამოიწვია შეიარაღებული ძალებისა და მოწყობილობების წარმოებამ. გერმანული ვარიანტი გახლავთ ძირითადი ნიმუში იმისა, რაც ფაქტიურად ყველგან მოხდა დიდი დეპრესიის დროს. საერთაშორისო ეკონომიკა გაიყო ბლოკებად, რომლებიც განსაზღვრული იყო პოლიტიკური დამოკიდებულებით და იმ ვალუტით, რომლითაც ეს ქვეყნები ვაჭრობდნენ. ბლოკებს შორის ვაჭრობა ძლიერ შეიზღუდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკა კრიზისის შემდეგ აღორძინდა, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში და პოლიტიკური მდგრადობის დამყარებაში.

საიმპორტო ქვოტების უწესრიგო შემოღებამ, სატარიფო ბარიერების შექმნამ, ოქროსა და ვალუტის გაცვლაზე შემოღებულმა შეზღუდვებმა, სხვა პროტექციონისტურმა ზომებმა (რომლებიც ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღებას სხვის ხარჯზე ითვალისწინებდა) ძლიერ შეარყია საერთაშორისო ვაჭრობისა და ურთიერთგადახდების სისტემა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ინგლისში ფინანსური კრიზისი გარკვეული დაგვიანებით დაიწყო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ წინაკრიზისულ პერიოდში ქვეყნის მრეწველობა ნელი ტემპით ვითარდებოდა. შედარებით მძიმე გამოხატულებას ფინანსურმა კრიზისმა დიდ ბრიტანეთში 1933 წელს მიაღწია, როდესაც წარმოება 23%-ით დაეცა. კრიზისმა ყველაზე მეტად მრეწველობის ტრადიციულ დარგებს დაარტყა. შემცირდა ქვანახშირის მოპოვება, თუ 1929 წელს მოპოვებულ იქნა 258 მლნ ტონა, 1933 წელს ეს მაჩვენებელი 208 მლნ ტონამდე შემცირდა. დაზარალდა მეტალურგიაც, კრიზისმა მრეწველობის ეს დარგი 70 წლით უკან დასწია. ამის პარალელურად გაიზარდა იმპორტი 768, 7 მლნ-დან 1 316,2 მილიონ ფუნტ სტერლინგამდე. გაიზარდა სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. 10-ჯერ გაიზარდა ინგლისის შიდა ვალი, 645 მლნ ფუნტი სტერლინგიდან 1913 წლისათვის 6,6 მილიარდ ფუნტ სტერლინგამდე. 1919 წლის ბოლოს ქვეყნის საგარეო ვალი შეადგენდა 1 150 მლნ ფუნტს, აქედან 850 მლნ ფუნტი სტერლინგი აშშ-ზე მოდიოდა. ამრიგად დიდი ბრიტანეთი კრედიტორის პოზიციიდან ამერიკული ბანკების მევალედ იქცა. ყოველივემ დაარღვია ინგლისის საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები, მან ვერ შეინარჩუნა თავისი ეკონომიკური პოზიციები აზიასა და ლათინურ ამერიკაში, რაც იოლად ჩაანაცვლა ამერიკულმა და იაპონურმა კაპიტალმა.

კრიზისმა მოიცვა ინგლისის სოფლის მეურნეობაც. ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე 1930-1932 წლებში დაეცა 34%-ით. 2/3-ით დაეცა მთლიანად მსოფლიო ვაჭრობა. ინგლისური ექსპორტი, რომელიც 1929 წელს 729,3 მლნ ფუნტს შეადგენდა, 1932 წელს შემცირდა 365 მლნ ფუნტამდე. ამერიკული მომხმარებლის დაკარგვისთანავე დიდი ბრიტანეთი 1931 წლის სექტემბერში იძულებული იყო ოქროს სტანდარტი გაეუქმებინა, რამაც გამოიწვია ფუნტი სტერლინგის გაუფასურება. მალე მას მიყვა შვეიცის, ნორვეგიის, დანიის, ირლანდიის და სხვა ევროპული სახელმწიფოების ეროვნული ვალუტების კურსის დაცემა. ინგლისში მეფობდა უმუშევრობა, თუ 1930 წელს მათი რაოდენობა 16,8% შეადგენდა, 1932 წელს ეს მაჩვენებელი 25,5%-მდე გაიზარდა.

მსოფლიო ბაზარზე ინგლისური ვალუტის კურსის გამყარების მიზნით 1931 წელს შექმნილი იქნა სტერლინგის ბლოკი, სადაც შევიდნენ შვეცია, ნორვეგია, დანია, ფინეთი, პორტუგალია, საბერძნეთი,

არგენტინა, ბრაზილია, კოლუმბია, პარაგვაი, ბოლივია, ტაილანდი, ირანი და ეგვიპტე. სტერლინგის ბლოკშე შესვლით მონაწილე ქვეყნები საკუთარი ქვეყნის ვალუტის კურსს აფიქსირებდნენ ინგლისურ ფუნტ სტერლინგთან შესაბამისობაში, მათი სავალუტო რეზერვები ინახებოდა ძირითადად ლონდონში, ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებში საანგარიშსწორებო ერთეული იქნებოდა ფუნტი სტერლინგი. სტერლინგის ბლოკმა საშუალება მისცა ინგლისურ ვალუტას მომსახურებოდა მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის 40-50%-ს.

1930 წლის შემოდგომაზე საფრანგეთში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც 1935 წლამდე გასტანა. წარმოების დონე არ დაცემულა ისე სწრაფად, როგორც ეს მოხდა აშშ-სა და გერმანიაში, მაგრამ სამაგიეროდ ჰქონდა ხანგრძლივი პერიოდი. სამრეწველო წარმოების მოცულობა შემცირდა 44%-ით, კერძოდ 69,6%-ით დაეცა ფრანგული მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოება, უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა ტექსტილის მრეწველობა. ექსპორტ-იმპორტი შემცირდა 65%-ით. ეკონომიკური კრიზისი ფინანსურ სექტორსაც შეეხო და არაერთი ბანკის გაკოტრება გამოიწვია. მოსახლეობა აღმოჩნდა გადახდისუუნარო აღებული სესხების და სხვა ფინანსური ვალდებულებების წინაშე. მომუშავეთა შრომის ანაზღაურების დონე დაეცა 38%-ით. გაჩერდა ათეულობით ფაბრიკა და ქარხანა. 1935 წელს უმუშევართა რიცხვმა 1 მლნ ადამიანს გადააჭარბა.

სამრეწველო წარმოების ინდექსი 1929 წლის მაჩვენებლებით

ქვეყანა	1930	1931	1932	1933	1934	1935
აშშ	80,7	68,1	53,8	64,9	66	76
დიდი ბრიტანეთი	92,4	83,8	83,8	86,1	99	106
საფრანგეთი	100,7	89,2	69,1	77,4	75	72
გერმანია	88,3	71,7	59,8	66,8	80	94

წყარო: Основная статья: Мировой экономический кризис 1929-1933 годов http://wikiwhat.ru/
გადამოწმებულია 31.05.2016
(სამრეწველო წარმოების ინდექსი არის სამრეწველო წარმოების მოცულობის, მისი ზრდის ან დაცემის დინამიკის მაჩვენებელი, განისაზღვრება წარმოების მიმდინარე მოცულობის შეფარდებით საბაზისო პერიოდის შესაბამის მაჩვენებელთან, გამოხატულს ფულადი ფორმით).

ფინანსური კრიზისების ტალღამ დედამიწის აზიურ ნაწილსაც გადაუარა. 1997-1998 წლებში ფინანსურმა კრიზისმა იფეთქა სამხრეთ აზიის სახელმწიფოებში: ტაილანდში, მალაიზიაში, ჰონგ-კონგში, სინგაპურში, ინდონეზიაში, სამხრეთ კორეასა და იაპონიაში. დასავლური პრესა იუწყებოდა აზიური ფინანსური გრიპის შესახებ და ხედავდა საშიშროებას, რომ იგი ევროპასაც გადაედებოდა. ეს იყო ყოვლად მოულოდნელი კრიზისი იმ ფონზე, რომ ეს სახელმწიფოები ვითარდებოდნენ არაჩვეულებრივად სწრაფი ტემპებით, მათი ეკონომიკური განვითარების მოდელები მიიჩნეოდა სამაგალითოდ მსოფლიოში. 1990-1996 წლებში სამხრეთ კორეას ჰქონდა 7,2%-იანი მშპ-ს ზრდა, მალაიზიას და სინგაპურს - 8,7%-იანი, ტაილანდს - 8,4%-იანი, ინდონეზიას - 7,6%-იანი და ა.შ. მაგრამ 1997 წლის შემოდგომაზე დაიწყო პანიკა, რომელმაც პირველ რიგში სამხრეთ აზიური საფონდო ბირჟები მოიცვა. ამ გეოგრაფიულ არეალში შემავალი სახელმწიფოების ეროვნულმა ვალუტებმა, რომლებიც დოლართან მიმართებაში შესაშურ სიმყარეს იჩენდნენ, კურსის კატასტროფული დაცემა დაიწყეს. სამხრეთ კორეის სავალუტო კურსი დაეცა 47%-ით, ტაილანდის - 45%-ით, ინდონეზიის რუპია - 56%-ით და ა.შ. ერთმანეთის მიყოლებით გაკოტრდა უამრავი ბანკი, დაიხურა საწარმოები, დაეცა წარმოება, დაიხურა რამდენიმე ადგილობრივი კონცერნი, ათასობით ადამიანმა დაკარგა სამუშაო. მალაიზიაში დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ქვეყნიდან გაეშვათ 1 მლნ-ზე მეტი მიგრანტი. ამ ქვეყნებს საერთო აზიური რეგიონის სავაჭრო ბრუნვაში სერიოზული ნიშა ეჭირათ და შეადგენდა ექსპორტის 40%.

რამ გამოიწვია მსოფლიო აზიური კრიზისი? ექსპერტების ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ არ არსებობდა კრიზისის გამომწვევი არანაირი ფუნდამენტური ეკონომიკური მიზეზი. მათი აზრით ყველაფერი გამოიწვია სპეკულიაციურმა თამაშებმა, როდესაც ხელოვნურად მოხდა საერთაშორისო ფინანსური ინჯვესტორების ნდობის შერყევა, რასაც მოჰყვა ფინანსური ინვესტორების მიერ აზიური აქტივების პანიკური გაყიდვები საფონდო ბირჟებზე. პანიკამ მოიცვა განურჩევლად ყველა, ისეთი ქვეყნებიც კი, როგორიცაა რუსეთი და ბრაზილია. ექსპერტების განსხვავებული ჯგუფის აზრით, არსებობდა კრიზისის გამომწვევი ბევრი ფუნდამენტური ეკონომიკური მიზეზი, მათ შორის ერთ-ერთი სერიოზული აზიური რეგიონის საბანკო სისტემა იყო. 1990-იან წლებში მათ მიიღეს უცხოური ინჯვესტიციების დიდი ნაკადი, რაც, რა თქმა უნდა, არანაირ პრობლემას არ შექმნიდა თუ მოხდებოდა მათი სწორად და მიზნობრივად დაბანდება. სამწუხაროდ ადგილობრივი კომერციული ბანკების უმეტესობამ კრედიტები მეგობრობის, ოჯახური თუ პოლიტიკური შეხედულებისამებრ გაანაწილეს,

რასაც შემდგომ „მეგობრული კაპიტალიზმი“ ეწოდა («crony capitalism»). ბუნებრივია ასეთ ქმედებას არ ექნებოდა სერიოზული უკუგება, რამაც გაზარდა დეფოლტი. ფინანსურმა ინვესტორებმა გაიაზრეს, რომ აზიური კრედიტებიდან და ინვესტიციებიდან მოსალოდნელზე ბევრად ნაკლებ შემოსავალს მიიღებდნენ, რამაც გამოიწვია აზიური აქტივების გაყიდვების პროვოცირება და გამოიწვია სავალუტო კრიზისი. რეგიონის სამმა ქვეყანამ: ინდონეზიამ, კორეამ და ტაილანდმა დახმარებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიმართა. ფინანსურ კრიზისთან გამკლავების სტრატეგია სამი კომპონენტისაგან შედგებოდა:

- დაფინანსება, რომლისთვისაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 35 მილიარდი $ გამოყო;
- მაკროეკონომიკური პოლიტიკა;
- სტრუქტურული რეფორმები;

აზიური კრიზისის შედეგები აშს-სა და დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებისათვის საგანგაშო არ აღმოჩნდა. ჰქონდა ადგილი ამ ქვეყნების საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების კურსის ცვლილებებს, მაგრამ 1998 წლიდან პროცესებმა დაიწყო სტაბილიზაცია. თუმცა არც ასე შეუმჩნეველი იყო ყველაფერი, თუნდაც იმ გააზრებით, რომ სამხრეთ აზიის სახელმწიფოებზე მოდიოდა მსოფლიო მშპ-ს 1/3 და აშშ-ში ექსპორტის 40%. შედარებით უფრო მტკივნეულად აღიქვეს ეს კრიზისი რუსეთმა და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა, სადაც ნაკლები იყო ფინანსური და ეკონომიკური სტაბილურობა.

გლობალური ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობა არ შეჩერებულა. უფრო მეტიც, ჩინეთის ეკონომიკამ იაპონიას გაუსწრო და მსოფლიოში, შეერთებული შტატების შემდეგ, მეორე ადგილზე გავიდა. ჩინეთის ლიდერები შიდა მოხმარებისა და მოთხოვნის გაზრდას ცდილობენ, რაც ჩინეთის ბაზარს გლობალურ ასპარეზზე ახალ ეკონომიკურ ძალას გახდის. ჩინეთში ავტომანქანების გაყიდვამ 2010 წელს ამერიკის მაჩვენებელს გაუსწრო და შედეგად ჩინეთის საავტომობილო ბაზარი მსოფლიოში ყველაზე მსხვილი გახდა. 2009 წელს ჩინეთში 13.6 მილიონი ავტომანქანა გაიყიდა. ჩინეთის მზარდი ეკონომიკური გავლენა, უწინარეს ყოვლისა, საზღვარგარეთ ბევრი ჩინური ინვესტიციის დაბანდებაში გამოისახება. ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობის ფონზე, ქვეყანაში სულ უფრო მეტი იმიგრანტი შეღწევას ცდილობს. მაგალითად, ჩინეთის სამხრეთის რეგიონის კომერციული ცენტრი ქალაქი გუანგჟოუ მოულოდნელად აფრიკის ქვეყნებიდან და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული იმიგრანტების თავშეყრის ადგილი გახდა.

Bloomberg-ის საერთაშორისო ექსპერტების 45% აკეთებდა დასკვნებს, რომ „უახლოეს ხუთ წელიწადში ჩინეთში ფინანსური კრიზისი განვითარდებოდა“. ისინი თვლიდნენ, რომ ჩინეთში არსებობს სპეკულიაციური საკრედიტო ნასკვი, რომელიც დიდხანს ვერ გაძლებდა, ამის გამო ჩინეთის მეზობელი სახელმწიფოები თავს იკავებენ ამ ქვეყანაში საინვესტიციო პროექტებისაგან. 2010 წლის მონაცემებით ჩინეთმა შეძლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებლით მოზიდვა - 105,7 მილიარდი$. არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელიც 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ჩინეთის ეკონომიკის სიმყარეს ეყრდნობა. თუმცა Bloomberg-ის საერთაშორისო ექსპერტების პროგნოზი ნაწილობრივ გამართლდა. მსოფლიოში სიდიდით მეორე ყველაზე ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნის, ჩინეთის ეროვნული ვალუტა გაუფასურდა. ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე ასევე მკვეთრად დაეცა ჩინეთის საფონდო ბირჟაც. მთავრობამ გარკვეული პრევენციული ზომები მიიღო და ინვესტორების შენარჩუნება და გლობალურ ბაზარზე ნდობის დაბრუნება სცადა. შედეგად ვითარება ბოლო რამდენიმე დღეა, ჩინეთის საფონდო ბირჟაზე გამოსწორდა. თუმცა, საფრთხეები კვლავ არსებობს. 2014 წელს, ჩინეთის ეკონომიკის ზრდამ, უკანასკნელი 24 წლის მინიმალურ მაჩვენებელს მიაღწია. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, ჩინეთში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 7,4% შეადგინა და 63,646 იუანი ანუ, 10,4 ტრილიონი დოლარი შეადგინა, რაც 1998 წლის ეკონომიკური ზრდის შემდეგ, ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ამასთან ერთად, ქვეყნის მთავრობა ხალხს ოპტიმიზმის შენარჩუნებისა და ეკონომიკაში აქტიური ინვესტირებისკენ მოუწოდებს. "ეკონომიკა ახალი ნორმის პირობებში, ინარჩუნებს მდგრად ზრდას", - ირწმუნება ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი მა ცზიანტანი. სამრეწველო პროდუქტის ზრდის ტემპი 8,3%-ით შემცირდა, ინვესტიციების ზრდამ 15,7% შეადგინა. გაყიდვების საერთო მოცულობა კი, 12%-იანი ზრდის პირობებში, 26,24 ტრილიონ იუანს გაუტოლდა.

ლიტერატურა:

1. ი. ლაითაძე. „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და მისი სავარაუდო მიზეზები“. ჟურნალი - Forbes Georgia. - თბ, 2013. მაისი. N18. გვ. 28-29.

2. თ. იობაშვილი. „რომელ ქვეყნებს შეეხო ახალი ფინანსური კრიზისი: რა გავლენას იქონიებს ფინანსური კრიზისი საქართველოზე“. ჟურნალი - აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. თბ, 2011. N9 (141). - გვ. 32-34.
3. ნ. თაგოშვილი. „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო.“ ჟურნალი - ეკონომისტი. თბ. 2011. #4. გვ. 71-75.
4. ვ. სამსონიძე "ფინანსური ქსენოფობია" ევროპაში“ ჟურნალი - აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. თბ, 2011. N1(133). - გვ. 27-29.
5. ლ. პაპავა. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები).“ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბ. 2010, ტ. 8. გვ. 33-58.
6. ლ. არევაძე, თ. წიკლაური „მსოფლიო ფინანსური კრიზისი, მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და კრიზისის დაძლევის პერსპექტივები“ ჟურნალი - ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბ, 2010. ტ I. გვ.7-11.
7. გ. ბერიტაშვილი „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“. ჟურნალი - ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბ, 2010. ტ I. -გვ. 15-18.
8. რ. ასათიანი. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში.“ ჟურნალი - სოციალური ეკონომიკა. 2009. #6. გვ. 10-15.
9. დ. იაკობიძე. „საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი“. თბ. 2009. გვ. 241-246.

რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ ვსაუბრობთ ფინანსური კრიზისების მრავალფეროვნებაზე და ვიძლევით ფინანსური კრიზისების კლასიკურ მაგალითებს. ბოლო წლებში მსოფლიო გადაეჩვია ღრმა ციკლურ რყევებს, წამყვანი ქვეყნების მოსახლეობა უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში (გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გარდა) არ განიცდიდა მნიშვნელოვან უმუშევრობას. 1990-იანი წლებიდან კაცობრიობა დადგა მრავალი გლობალური ამოცანის წინაშე: გარემო პირობებისა და კლიმატის დაცვა, ბრძოლა სიღარიბესთან - ათასწლეულის ამოცანა (Millenium Development Coals), საინფორმაციო რევოლუცია და სხვა. პრობლემათა მთელ კასკადს ერთი ძლიერი და ზომაზე მეტად დამანგრეველი წყარო ასაზრდოებს, რომელიც ცნობილია ეკონომიკური კრიზისების კატეგორიით. ბოლო ეტაპამდე ეკონომიკური აღმავლობა გრძელდებოდა კლასიკური ვარიანტით, ფასების მკვეთრი ზრდით ნედლეულსა და ენერგომატარებლებზე. სუსტი რგოლი ამ ჯაჭვში აღმოჩნდა არა ენერგეტიკული დარგი და სახელმწიფო ბიუჯეტი, არამედ განვითარებული ქვეყნების კერძო საფინანსო სექტორი. მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ დედამიწაზე მოსახლეობის რიცხოვნობის საკმაოდ მაღალი ტემპით ზრდასთან ერთად გრძელდება მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება, რაც კიდევ უფრო მეტად აფერხებს სოციალური საკითხების ზოგადი პრობლემების მოგვარებას. ყოველივე ეს უფრო შესამჩნევი და მტკივნეული გახდა გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე.

FINANCIAL CRISES IN THE EUROPEAN AND ASIAN PARTS OF THE EARTH

Nino Liparteliani, Professor

RESUME

In the present work we talk about the variety of financial crises and we try to show the classical examples of financial crises. In resent years the world has not been experiencing deep cyclical fluctuation, the people of leading countries in the last two decades (except the countries with traditional economies.) have not suffered unemployment. From the 1990s mankind has come up in front of many global challenges: such as, protection of environment and climate, the Millennium Development Coals, informational revolution etc. The whole cascades of problems are grown by one of the strongest and destructive sources that is known as the economic crisis category. Until the last stage the growth of economic continued with the classical options, with increase in prices on raw materials and energy. The weakest ring in this chain was not the energy sector and state budget, but the private financial sector of developed countries. The world practice has shown that, with the growth of population on the earth is accompanied by the growth of scientific-technological progress, which prevents the solving of problems of social issues. All of this became more noticeable and painful in terms of globalization as a result of the global financial crisis.

ეკონომიკური კრიზისების ბუნება და გამომწვევი მიზეზები

ლეილა მამულაშვილი, პროფესორი

ეკონომიკური კრიზისი - ესაა ნორმალურ ეკონომიკურ აქტივობაში მიმდინარე ნეგატიური მოვლენები და დარღვევები, რომელიც დროთა განმავლობაში ეკონომიკური სუბიექტების ფართო ფენებს გადაეცემა და იწვევს ქვეყნის ეკონომიკის ხანგრძლივ ჩამორჩენას. ეკონომიკური კრიზისების დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: იმ პროდუქციის ჭარბი მიწოდება, რომელზეც არ არსებობს საკმარისი გადახდისუნარიანი მოთხოვნა; ჭარბი მიწოდების შედეგად ფასების მკვეთრი ვარდნა; წარმოების მოცულობის მკვეთრი შემცირება; ჭარბი პროდუქციის დაბალ ფასად გაყიდვის გამო საწარმოთა მასობრივი გაკოტრება; უმუშევრობის დონის ზრდა და შრომის ანაზღაურების შემცირება; საკრედიტო სისტემაში წარმოქმნილი სირთულეები და ა.შ. ეკონომიკური კრიზისი ახასიათებს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას, თუმცა ხშირად მას წინ უსწრებს ფინანსური კრიზისი. ამ უკანასკნელს ახასიათებს სირთულეები ქვეყნის საფინანსო სისტემაში.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მომხდარ მსხვილ ეკონომიკურ კრიზისებს საფუძვლად ედო საფინანსო სისტემის კრახი. არსებობს ფინანსური კრიზისების რამდენიმე სახე: ფულად-საკრედიტო, ბირჟის და სავალუტო კრიზისები. საფინანსო სისტემის კრიზისის ყველაზე დიდი გამოვლენა არის სახელმწიფოს გადახდისუუნარობა. ფინანსური კრიზისების ძირითადი მიზეზებია: ვალის კაპიტალიზაციის მაჩვენებლის შემცირება, საბანკო პროცენტის ზრდა, კაპიტალის ნაკადების მიმართულების მკვეთრი ცვლილება, ვალუტის კურსის მკვეთრი დაცემა და სხვ. ფულად-საკრედიტო კრიზისი არის საბანკო სისტემაში მომხდარი ნეგატიური მოვლენა, რომლის დროსაც ხდება კრედიტის მოცულობის მკვეთრი შემცირება, დანაზოგების განაღდება და ფასიანი ქაღალდების ფასის ვარდნა. სავალუტო კრიზისების წარმოშობის მექანიზმი ხშირად ერთმანეთის მსგავსია, რომლის ძირითადი გამომწვევი მიზეზია კაპიტალის მკვეთრი გადინება ქვეყნის ეკონომიკური სივრციდან. სავალუტო კრიზისების გამომწვევი ფაქტორებია: ვალუტის კურსის უსაფუძვლო გამყარება; გაზრდილი საგარეო ვალი და ინვესტორთა სტიმულების ცვლილება. სავალუტო კრიზისი შეიძლება იყოს როგორც ციკლური - დაკავშირებული ციკლურ ეკონომიკურ კრიზისებთან და ასევე არაციკლური - დაკავშირებული ციკლურ ეკონომიკურ კრიზისებთან.

საგადამხდელო ბალანსის კრიზისი იქმნება მაშინ, როდესაც მონეტარული პოლიტიკის სხვა მიზნებთან შეთანხმების გარეშე ხდება ვალუტის კურსის დაფიქსირება. თუ ეკონომიკურ სუბიექტებს აქვთ ინფორმაცია სახელმწიფოს მონეტარული ხელისუფლების მიერ ვალუტის სტაბილური კურსის შენარჩუნების უნარის შესახებ, ეს იწვევს აქტივების შემოსავლიანობის ცვლილებას უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების სასარგებლოდ. შემდგომში ასევე იწვევს ადგილობრივ ვალუტაზე მოთხოვნის დაცემას, მონეტარული ხელისუფლების მიერ საერთაშორისო რეზერვების დიდი ოდენობით ხარჯვას და საბოლოოდ რეზერვების ამოწურვას. ყოველივე ეს განსაკუთრებით საშიშია ისეთი მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. აღნიშნულ ვითარებაში საერთაშორისო კაპიტალის ნაკადების მიმართულების ცვლილება ყოველთვის სავალუტო კრიზისის რისკის მატარებელია. სასესხო კაპიტალის ჭარბი დაგროვება, რომელსაც თან არ ახლავს რეალურ სექტორში მისი მთლიანად გამოყენება, თანდათან ქმნის ფინანსური და ფულადი კრიზისის წინაპირობებს. ამის შედეგად კი სასესხო რესურსების გაუფასურება იზრდება ფულად კრიზისებში. კრიზისების რაოდენობის ზრდა კლასიკური კაპიტალიზმის მქონე ქვეყნების ბაზრებზე მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც შედიან ახალ, ინფორმაციული საზოგადოების სტადიაში, მიუთითებს ეკონომიკური ციკლების შესახებ შემუშავებული თეორიების სისწორეზე. სავალუტო კრიზისების თეორია აქტიურად მუშავდება ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში. ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის გაუარესება სავალუტო კრიზისის ერთ–ერთი გამომწვევი მიზეზი ხდება. ბალანსის უარყოფითი სალდო მოწმობს იმას, რომ ეკონომიკას არ შეუძლია საკმარისი უცხოური ვალუტის გამომუშავება თავისი ეკონომიკური სუბიექტების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. უცხოური ვალუტის მუდმივი დეფიციტი გარდამავალი ეკონომიკისა და ფიქსირებული სავალუტო კურსის პირობებში ხშირად იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრ დაცემას. მსოფლიო სავალუტო ფონდის განმარტების თანახმად, სავალუტო კრახის ქვეშ იგულისხმება ეროვნული ვალუტის ნომინალური კურსის დაცემა 25%-ზე მეტად. კრიზისების მაკროეკონომიკური წინამძღვრების ანალიზი აუცილებელია ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტისათვის აქტივობის გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავებისათვის.

ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში ცენტრალურმა ბანკმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმის გაუქმების შესახებ და სხვადასხვა მეთოდით მოახდინოს ვალუტის კურსის დაფიქსირება. არსებობს ისეთი ღონისძიებებიც, როგორცაა ცვლილება საბანკო რეზერვების ნორმაში. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენებას თავისი შეზღუდვები აქვს. ხელისუფლება, რომელიც ცდილობს ეროვნული ვალუტის დაცვას, შეიძლება რაღაც მომენტში სავალუტო რეზერვების ამოწურვის პრობლემის წინაშე დადგეს. კრიზისები შეიძლება გამოწვეული იყოს ფსიქოლოგიური ფაქტორებითაც. მაგ., თვითრეალიზებადი კრიზისები, რომლებშიც ინვესტორების პესიმიზმი მართლდება შიდა პოლიტიკით; ინვესტორების ჯოგური მოქმედება და მსხვილი საბაზრო ოპერატორების სპეკულაციები. 2008 წელს გამოვლინდა საფინანსო კრიზისის ეკონომიკური მსოფლიო მასშტაბის შედეგები. მთავარი საფონდო ინდექსების დინამიკა კლებადი იყო და მსხვილი საფინანსო ორგანიზაციები აცხადებდნენ გაკოტრების შესახებ.

დღეისათვის სავალუტო კრიზისების მაგივრად საქმე გვაქვს უფრო მასშტაბურ მოვლენებთან. საუბარია ფინანსურ კრიზისებზე, რომელიც ვლინდება საფონდო ბირჟების კრახში, აქციების ფასების მკვეთრ დაცემაში, რასაც შემდგომ მოჰყვება ეკონომიკური კრიზისი. მზარდი გლობალიზაციის გამო ასეთი მოვლენები სულ უფრო კატასტროფული შედეგების მომტანია. კრიზისმა გამოააშკარავა ცალკეული ეკონომიკების სისუსტეები, რომლების შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც კრიზისის განვითარებაზე მოქმედი ეროვნული ფაქტორები. პოსტსაბჭოთა ქვეყნების იმ ძირითად პრობლემებს შორის, რომლებმაც გააძლიერეს მსოფლიო კრიზისის ზეგავლენა მათ ეკონომიკაზე, შემდეგია: რიგი ინსტიტუტების განუვითარებლობა, ეკონომიკის დივერსიფიკაციის დაბალი დონე, სხვა დარგების დაბალი კონკურენტუნარიანობა და იმპორტულ საქონელზე დამოკიდებულება. იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებულ ქვეყნებში კრიზისის ბუნება განსხვავებული იყო, კრიზისის დაწყების მთავარი იმპულსის სახით სხვადასხვა მოვლენები მოგვევლინა. თუ აშშ–ში კრიზისი იპოთეკური ბაზრის პრობლემებით დაიწყო, ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების შემთხვევაში კრიზისი გავრცელდა საბანკო სისტემიდან. სურსათსა და საწვავზე მაღალი მსოფლიო ფასები ხელს უწყობდა წმინდა ექსპორტიორი ქვეყნების სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას, მაშინ როდესაც წმინდა იმპორტიორი ქვეყნების სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო კიდევ უფრო იზრდებოდა. ამით ეს უკანასკნელნი კიდევ უფრო დამოკიდებულები ხდებოდნენ დანარჩენ მსოფლიოზე, რამაც იქონია კიდეც ზეგავლენა კრიზისის განვითარებაზე. არსებული დეფიციტის დასაფარად ეს ქვეყნები მიმართავდნენ დაფინანსების გარე წყაროებს – ინვესტიციებსა და კრედიტებს.

დღეისათვის მიიღება საკმაოდ ბევრი ზომა საფინანსო ბაზრების რეგულირების სრულყოფის მიზნით. მოსალოდნელია ინოვაციური პროდუქტების მასობრივი კომერციული გამოყენების დაწყება, ნანო, ბიო და გენური ტექნოლოგიების, ასევე ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკის საფუძველზე, რის საფუძველზეც მოხდება შესაბამის დარგებში ინვესტიციების ზრდა. 2008 წლის კრიზისის დაწყებისთანავე მსოფლიომ მიიღო აქტიური ზომები მის დასაძლევად. თუმცა ბანკების მასიური მხარდაჭერა ხშირად საპირისპირო შედეგებს იძლევა, რადგან გამოყოფილი სახსრები რეალურ ეკონომიკამდე არ მიდის. კაპიტალისტური დაგროვების მთავარი კანონის შესაბამისად თანხა მიდის იქ, სადაც მაქსიმალური მოგებაა, ანუ სავალუტო, ნედლეულის და საფონდო ბაზრების სპეკულაციებზე. ფინანსური ბაზრის იმ მონაწილეებს, რომლებიც ფლობენ ზედმეტად შეფასებულ აქტივებს, ახასიათებთ მაღალი მოხმარება (სიმდიდრის ეფექტი). ფინანსური კრახის დროს მონაწილეების მხრიდან მათი კეთილდღეობის შემცირების გამო მოხმარების მკვეთრი შემცირება ხდება, რაც იწვევს ერთობლივი მოხმარების შემცირებას და ხელს უშლის ეკონომიკას რეცესიიდან გამოსვლაში. აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც ხდება საფონდო აქტივების ფასის მკვეთრი ზრდა, ეს იწვევს კაპიტალის არაეფექტიან განაწილებასა და მოხმარებას, სამომხმარებლო ბაზარზე ინფლაციის სტიმულირებას, საბანკო სისტემის ნგრევას. საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი იწვევს ეკონომიკურ რეცესიას.

ღირებულებასა და რისკის აღქმას შორის ურთიერთკავშირებს შეუძლიათ გააძლიერონ ეკონომიკური რყევები და ფინანსურ-ეკონომიკურ დარღვევებამდე მიგვიყვანონ. რაც შეეხება ანალიტიკურ განსაზღვრებას, ის მჭიდრო კავშირშია ფინანსური სისტემის პროციკლურობის ცნებასთან. ფინანსური ციკლის ერთ-ერთი ყველაზე მოკრძალებული განმარტება შეეხება კრედიტისა და ქონების ღირებულების საკითხებს. ეს ორი ცვლადი მცირე სიხშირეების დროს ხასიათდება მსგავსი დინამიკით, რითაც მტკიცდება კრედიტის მნიშვნელოვანი როლი მშენებლობისა და ქონების შესყიდვის საკითხებში. ფინანსურ ციკლს ახასიათებს გაცილებით ხანგრძლივი პერიოდულობა, ვიდრე ტრადიციულ ბიზნეს-ციკლებს და მისი ტიპიური ხანგრძლივობა შეადგენს 1-8 წელს. სხვადასხვა კვლევების თანახმად, ქვეყნებში, სადაც საბანკო კრიზისი შიდა მიზეზებით იყო განპირობებული, ხშირად დროში ემთხვეოდა

ფინანსური ციკლის პიკს. იმ შემთხვევებში, როდესაც საბანკო სისტემის კრიზისი არ ემთხვეოდა ფინანსური ციკლის პიკის დროს, საბანკო კრიზისის მიზეზები პარტნიორ ან მეზობელ ქვეყნებში განვითარებულ უარყოფითი მოვლენების შედეგს წარმოადგენდა. ფინანსური ციკლის სიგრძე და ამპლიტუდა არ არის მუდმივი მაჩვენებელი, ისინი დამოკიდებული არიან პოლიტიკურ ღონისძიებებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ რეჟიმს, მონეტარულ რეჟიმს და რეალური ეკონომიკის რეჟიმს. ფინანსური ლიბერალიზაცია ხელს უწყობს ფინანსური ციკლის მექანიზმს, რითაც აუარესებს რისკის და ღირებულების აღქმას. მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი, რომელიც გამიზნულია ინფლაციის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნებაზე, არასაჭიროს ხდის შემზღუდველი პოლიტიკის გატარებას, როდესაც ფინანსური ბუმები უპირისპირდება დაბალი და სტაბილური ინფლაციის შენარჩუნებას და ბოლოს, რეალურ ეკონომიკაში პოზიტიური დინამიკა მრავალ არხს ქმნის ფინანსური ბუმის წარმოქმნისათვის. ფინანსური ბუშტების სხვა მნიშვნელოვანი ასპექტია მათი გავლენა მოხმარების სტრუქტურასა და მიდრეკლებაზე. ფინანსური ბაზრის იმ მონაწილეებს, რომლებიც ფლობენ ზედმეტად შეფასებულ აქტივებს, ახასიათებთ მაღალი მოხმარება. ფინანსური კრახის დროს, ამავე მონაწილეების მხრიდან ხდება მოხმარების მკვეთრი შემცირება, მათი კეთილდღეობის შემცირების გამო, რაც იწვევს ერთობლივი მოხმარების შემცირებას და ხელს უშლის ეკონომიკას რეცესიიდან გამოსვლაში. საფონდო აქტივების ფასის მკვეთრი ზრდა იწვევს კაპიტალის არაეფექტიან განაწილებასა და მოხმარებას, სამომხმარებლო ბაზარზე ინფლაციის სტიმულირებას, საბანკო სისტემის ნგრევას დაუბრუნებელი კრედიტების გამო და ფინანსური კრახის შედეგად სხვადასხვა ფირმების გაკოტრებას. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი იწვევს ეკონომიკურ რეცესიას და ფინანსურ კრიზისს, რომელსაც აუცილებლად მოსდევს ეკონომიკური კრიზისი.

ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს იმას, რომ დღეისათვის არსებობს დიდი ინტერესი ფინანსური ბუშტების შესწავლის მიმართ, რის გამოც გამოკვლეულია ფინანსური ბუშტების ციკლების საკითხი. კვლევისას ყურადღება მახვილდება შემდეგზე: ფინანსური სისტემის მონიტორინგი; პოლიტიკის ინტრუმენტების შემუშავება; პოლიტიკის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება; პოლიტიკის გამტარებლების კოორდინირება. მეცნიერთა ნაწილი ბიზნეს-ციკლის ფორმირებაში საკვანძო როლს ფინანსურ აქტივობას აკუთვნებს. ამის საპირისპიროდ, ფინანსურ აქტივობას ძალიან მცირე როლი ჰქონდა ბიზნეს-ციკლის თეორიაში, რომლის მაგალითია რეალური ბიზნეს-ციკლის თეორია, რომელიც განიხილავს ეკონომიკურ რყევებს, როგორც რეალური სექტორის რეაქციას მწარმოებლურობის შოკებზე. ფართო აღიარება პოვა იმ აზრმა, რომ ფინანსური სისტემა სირთულეს განიცდის ეკონომიკური კრიზისის დაწყებით სტადიაზე, თუმცა არ შექმნილა ისეთი მათემატიკური მოდელი, რომელიც ყველა საფინანსო საქმიანობას ერთიანობაში განიხილავს. ფინანსური გავრცელების კონცეფცია აღწერს ეკონომიკაში არსებული საფინანსო ინსტიტუტების ქსელურ ხასიათს, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ეგზოგენური ფაქტორის ზეგავლენის გავრცელებას აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის. ფინანსური აქსელერატორის მექანიზმი განსაზღვრავს ურთიერთკავშირს მსესხებლის წმინდა სიმდიდრეს, კერძო კაპიტალის სიდიდეს, საკრედიტო განაკვეთებს, ინვესტიციებსა და გამოშვებას შორის. აქსელერატორის მოქმედება ეკონომიკური აღმავლობისა და დაცემის ფაზებზე ასიმეტრიულია: დაცემის ფაზაში დამთრგუნველი ზემოქმედება უფრო ძლიერად ვლინდება, ვიდრე აღმავლობის ფაზაში მისივე მასტიმულირებელი ეფექტი. აქსელერატორის ეფექტი განპირობებულია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებების მნიშვნელოვანი ზეგავლენით, ამიტომ აღნიშნული გათვალისწინებულ უნდა იქნას მონეტარული პოლიტიკის დადებითი შედეგების მისაღწევად.

ლიტერატურა:

1. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუჯირიშვილი, ლ. ტატუნაშვილი, მაკროეკონომიკა, სასწავლო პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, „უნივერსალი“, 2008.
2. ო. ბლანშარი, მაკროეკონომიკა, მეხუთე გამოცემა. თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
3. მ. ნაცვალაძე, თ. ათანელიშვილი, მაკროეკონომიკის პრინციპები, აქტიური სწავლება, თბილისი, „უნივერსალი“, 2012.
4. Мировой финансовый кризис в постсоветских странах: национальные особенности и экономические последствия, Сборник Российской академии наук, Москва, 2009.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi_economics/giorgi_tetrauli.pdf
2. dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/.../Avtoreferati.pdf

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ეკონომიკური კრიზისების ბუნება და მათი გამომწვევი მიზეზები; ეკონომიკური კრიზისების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები: იმ პროდუქციის ჭარბი მიწოდება, რომელზეც არ არსებობს საკმარისი გადახდისუნარიანი მოთხოვნა; ჭარბი მიწოდების შედეგად ფასების მკვეთრი ვარდნა; წარმოების მოცულობის მკვეთრი შემცირება; ჭარბი პროდუქციის დაბალ ფასად გაყიდვის გამო საწარმოთა მასობრივი გაკოტრება; უმუშევრობის დონის ზრდა და შრომის ანაზღაურების შემცირება; საკრედიტო სისტემაში წარმოქმნილი სირთულეები და ა.შ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მომხდარ მსხვილ ეკონომიკურ კრიზისებს საფუძვლად ედო საფინანსო სისტემის კრახი. განხილულია ფინანსური კრიზისების რამდენიმე სახე: ფულად-საკრედიტო, ბირჟის და სავალუტო კრიზისები და მათი გამომწვევი მიზეზები.

THE NATURE OF ECONOMIC CRISES AND THEIR CAUSES

Leila Mamulashvili, Professor

RESUME

The nature of economic crises and their causes is considered in the article; Economic crises, characteristic features: the production of excess supply, which is not enough to pay claims;

Excess of supply as a result of a sharp drop in prices; The volume of production is a sharp decline; Sale of surplus products at low cost due to massive bankruptcy of enterprises;

ncreasing unemployment and reducing wages; Credit system in difficulties and so on.

In recent decades momkhmdar major economic crisis was based on the financial system crash. From financial crises in several forms: monetary, exchange and currency crises and their causes.

დიდი მოცულობის მონაცემების ანალიტიკა ტურიზმსა და სასტუმრო ბიზნესში

რუიზან მექვაბიძე, პროფესორი

„*დიდი მოცულობის მონაცემები* (*Big Data)* დიდი სიჩქარის ან მნიშვნელოვნად მრავალფეროვანი ინფორმაციული რესურსია, რომლისთვისაც საჭიროა დამუშავების ახალი ფორმა გადაწყვეტილების მისაღებად, ინფორმაციის გასახსნელად და ბიზნეს პროცესის ოპტიმიზაციისათვის“

Gartner Group, Inc /Gartner

1. შესავალი

ბიზნესის მამოძრავებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ბიზნეს ანალიტიკისათვის ბიზნესის ოპერაციების ოპტიმიზაციაა, კერძოდ, ისეთი მნიშვნელოვანი ოპერაციებისათვის, როგორიცაა: გაყიდვები, ფასწარმოქმნა, მომგებიანობა და ეფექტურობა. *დიდი მოცულობის მონაცემების* (*Big Data)* ეპოქაში თითქმის ყველა მიმართულებას (მეცნიერება, ტექნიკა, ბიზნესი, ფინანსები, უსაფრთხოება...) საქმე აქვს და ამუშავებს ექსტრაორდინალური მოცულობის მონაცემებს, რომლებიც უნდა გარდაიქმნას და გაანალიზდეს [1, 2, 3]. კვლევის მეთოდებმაც, ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის მართვის პრობლემების ანალიზის თვალსაზრისით, ლოგიკური დალაგება მოითხოვა. ეს კიდევ უფრო გასაგები გახდება გლობალური ტრენდების განხილვით, რომლებიც გავლენას ახდენენ სასტუმრო ბიზნესზე. ხშირად, ტურიზმი და სასტუმრო სერვისი განიხილება როგორც ერთი და იგივე სექტორი, რომლებიც ერთმანეთს ფარავენ. თუმცა, ტურიზმი და მასპინძლობა წარმოადგენენ წარმოების სხვადასხვა დარგებს, ერთმანეთთან დაკავშირებულს. ტურიზმი განისაზღვრება როგორც ადამიანთა ნაკადი, რომელიც გადის თავისი, ჩვეულებრივი გარემოს საზღვრებიდან, როგორც წესი, ერთ წელზე ნაკლები პერიოდით. ადამიანები მოგზაურობენ ბიზნესის ან გართობის მიზნით. მეორეს მხრივ, სასტუმრო სერვისი

განისაზღვრება როგორც სექტორი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ადამიანების განთავსებას, კვებას და სხვა საქმიანობას, საშინაო კომფორტის საზღვრებს გარეთ. ეს კი ნიშნავს, რომ ტურიზმი არის წყარო, რომლის მეშვეობითაც ადამიანები იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს და მოსალოდნელობებს. ზოგიერთი სექტორი, რომლებიც სასტუმრო/მასპინძლობის სექტორის ნაწილს წარმოადგენს, მოიცავს ლიცენზირებულ კლუბების, სასურსათო მაღაზიების, მომსახურების, გამოფენების - ბაზრობებისა და სხვა აქტივობების ორგანიზაციის განმახორციელებელს. ამიტომ, სასტუმრო/მასპინძლობის სექტორი წარმოადგენს მაკოორდინერებელ ცენტრს მრავალ ქვეყანაში, რის გამოც, მას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ქვეყნებისათვის, რომლებისთვისაც ტურიზმი ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი დარგია. ეს ნიშნავს, რომ თუ ადამიანები მოგზაურობენ და კვეთენ საზღვრებს, სასტუმრო/ მასპინძლობის ინდუსტრია წარმატებულია. სწორედ ამიტომ, ის წარმოადგენს უცხოური ვალუტის შემოდინების წყაროს ქვეყანაში. თუ გლობალურ სცენარში გაერთიანდება სხვადასხვა კულტურა, სასტუმრო სექტორს შეუძლია დაეხმაროს ქვეყნებს მნიშვნელოვნად გაზარდონ თავისი შემოსავალი და უცხოური ვალუტის შემოდინება.

სასტუმრო და რესტორნები სასტუმრო სექტორის განუყოფელი ნაწილებია და ისინი პასუხისმგებლები არიან მომხმარებლებსა და კლიენტებს ფართო სპექტრის მომსახურეობა შესთავაზონ. ბუნებრივია, სასტუმროებისა და რესტორნების სწრაფად მზარდ პროცესში, ძნელია თავის გამოჩენა. რის გამოც, მნიშვნელოვანია, ყველა იმ შესაძლებლობების გამოყენება, რომლებიც დაკავშირებულია სასტუმრო სექტორთან და ითხოვს დაუღალავ შრომასა და მცდელობას. ერთი მხრივ, ერთ-ერთი გზა, რომლითაც შესაძლებელია კონკურენტების გასწრება არის კლიენტებისათვის ფართო სპექტრის მომსახურეობის შეთავაზება და მეორე მხრივ, ტექნოლოგიების სრულყოფა. დღეისათვის, სასტუმრო სექტორში ტექნოლოგიების სრულყოფის პირობებში, მცირე და საშუალო სასტუმროებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა მომსახურებების ნაირსახეობების შეთავაზების მიზნით, შესაბამისი სტრატეგიის გათვალისწინებით, რომლის პირობებშიც სასტუმრო სექტორი ვალდებულია ადაპტირება მოახდინოს. სასტუმროებისათვის კიდევ არის ერთი მიმართულება, რომელიც გასათვალისწინებელია შემოსავლების მართვაში. ეს არის პროცესი, როდესაც სასტუმრომ, დამატებით, უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი, როგორიცაა: სეზონურობა, ადგილობრივი ღონისძიებები და შეისწავლოს სიტუაციების განვითარება დროის გარკვეულ მონაკვეთებში.

Big Data (დიდი მოცულობის მონაცემები) გზას უხსნის ორგანიზაციის ახალ შესაძლებლობებს ინფორმაციის მისაღებად კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად. ბიზნესისათვის, Big Data ბიზნესს ეხმარება მის ეფექტურობას, ხარისხსა და სერვისებში, ქმნის რა მომხმარებლის კმაყოფილებისა და ბიზნესის მოგების ეფექტს. მეცნიერული თვალსაზრისით, Big Data ანალიტიკა, ახალი მიმართულებების კვლევის შესაძლებლობას იძლევა პოტენციურად ახალი შედეგებითა და ახალი გაგებით. უმეტეს შემთხვევაში, Big Data ანალიტიკა ახდენს სტრუქტურირებულ და არა-სტრუქტურირებულ მონაცემების ინტეგრირებას რეალურ დროის მოთხოვნებით, აღებს ახალ გზას გააზრებისა და ინოვაციებისაკენ [4].

2. Big Data-ს მახასიათებლები [5,6]

სამი, მთავარი ატრიბუტი გამოიყოფა Big Data-ს მახასიათებლებისათვის:

- მონაცემების დიდი მოცულობა: Big Data შეიძლება იყოს ბილიონი სტრიქონით და ბილიონი სვეტით;
- მონაცემთა ტიპებისა და სტრუქტურის კომპლექსურობა/სირთულე: Big Data ასახავს ახალი მონაცემების წყაროების სახესხვაობებს, ფორმატებსა და სტრუქტურას შემდგომი ანალიზისათვის.
- ახალი, სამუშაო მონაცემების შექმნის სისწრაფე: Big Data-ს შეუძლია აღწეროს მაღალი სიჩქარის მონაცემები, რეალურ დროში.

3. Big Data ანალიტიკა ტურიზმსა და სასტუმრო სექტორში [7]

3.1. პრობლემა და მისი ანალიზი.

ტურიზმი და სასტუმრო ინდუსტრია საკმაოდ რთულია კვლევისათის, ამ არენაზე მოთამაშეების სიმრავლის და ფუნქციონირების მიზნების გამო. კვლევისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ბიზნეს ანალიტიკა, რომელმაც უნდა მოიცვას მინიმუმ შემდეგი მიმართულებები:

- მოთხოვნა და გაყიდვების პროგნოზირება;
- მარაგების მართვა;
- მრავალარხიანი კამპანიის ოპტიმიზაცია;
- უკუგების ოპტიმიზაცია;
- მომხმარებლის სერვისი.

სწორედ ამ მიმართულებებთანაა დაკავშირებული ***Big Data*** ანალიტიკის კვლევის პრობლემები, რომელთა გადაჭრა ითხოვს მონაცემების შენახვისა და მართვის ახალ ინსტრუმენტებს /მეთოდებს და ტექნოლოგიას ბიზნესის სარგებლიანობის რეალიზაციისათვის.

3.2. მონაცემების დამუშავება

ნებისმიერი ინდუსტრია ორიენტირებულია გამოიყენოს მონაცემები კონკურენციაში უპირატესობის მისაღებად, რაც მიიღწევა მონაცემების ანალიზის შედეგად [8]. დღეისათვის, „დიდ მონაცემთა" ტექნოლოგიამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ფაქტობრივად, დიდი მონაცემები ნიშნავს საკმაოდ ბევრ მონაცემთა ნაკრებს მონაცემების დამუშავების ტრადიციული სისტემებისათვის, რის გამოც, მისმა დამუშავებამ ახალი ტექნოლოგია მოითხოვა. ასეთი ტექნოლოგია გამოიყენება სხვადასხვა კატეგორიის ამოცანებში, რომლებსაც მიეკუთვნება ტურიზმი და სასტუმრო ბიზნესი. მას მართავს ფუნდამენტური პრინციპი - მიიღოს სასარგებლო ცოდნა მონაცემების დამუშავების შედეგად, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ექსტრაქტის გაკეთება. კომპანიები ცდილობენ ეს ექსტრაქტი იყოს ღირებული, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა კომპანიას ანალიტიკური ტალანტი. ამ აქტივის განხილვა დაკავშირებულია საღ აზროვნებასთან, რამდენად და რა დოზით შეიძლება მისი ინვესტირება. ხშირად, არ გვაქვს რეალური მონაცემები საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად ან არ გვაქვს შესაბამისი ტალანტი ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად მონაცემების მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მონაცემების გააზრება, რადგან მონაცემების ანალიზს მივყავართ ბიზნესის სტრატეგიამდე. ვაცნობიერებთ მონაცემების ფუნდამენტურ კონცეფციას, რაც დაკავშირებულია მისი ანალიტიკის ორგანიზაციასთან როგორც ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა გადაწყვეტილების მისაღებად ბიზნესის მართვის გასაუმჯობესებლად.

ფუნდამენტური კონცეფცია მდგომარეობს შემდეგში: საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მოვიძიოთ მონაცემების მასობრივად დიდი რაოდენობიდან, ჩვენთვის საინტერესო ობიექტების ინფორმატიული აღწერილობითი ნიშნები. ამ პროცესს შეიძლება ვუწოდოთ ცვლადების ძიება „სადღვებელში". ამასთან, ბიზნეს ანალიტიკოსმა უნდა შეძლოს ჩამოაყალიბოს ჰიპოთეზა და შეძლოს მისი ტესტირება. თანამედროვე ბიზნესის წარმატება, რომელიც ორიენტირებულია დიდ მონაცემებზე, ითხოვს, დიდი მონაცემების ანალიზის გამოყენების ფუნდამენტურ გაგებას კონკრეტულ ბიზნეს-ამოცანის ჭრილში.

3.3. დიდი მონაცემებიდან ბიზნესის პრობლემამდე და მონაცემების ძიების ამოცანებამდე

თითოეული, მონაცემების მართვის პროცესი, ბიზნესის პრობლემის გადაწყვეტილების მისაღებად, უნიკალურია, რადგან იგი თანხვედრაშია მიზნებთან, სურვილებთან, შეზღუდვებთან და პერსონალურობასთანაც. თუმცა, არსებობენ ზოგადი ბიზნეს-ამოცანებიც. მაგალითისთვის, განვიხილავ მონაცემთა მომცველობითი ანალიზს სასტუმრო სერვისების შედარებითი ეფექტურობის გასაზომად საერთაშორისო ტურიზმის მაგალითზე - საბერძნეთის ტურიზმის მაგალითზე. საბერძნეთის ტურიზმის შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელია 15,3% და 18,4 % - საერთო დასაქმების მიხედვით [**8**].

შერჩევის მოცულობა შეადგენს 50 სასტუმროს (ლუქსი და A კლასის). სასტუმროები კლასიფიცირებულია ოთხი კატეგორიის მიხედვით მათი მენეჯმენტის ტიპების შესაბამისად:

- სასტუმროები, რომლებიც ფუნქციონირებენ საერთაშორისო ბრენდთან მიმართებაში;
- სასტუმროები, რომლებიც ფუნქციონირებენ ეროვნულ ბრენდთან მიმართებაში;
- სასტუმროები, რომლებიც ფუნქციონირებენ ადგილობრივ ბრენდთან მიმართებაში;
- სასტუმროები, რომლებიც ფუნქციონირებენ სრულად დამოუკიდებლად, ბრენდთან მიმართებაში;

შესავალის ცვლადებია:

- დასაქმებულთა რიცხოვნობა;
- საწოლების რიცხოვნობა სასტუმროში;
- სასტუმროს საერთო, ოპერაციული ღირებულება

გამოსავლის ცვლადები:

- საერთო შემოსავალი;
- ოთახებიდან შემოსავალი (შემოსავალი გატარებული ღამეების მიხედვით);
- კვება და სასმელებიდან შემოსავალი;
- შემოსავალი სხვა წყაროებიდან.

ანალიტიკური ჩარჩო - მულტიფაქტორული წრფივი პროგრამირების მოდელი, რომელიც ზომავს ერთი ერთეულის ეფექტურობას, ხოლო გადაწყვეტილების მიღების ერთეული ტრანფორმირებას უკეთებს შესავალს (რესურსებს) გამოსავალში (სერვისების პროდუქტები) შერჩევის საშუალებას იძლევა [9,10]. ცხრილში მოცემულია შერჩევის სტატისტიკა.

ცხრილი 1. შერჩევის სტატისტიკა

სასტუმრო	ოპერირების სტილი	საწოლები	დასაქმებულები	ოპერაციული დანახარჯები	შემოსავლები	ღამის გათევიდან შემოსავლები	კლასი
H1	დამოუკიდებელი	650	46	2144722	3124121	72068	L
H2	დამოუკიდებელი	320	85	2433366	2409110	53394	L
H3	დამოუკიდებელი	800	160	2954185	4073276	120910	L
H4	დამოუკიდებელი	396	61	1563731	2287348	51168	L
H5	დამოუკიდებელი	600	130	3314363	5376739	90000	L
H6	დამოუკიდებელი	1200	255	5795450	9554523	125000	L
H7	დამოუკიდებელი	300	38	170677	241736	7500	A
H8	დამოუკიდებელი	322	76	1934693	2059785	49382	A
H9	დამოუკიდებელი	718	110	2936284	3055297	66000	A
H10	დამოუკიდებელი	680	131	4577079	6225808	125041	A
H11	დამოუკიდებელი	620	135	5231877	4368975	116999	A
H12	დამოუკიდებელი	430	22	1329750	1827973	30000	A
H13	დამოუკიდებელი	471	100	2549650	3099485	79978	A
H14	დამოუკიდებელი	380	89	2278036	2570410	89660	A
H15	დამოუკიდებელი	382	110	2736355	3604671	49635	A
H16	დამოუკიდებელი	850	154	4573527	523987	155000	A
H17	დამოუკიდებელი	310	14	523402	536993	10000	A
H18	დამოუკიდებელი	600	85	2199243	3194792	55000	A
H19	დამოუკიდებელი	300	42	1125728	1248148	35413	A
H20	დამოუკიდებელი	322	58	1582584	2177608	57333	A
H21	დამოუკიდებელი	550	105	2396336	4430760	90000	A
H22	დამოუკიდებელი	340	21	1036156	1865727	67456	A
H23	დამოუკიდებელი	350	35	677753	881467	37357	A
H24	დამოუკიდებელი	310	85	1085348	3014589	56185	A
H25	დამოუკიდებელი	385	88	173811	1894434	67440	A
H26	დამოუკიდებელი	700	209	7802988	9095315	85775	A
H27	დამოუკიდებელი	713	137	4178980	4467389	113557	A
H28	დამოუკიდებელი	425	84	2462616	3207276	61807	A
H29	დამოუკიდებელი	573	150	4043889	51170665	98631	L
H30	დამოუკიდებელი	668	80	4182903	5748733	85000	A
H31	დამოუკიდებელი	400	94	2377037	2398283	59800	L
H32	დამოუკიდებელი	295	52	1529956	155453	6382	A
H33	ეროვნული	503	292	9788811	15541804	63254	L
H34	ეროვნული	767	236	6650839	8650875	98373	L
H35	ეროვნული	416	158	6864155	12681132	82397	L
H36	ეროვნული	162	118	3085284	3878000	38964	L
H37	ეროვნული	519	100	3143569	3388450	80205	A
H38	ეროვნული	772	191	6177029	8874959	159350	A
H39	ეროვნული	650	150	4189151	5578592	96276	A
H40	ადგილობრივი	324	120	3620586	4157199	62500	L
H41	ადგილობრივი	296	80	2760275	3171924	45000	L

H42	ადგილობრივი	500	110	2947925	330655	82381	A
H43	ადგილობრივი	300	45	1153944	1700464	55000	A
H44	ადგილობრივი	300	41	1095884	1174481	50000	A
H45	ადგილობრივი	395	105	3197424	4395956	69500	A
H46	ადგილობრივი	472	66	2158040	2795852	101000	A
H47	ადგილობრივი	400	105	3529475	3921208	73000	A
H48	ადგილობრივი	354	45	1225865	1649376	55575	A
H49	ადგილობრივი	250	65	1684216	1756169	57000	A
H50	ადგილობრივი	1064	350	8784527	13476457	210000	A

შერჩევა მოიცავს 50 სასტუმროს და სასტუმროების შერჩევა სამ პირობას ეფუძნება:

- სასტუმროები განიცდიან სეზონურობის გავლენას;
- სასტუმროები მიეკუთვნებიან ლუქსის ან A კლასის ტიპს;
- სასტუმროში არის არანაკლებ 150 საწოლი, რის გამოც დაცულია შერჩევის ჰომოგენურობა. სასტუმროები კლასიფიცირდებიან 4 კატეგორიის მიხედვით ბრენდების მიმართულებით.

ცვლადები, რომლებიც კვლევისათვის შერჩეულია, როგორც შესავლის ცვლადები, ასახავენ მოთხოვნილ რესურსებს ფუნქციონირებისათვის კონკრეტული, მენეჯერული მიზნების მისაღწევად. დასაქმებულთა რიცხოვნობა გათვლილია, როგორც სასტუმროს ადამიანური რესურსი. საწოლების რიცხოვნობა და სასტუმროს საერთო, ოპერაციული დანახარჯი იზომება შესავალზე გამოყენებული კაპიტალით. ცვლადები, რომლებიც შერჩეულია, როგორც გამოსავალი ცვლადები ასახავენ ფართო, მენეჯერულ მიზნებს. გამოსავალი ცვლადებია:

- საერთო შემოსავალი;
- ოთახებიდან შემოსავალი;
- შემოსავალი კვებიდან და სასმელებიდან;
- შემოსავალი სხვა წყაროებიდან.

ცხრილი 2 გვაძლევს შერჩევის აღწერის შედეგებს, კერძოდ: სასტუმროების უმეტესობაა 200-400 საწოლით, დასაქმებულთა 50-100 პერსონით და ოპერირების წლიური დანახარჯით 2-4 მლნ ევრო. წლიური, საერთო შემოსავალი 3-6 მლნ ევროა და 60-90 ათასი პერსონა ათევს ღამეს, ყოველწლიურად. შერჩევაში, საშუალო ზომის სასტუმროს აქვს 496 საწოლი, დასაქმებულთა რიცხოვნობა 108 პერსონა, ოპერირებს 3 130 473 ევროთი, შოულობს 4202206 ევროს წმინდა მოგებას, 75896 პერსონა ათევს ღამეს.

ცხრილი 2. სასტუმროების განაწილება მათი შესავალი და გამოსავალი ცვლადებით

საწოლები	სასტუმროები	დასაქმებულები	სასტუმროები	ოპერაციული ღირებულება, მლნ ევრო	სასტუმროები
0-200	1	0-50	10	0.00-2.00	16
200-400	21	50-100	17	2.00 – 4.00	20
400-600	14	100-150	14	4.00 – 6.00	8
600-800	11	150-200	4	6.00 -8.00	4
>800	3	>200	5	>8.00	2

ცხრილი 2. (გაგრძელება) სასტუმროების განაწილება მათი შესავალი და გამოსავალი ცვლადებით

საერთო შემოსავალი, მლნ ევრო	სასტუმროები	ოთახებიდან შემოსავალი, მლნ ევრო	სასტუმროები
0.00-3.00	19	0.00-30.00	3
3.00-6.00	23	30.00-60.00	16
6.00-9.00	3	60.00-90.00	19
9.00-12.00	2	90.00-120.00	6
>12.00	3	>120.00	6

ეფექტურობის შედეგები: პროგრამული უზრუნველყოფის (DEA-Solver/STATA) გამოყენებით მიღებული შედეგები მოყვანილია ცხრილი 3-ში, შერჩევაში გათვალისწინებულ თითოეული სასტუმროსათვის გამოთვლილია წმინდა ტექნიკური, ტექნიკური და სკალირების ეფექტურობის ქულები.

ცხრილი 3. ეფექტურობის ქულები

სასტუმრო	ოპერირების სტილი	ტექნიკური ეფექტურობა CCR ინდექსი	წმინდა ტექნიკური ეფექტურობა BCC ინდექსი	სკალური ეფექტურობა	რანჟირება
H1	დამოუკიდებელი	0,80004	0,94037	0,85078	26
H2	დამოუკიდებელი	0,72485	0,73863	0,98134	36
H3	დამოუკიდებელი	0,75215	1,00000	0,75215	32
H4	დამოუკიდებელი	0,69123	0,73118	0,94535	42
H5	დამოუკიდებელი	0,78119	0,90990	0,85854	29
H6	დამოუკიდებელი	0,74926	0,96998	0,77245	33
H7	დამოუკიდებელი	0,70557	1,00000	0,70557	39
H8	დამოუკიდებელი	0,70348	0,71348	0,98598	41
H9	დამოუკიდებელი	0,49782	0,63857	0,77959	50
H10	დამოუკიდებელი	0,86084	0,98091	0,87759	14
H11	დამოუკიდებელი	0,83222	0,89838	0,92636	20
H12	დამოუკიდებელი	0,93523	0,93999	0,99494	10
H13	დამოუკიდებელი	0,79014	0,81289	0,97202	28
H14	დამოუკიდებელი	1,00000	1,00000	1,00000	1
H15	დამოუკიდებელი	0,66357	0,67194		44
H16	დამოუკიდებელი	0,82186	1,00000	0,98755	22
H17	დამოუკიდებელი	0,53716	1,00000	0,82186	49
H18	დამოუკიდებელი	0,68840	0,73828	0,53716	43
H19	დამოუკიდებელი	0,59189	0,73828	0,93244	48
H20	დამოუკიდებელი	0,84950	0,85925	0,80821	17
H21	დამოუკიდებელი	0,85561	1,00000	0,98865	16
H22	დამოუკიდებელი	1,00000	1,00000	1,00000	1
H23	დამოუკიდებელი	0,84665	0,87636	0,96611	18
H24	დამოუკიდებელი	1,00000	1,00000	1,00000	1
H25	დამოუკიდებელი	0,80691	0,81119	0,99472	24
H26	დამოუკიდებელი	0,62105	0,71808	0,86487	46
H27	დამოუკიდებელი	0,73051	0,82674	0,88360	34
H28	დამოუკიდებელი	0,71870	0,73747	0,97455	37
H29	დამოუკიდებელი	0,79737	0,83482	0,95513	27
H30	დამოუკიდებელი	0,85669	1,00000	0,85669	15
H31	დამოუკიდებელი	0,61362	0,62068	0,98863	47
H32	დამოუკიდებელი	0,91919	0,94317	0,97458	12
H33	ეროვნული	1,00000	1,00000	1,00000	1
H34	ეროვნული	0,65963	0,76187	0,86581	45
H35	ეროვნული	1,00000	1,00000	1,00000	1
H36	ეროვნული	1,00000	1,00000	1,00000	1
H37	ეროვნული	0,71450	0,73708	0,96936	38
H38	ეროვნული	0,93664	1,00000	0,89407	9
H39	ეროვნული	0,73029	0,81682	0,99094	35
H40	ადგილობრივი	0,84122	0,84892	0,96997	19
H41	ადგილობრივი	0,70360	0,72539	0,96807	40
H42	ადგილობრივი	0,75465	0,77954	0,89167	31
H43	ადგილობრივი	0,89167	1,00000	0,83986	13
H44	ადგილობრივი	0,80862	0,96280	0,99455	23
H45	ადგილობრივი	0,82576	0,83029	0,99343	21
H46	ადგილობრივი	0,99343	1,00000	0,99660	7
H47	ადგილობრივი	0,80681	0,80956	0,99671	25

H48	ადგილობრივი	0,77774	0,78031	0,96534	30
H49	ადგილობრივი	0,96534	1,00000	0,96534	8
H50	ადგილობრივი	0,92235	1,00000	0,92235	11

ტექნიკური ეფექტურობის შედეგების მიხედვით, ბრენდირებული სასტუმროების ოპერირების ეფექტურობის საშუალო დონე 82.3%, რაც უფრო მაღალია, ვიდრე დამოუკიდებელი სასტუმროების ეფექტურობის დონე, რომელიც 77.9% შეადგენს. ანალოგიური შუალედია განსაზღვრული სკალირებული ეფექტურობისათვის. ეს ინტერპრეტაცია ორ საკითხზე მიგვანიშნებს:

- ბრენდირებული სასტუმროების გადაწყვეტილების მიღების ერთეული საკმაოდ ახლოსაა თავის ოპტიმალურ მაჩვენებელთან;
- ბრენდირებული სასტუმროები ხარჯავენ ნაკლებ რესურსს დამოუკიდებელ სასტუმროებთან შედარებით.

მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია მენეჯერისათვის გადაწყვეტილების მისაღებად, რადგან გამარტივებულია ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესში არსებული მონაცემების მზარდი საინფორმაციო ბაზიდან შეირჩეს კონკრეტული ბიზნეს-ამოცანისათვის შესაბამისი საინფორმაციო ბაზა დასამუშავებლად.

ლიტერატურა:

[1] Dean J., Gehmawat S., MapReduce (2004). Simplified data processing on large clusters. Proceeding of the 6th Conference on Symposium on Operating Systems Design and Implementation. Pp: 137-150
[2] Rajendra Akerkar (2012). Big Data& Tourism. Techno mathematics Research Foundation. TMF Report 11-2012.
[3] Null C. (2013). How small businesses can mine Big Data. PC World magazine
[4] Edited by Kuan-Ching Li, Hai Jang, Laurenca T. Yang, Alfredo Cuzzacrea (2015). Big Data Algorithms, Analytics, Applications. ISBN-13: 978-1-4822-4056-6 (eBook - PDF). CRC Press Taylor & Francis Group
[5] Charnes, A., Cooper W., Lewin, A. & Seiford, L. (1995). Data Envelopment Analysis: Theory Methodology and Application. Boston: Kluwer Academic Publisher
[6] Larry Dwyler, Alison Gill, Neelu Seetaram (Editors) (2012). Handbook of Research Methods in Tourism. Quantitative and Qualitative Approaches.ISBN:978-1-78100-128-8. Edward Elgar Publishing LTD.
[7] Alexandros Apostolakis, George Datseris, Constantine Manasakis (2012).Using Data Envelopment Analysis to measure hotel efficiency in Crete. Department of Economics University of Crete. Working Paper Series. www.soc.uoc.gr/benetec
[8] R. Ramanathan (2003). An Introduction to Data Envelopment Analysis. A Tool for Performance Measurement. ISBN: 0–7619–9760–1 (US–Hb); 81–7829–260–2 (India–Hb); 0–7619–9761–X (US–Pb); 81–7829–261–0 (India–Pb). Sage Publications Inc.
[9] Banker, R. & Morey, R. (1986). Efficiency Analysis for Exogenously Fixed Inputs and Outputs. Operations Research, 34(4): 513-521
[10] Cooper, W., Seiford, L. & Tone, K. (2005). Introduction to Data Envelopment Analysis and its Uses: With DEA-Solver Software and References. New York: Springer.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია დიდი მოცულობის მონაცემების (Big Data) თემატიკის განხილვის აუცილებლობა ტურიზმსა და სასტუმრო ბიზნესში, განსაკუთრებით, სასტუმრო მენეჯმენტის პროგრამაში, მონაცემების დამუშავების შედეგების ეფექტური გამოყენების მიზნით გადაწყვეტილების მისაღებად, სასტუმრო ბიზნეს-ოპერაციების ოპტიმიზაციისათვის. განხილულია მაგალითი, სასტუმროების კატეგორიების გათვალისწინებით და დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავების გამოყენებით ამ სასტუმროების ეფექტური მუშაობის შესაფასებლად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად ოპერაციებისათვის:

- მოთხოვნა და გაყიდვების პროგნოზირება;
- მარაგების მართვა;
- მრავალარხიანი კამპანიის ოპტიმიზაცია;
- უკუგების ოპტიმიზაცია;
- მომხმარებლის სერვისი.

ANALYTICS OF BIG DATA IN TOURISM AND HOTEL BUSINESS MANAGEMENT

Ruizan Mekvabidze, Professor

RESUME

In this work paper is discussed the need for consideration of Big Data topics in tourism and hotel business, especially in hotel management program for optimizing of hotel business operations and to make decisions by effective using of data processing results. By example analyzed in the work paper is considered hotel categories for the processing of Big Data for assessing the efficient work of the hotels and for making relevant decisions:

- Request and forecast projections;
- Management of supplies;
- Multi-channel campaign optimization;
- Optimization of returns;
- Customer service.

საერთაშორისო ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები

***ნანა ნადირაძე**, სტუდენტთა საქმის მწარმოებელი*

მეოცე საუკუნის დასასრულისა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე მსოფლიო კულტურასა და ეკონომიკაში ტურიზმი ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების მქონე სფეროდ. მისი დახმარებით მნიშვნელოვნად ვითარდება ვაჭრობისა და მომსახურების და საერთოდ - სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები, რაც იწვევს სავალუტო შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ასპარეზზე გატანას და მათი შენარჩუნების ფინანსურ უზრუნველყოფას. ამასთან ტურიზმი წარმოადგენს ინტეგრირებულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა ურთიერთობათა გაღრმავებაში, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შიდა პროდუქტის ფორმირებაზე, სავაჭრო ბალანსის აქტივიზაციაზე, მოსახლეობის დასაქმებაზე, სიღარიბის დაძლევაზე და სხვა. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ის, რომ ტურიზმზე მოდის მსოფლიოს მთლიანი პროდუქტის 10%, მსოფლიოს ინვესტიციების 11,8%, დასაქმებული მოსახლეობის თითქმის 10%. მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის პროგნოზული მონაცემებით, 2016 წელს საერთაშორისო ტურიზმის პროდუქციის მოცულობა 1,8-ჯერ გაიზრდება.

მსოფლიო საზოგადოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ტურიზმის განვითარებას. ამ მიზნით ჩამოყალიბებულია სამართლებრივი საფუძვლები, დამუშავებულია და მუდმივ დახვეწას განიცდის ტურისტული საქმიანობის ხელშეწყობისა და სტიმულირების სისტემა, რის საფუძველზეც ჩქარი ტემპებით ვითარდება ეკონომიკის ახალი სფერო - ტურისტული ინდუსტრია, უმჯობესდება და სამართლებრივ მოწესრიგებას განიცდის ბიზნეს გარემო. სწორედ ტურისტული ბიზნესისადმი ასეთი განსაკუთრებული ინტერესის შედეგად წარმოიშვა და დღეს სახელმწიფოთაშორისო დონეზე წარმატებით ფუნქციონირებს სპეციალიზებული ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (მტო). იგი სწავლობს მსოფლიოს უმსხვილეს რეგიონებსა და ქვეყნებში ტურიზმის სფეროში მიმდინარე პროცესებს, აანალიზებს მიღებულ ეკონომიკურ-სტატისტიკურ ინფორმაციას, ატარებს მეთოდოლოგიურ სამუშაოებს, შეიმუშავებს ტურისტული ბაზრის განვითარების მოკლე და გრძელვადიან პროგნოზებს, ხელს უწყობს ტურიზმში სამართლებრივი ბაზის განმტკიცებას და ერთიანი ,,თამაშის წესების“ ჩამოყალიბებასა და დაცვას. მიუხედავად მსოფლიო ტურიზმის ბიზნესში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისა, ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გამოუკვლეველია, რაც სპეციალურ შესწავლასა და მეცნიერულ ანალიზს მოითხოვს.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარება მსოფლიოს უკანასკნელ პერიოდში მეტად არახელსაყრელ ვითარებაში მიმდინარეობდა (ტერორიზმი, სტიქიური უბედურება, სავალუტო კურსების რყევები, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობა) და მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ტურიზმის შემოსავლებმა მთლიანად მსოფლიოში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და 2015 წელს 800 მილიარდს მიაღწია, მანამდე არნახულ დონეს. ექსპერტთა შეფასების თანახმად, ზრდა წარმოადგენს განსაცვიფრებელ რიცხვს - 42 მილიონ დამატებით შემოსავალს, აქედან 17 მილიონზე მეტი მოდის ევროპაზე, 8 მილიონი ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაზე, სამ-სამი მილიონი აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთზე. 2015 წლის შედეგები მიუთითებს არა მარტო 5,5%-ით ზრდაზე მთელს მსოფლიოში, არამედ მოწმობს ტურიზმის იმ არნახული მასშტაბით განვითარებაზე, რომელიც მიღწეულ იქნა 2014 წელს (+10%). თუმცა მსოფლიო ტურიზმის განვითარება უფრო ზომიერი იყო 2015 წელს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთნახევარი პროცენტით მაინც გადააჭარბა ზრდის გრძელვადიანი პროგნოზით გათვალისწინებულ საშუალო წლიური ზრდის ტემპს და შეადგინა 4,1%.

რეგიონების მიხედვით მიღებული შედეგებიდან ცხადია, რომ 2014 წელს შემომსვლელი ვიზიტორების ყველაზე მაღალი ნაკადი შეინიშნება აფრიკაში (+9%), მის შემდეგ მოდის ქვეყნები: ახლო აღმოსავლეთი (+8%), აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონები (+8%), ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის (+6%) და ევროპის (+4%). ამასთან, მიუხედავად 2015 წელს მიღწეული ზრდის შედარებით შენელებული ტემპებისა, ახლო აღმოსავლეთში შეინიშნებოდა ყველზე მაღალი საშუალო წლიური ზრდის ტემპები უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე. 2010 წლიდან მათ შეადგინეს საშუალოდ 10% წელიწადში, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის 7%-იან, აფრიკის 5%-იან, ევროპის 2%-იან და სამხრეთ ამერიკის 1%-იან ზრდასთან შედარებით. შედარებისათვის, შეიძლება აღინიშნოს რომ ტურიზმის საერთო მსოფლიო ტემპებმა საშუალოდ შეადგინეს 3%-ზე ცოტათი მეტი. ერთადერთი რეგიონი, რომელშიც არ მიმდინარეობდა საერთაშორისო შემოსავლების მატება მთელი ხუთ წლიანი პერიოდის მანძილზე, იყო ჩრდილოეთ ამერიკა (-0,3%).

2015 წელს საერთაშორისო ტურისტული შემოსავლების უმეტესობას შეადგენენ მგზავრები თავისუფალი დროის გატარების, დასვენებისა და შვებულების გატარების მიზნით (50%), რომელმაც მიაღწია საერთო ჯამში 402 მილიონს. საქმიან მგზავრებზე მოდის საერთო რიცხვიდან დაახლოებით 16% (125 მილიონი) და კიდევ 16% შეადგენენ მგზავრები, რომლებსაც ჰქონდათ სხვადასხვა მიზანი - მაგალითად, მეგობრებისა და ნათესავების მონახულება, მომლოცველობა, მკურნალობა და ა.შ. (212 მილიონი). რაც შეეხება დანარჩენ 8%-ს, მათ მიერ მგზავრობის მიზნები არ იყო მითითებული.

2015 წელს საერთაშორისო ტურისტთა დაახლოებით ნახევარი პრაქტიკულად დანიშნულების ადგილას მივიდა ავტომობილით (43%), ან რკინიგზის ტრანსპორტით (5%). საჰაერო ტრანსპორტზე მოდის შემოსულთა 45%, ხოლო წყლის ტრანსპორტზე - 7%. ორი უკანასკნელი წლების დაკვირვება ცხადყოფს, რომ ტურისტთა მგზავრობა საჰაერო ტრანსპორტით იზრდება უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე მიწისზედა ან წყლის ტრანსპორტით.

რეგიონების მიხედვით შემოსავლების ანალიზისას ირკვევა, რომ 2014 წელთან შედარებით 2015 წელს ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი დარეგისტრირდა აფრიკაში (+8,5%), მას კვალდაკვალ მოყვება აზია და წყნარი იკეანის რეგიონი (+4,3%), ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა (+3,8%), ევროპა (+2,4%) და ახლო აღმოსავლეთი (+1,5%). ყველა შემთხვევაში შემოსავლების ზრდა ჩამორჩება საერთაშორისო ტურისტების შემოსავლების ზრდის ტემპებს. ეს შეიძლება აიხსნას სხვადასხვა ფაქტორით, კერძოდ, მაღალშემოსავლიანი საქმიანი ტურიზმის ჯერ კიდევ არამდგრადი განვითარებით, მცირევადიანი მგზავრობების რიცხვის შედარებით მაღალი ზრდით, იაფი ავიახაზების უაღრესად მასტიმულირებელი მიმზიდველი ტარიფებით და ტურისტული ცენტრების მხარეზე გადახრით, რომელიც სთავაზობენ მიმზიდველ თანაფარდობას ფასებსა და ხარისხს შორის.

საერთაშორისო ტურიზმში წამყვანი ცენტრების ადგილების გამოვლენის მიზნით მისი შემდგომი რენჟირებისათვის სასურველია გამოვიყენოთ ორი მაჩვენებელი - საერთაშორისო ტურისტული შემოსავლები და შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან. ამ ორი მაჩვენებლის მიხედვით ქვეყნების დაჯგუფებისას, აღმოჩნდა, რომ ორივე დაჯგუფებიდან 9 ქვეყანას უკავია თანმიმდევრობით სხვადასხვა ადგილი 10 წამყვანი ტურისტული ადგილიდან. პირველი სამი ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატებს, ესპანეთსა და საფრანგეთს. შეერთებულ შტატებს უჭირავს მესამე ადგილი შემოსავლების მიხედვით, მაგრამ მესამე ადგილი ტურისტული შემოსავლების მიხედვით, სამაგიეროდ საფრანგეთს უჭირავს პირველი ადგილი ტურისტული შემოსავლების მაჩვენებლის მიხედვით, ხოლო მესამე შემოსავლებით, მაშინ როცა ესპანეთი მეორეა ქვეყნებს შორის ორივე ჯგუფის მიხედვით. იტალიას უკავია მეოთხე ადგილი ტურისტული შემოსავლების მიხედვით, მაგრამ მეხუთე ტურისტული შემოსავლების დონით,

ხოლო ჩინეთი მეხუთეა ტურისტული შემოსავლებით, და მეექვსე შემოსავლების მაჩვენებლით. დიდ ბრიტანეთს, გერმანიას, თურქეთს და ავსტრიას უკავია, შესაბამისად 5, 7, 8 და 9 ადგილი შემოსავლების მიხედვით და თითოეულს ერთი ადგილით ქვედა საფეხური ტურისტული შემოსავლებით. ტურისტული ცენტრების პირველ ათეულში შედის მექსიკა, მაგრამ მხოლოდ ტურისტული შემოსავლებით და ავსტრია - მხოლოდ შემოსავლების მიხედვით.

,,ტურიზმი: პანორამა 2020" წარმოადგენს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო) მოხსენებას, რომელიც შეიცავს გრძელვადიან პროგნოზს და ტურიზმის განვითარების შეფასებას ახალი ათასწლეულის პირველი 20 წლისათვის. მისი ძირითადი მიზანი რაოდენობრივი პროგნოზის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს 2000, 2010 და 2020 წლებისთვის. ამ მოხსენების თანახმად, მოსალოდნელია, რომ 2020 წლისათვის საერთაშორისო ტურისტული შემოსავლები მიაღწევს 1,56 მილიარდ კაცს. საერთაშორისო შემოსავლების საერთო მოცულობიდან 1,18 მილიარდი მოვა შიგარეგიონულ ტურიზმზე, ხოლო 377 მილიარდი შორეულ მანძილზე მგზავრობაზე. რეგიონების მიხედვით ტურისტული შემოსავლების მაჩვენებელთა ერთობლივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2020 წლისათვის სამი მთავარი მიმღები რეგიონი იქნება ევროპა (717 მლნ ტურისტი). აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი (397 მლნ) და ამერიკის რეგიონი (282 მლნ ტურისტი). ამათ მოყვებიან აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ აზია. ვარაუდობენ, რომ მომავალშიც ევროპა შეინარჩუნებს ლიდერის პოზიციას საერთაშორისო შემოსავლების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ მისი ხვედრითი წილი საპროგნოზო პერიოდში შემცირდება 60%-დან 46%-მდე.

ტურიზმის საერთაშორისო რეგულირების მიმართულებები ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) ფარგლებში - ყველა ქვეყნისათვის აქტუალურია, რადგან ტურიზმის დარგის განვითარებაში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში გამოცდილების და დახმარების მიღება, ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე სრულფასოვნად და დროულად ინტეგრირება შესაძლებელია სწორედ აღნიშნულ ორგანიზაციასთან საერთაშორისო კორპორაციის საფუძველზე.

ტურიზმის განვითარებაზე, ქვეყნის შიდა ბაზარზე მოქმედი ფაქტორების გარდა, მრავალი გლობალური ფაქტორი მოქმედებს. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევის შედეგად, 2015 წელს ტურიზმის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია:

- გეოპოლიტიკური ფაქტორები - ტურიზმი და კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში (ერაყი, ავღანეთი, პალესტინა, თურქეთი, ჩრდილოეთ აფრიკა);
- ეკონომიკური ფაქტორები - მშპ-ს ზრდამ საერთაშორისო სავალუტო ფონდს მონაცემების მიხედვით 5%, ხოლო 2015 წელს - 2,8% შეადგინა.
- დასაქმება და უმუშევრობა - 2015 წელს ევროპის ქვეყნებში სსფ-ს მონაცემებით უმუშევრობის დონემ 8,2% შეადგინა;
- დოლარის კურსის ცვლილება;
- ამინდი და ჯანდაცვა.

მიმდინარე პერიოდისთვის ტურიზმის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორთა რიცხვშია: გეოპოლიტიკუტი სიტუაცია - საომარი მოქმედებები, კონფლიქტები და ტერორისტული აქტები, სამთავრობო გადატრიალებები კავკასიაში, რუსეთში, შუა აზიაში, ახლო აღმოსავლეთში; ასევე, ეკონომიკური გარემო - მსოფლიო საფინანსო და ეკონომიკური კრიზისის გავლენით ეკონომიკური დაცემის ტალღა აღინიშნა მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებში, რაც ამცირებს მოთხოვნას ტურისტულ პროდუქტზე.

2008 წლის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო ტურიზმში ნეგატიური ტენდენციები დაფიქსირდა: მიუხედავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოთქმული პროგნოზისა 2009 წელს 2%-იან მსოფლიო ეკონომიკური ზრდასთან დაკავშირებით, 2008 წლის მსოფლიო საფინანსო კრიზისის შედეგად 2009 წელს ეკონომიკურმა ზრდამ - 1% შეადგინა. მკვეთრად შემცირდა ბიზნეს აქტივობა; გაიზარდა უმუშევრობა; პერიოდულად მერყეობს ვალუტების კურსები, რაც მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვან რყევებს იწვევს; კვლავ აქტუალურია ,,შავი ოქროს" ფასის დინამიკა; ამინდი და სტიქია: მიწისძვრები, წყალდიდობები, ქარიშხალი და ვულკანის ამოფრქვევა. მათი მასშტაბურობისა და დამანგრეველი ძალის მოქმედებით ბუნებრივად იზღუდება ადამიანების საერთაშორისო გადაადგილება. ფერხდება ტურიზმის განვითარებაც. 2010 წლის ზამთარში ტურისტულ მიმოსვლაზე დიდი გავლენა იქონია ე.წ. A ტიპის (H1N1) ვირუსის გავრცელებამ, რის გამოც, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, საერთაშორისო მოგზაურობები შეიზღუდა.

2009 წლის პირველ ნახევარში აფრიკის გარდა, მსოფლიო ყველა რეგიონში შემცირდა უცხოელი ტურისტების რიცხვი: ევროპაში - 10%-ით, ამერიკაში - 5%-ით, აზია წყნარი ოკეანის რეგიონში - 6%-ით, შუა აღმოსავლეთში - 18%-ით, 3%-იანი ზრდა აღინიშნა მხოლოდ აფრიკაში.

მსოფლიოში 200-ზე მეტი საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციაა. მათ შორის: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია, საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც საერთაშორისო ავიაგადამყვანთა მსოფლიო ორგანიზაციაა. მისი მთავარი ფუნქციაა საერთაშორისო კომერციული საავიაციო მიმოსვლის მოწესრიგება; ყველა წევრისაგან ერთნაირი წესებისა და პროცედურების შემოღება; საერთაშორისო მარშრუტებზე მგზავრთა გადაყვანის შეთანხმებული ტარიფების დაწესება. ორგანიზაციაში 230 კომპანიაა გაწევრიანებული. ტურისტული სააგენტოები ამ ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობენ სპეციალური განყოფილების - ავიაკომპანიების აგენტთა საერთაშორისო სააგენტოთა მეშვეობით. საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ორგანიზაცია აკონტროლებს ტურისტულ სააგენტოთა საქმიანობას წესების, სტანდარტების და ერთიანი მოთხოვნების დაცვის მიმართულებით.

ტურიზმის საქმიანობის განვითარებაზე მუშაობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ტურიზმის კომიტეტი, რომელიც ხელს უწყობს წევრ-ქვეყნებში ტურიზმის განვითარებას.

ტურიზმის სფეროს რეგულირებაში წარმოდგენილია რეგიონული ორგანიზაციებიც, რომელთა შორისაც არის ამერიკის, არაბეთის, აფრიკის, ევროპის და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი. ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ევროპის რეგიონის ორგანიზაციები: ევროპის თანამეგობრობის სასტუმროებისა და რესტორნების ინდუსტრიის კომიტეტი, ,,საერთო ბაზრის“ ტურისტული ორგანიზაცია, სკანდინავიის ტურისტული კავშირი.

მთავრობათაშორისი ორგანიზაციების გარდა ტურიზმის სფეროში აღსანიშნავია: ტრანსნაციონალური ორგანიზაციები და კავშირები: ტრანსნაციონალური სასტუმრო კორპორაცია, სატრანსპორტო კორპორაციები, ტურიზმის ევროპული ქსელი, ტურიზმის და მოგზაურობების მსოფლიო საბჭო და სხვა.

ტურიზმის სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის წამყვანი პოზიცია უკავია ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციას.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (World Tourizm Organization – UNWTO) შეიქმნა 1975 წელს ოფიციალური ტურისტული ორგანიზაციების საერთაშორისო არასამთავრობათაშორისი გაერთიანების ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციად გარდაქმნის გზით, წესდების მიღების საფუძველზე. იგი გაეროს სპეიალიზებული ორგანიზაციაა, რომელიც მოქმედებს UNWTO-ს და გაეროს შორის თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით. ის გვევლინება ორგანიზაციად, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობის და ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქცია ტურიზმის სფეროში. იგი ერთადერთი მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს ტურიზმის ყველა ასპექტზე მთელ მსოფლიოში. UNWTO-შ 161 წევრია. მისი შტაბ ბინა მდებარეობს მადრიდში, ესპანეთში.

UNWTO-ს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმის სტატისტიკური კვლევების, პროგნოზირების, მარკეტინგული საქმიანობის წარმართვა. ეს ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ტურისტული ორგანიზაციების საქმიანობისათვის. UNWTO რეგულარულად წარმოადგენს მსოფლიოში ტურიზმის მდგომარეობის ანგარიშს, რომელშიც ასახულია როგორც წარმატებები, ასევე პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას.

UNWTO-ს საბჭო წარმოდგენილია კომიტეტებით და რეგიონალური კომისიებით. UNWTO-ს სპეციალური კომიტეტები ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს კონსულტაციებს უწევენ მენეჯმენტში და პროგრამების შინაარსში. იგი მოიცავს: პროგრამების კომიტეტს, ბიუჯეტის და ფინანსების კომიტეტს, სტატისტიკის და ტურიზმის მაკროეკონომიკური ანალიზის კომიტეტს, ხარისხისა და ვაჭრობის კომიტეტს, UNWTO-ს საგანმანათლებლო და ბიზნეს საბჭოს და ტურიზმის ეთიკის კომიტეტებს. UNWTO თავის საქმიანობას მსოფლიო რეგიონებში თავისი წარმომადგენლობების მეშვეობით ახორციელებს. UNWTO-ს ჰყავს 6 რეგიონალური კომისია: აფრიკის, ევროპის, წყნარი ოკეანის, აღმოსავლეთ აზიის, შუა აზიისა და სამხრეთ აზიის. შეხვედრები იმართება წელიწადში ერთხელ. რეგიონალური წარმომადგენლები ხვდებიან თავიანთი რეგიონების ტურიზმის დარგის წარმომადგენლებს, იმისათვის, რომ გამოავლინონ, გაუკეთონ ანალიზი და მონახონ გზები ტურიზმის განვითარების პერიოდში წარმოშობილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. რეგიონალური კომისიები მონაწილეობას იღებენ ტურისტული პროდუქტების შემუშავებაში, ორგანიზებას უკეთებენ პრაქტიკულ სემინარებს სხვადასხვა ქვეყნების ტურიზმის აქტუალურ საკითხებზე. რეგიონალური კომისიები შედგება მოცემული რეგიონის

სრული და ასოცირებული წევრებისაგან. მიერთებული წევრები ასრულებენ დამკვირვებლის ფუნქციებს. უფლებამოსილი წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ კონტაქტს ერთმანეთთან და გენერალურ მდივანთან და გენერალურ ასამბლეასთან სხდომებს შორის და წარადგენენ თავიანთ წინადადებებს და შეთავაზებებს. რეგიონალური კომისიები ირჩევენ თავმჯდომარეს და ვიცე-თავჯდომარეს თავიანთი წევრებიდან ორი წლის ვადით.

UNWTO-ს რეგიონული პროექტების ფარგლებში 2010 წლის იანვრიდან დაიწყო მუშაობა სამხრეთ კავკასიის რეგიონის და შავი ზღვის ტურიზმის ინიციატივებზე. პირველი გულისხმობს რეგიონის ერთიან ბაზარზე პოზიციონირებას, რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას, სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ტურისტული კომპანიების ერთობლივი პროდუქტების შექმნას. შავი ზღვის რეგიონის ინიციატივა რეგიონში მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, ერთობლივი პროდუქტების შექმნასა და საკრუიზო ბიზნესის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

ლიტერატურა:

1. მ. ბ. ბირჟაკოვი. „ტურიზმის ინდუსტრია: გადაზიდვები“. თბ. 2014. გვ. 487-489.
2. ლ. ძნელაძე. „მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრია. საქართველოს ტურისტული პოტენციალი და განვითარების პერსპექტივები. ბათუმის საზღავო აკადემია. 2014. გვ. 119-128.
3. კ. კოკელია. „საინვესტიციო პოლიტიკა ტურიზმის ინდუსტრიაში“. მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმის უნივერსიტეტი. 2013. გვ. 163-169.
4. მ. ფირანაშვილი. „ტურისტული ატრაქციების და გართობის განვითარება მსოფლიოში და მისი პერსპექტივები საქართველოში.“ მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმის უნივერსიტეტი. 2012. გვ. 113-119.
5. რ. ფუტკარაძე. „საფრანგეთი საერთაშორისო ტურიზმში: თანამედროვე მდგომარეობს და პერსპეტივები.“ მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმის უნივერსიტეტი. 2012. გვ. 119-123.
6. მ. მეტრეველი. „ტურიზმის ბიზნესი“. თბ. 2011. გვ. 313-317.
7. თ. დიასამიძე. „პრიორიტეტები ტურიზმის განვითარების სტრატეგიაში (ზოგიერთი ასპექტი). ჟურნალი - ბიზნესი და მენეჯმენტი. ბათუმი. 2010. #2. გვ. 272-274.
8. ე. მაკარაძე. „კულტურული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში.“ ჟურნალი - ბიზნესი და მენეჯმენტი. ბათუმი. 2010. #2. გვ 252-253.

რეზიუმე

XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე მსოფლიო კულტურასა და ეკონომიკაში ტურიზმი ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების მქონე სფეროდ. მისი დახმარებით მნიშვნელოვნად ვითარდება ვაჭრობისა და მომსახურების და საერთოდ - სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები, რაც იწვევს სავალუტო შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ასპარეზზე გატანას და მათი შენარჩუნების ფინანსურ უზრუნველყოფას. ამასთან ტურიზმი წარმოადგენს ინტეგრირებულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა ურთიერთობათა გაღრმავებაში, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შიდა პროდუქტის ფორმირებაზე, სავაჭრო ბალანსის აქტივიზაციაზე, მოსახლეობის დასაქმებაზე, სიღარიბის დაძლევაზე და სხვა. მსოფლიო საზოგადოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ტურიზმის განვითარებას. ამ მიზნით ჩამოყალიბებულია სამართლებრივი საფუძვლები, დამუშავებულია და მუდმივ დახვეწას განიცდის ტურისტული საქმიანობის ხელშეწყობისა და სტიმულირების სისტემა, რის საფუძველზეც ჩქარი ტემპებით ვითარდება ეკონომიკის ახალი სფერო - ტურისტული ინდუსტრია, უმჯობესდება და სამართლებრივ მოწესრიგებას განიცდის ბიზნეს გარემო.

PERSPECTIVES OF THE MODERN STATE OF INTERNATIONAL TOURISM DEVELOPMENT

Nana Nadiradze, Students secretary

RESUME

At the end of XX century, and at the beginning of XXI century, the tourism has been developed as a field of sustainable development. It supports to develop trade and service and social infrastructural fields in general, which increases currency revenues and employment, it also helps to get out of the world the national traditions and cultural heritage and providing them financial support. In addition tourism is an integrated social-economic system which plays the big role in the development of different relationships, actively effecting the creations of many of the world's domestic products, activations of trade balance, employment of the population, poverty reduction etc. The world community gives the special importance to tourism development. For this purpose the legal bases are established and processed and systematically sophisticating the system of tourism activities and stimulation. That is why the new industry of tourism is developed so fast, the business environment is getting better and legally regulated.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“

ნინო ორჯონიკიძე, პროფესორი

ინტეგრაციის პირობები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. თუმცა, არსებობს ზოგადი პრინციპებიც, რომლებიც ყველა ქვეყნისთვის აუცილებელია. მსგავსი კრიტერიუმები მიღებული იქნა კოპენჰაგენში 1993 წელს და ეწოდება „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“. ნაშრომში განხილულია სწორედ ეს კრიტერიუმები და ის დოკუმენტები, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ინტეგრაციის პროცესთან. აგრეთვე გაანალიზებულია ე.წ ლისაბონის პროგრამა. რომლის მეშვეობითაც ევროკავშირი ცდილობს შეცვალოს ევროპის ეკონომიკა და უფრო მეტად მოხდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების დანერგვა. ეს კრიტერიუმები არა მარტო წევრმა ქვეყნებმა, არამედ მსურველმა ქვეყნებმაც უნდა გაითვალისწინონ.

სიცხადისთვის ჩვენს მიერ აღებული იქნა 3 ქვეყანა და მათ მიერ განხორციელებული რეფორმები და ის კრიტერიუმები, რომლებიც დაუწესდათ ამ ქვეყნის ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ეს ქვეყნებია ლატვია (გაწევრიანდა 2004 წელს), ბულგარეთი (გაწევრიანდა 2007 წელს) და ხორვატია. აღნიშნულთან დინამიკაში განხილულია, თუ რა პირობების შესრულება მოსთხოვა ევროკავშირმა ამ ქვეყნებს და როგორ შეასრულეს ეს პირობები. ეს პირობები შედარებულია საქართველოსთან და გაანალიზებულია, რამდენად რეალურია ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება ჩვენი ქვეყნის მხრიდან.

ევროპის „შიდა ბაზრის“ შექმნის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა ამ სივრცეში. შიდა ბაზრის შექმნამ საკმაოდ კარგი როლი ითამაშა ევრო გაერთიანებისთვის. უმეტესწილად აღარ ფუნქციონირებს ნაციონალური ბაზრები, არამედ ძირითადი ფუნქცია ევროპულ ბაზარს ენიჭება. ეს მომხმარებლისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელია: ერთი მხრივ, არსებობს პროდუქციის და მომსახურების ფართო არჩევანი და, მეორე მხრივ, ძლიერი კონკურენცია ხელს უწყობს პროდუქციის ფასების ზრდას. ამას გარდა, ასეთი ბაზრის ფარგლებში აღარ არსებობს საბაჟო საზღვრები.

2000 წლის მარტში ლისაბონში ევროპის გაერთიანების ქვეყნების მეთაურების და მთავრობების ხელმძღვანელობის მიერ მიღებული იქნა პროგრამა. გარდა ევროგაერთიანებაში შემავალი ქვეყნებისა, ეს მოთხოვნები ასევე ევროგაერთიანებაში გაწევრიანების კანდიდატებისათვის. ახლად შესულ ქვეყნებს თავიანთი „ინდივიდუალური მოთხოვნების“ გარდა, ასევე ევალებოდათ ლისაბონის მოთხოვნების გათვალისწინებაც. მთელი პროგრამის განხორციელება დაგეგმილი იყო 2010 წლამდე. აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა ქვეყანას რომელსაც მოუწევს ევროპასთან თანამშრომლობა და პრეტენზიას განაცხადებს ამ კავშირის წევრობაზე, ვალდებულია გაითვალისწინოს ეს მოთხოვნები. ლისაბონის პროგრამა გულისხმობს ეკონომიკის გაძლიერებას და ახალ საფეხურზე აყვანას სხვადასხვა ნოვაციებით. მის მთავარ მიზნად ითვლება აშშ-ს და იაპონიის გაძლიერებული ეკონომიკებისთვის კონკურენციის გაწევა და გასწრება.

ლისაბონის პროგრამის დოკუმენტის შესაბამისად, ბულგარეთის მიმართ იყო რამდენიმე მოთხოვნა წაყენებული. ამ ქვეყნის შემთხვევაში ევროკავშირმა ყურადღება გაამახვილა საქონლისა და კაპიტალის ბაზრების რეფორმებზე. გარდა ზემოთ ხსენებული რეფორმებისა, არსებობს მრავალი სხვა მოთხოვნა, რომელიც მომავალი წევრი ქვეყნებისთვის შესასრულებლად და სავალდებულო იქნება.

ბულგარეთი ევროკავშირის შემადგენლობაში

2005 წლის მოხსენებაში ევროკომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ბულგარეთს გააჩნია ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა. ბულგარეთი ინარჩუნებს თავის მისწრაფებას რეფორმებისკენ, რაც აძლევს მას საშუალებას გაუძლოს ევროპის სხვა ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის კონკურენციას. ბულგარეთმა, საბოლოო ჯამში, მიაღწია მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, მაშინ როდესაც იმპორტ-ექსპორტის სხვაობა უარესდება. ქვეყანამ თავისი რეფორმების პროგრამა იგივე ტემპით გააგრძელა სხვა სფეროში.

2005 წლის პირველ ნახევარში მთლიანი შიდა პროდუქტის სწრაფად ზრდის შემდეგ (6,2%), შედარებით მცირე აღმოჩნდა ზრდა 2006 წლის მესამე კვარტალში, რაც გამოწვეული იყო ზაფხულის თვეების სიმძიმეებით, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, წლიურმა საშუალო ზრდამ შეადგინა 5,5%. მთლიანმა ინვესტიციამ კაპიტალის შესაქმნელად ასევე საგრძნობლად მოიმატა (1,9%-ით), დიდი მატება იყო ასევე საბოლოო მოხმარებაში (6,8%). 2004 წელს ინფლაციის მაჩვენებელი 6,1%-დან შემცირდა 5,0%-მდე, ხოლო 2005 წელს კი 4,0-დან მოიმატა 6,5%-მდე. ეს გამოწვეული იყო ნავთობზე და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებზე ფასების ზრდით. 2004-2005 წლებში სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსების დეფიციტები გაიზარდა. სავაჭრო ბალანსის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2004 წლის 15,1%-დან 2005 წელს 20,4%-მდე გაიზარდა, ხოლო საგადამხდელო ბალანსის დეფიციტმა კი 5,8%-დან 11,8%-მდე მოიმატა.

2006 წლის თებერვალში მიღებული იქნა ახალი პროგრამა დასაქმების მეორე საფეხურისთვის. იგი ითვალისწინებდა მოკლევადიან მომზადებისა და სწავლის კურსებს, ასევე სტანდარტიზებულ გამოცდებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. თუმცა მრავალ სფეროში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული წარმატებები. მაგალითად, დასახვეწია კანონმდებლობა სამუშაო საათების რაოდენობასთან დაკავშირებით. უმაღლესი განათლების განვითარებისთვის ასევე არანაირი ახალი წინადადებები არ იქნა განხილული (ამ სისტემის რეფორმების შესახებ ევროკავშირმა მოთხოვნები წაუყენა ბულგარეთს და მოითხოვა უკეთესი სწავლების ხარისხი). საერთო ჯამში, სამუშაო ბაზრის გაუმჯობესებისთვის მხოლოდ მცირე ნაბიჯი იქნა გადადგმული. მომავალში უნდა მოხდეს ამ რეფორმების უფრო დიდი მონდომებით განხორციელება და სამუშაო ბაზარზე არსებული დისბალანსის აღმოფხვრა.

ბულგარეთისთვის ევროკავშირმა წამოაყენა რიგი მოთხოვნები, რომლებითაც უნდა მომხდარიყო ფულის მიმოქცევის კონტროლი. ფულის გათეთრების საწინააღმდეგოდ ამ ქვეყანას უნდა გადაედგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც ბოლო მოხსენების შემდეგ მართლაც მოხდა. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპის მოთხოვნების ნაწილი შესრულებული იქნა, თუმცა ძალიან ბევრი რამ კიდევ ერთ ადგილას არის დარჩენილი. ევროკავშირმა ბულგარეთს მოსთხოვა უფრო აქტიურად შეეჩერებინა ფულის გათეთრება და ამისთვის მიზნებიც დაუსახა. ბულგარეთმა უნდა გააკონტროლოს ის საეჭვო გადარიცხვები, რომლებიც საეჭვო ადგილებიდან წარმოებს. ასევე უნდა მოხდეს ასეთი ადგილების პერმანენტული კონტროლი.

ბულგარეთს გააჩნია რეალურად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა. რეფორმების გაგრძელება იძლევა საშუალებას შემდეგი დასკვნების გაკეთებისა: ბულგარეთის ეკონომიკა გაუძლებს კონკურენციას ევროპის გაერთიანებაში იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის გათვლაც დღეს არის შესაძლებელი. ამ ქვეყანამ მიაღწია მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. 2005 წლის ოქტომბრის მოხსენების მერე შეიძლება ითქვას, რომ ბულგარეთის შესამჩნევი წინსვლები ჰქონდა. საგარეო ვაჭრობის დეფიციტის აღმოფხვრისათვის იქნა კარგად გააზრებული ნაბიჯები გადადგმული. პრივატიზაციის პროცესის მომსახურების სფეროს საწარმოების ლიბერალიზაციის და სტრუქტურის შეცვლის განვითარება გაგრძელდა. გადაიდგა ნაბიჯები ასევე ბიზნეს- გარემოს გაუმჯობესებისათვის.

ლატვია ევროკავშირის შემადგენლობაში.

2004 წელს ლატვია სხვა ქვეყნებთან ერთად შევიდა ევროკავშირის შემადგენლობაში. ამ პროცესს წინ უძღვოდა ლატვიის მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლის სერიოზული ანალიზი და ქვეყნისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა. ლატვიის გაწევრიანება შესაძლებელი გახდა სხვა მრავალ მაჩვენებელთან ერთად მისი ეკონომიკური მაჩვენებლის საკმაოდ სიღრმისეული ანალიზისა და ოპტიმისტური დასკვნების მიღების შემდეგ. ვინაიდან ლატვიის ევროგაერთიანებაში გაწევრიანება მოხდა 2004 წელს, ინფორმაცია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ანალიზდებოდა 2003

წლის ჩათვლით (დაკვირვება კანდიდატი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და მათ შესაბამისობაზე წევრობის მსურველი ქვეყნის მიმართ წაყენებული მოთხოვების ჭრილში).

2002 წლის ლატვიის ეკონომიკის შეფასებაში უკვე მოცემულია, რომ ქვეყანაში საკმაოდ განვითარებულია საბაზო ეკონომიკა. აგრეთვე აღინიშნება, რომ არსებული რეფორმების კურსის წარმატებით გაგრძელების შემთხვევაში ქვეყანა შეძლებს ევროგაერთიანების ფარგლებში არსებული კონკურენტული წნეხის წარმატებით გამკლავებას. აღნიშნულია ის სფეროებიც, რომლებიც საჭიროებს რეფორმირებას: განათლების სისტემის რეფორმა, კარგად გააზრებული ფისკალური პოლიტიკა, არსებული ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება და აგრეთვე კერძო სექტორის შემდგომი გაძლიერებისთვის ყველა შესაძლო გზით ხელშეწყობა.

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 2002 წლის განმავლობაში 6,1% შეადგენდა. კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა ქვეყანას ამ მხრივ 2003 წლის პირველ მეოთხედში, რომლის მონაცემებითაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 8,8 %-ს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი აშკარად გაიზარდა, ვინაიდან 1998 წელს კი მხოლოდ 2,8%-ს. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა 2000 წლისათვის შემდეგნაირი იყო: 4,5%-ს შეადგენდა სოფლის მეურნეობა, 25,3%-ს - წარმოება, ხოლო 70,2-ს კი - მომსახურება. სტრუქტურა 1990 წელს განსხვავდებოდა და სოფლის მეურნეობის წილი მაშინ მეტი იყო -21,9% (მომსახურების ხვედრითი წილი მხოლოდ 31,9% იყო, ხოლო წარმოებისა კი - 46,2%).

ხორვატიის მთავრობამ შეიმუშავა მეორე ეკონომიკური პროგრამა, რომელიც მისადაგებულია ევროგაერთიანების მოთხოვნებთან. 2006 წლის აგვისტოში მოხდა ამ პროგრამის დამტკიცება, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ეკონომიკურ რეფორმას. ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობა. თუმცა, 2006 წლის ნოემბერში, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის დასრულების შემდეგ, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გაწევრიანებაზე განაცხადი არ გაეკეთებინა. ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს ძირითად პრობლემას წარმოადგენდა არაკოორდინირებული მუშაობა სამინისტროებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის, ანუ კოორდინაციის დაბალი დონე ხელს უშლიდა ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას და განხორციელებას. ხორვატიის ეკონომიკური პოლიტიკა შესაბამისად საჭიროებს მკაცრ კოორდინირებას და კომუნიკაციას.

ხორვატიას გააჩნია ღია ეკონომიკა. 2005 წელს იმპორტირებული საქონლისა და მომსახურების წილმა 55,8% შეადგინა, ხოლო ექპორტირებული საქონლისა და მომსახურების წილმა 47,1%. ყველაზე მეტი შემოსავალი ექსპორტიდან მოდის ტურიზმზე, რომელმაც 2005 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 18%-ს მიაღწია. ევროგაერთიანება არის ხორვატიის ექსპორტის მთავარი გასაღების ბაზარი (64,6%). თუმცა, ეს მონაცემი ნაკლებია 2004 წლის მონაცემებზე. ხორვატიის საგარეო ვაჭრობა განვითარებადი ქვეყნების და მეზობელი დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების მიმართულებით განვითარდა. შეიძლება ითქვას , რომ ბოლო წლებში ხორვატიის საგარეო ვაჭრობა საკმაოდ განვითარდა.

ხორვატიამ ჯამში შეძლო მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. წინა წელს დაფიქსირებული შედარებით დაბალი ინფლაციის დონე და გადაცვლითი კურსის სტაბილურობა ხელს უწყობდა ბაზრის მექანიზმის კარგ ფუნქციონირებას, მაგრამ ნაკლოვანებები ფინანსურ და საგარეო ეკონომიკურ საკითხებში რისკს უქმნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

2004 წლის 14 ივნისს მოხდა სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის ჩართვა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში.“ ევროსაბჭომ თხოვნით მიმართა ევროკომისიას. 2005 წლის მარტში ევროკომისიამ წარმოადგინა ანგარიშები აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს შესახებ, სადაც რეკომენდაცია გაუწია მოლაპარაკებების დაწყებას ამ ქვეყნებისათვის სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით. 2005 წლის 16-17 ივნისს ევროკავშირის საბჭო მიესალმა გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებდა სამოქმედო გეგმების შემუშავებას ამ ქვეყნებისათვის. ევროკომისიამ, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანასა და ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების უმაღლეს წარმომადგენელთან კონსულტირების გზით, გამართა წინასწარი მოლაპარაკებები საქართველოსთან, რომელთა შედეგად მხარეები შეთანხმდნენ სამოქმედო გეგმაზე. წინამდებარე სამოქმედო გეგმა ხუთწლიანია. მისი განხორციელება დაეხმარება „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ დებულებების განხორციელებას და წვლილს შეიტანს საქართველოსთან სულ უფრო მზარდი ურთიერთობების განვითარებაში, რაც ეკონომიკური ინტეგრაციის უფრო მნიშვნელოვან ხარისხს და უფრო ღრმა პოლიტიკურ თანამშრომლობას გულისხმობს. სამოქმედო გეგმის განხორციელება მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს თავისი კანონმდებლობის ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან დაახლოების საქმეში.

სამოქმედო გეგმა საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2006 წლის 14 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ის საქართველოს და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის საბჭომ მოიწონა. 2006 წლის 24 ოქტომბერს ევროკავშირის საბჭომ დაამტკიცა ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ბიუჯეტი, რომელიც მიზნად ისახავს შემდეგ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებას. ეს ქვეყნებია: ალჟირი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ეგვიპტე, საქართველო, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინა, რუსეთი, სირია, ტუნისი, და უკრაინა.

2007-2013 წლებისთვის ევროკავშირის დახმარების ძირითადი მიზანი იყო ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოსა და ევროკავშირის შორის მზარდი პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით (ENP Action Plan) და საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებით (Partnership and Cooperation Agreement - PCA) განსაზღვრული მიზნების საფუძველზე. ENPI - ს ფარგლებში 2007-2010 წლების: ეროვნული ინდიკატური პროგრამით (NIP), საქართველოსთვის გათვალისწინებულია 120,8 მლნ. ევროს დახმარება შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში:

სამოქმედო გეგმაში დასახულია პრიორიტეტები, რომელთაგანაც ზოგიერთი „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში“ მოცემულ სფეროებს შეეხება. გეგმაში მოცემულია ისეთი პრიორიტეტებიც, რომლებიც ცდება აღნიშნული შეთანხმების ფარგლებს. ამ პრიორიტეტთაგან ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგ სფეროებსა და კონკრეტულ ღონისძიებებს:

ეკონომიკური განვითარების წახალისება, სიღარიბის შემცირებასა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფაზე მიმართული ძალისხმევის განმტკიცება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკური კანონმდებლობის და ადმინისტრაციული წესების შემდგომი დაახლოება.

ფინანსური მომსახურება

- ფინანსური მომსახურების სექტორის შემდგომი რეფორმირება, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ჩათვლით;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის/მსოფლიო ბანკის ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (FSAP) 2006 წლის რეკომენდაციების ჯეროვანი გათვალისწინება;
- ფინანსური მომსახურების რაციონალური მარეგულირებელი და საზედამხედველო სისტემის ამოქმედება, რომელიც ევროკავშირში არსებული სისტემის შესაბამისი იქნება;
- დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კაპიტალის მოძრაობა და მიმდინარე ანგარიშსწორება

- პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების V თავის (მიმდინარე ანგარიშსწორება და კაპიტალი) შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;
- კომპანიებში პირდაპირი ინვესტიციების სახით დაბანდებული, აგრეთვე სხვა ინვესტიციების სახით დაბანდებული კაპიტალის თავისუფალი სახით დაბანდებული კაპიტალის გადაადგილების უზრუნველყოფა „დაფუძნების შესახებ“ დებულებების შესაბამისად („პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების „ IV კარის II თავი);
- ამ ტიპის უცხოური ინვესტიციების დაცვა და მოგებისა და კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული დღეისათვის არსებული სამართლებრივი და მარეგულირებელი რეჟიმის შესახებ;
- პირდაპირ ინვესტიციებთან დაკავშირებული კაპიტალის მოძრაობის თანდათანობით ხელშეწყობა.

ფიზიკურ პირთა გადაადგილება მომუშავეთა გადაადგილების ჩათვლით

- „პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ მე-20 მუხლის (შრომის პირობები) საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებათა სრულად შესრულება;
- მაქსიმალური ძალისხმევის უზრუნველყოფა, რათა გაუქმდეს ყველა დისკრიმინაციული ზომა ეროვნული ნიშნით, რომელიც ვრცელდება მიგრანტ მომუშავეებზე და გავლენას ახდენს მათ სამუშაო პირობებზე, ანაზღაურებასა და სამუშაოდან დათხოვნაზე.
- საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ორმხრივი შეთანხმების პაკეტზე მუშაობის დასრულება „ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) საგადასახადო კონვენციის შესაბამისად;
- ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ინტეგრირებისათვის სამართლიანი პირობების უზრუნველსაყოფად ბიზნესის დაბეგვრის სფეროში „ქცევის ევროკავშირის კოდექსის“ პრინციპების შესახებ დიალოგის დაწყება.

კონკურენციის პოლიტიკა

• ანტიმონოპოლური ღონისძიებები და სახელმწიფო დახმარებების პოლიტიკის კონტროლი;

• კონკურენციის შესახებ კანონის შესრულების უზრუნველყოფა, კერძოდ, ადმინისტრაციული პოტენციალის ოპტიმიზაციის საშუალებით, რაც, თავის მხრივ, განამტკიცებს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობას;

• კონკურენციის შესახებ ევროკავშირის პრინციპებთან დაახლოება „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ V კარის 43-ე და 44-ე მუხლების შესაბამისად;

• სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარებების სფეროში შემდგომი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის შესაძლებლობების შესწავლა, კერძოდ: (I) სახელმწიფო დახმარების ზოგადი წესების შემუშავებისა და (II) დახმარების ოდენობის, ტიპის დახმარების მიმღებთა შესახებ ყოველწლიური ანგარიშების შედგენის გზით.

„პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ საფუძველზე შექმნილი ერთობლივი სტრუქტურები მონიტორინგს გაუწევენ სამოქმედო გეგმის განხორციელებას. შესაბამისი შეთანხმებების საფუძველზე შექმნილი სტრუქტურები, საჭიროების შემთხვევაში, გადაისინჯება, რათა მათში სრულად იყოს ასახული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ პრიორიტეტები. ევროკომისია, გენერალურ მდივანთან/უმაღლეს წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით, რეგულარულად წარმოადგენს ანგარიშებს სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ. ევროკომისია, ასევე, მჭიდროდ ითანამშრომლებს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა ევროპის საბჭო, ეუთო, გაეროს შესაბამისი სააგენტოები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. სამოქმედო გეგმის განხორციელების პირველი განხილვა/შეფასება მოხდება მისი მიღებიდან ორი წლის შემდეგ. სამოქმედო გეგმა შეიძლება რეგულარულად შესწორდეს ან განახლდეს, რათა ასახავდეს პრიორიტეტების შესრულებაში მიღწეულ წარმატებებს.

ლიტერატურა:

1. ი. გოგოლიშვილი. „ევროკავშირი და საქართველო: ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებები დაზღვევის სფეროში“. ჟურნალი - საქართველოს ევროპული გზა. 2015. #4. გვ. 46-48.
2. ქ. კახნიაშვილი. „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება - რა სარგებელს მოუტანს საქართველოს სოფლის მეურნეობას.“ ჟურნალი-ახალი აგრარული საქართველო. 2015. #1. გვ. 12-14.
3. ფულე შტეფან. „ევროკავშირი და საქართველო: უფრო მჭირდო კავშირის დამყარებისაკენ სვლა.“ 2014. გვ. 8-11.
4. რ. კვარაცხელია. „საქართველო და ევროკავშირი - ახალი რეალობა. თბილისის ღია სასწავლო უნ. შრომების კრებული. 2014 . #5. გვ. 71-79.
5. გ. ბედიანაშვილი. „ევროკავშირი და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბენჩმარკინგის საკითხები.“ ჟურნალი - ეკონომისტი. 2014. #5. ოქტომბერ-ნოემბერი. გვ. 12-21.
6. დ. ლორთქიფანიძე. „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება სერიოზული პრობლემების წინაშე დაგვაყენებს.“ ჟურნალი - სარკე. 2014. #28. 16-22 ივლისი. გვ. 17-19.
7. ვიკმანი პიერ მანგუს. „საქართველო სწრაფი აღმშენებლობის გზაზე“. ჟურნალი საქართველოს ევროპული გზა. 2014. #1. გვ. 43-50.
8. მ. ჯიბუტი. „საქართველოს თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები და მათი დაძლევის სანიმუშო პროგრამის მონახაზი.“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები. 2013. ტომი 11. გვ. 137-157.
9. „ევროკავშირი საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების დაჩქარებულ ხელმოწერაზე ფიქრობს“. ჟურნალი - 24 საათი. - თბ, 2013. - 21 დეკემბერი. - N3434.

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ევროპული ინტეგრაციის იდეა მრავალი სახელმწიფოს სტრატეგიული მისწრაფების საგანი გახდა, რომელთაც ამაში საკუთარი სუვერენული და უსაფრთხო არსებობის, კულტურული და ეკონომიკური განვითარების რეალური და მყარი გარანტია დაინახა. ევროკავშირი საქართველოსათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პარტნიორია. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მსოფლიო გლობალიზაციის კონცეფცია - ევროპის აღნიშნული კულტურული ტრადიციის თანამედროვე ფორმით

დამკვიდრების გამოხატულებას წარმოადგენს. ამდენად, განვითარების თანამედროვე ფორმათა დამკვიდრება, საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარ მოდუსზე გადასვლა ევროპული ინტეგრაციის აუცილებელი პირობაა. ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები შესრულებადია. ევროკავშირი დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანებაა მსოფლიოში. 2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ წევრად ცნობის შესახებ. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ხელისუფლებებმა მკაფიოდ განაცხადეს, რომ ისინი ევროკავშირში ინტეგრაციისაკენ ისწრაფვიან, და რომ ევროკავშირის წევრად გახდომა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სტრატეგიული მიზანია.

EUROPEAN NEIGHBORHOOD POLICY AND "COPENHAGEN CRITERIA"

Nino Orjonikidze, Professor

RESUME

The idea of European integration has become the subject of many country strategic aspirations in the modern world, they saw in it real and solid guarantee of their sovereign and safe existence, cultural and economic development. The EU is one of the most important economic partner for Georgia. Modern scientific-technological progress, social-economic development and world globalization concept-these are expressions of modern form establishing of European cultural traditions. Thus, the development of modern forms of development, to transit the social life on this kind of module, are a necessary conditions for European integration. According to the Association Agreement, the obligations taken by Georgia are fulfilled. The EU is one of the most important socio-economic-political associations in the world nowadays. The EU has decided to recognize Georgia, Armenia and Azerbaijan as a member of the European Neighborhood Policy on June 14, 2004. The governments of South Caucasus countries have clearly stated that they aspire to EU integration and to become a member of the EU is a strategic goal of Georgia, Armenia and Azerbaijan.

მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში

ლალი ოსაძე, ასოცირებული პროფესორი
ნანული ქოქაშვილი, ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო მასშტაბით მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ადამიანთა დასაქმებაში 80-85%-ია, საქართველოში ეს მაჩვენებელი 10-15%-ს ვერ ასცდა. ვითარების გამოსწორება წლიდან წლამდე ვერაფრით ხერხდება. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიას წარდგენილი ჰქონდა წინასაარჩევნო პროგრამა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად {4}.

ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფოსათვის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მცირე და საშუალო ბიზნესს ლომის წილი უჭირავს. ქვეყნის დოვლათის დიდი ნაწილი სწორედ ამ სფეროში იქმნება და მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც იქ არის დასაქმებული. საშუალო და წვრილ ბიზნესს ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონის გამო ოფიციალური სტატისტიკა სრულად ვერ აფიქსირებს ამ ტიპის მეწარმეობიდან შემოსავალს, მცირე და საშუალო ბიზნესს ჩვენშიც სერიოზული შემოსავლები მოაქვს და თუ ქვეყნის მოსახლეობა, უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, მაინც ახერხებს არსებობას, ესეც ამ ტიპის ბიზნესის დამსახურებაა. ასევე ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში საკმაოდ მაღალია უმუშევრობის დონე, თუმცა მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ოფიციალურად უმუშევრად ითვლება, მცირე ბიზნესშია დასაქმებული. ამ შემთხვევაში, ფარული უმუშევრობის გარდა ადგილი აქვს ფარულ დასაქმებას, რომელიც არც დაბეგვრას ექვემდებარება და არც ოფიციალურ ანგარიშებში ხვდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესს საქართველოსთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

მცირე და საშუალო ბიზნესს მსხვილ საწარმოებთან შედარებით უფრო ელასტიურად შეუძლია ბაზარზე ოპერირება. მათი მხრიდან გაცილებით ოპერატიულად ხდება გადაწყვეტილების მიღება და მათი საქმიანობა არ არის გადატვირთული ბიუროკრატიული ბარიერებით. აღნიშნული საქმიანობა მსხვილი ბიზნესისაგან განსხვავებით არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას და ფაქტობრივად ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის, თუმცა თავად ორგანიზაციული საკითხები, რეგისტრირების ფორმები თუ ლიცენზირებისა და სერთიფიცირების ბარიერები იმდენად გართულებულია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის უდიდესი ნაწილი არალეგალურად ფუნქციონირებს. დაუცველობა და გავლენიანი ლობისტების არყოლა წვრილი და საშუალო ბიზნესის ყველაზე დიდ სისუსტეს წარმოადგენს საქართველოში. ამის გამო ბევრი საწარმო, რომელმაც, წესით, მოსახლეობა უნდა დაასაქმოს და ქვეყნის ბიუჯეტის შევსების უპირველესი წყარო იყოს, ხშირად დახურვის აუცილებლობის წინაშე დგება.

მცირე მეწარმეები ვერ უძლებენ უთანასწორო კონკურენციას და ხშირ შემთხვევაში საქმიანობას წყვეტენ. მცირე ბიზნესის განვითარების აუცილებლობა ყველას კარგად ესმის. ბევრი რამ თქმულა მცირე მეწარმეთა პრობლემებზე, მათ სატკივარზე, თუმცა დრო გადის, პრობლემები პრობლემებად რჩება და არც მცირე მეწარმეთა შემოსავალი იზრდება, არც მათი რაოდენობა, სამაგიეროდ სწრაფი ტემპით ვითარდება მსხვილი ბიზნესი. ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში გაიზარდა მსხვილი გადამხდელების რაოდენობა, რომელთა ბრუნვა 3 მილიონ ლარზე მეტია, ხოლო მათი შემოსავალი 4,5 მილიარდი ლარით გაიზარდა {4}. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე პერიოდში წვრილი და საშუალო ბიზნესის ბრუნვა არ შეცვლილა და კვლავ ერთი მილიარდია, ყველაფერი ნათელი ხდება.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, „შრომა თავისუფალია, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას“ მცირე ბიზნესის ხელშეწყობა ევროკავშირში ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ განმახორციელებელ ფაქტორად არის აღიარებული და უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ამ კუთხით განსაკუთრებული ქმედებები ხორციელდება (თუმცა, არასაკმარისად), რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია საქართველოსთვის მცირე ბიზნესთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. მთავრობის მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებზეა გაწერილი და გულისხმობს - 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდას წლიურად საშუალოდ 10%-ით; 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდას 15%-ით და 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდას 7%-ით {5}.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გამარტივდა საწარმოთა რეგისტრაციისა და ბიზნესის დაწყების პროცედურები. ამის შედეგად საქართველომ საუკეთესო შედეგები გამოავლინა ისეთ ინდიკატორებთან მიმართებაში, როგორიცაა „ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებული პროცედურები“ და „ბიზნესის დასაწყებად საჭირო დღეების რაოდენობა“. შესაბამისად, ქვეყანამ ამ მაჩვენებლებით მსოფლიოში მე-8 და მე-3 ადგილები დაიკავა (The Global Innovation Index 2011). აღნიშნულ სფეროში განხორციელებული რეფორმები მნიშვნელოვანია თავისი მასშტაბითა და ხარისხით. რეგისტრაციის პროცედურების გაიოლებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ახლად დარეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სადღეისოდ ძალზე მცირე რამაა გაკეთებული მცირე ბიზნესისათვის ხელსაყრელი საკანონმდებლო ცვლილებების შემოღების კუთხით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საგადასახადო კოდექსში შეტანილ მუხლებს მიკრო- და მცირე საწარმოთა დაბეგვრის კუთხით და საბაჟო პროცედურების გამარტივების საკითხს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარე ეტაპზე საქართველოში გარდაუვლად მიგვაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საფუძვლების გამტკიცება. ამ მიზნით, შესაბამისად, საჭიროა:

- მიღებულ იქნას კანონი მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ;
- შეიქმნას მცირე ბიზნესის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და ტაქტიკური ხასიათის ამოცანების რეალიზებას, უზრუნველყოფს ქვეყანაში მცირე ბიზნესის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, მასში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას და საქმიანობის კოორდინაციას.

ამ კუთხით დღეისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემუშავდა და განხორციელდა პროექტი, რომლის შედეგად, 2015 წლიდან შეიქმნა მცირე ბიზნესის ხელშემწყობი სააგენტო და 2015-2017 წლებში ამ მიმართულებით გამოიყო 150 მლნ ლარის ხარჯები. ამ

სამი წლის განმავლობაში ქვეყანაში 5 ათასი პროექტის განხორციელება და 30000 სამუშაო ადგილის შექმნაა გათვალისწინებული.

მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ბიზნესის ხელშეწყობის აბსტრაქტული პოლიტიკის ტრანსფორმირება და მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობის კონკრეტულ პოლიტიკაზე გადასვლა, რომლის შედეგად ქვეყანაში ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება მაქსიმალური შედეგის მიღწევა ეკონომიკური აქტივობის, დასაქმებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის სფეროებში. საქართველოში, მცირე ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების პარალელურად, აუცილებელია პრაქტიკაში დაინერგოს „მცირე და საშუალო საწარმოთა ტესტი“ ანუ რეალური ზემოქმედების შეფასება, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ეკონომიკური, სოციალური და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების გაანალიზებას, შესაბამისი პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას ხარჯთსარგებლიანობის შეფასების საფუძველზე.

საქართველოში დღეისათვის ბიზნესის, უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლობა ძალზე დაბალ დონეზეა და ფაქტობრივად არც არსებობს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. სწორედ ასეთი ვითარება განაპირობებს ქვეყანაში ტექნოლოგიური ტრანსფერის ვაკუუმს, რაც აფერხებს მცირე ბიზნესის განვითარებას და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

2012 წელს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის, ბიზნეს ასოციაციების და უნივერსიტეტების თანამშრომლობის საფუძველზე დაფუძნდა ტექნოლოგიური ტრანსფერის ეროვნული ცენტრი, რომელიც მცირე საწარმოების ტექნოლოგიური სრულყოფის საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. ამ სფეროში საქართველომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს აშშ-ის გამოცდილება ბიზნეს-ინკუბატორების ორგანიზებასთან მიმართებაში. საქართველოში არსებობს არაფორმალური ბიზნეს-ინკუბატორების მუშაობის გამოცდილება. საჭიროა ამ გამოცდილების განზოგადება -და იმ ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებმაც ბიზნეს-ინკუბატორები შექმნეს. კერძოდ, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ყველა უნივერსიტეტთან (და არა მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტებთან) აუცილებელია ორგანიზებული იქნეს ბიზნეს-ინკუბატორები, რომლებშიც აქტიურად იქნებიან ჩართულნი ამ უნივერსიტეტებთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამეცნიერო ცენტრების მეცნიერ-თანამშრომლები, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და მცირე ბიზნესით დაკავებული მეწარმეები. კერძო უნივერსიტეტებთან ამგვარი თანამშრომლობა სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელშეწყობისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება. სახელმწიფო ტიპის ბიზნეს-ინკუბატორები ამ ეტაპზე შეღავათიანი პირობებით უზრუნველყოფენ ინოვაციური იდეების და წინადადებების დანერგვას მცირე საწარმოებში, რაც იქნება მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების და სამომავლოდ ასეთი ტიპის საწარმოებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის და ახალგაზრდების დასაქმების მნიშვნელოვანი წინაპირობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მიუხედავად იმისა, რომ ტექნოპარკებზე საუბარი გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, დღეისათვის ტექნოპარკები ფაქტობრივად არ არსებობს. ამ მიმართულებითაც აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სავსებით შესაძლებელია 2-3 ტექნო-პარკის შექმნა უნივერსიტეტებთან. საქართველოში დონორების დახმარებით უკვე შექმნილია ტექნოლოგიების გადაცემის ერთი ცენტრი (www.ttcg.ge). ახლა საჭიროა მის საქმიანობაზე დაკვირვება გამოცდილების შემდგომი გამოყენების მიზნით. ასეთი ცენტრები უნდა მუშაობდნენ როგორც ქვეყნის შიგნით ტექნოლოგიების გაცვლაზე, ასევე ტექნოლოგიების იმპორტსა და ექსპორტზე.

მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, კარგად აპრობირებულს ევროკავშირში, იაპონიაში, ავსტრალიასა და წარმატებულ განვითარებად ქვეყნებში, წარმოადგენს სახელმწიფო საინოვაციო სააგენტო, რომლის ფუნქციაა გრანტების, ვაუჩერებისა და ტექნიკური დახმარების მეშვეობით ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო საწარმოებს, უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებს ინოვაციური გადაწყვეტების (პროდუქტების) კომერციალიზაციასა და ადაპტირება/ათვისებაში. ეს შედარებით ძვირადღირებული, მაგრამ ძალიან ეფექტიანი მექანიზმია. ასეთი სტრუქტურის დაფუძნება (სავარაუდოდ, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან) აუცილებელი და გადაუდებელი ღონისძიებაა. ამასთან, მცირე ბიზნესის განვითარებას ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საინოვაციო სისტემის (ინფრასტრუქტურის) გაძლიერების ღონისძიებათა გატარება.

სახელმწიფო მხარდაჭერის ხელშეწყობის კუთხით, მეტად მნიშვნელოვანია მცირე საწარმოებში პროდუქციის საექსპორტო წარმოების კოორდინირების ხელშეწყობა. რაც შეეხება საინფორმაციო უზრუნველყოფას, დღეისათვის მრავალი ვებ გვერდი მოქმედებს, რომელიც მცირე ბიზნესს ეხმარება საჭირო სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციის მოპოვებაში. თუმცა, საინფორმაციო უზრუნველყოფის

პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინტერნეტ- სივრცეში არ არის არც ერთი მისამართი, სადაც მცირე მეწარმე შეძლებდა სრულყოფილი, ამომწურავი და განახლებული ინფორმაციის მიღებას ბიზნესის წარმოების მისთვის საინტერესო ყველა საკითხზე.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მრავალი პროგრამა განხორციელდა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ დამწყები მცირე საწარმოებისათვის დახმარების გაწევას. აღნიშნული პროგრამები განხორციელებული იქნა ადგილობრივი პროვაიდერი ორგანიზაციების ქსელის მეშვეობით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დახმარებას დონორი ორგანიზაციებისაგან იღებენ. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დამწყები საწარმოები დიდ ინტერესს გამოხატავენ ამგვარი სერვისების მიმართ. თუმცა, დახმარების პროგრამა ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს და დამწყებ საწარმოთა მხოლოდ მცირე ნაწილი კმაყოფილდება ამგვარი სერვისით. საქართველოში, მომდევნო წლების განმავლობაში, აუცილებელია დამწყებ მცირე მეწარმეთათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო კომპონენტის გაძლიერება, რათა რაც შეიძლება მეტ დამწყებ მცირე მეწარმეს გაეწიოს დახმარება საქმიანობის დაწყების ადრეულ ეტაპზე.

დასახვეწია საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების მიმართ.

საქართველოს მთავრობამ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დღემდე არსებულ პოლიტიკაში უნდა შეიტანოს გარკვეული ცვლილებები, აღნიშნული დამოკიდებულება უნდა მოიცავდეს მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ეტაპობრივ აუჩქარებელ განხორციელებას, თანდათანობითი ცვლილებების გზით. ჩვენი აზრით, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკა უნდა ყალიბდებოდეს ეკონომიკის განვითარების ყოველი ეტაპის სპეციფიკის გათვალისწინებით და ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე.

მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებას სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი წინაპირობების კომპლექსური მომზადება და კარგად გააზრებული ღონისძიებების პერმანენტული განხორციელება ესაჭიროება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებების მომზადების საწყის ეტაპზე საზოგადოების და ბიზნეს წრეების აქტიური ჩართულობით შემუშავებული უნდა იქნეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია და თანდათანობით განხორციელდეს ღონისძიებები მისი იმპლემენტაციისათვის. სტრატეგია უნდა მოიცავდეს სახელმწიფოებრივი საბანკო-საკრედიტო პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, მეწარმეთა საკონსულტაციო-საინფორმაციო მომსახურების ხელმისაწვდომობას და სხვ.

საქართველოში განხორციელებულმა დასაქმების ბევრმა პროგრამამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ხელისუფლება დარწმუნდა, რომ არსებულ საწარმოებთან მუშაობა ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად არაპერსპექტიული გზაა. საქართველოს ეკონომიკაში დღეისათვის ცხადად გამოიკვეთა მთავარი პრიორიტეტი - მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, რომელსაც რეალურად შესწევს უნარი შეცვალოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სურათი, გაზარდოს წარმოებული პროდუქციის და მომსახურების მოცულობა და აამაღლოს მოსახლეობის ცხოვრების დონე. საქართველოს ხელისუფლებამ მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემდეგი სამი მთავარი საკითხი უნდა გადაჭრას:

1. მცირე მეწარმეობის წახალისება იმისათვის, რომ რაც შეიძლება ბევრმა დაუსაქმებელმა ან კიდევ არადამაკმაყოფილებლად დასაქმებულმა ადამიანმა გადაწყვიტოს საკუთარი საქმის დაწყება და გადადგას პირველი ნაბიჯები ამ მიმართებით;

2. მცირე მეწარმეთა სწავლება იმისათვის, რომ სულ უფრო ბევრმა მეწარმემ, საკუთარი საქმიანობის პირველივე ნაბიჯების გადადგმისას, რაც შეიძლება მეტი სწორი ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღება შეძლოს როგორც მმართველობითი, ისე პროფესიული განვითარების თვალსაზრისით;

3. მცირე მეწარმეების დახმარება გაყიდვებში იმისათვის, რომ მიიღონ პირველი შემოსავლები, რაც კიდევ უფრო გაზრდის მოტივაციას, დაეხმარება დამატებითი საჭირო სახსრების მოძიებაში, საწარმოო საშუალებების შეძენასა და გაუმჯობესებაში (ეს არის ყველაზე კრიტიკული საკითხი, რომლის გადაჭრაც ცალკე აღებულ ერთ მეწარმეს ძალიან უჭირს, ან არ შეუძლია და ამის გარეშე საქმის დაწყების პერსპექტივასაც ვერ ხედავენ ადამიანები).

აუცილებელია თანმიმდევრული მოქმედების სტრატეგიის შემუშავება რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ:

მცირე მეწარმეობის წახალისების კუთხით:

ა) უპირველეს ყოვლისა, ძალზე მნიშვნელოვანია მაგალითის ძალა, კერძოდ, რაც უფრო მეტი ადამიანის შესახებ გავრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნულიდან დაიწყეს და დღეს აქვთ

წარმატებული მცირე საწარმო, მით უფრო მეტი ადამიანი იფიქრებს, რომ მასაც აქვს უნარი და გაუჩნდება სურვილი შექმნას მცირე საწარმო. ამისათვის უბრალოდ ადგილებზე საჭიროა ინფორმაციის მოგროვება წარმატებული მცირე მეწარმეების შესახებ და მისი აქტიური გავრცელება საინფორმაციო საშუალებებით.

ბ) მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ამ მიმართულებით იდეების მიწოდება იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება გააკეთონ ადამიანებმა, რომლებმაც საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტეს და რა შესაძლებლობები არსებობს. თუნდაც, მარტო ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის ჩამონათვალი ავიღოთ და შევთავაზოთ ხალხს ადგილზე დაიწყონ იგივეს წარმოება და სახელმწიფო თავის მხრიდან დაპირდეს ეროვნული პროდუქციის გაყიდვების სტიმულირებას შესაბამისი კამპანიების განხორციელებით, მარტო ეს იქნება მნიშვნელოვანი ბიძგი მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის.

გ) მესამე მნიშვნელოვანი საკითხია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის შექმნა, რომელიც გააცნობს ახლად დამწყებ ან მცირე მეწარმეობის მსურველებს ყველა იურიდიულ და ტექნიკურ დეტალს საკუთარი საქმიანობის დაწყების შესახებ.

მცირე მეწარმეთა სწავლების კუთხით:

ა) საქმიანობის დასაწყებად და წარმართვისთვის საჭიროა კომპეტენცია, ანუ მცირე მეწარმეთა მხრიდან მმართველობითი და ტექნიკური კომპეტენციის შეძენა საქმიანობის დასაწყებად და საწარმოებლად.

ბ) საინფორმაციო ბიულეტინების მომზადება მცირე მეწარმეთათვის, რომელიც მოიცავს მათთვის მნიშვნელოვან ყველა მიმდინარე ინფორმაციას, რჩევებს და განმარტებებს საკანონმდებლო-საგადასახადო ნიუანსებზე. ბიულეტინი ნელ-ნელა დაეხმარება მცირე მეწარმეებს საკუთარი საქმის განვითარებაში.

მცირე მეწარმეთა დახმარება გაყიდვების კუთხით:

ა) ამ პროგრამის მთავარი მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს მცირე მეწარმეთა დახმარება ადრეულ გაყიდვებში. დღეს ასეთი დახმარებისათვის ყველაზე კარგი წინაპირობა არსებობს - „იყიდება ეროვნული პროდუქტი, დაეხმარე ეკონომიკას და მცირე მეწარმეობის განვითარებას საქართველოში“. იგი უნდა გახდეს ეროვნული კამპანია, რომელსაც ექნება შთამბეჭდავი ეფექტი.

ბ) მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია სპეციალური ბაზრობების, სავაჭრო ადგილების ორგანიზება მცირე მეწარმეთათვის და სარეკლამო კატალოგების მომზადება. ასევე საჭირო იქნება საკუთარი ინტერნეტ-პორტალის შექმნა, სადაც მცირე მეწარმეები შეძლებენ საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის განთავსებას. ექსპორტის ხელშეწყობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისათვის. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (**DCFTA**) შესახებ შეთანხმების მოთხოვნებთან დაკავშირებული ინფორმირებულობის და ამ მოთხოვნებისადმი ბიზნესის ადაპტირების ამაღლება, ძალზე მნიშვნელოვანია ამ შეთანხმებით ქართველ მეწარმეთათვის შემოთავაზებული უპირატესობების მაქსიმალურად გამოყენებისათვის. იმის გამო, რომ ქართული კომპანიები და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები აწყდებიან სიძნელეებს კონკურენტუნარიანობის კუთხით, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს ბიზნესს გააძლიეროს კონკურენტუნარიანობა და აწარმოოს კონკურენტული პროდუქცია და სერვისები როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ევროპისა და საერთაშორისო ბაზრებისათვის.

DCFTA ძალაშია 2014 წლის სექტემბრიდან. მიუხედავად ამისა, კომპანიების, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების, ცოდნა ამ შეთანხმებით შემოთავაზებული პერსპექტივებისა არასაკმარისია. იგივე მდგომარეობაა შეთანხმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელთა შესრულება აუცილებელია არა მარტო ევროპის კავშირში ექსპორტის განსახორციელებლად, არამედ ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის განთავსებისათვის.

DCFTA მოთხოვნებისადმი ადაპტირება გამოწვევაა ბიზნესისათვის. ერთის მხრივ არაა საკმარისი ცოდნა აღნიშნული მოთხოვნებისა და მეორეს მხრივ, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება დამატებით ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. მთავრობა პერმანენტულად მართავს ბიზნეს სექტორისა და დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების კამპანიებს.

DCFTA-ს სამოქმედო გეგმა 2014-2017 წლებისათვის მოიცავს ქმედებებს დაკავშირებულს შეთანხმების ინფორმირებულობის ამაღლებასთან, სადაც სპეციალური აქცენტები გაკეთებულია მცირე და საშუალო ბიზნესზე. მცირე და საშუალო ბიზნესი განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას საექსპორტო ბაზრის და სპეციფიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რაც ზღუდავს მათ საექსპორტო შესაძლებლობებს. ამგვარი ანალიზის ჩატარება მოითხოვს დამატებით ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, რაც მცირე და საშუალო ბიზნესისათვის პრობლემას წარმოადგენს. **DCFTA** შეთანხმების ფარგლებში მოთხოვნილია ეროვნული ხარისხის ინფრასტრუქტურის შექმნა ვაჭრობისათვის ტექნიკური

ბარიერების მოსახსნელად. პრობლემად რჩება საზღვარგარეთ მარკეტინგული ქმედებების არცოდნა და მათი არ არსებობა. ამის შესაძლებლობა არ გააჩნია მცირე და საშუალო ბიზნესს, თუმცა აუცილებელია საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებისათვის და მსოფლიო ღირებულებათა ჯაჭვში ჩართულობისათვის.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე არის საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოების ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ვაჭრობისა და მთლიანად ეკონომიკის ზრდას, დაგვეხმარება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობაში ბარიერების მოხსნაში, დიდი თუ მცირე ბიზნესისათვის შექმნის უკეთეს შესაძლებლობებს, გაადვილებს ინვესტორების მოზიდვას. დამოუკიდებელი კვლევების მიხედვით, ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე 12%-ით გაიზრდება, ხოლო მშპ-4,3%-ით. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნით მიმდინარეობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელების პროცესში მყოფ პროექტებს შორის შეიძლება დავასახელოთ „აწარმოე საქართველოში“, „დარგე მომავალი“, აგრეთვე, კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ და კანონი კოოპერატივების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ, რომელიც მცირე ბიზნესთან მიმართებაში მრავალი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, დროული პირველი ნაბიჯები გადადგა პრიორიტეტული დარგის - სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის, იაფი კრედიტის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამჟამად, ქვეყნის დღის წესრიგში დგას მცირე მეწარმეობის ეფექტიანობის ზრდაზე ფოკუსირებული პოლიტიკის გადაუდებელი განხორციელების საჭიროება ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს სამომავლოდ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტას და ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას.

ლიტერატურა:

1. უ. სამადაშვილი, ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2013.
2. დ. ადვაძე, მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, დისერტაცია ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2015.
3. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2013.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ბიზნეს სექტორი:
http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo_2016_.pdf.
საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები
5. სალომე გოგოხია, გაზ. რეზონანსი, 05.10.2016.
http://www.politcommersant.ge/detalpage.php?newsid=4667&page=171

რეზიუმე

ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფოსათვის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მცირე და საშუალო ბიზნესს ლომის წილი უჭირავს. მცირე და საშუალო ბიზნესს საქართველოსათვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ხელისუფლება ბევრს საუბრობს ამ ტიპის მეწარმეობის მხარდაჭერაზე და მათთვის ნორმალური სამეწარმეო გარემოს შექმნაზე, თუმცა თავისი ქმედებებით ბევრს ვერაფერს აკეთებს.

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ, რომელიც მცირე ბიზნესთან მიმართებაში მრავალი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, დროული პირველი ნაბიჯები გადადგა პრიორიტეტული დარგის - სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის, იაფი კრედიტის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამჟამად, ქვეყნის დღის წესრიგში დგას მცირე მეწარმეობის ეფექტიანობის ზრდაზე ფოკუსირებული პოლიტიკის გადაუდებელი განხორციელების საჭიროება ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს სამომავლოდ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტას და ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებას სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი წინაპირობების კომპლექსური მომზადება და კარგად გააზრებული ღონისძიებების პერმანენტული განხორციელება ესაჭიროება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებების მომზადების საწყის ეტაპზე საზოგადოების და ბიზნეს

წრეების აქტიური ჩართულობით შემუშავებული უნდა იქნეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია და თანდათანობით განხორციელდეს ღონისძიებები მისი იმპლემენტაციისათვის. სტრატეგია უნდა მოიცავდეს სახელმწიფოებრივი საბანკო-საკრედიტო პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, მეწარმეთა საკონსულტაციო-საინფორმაციო მომსახურების ხელმისაწვდომობას.

საქართველოს ხელისუფლებამ მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემდეგი სამი მთავარი საკითხი უნდა გადაჭრას: მცირე მეწარმეობის წახალისება, მცირე მეწარმეთა სწავლება და მცირე მეწარმეების დახმარება გაყიდვებში.

SMALL BUSINESS DEVELOPMENT PROBLEMS IN GEORGIA

Lali Osadze, Associate Professor
Nanuli Kokashvili, Associate Professor

RESUME

Small and medium businesses have a lion's share in the country's gross domestic product for any normal state. Small and medium businesses have vital importance for Georgia too. The government speaks a lot about supporting this type of entrepreneurship and creating a normal entrepreneurial environment for them but does not do much with their actions.

The new government of Georgia, which faces many unresolved problems in relation to small business, took the first steps forward to promoting the priority sector - agricultural products production, ensuring access to cheap credit. Currently, the agenda of the country stands for urgent implementation of the policy focused on the growth of small entrepreneurship in accordance with the requirements of the European Union that will facilitate the solution of future social and economic problems and accelerate the process of European integration.

Small and Medium Business Recovery is appropriate for the state

Complex prerequisites are needed and permanent implementation of well thought out actions is needed. The global experience of small and medium business development indicates that in the field of change of state policy in this area, the active involvement of the public and business circles should be developed for SME development strategy and gradually implement measures for its implementation. The strategy should include the improvement of state banking credit policy and legislative base, access to the consultation and information services of entrepreneurs.

The Georgian government should address the following three key issues to promote small business development: small entrepreneurship encouragement, small business entrepreneurs and small business entrepreneurs in sales.

მომსახურების კლასიფიკაცია მარკეტინგში

***გიორგი ყაზიშვილი**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი*

1980-იანი წლების შუა პერიოდამდე აქტიურად მიმდინარეობდა დისკუსია იმის შესახებ, რომ მომსახურების მარკეტინგი არაფრით არ უნდა განსხვავებულიყო მატერიალურ-ნივთობრივი საქონლის მარკეტინგისაგან. ამ მიდგომას საფუძვლად ედო ის, რომ საქონლისა და მომსახურების დაყოფის კრიტერიუმები საკმაოდ სადავო იყო. მომსახურების ფიზიკური საქონლისაგან პირველი და მთავარი ძირეული განსხვავება მოგვცა ტეხასის უნივერსიტეტის მარკეტინგის პროფესორმა ლეონარდ ბერიმ 1980 წელს. მისი აზრით, ფიზიკური საქონელი არის საგანი, მოწყობილობა ან ნივთი, ხოლო მომსახურება წარმოადგენს ქმედებას, შესრულებას ან ძალისხმევას. [9: 6]

მოგვიანებით მომსახურების ცნების მკაფიო განმარტება ჩამოაყალიბა ე.წ. მომსახურების მარკეტინგის ჩრდილოეთ სკოლის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა წარმომადგენელმა ქრისტიან გრენროოსმა. მისი აზრით, მომსახურება პროცესია, რომელიც მოიცავს უხილავი მოქმედებების ნაკრებს, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში ხორციელდება მყიდველებსა და მომსახურე პერსონალს შორის ურთიერთქმედებისას. [9: 6]

2001 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ეკონომიკურ ლექსიკონში შემოთავაზებულია მომსახურების შემდეგი დეფინიცია: „მომსახურება (ინგლ. services) - საქმიანობის, სამუშაოთა სახეები, რომელთა შესრულების პროცესშიც ახალი, ადრე არარსებული მატერიალურ-ნივთობრივი პროდუქტი არ იქმნება, მაგრამ იცვლება უკვე არსებული პროდუქტის ხარისხი. ეს არის დოვლათი, რომელიც გაიცემა არა ნივთების, არამედ საქმიანობის ფორმით“. [2: 323]

აღნიშნული განმარტება საკმაოდ ზოგადია და არ არის წარმოდგენილი თანამედროვე მარკეტინგის ჭრილში. მარკეტინგის მკვლევრები ფ. კოტლერი და გ. არმსტრონგი მიიჩნევენ, რომ მომსახურება პროდუქტის ფორმაა, რომელიც მოიცავს გასაყიდად შეთავაზებულ საქმიანობებს, სარგებლებს ან კმაყოფილებებს. ყოველივე ამას გააჩნია არამატერიალური სახე. იგი არ წარმოადგენს ვინმეს საკუთრებას (მაგალითად, საცალო ვაჭრობა, საბანკო მომსახურება და სხვ.) [1: 265]

მეცნიერები კ. რ. მაკკონელი და ს. ლ. ბრიუ მომსახურებას განმარტავენ როგორც იმას, რაც არ არის ხელშესახები (უხილავია) და რომლის სანაცვლოდაც მომხმარებელი, ფირმა ან მთავრობა მზად არის წარმოადგინოს რაიმე ფასეული [7: 979]

მკვლევრების (კ. გრენროოსი, ჯ. ბეიტსონი) თვალსაზრისით, მომსახურების ნიშან-თვისებების აღწერა უფრო პროდუქტიულია, ვიდრე მისი განსაზღვრებების ჩამოყალიბების მცდელობა. [3: 10]

ამრიგად, ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ მომსახურება უხილავი მოქმედებების ერთობლიობაა, რომლებიც ხორციელდება კლიენტთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად. შედეგად, მოქმედებების განხორციელებას არ სდევს რაიმეს მფლობელობა.

თანამედროვე ეკონომიკაში, მომსახურების მრავალი სახეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მათი კლასიფიკაცია. მომსახურების კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს შესასწავლი მოვლენის აღქმა-გაგება, გამოიყოს მომსახურების თითოეული სახის განმასხვავებელი ნიშნები, განისაზღვროს ორგანიზაციის მართვის მეთოდების სპეციფიკა. მომსახურების თანამედროვე მარკეტინგული კლასიფიკაციით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად მომსახურების კატეგორიებისა და მომსახურების ძირითადი მახასიათებლების განხილვას.

ცალკეულ შემთხვევებში მომსახურების გაწევა უკავშირდება მატერიალურ პროდუქტებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მომსახურების კატეგორიების - მიქსის განხილვა. ეს კატეგორიებია:

1. განსაკუთრებით ხელშესახები საქონელი, რომელიც მოიცავს ისეთ მატერიალურ საქონელს, როგორიცაა შაქარი, სარეცხი საშუალებები, პირადი ჰიგიენის საშუალებები და ა.შ. ამ შემთხვევაში რაიმე დამატებითი მომსახურება არ არის გათვალისწინებული;
2. დამატებითი მომსახურებები ხელშესახებ საქონელზე. მოიცავს მატერიალურ დოვლათს ერთი ან რამდენიმე მომსახურების დამატებით. მაგალითად, ზოგიერთი საავტომობილო კომპანია მომხმარებლებს ავტომობილის შეძენისას სთავაზობს დამატებითი სერვისების გარკვეულ ნაკრებს;
3. ჰიბრიდი. ამ შემთხვევაში მიწოდება შედგება საქონლისა და თანმხლები მომსახურებისაგან. მაგალითად სასტუმროს კლიენტები, რომლებიც შეიძლება ერთდროულად მოიხმარდნენ საკვებსა და მომსახურებას;
4. ძირითად სერვისს თან ახლავს შესაბამისი საქონლისა და მომსახურების მიღება. მაგალითად, ავიამგზავრები იძენენ მომსახურებას ერთი პუნქტიდან მეორეში გადასაადგილებლად, რომელსაც თან ახლავს საქონლის (კვება, სასმელები, ჟურნალები) მიღება და მოხმარება;
5. წმინდა მომსახურება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, ძიძის მომსახურებას, მასაჟს და ა.შ. [5: 14]

თანამედროვე ეტაპზე მომსახურება შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ:

- მომსახურება წარმოადგენს მოქმედებას ან პროცესს, რომელიც მომხმარებელს გადაეცემა მოქმედების საშუალებით მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა ხელიდან ხელში;

- საქონლისაგან განსხვავებით მომსახურების დანახვა, შეგრძნება შეუძლებელია მანამდე, ვიდრე ის არ იქნება შეძენილი. მართალია, მომსახურება არ წარმოადგენს მატერიალურს, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში იგი შეიძლება განსახიერებულ იქნეს მატერიალურ საგნებში. მაგალითად, CD-ზე ჩაწერილი პროგრამა, ე.ი. მომსახურება, გაწეული პროგრამული უზრუნველყოფის შემმუშავებლების მიერ, განსახიერებულია მატერიალურ ობიექტში CD-ში და შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა მატერიალური ობიექტის - კომპიუტერის დაუხმარებლად;

- მომსახურების გაწევა და მოხმარება დროში ერთმანეთს ემთხვევა. მომსახურება არ გადის საზოგადოებრივი კვლავწარმოების (წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება) ყველა ეტაპს -

საზოგადოებრივი კვლავწარმოების პირველი და ბოლო ეტაპი დროში ერთმანეთს ემთხვევა. (იხ. ნახაზი 1).

ნახ. 1. საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირი [5: 17]



- მომსახურების ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი ხარისხი შეიძლება არსებითად შეიცვალოს იმაზე დამოკიდებულებით, თუ ვინ, როდის, სად და რა პირობებით აწვდის ამ მომსახურებას;
- შენახვის შეუძლებლობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მომსახურების წინასწარ დამზადება საქონლის მსგავსად, მისი დასაწყობება და მიწოდება გაზრდილი მოთხოვნის პირობებში შეუძლებელია;
- საქონლისაგან განსხვავებით, რომელსაც გააჩნია მატერიალური ფორმა, მომსახურება არ წარმოადგენს ვინმეს საკუთრებას. უმრავლეს შემთხვევაში გაწეული მომსახურებით შეუძლებელია სარგებლობა დროის დიდი შუალედის განმავლობაში, განსაზღვრული დროის შემდეგ იგი აუცილებლად დამთავრდება.

მომსახურების კატეგორიები და მისი ძირითადი მახასიათებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თავად მომსახურების კლასიფიკაციაში.

ცნობილი მეცნიერი ქ. ლავლოკი მომსახურების კლასიფიკაციას დარგების მიხედვით ახდენს, რაც წარმოდგენას გვიქმნის ფირმის მიერ შემოთავაზებული ძირითადი პროდუქტების შესახებ და გვეხმარება მყიდველთა მოთხოვნილებებისა და დარგში კონკურენციის დონის განსაზღვრაში. [6: 74-75] (იხ. ცხრილი 1):

ცხრ. 1. მომსახურების კლასიფიკაცია ქ. ლავლოკის მიხედვით [6: 75]

მომსახურების ხელით საგრძნობი პროცესის დონე
რა (ან ვინ) წარმოადგენს სერვისული პროცესის მომსახურების პირდაპირ ობიექტებს
მომსახურების გაწევის ადგილი და დრო
მომსახურების ინდივიდუალიზაცია ან სტანდარტიზაცია
მომსახურების მომხმარებელთან ურთიერთობის ხასიათი
მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისობის დონე
ნაგებობების, მოწყობილობების და პერსონალის როლი მომსახურების პროცესში

მომსახურების ყველაზე ვრცელი კლასიფიკაციაა მოცემული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ, რომლის მიხედვით გამოიყოფა 12 სექტორად დაჯგუფებული 150-ზე მეტი სახის მომსახურება:

1. საქმიანი (ბიზნეს) მომსახურებები;
2. საკომუნიკაციო მომსახურებები;
3. სამშენებლო და მასთან დაკავშირებული საინჟინრო მომსახურებები;

4. სადისტრიბუციო მომსახურებები;
5. საგანმანათლებლო მომსახურებები;
6. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მომსახურებები;
7. ფინანსური მომსახურებები;
8. მომსახურებები ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში;
9. ტურისტული და მოგზაურობასთან დაკავშირებული მომსახურებები;
10. რეკრეაციული, კულტურული და სპორტული მომსახურებები;
11. სატრანსპორტო მომსახურებები;
12. სხვა მომსახურებები, რომლებიც არ არის შესული ზემოთ ჩამოთვლილში. [10]

მომსახურების კლასიფიკაციას შეიძლება საფუძვლად დაედოს არა ერთი ნიშან-თვისება, არამედ მათი კომბინაციის გამოყენებაც. მაგალითად, მომსახურების ხელშესახებობის ხარისხისა და მომხმარებლის ტიპის მიხედვით. (იხ. ცხრილი 2)

ცხრ. 2. მომსახურების სახეები მათი ხელშესახებობის ხარისხსა და მყიდველის ტიპზე დამოკიდებულებით [5: 20]

მომსახურებები	მომხმარებლები	
	საქმიანი მომსახურებები	პირადი მომსახურებები
1. მხოლოდ მომსახურება	ფრანჩაიზინგი, აუდიტი, უსაფრთხოება	განათლება, გართობა, შრომითი მოწყობა
2. მომსახურება, რომელიც ზრდის რაიმე მატერიალურის ღირებულებას	დაზღვევა, რეკლამა, დიზაინი, დალაგება	რემონტი, დაზღვევა
3. მომსახურება, რომელიც იძლევა რაიმე მატერიალურს	გადაზიდვები, ვაჭრობა, პერსონალის დაქირავება	გადაზიდვები, ვაჭრობა

ცნობილი მკვლევარი მომსახურების მარკეტინგის საკითხებში კ. გრენროოსი მომსახურების დაყოფას პერსონალისა და ტექნოლოგიების თვალსაზრისით ახდენს. მის მიხედვით მომსახურება ორ ნაწილად იყოფა:

1. მომსახურება, რომლის რეალიზაცია პერსონალზეა დამოკიდებული;

2. მომსახურება, რომლის შესრულებასაც ტექნოლოგიები განაპირობებენ.

ამასთან კ. გრენროოსი მომსახურების კლასიფიკაციას ახდენს აგრეთვე შეძენის სიხშირის თვალსაზრისითაც, რომლის მიხედვით იგი განასხვავებს:

1) მუდმივად შეძენად მომსახურებას (მაგალითად, საბანკო მომსახურება);

2) მომსახურებას, შეძენილს შემთხვევიდან შემთხვევამდე (მაგალითად, სამედიცინო მომსახურება). [3: 28]

მომსახურების სფეროში კომპანიების მიერ გატარებული პოლიტიკის კლასიფიკაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის ცნობილი მატრიცების ტიპის ანალიტიკური მატრიცები, თუმცა სპეციფიკური პარამეტრებით. ასეთ პარამეტრებად შეიძლება დასახელდეს მომსახურების სფეროს პერსონალის მონაწილეობის ხარისხი კლიენტებთან კონტაქტების დამყარებაში და კლიენტის მონაწილეობის ხარისხი მომსახურებაში. (იხ. ცხრილი 3)

ცხრ. 3. მომსახურების დაყოფის მატრიცა პერსონალის მიერ კლიენტთა მომსახურებაში მონაწილეობის ხარისხზე დამოკიდებულებით [8: 21]

		კლიენტთან კონტაქტის ხარისხი	
		დაბალი	მაღალი
კლიენტთა მონაწილეობის ხარისხი	მაღალი	თვითმომსახურება	მოწყობილებობის რემონტი, საცხოვრებლის მოვლა-შენახვა
	დაბალი	ქომწმენდა, ტელევიზია	საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი

მომსახურებები, მათი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე ჯგუფადაც, რომელიც მოცემულია მე-4 ცხრილში.

ცხრ. 4. მომსახურების ტიპები [8: 22]

მომსახურების ტიპები	მომსახურების სფეროები
საწარმოო	ინჟინირინგი, ლიზინგი, მოწყობილობების მომსახურება (რემონტი) და სხვ.
განაწილებითი	ვაჭრობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა
პროფესიონალური	ბანკები, საფინანსო, სადაზღვევო, საკონსულტაციო, სარეკლამო და სხვა ფირმები
სამომხმარებლო (მასობრივი)	საოჯახო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
საზოგადოებრივი	ტელევიზია, რადიო, განათლება, კულტურა

უკანასკნელ პერიოდში ფართოდ ინერგება აგრეთვე მომსახურების ახალი სახეები, რომელთა კლასიფიკაციაც მოცემულია მე-5 ცხრილში.

ცხრ. 5. მომსახურების ახალი სახეები [8: 22]

მომსახურებები	მახასიათბლები
საქმიანი (პროფესიონალური) მომსახურების ახალი სახეები	უძრავი ქონებით ვაჭრობა, ინფორმაციული, მარკეტინგული და სარეკლამო მომსახურება, ელექტრონული მდივანი
ბავშვების აღზრდასა და სწავლასთან დაკავშირებული მომსახურებები	კერძო სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები
ცხოველთა მოვლასთან დაკავშირებული მომსახურებები	მკურნალობა, კვება, გასეირნება და დროებით შენახვა

მსოფლიო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის (ISIC) მიხედვით, გამოიყოფა შემდეგი სახის მომსახურებები: 1) კავშირგაბმულობა; 2) საწყობები, ვაჭრობა, რესტორნები, სასტუმროები; 3) საზოგადოებრივი, ინდივიდუალური, სოციალური; 4) ტრანსპორტი. [9: 5-6]

რ. შმენნერის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით, რომელსაც მატრიცული ფორმა გააჩნია (იხ. ნახაზი 2), საკლასიფიკაციო ნიშან-თვისებების სახით გამოდის ჯერ ერთი, ურთიერთქმედების ხარისხი და კასტომიზაცია და, მეორე, შრომის ინტენსიურობის ხარისხი, რომელიც წარმოადგენს შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების ურთიერთდამოკიდებულებას კაპიტალურ დანახარჯებთან.

ნახ. 2. სერვისული პროცესის მატრიცა [4]

		ურთიერთქმედების ხარისხი და კასტომიზაცია	
შრომის ინტენსიურობის ხარისხი			
		სერვისული ფაბრიკა	სერვისული მაღაზია
	დაბალი	გასართობი პარკის მომსახურებები	სანატორიუმის მომსახურება
		მასობრივი მომსახურება	პროფესიული მომსახურებები
	მაღალი	სავაჭრო მომსახურებები	იურიდიული მომსახურებები

ჯ. ჰეივუდ-ფარმერის მიერ შემოთავაზებულ სერვისულ კუბს საფუძვლად უდევს სამი საკლასიფიკაციო ნიშან-თვისება - მომსახურების კასტომიზაციის ხარისხი, პერსონალისა და კლიენტების კონტაქტისა და (ან) ურთიერთქმედების ხარისხი, შრომის ინტენსიურობის ხარისხი (იხ. ნახაზი 3)

ნახ. 3. სერვისული კუბი [4]



რუსი მეცნიერი ს. ბასოვა მომსახურებას ყველა მრავალფეროვნების მიხედვით აერთიანებს რამდენიმე ჯგუფად:

1) ტიპების მიხედვით: საწარმოო (ინჟინირინგი, ლიზინგი და სხვ.); გამანაწილებელი (ვაჭრობა, ტრანსპორტი და სხვ.); პროფესიონალური (საბანკო, სადაზღვევო, სარეკლამო და სხვ.); სამომხმარებლო (მასობრივი) (საოჯახო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები); საზოგადოებრივი (განათლება, ტელევიზია და სხვ.);

2) მატერიალურ-ნივთობრივ შინაარსზე დამოკიდებულებით: მატერიალური წარმოების მომსახურებები, რომლებიც დაკავშირებულია მასალების მდგომარეობის ცვლილებასთან (ტანსაცმლის შეკერვა, საცხოვრებლის მშენებლობა და ა.შ.); არამატერიალური მომსახურებები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია უხილავობა, ხარისხის არამუდმივობა, განუყოფლობა, შენახვის შეუძლებლობა (იურიდიული, საკონსულტაციო და სხვ.);

3) შინაარსის სპეციფიკის მიხედვით: ქმნის ახალ სახმარ ღირებულებას (ახალი ნაწარმი); საქონლის სამომხმარებლო თვისებების აღმდგენი (სარემონტო სამუშაოები); მომსახურება, რომელიც გაეწევა ადამიანებს (პარიკმახერის მომსახურება);

4) ხელშესახებობის ხარისხის მიხედვით: ადამიანის სხეულზე, როგორც ობიექტზე მიმართული ხელშესახები მომსახურებები (ჯანდაცვა, რესტორნები და სხვ.); ხელშესახები მომსახურებები, რომლებიც მიმართულია საქონელსა და სხვა ფიზიკურ ობიექტებზე (სამრეცხაო, ქიმწმენდა და სხვ.); არახელშესახები (უხილავი) მომსახურებები, რომლებიც მიმართულია ადამიანის ცნობიერებაზე (განათლება, რადიომაუწყებლობა, თეატრი და სხვ.); არახელშესახები (უხილავი) მომსახურებები არახელშესახები (უხილავი) აქტივებით (იურიდიული, დაზღვევა და სხვ.);

5) მწარმოებლის ხასიათზე დამოკიდებულებით: მომსახურებები, რომლებიც შეთავაზებულია ადამიანების მიერ (განათლება, საყოფაცხოვრებო და სხვ.); მომსახურებები, რომლებიც შეთავაზებულია მანქანებისა და მექანიზმების მიერ (ტრანსპორტი, ჯანდაცვა და სხვ.);

6) მომსახურების გაწევის დროს კლიენტთა დასწრებაზე დამოკიდებულებით: მომსახურებები, რომლებიც მოითხოვს კლიენტთა თანდასწრებას (ექიმის, კოსმეტოლოგის მომსახურებები); მომსახურებები, რომლებიც არ მოითხოვს კლიენტთა თანდასწრებას (ლიტერატურის მოძიება, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების რემონტი);

7) მომსახურების მომხმარებელთა მოტივებზე დამოკიდებულებით: ადამიანის პირადი საჭიროების დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილი მომსახურებები (განათლება, კულტურა, სპორტი და სხვ.); საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტიური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილი მომსახურებები, რომლებიც უკავშირდება საწარმოს ნორმალურ ფუნქციონირებას (ტრანსპორტი, კავშირ-გაბმულობა და სხვ.); საზოგადოებრივი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილი მომსახურებები (მომსახურებები ეპიდემიასთან ბრძოლის სფეროში);

8) მომსახურების მწარმოებლის მოტივებზე დამოკიდებულებით: მოგების მიღების მიზნით გაწეული კომერციული მომსახურებები; საქველმოქმედო მომსახურებები, რომლებიც მიმართულია განსაზღვრული სოციალური ეფექტის მისაღებად;

9) მომსახურების ფორმების მიხედვით: სააბონემენტო (ფიტნეს მომსახურებები) ადგილის ბინადრობის, დასვენებისა და სამუშაო ადგილის მიხედვით; ვადიანი, რომლებიც დროის მოკლე შუალედში

ხორციელდება; თვითმომსახურება – მომსახურების მიღება გარე დახმარების გარეშე (თეთრეულის რეცხვა სამრეცხაოში);
10) ამა თუ იმ დარგთან მიკუთვნებულობის მიხედვით: ჯანდაცვის მომსახურებები; განათლების მომსახურებები; კომუნალური მომსახურებები; საყოფაცხოვრებო მომსახურებები; მომსახურებები უძრავი ქონების სფეროში; ტურიზმი; საინფორმაციო მომსახურებები; საბანკო და სხვა საფინანსო მომსახურებები და ა.შ. [5: 18-19].

როგორც ვხედავთ, მომსახურების სფეროს კლასიფიკაცია ხელს უწყობს შესასწავლი მოვლენის უკეთ გაგებასა და აღქმას, საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მომსახურების თითოეული სახის განმასხვავებელი ნიშნები და ა.შ., რაც მეტად მნიშვნელოვანია კვლევებისათვის.

აღნიშნულ კლასიფიკაციასთან ერთად გასათვალისწინებელია თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე ის პროცესები, რომელთა გავლენითაც ჩნდებიან მომსახურების ახალი სახეები და სახესხვაობები, იხვეწება ძველი, უკვე არსებული, რაც თანამედროვე მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების თვალსაზრისით კლასიფიკაციისადმი ახლებური მიდგომის აუცილებლობას მოითხოვს.

ლიტერატურა:

1. არმსტრონგი გ., კოტლერი ფ. მარკეტინგი. თბ.: „საქართველოს მარკეტინგის ასოციაცია“, 2006.
2. ეკონომიკური ლექსიკონი. პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
3. ქათამაძე გ., ქათამაძე დ. მომსახურების მარკეტინგი. თბ.: „უნივერსალი“, 2013.
4. Балаева О., Предводителева М., Управление организациями сферы услуг, http://litresp.ru/chitat/ru/%D0%91/balaeva-oljga-nikolaevna/upravlenie-organizaciyami-sferi-uslug/15 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.04.2017
5. Басова С. Н., Маркетинг услуг: Учебное пособие для студентов, обучающихся по дистанционным технологиям. Хабаровск, РИЦ ХГАЭП, 2008.
6. Лавлок К., Маркетинг услуг: персонал, технология, стратегия, Пер. с англ., М., «Вильямс», 2005.
7. Макконнелл К.Р., Брю С.Л., Экономикс: принципы, проблемы и политика, М., ИНФРА-М, 1999.
8. Тультаев Т.А., Маркетинг услуг, Учебно-методический комплекс, М., ЕАОИ, 2008.
9. Юрченко Н.А., Основы маркетинга в сервисе: учебное пособие, Владивосток, ВГУЭС, 2008.
10. http://www.wto.org/english/tratop_e/serv_e/serv_sectors_e.htm
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.04.2017

რეზიუმე

მომსახურება, როგორც სასაქონლო ბაზრის ნაირსახეობა, დღეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. თანამედროვე ეტაპზე მომსახურება გვევლინება როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო მეურნეობის ისეთ სექტორად, რომელიც განსაზღვრავს და ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. თანამედროვე ეკონომიკაში, მომსახურების მრავალი სახეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მათი კლასიფიკაცია.

მომსახურების კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს შესასწავლი მოვლენის აღქმა-გაგება, გამოიყოს მომსახურების თითოეული სახის განმასხვავებელი ნიშნები, განისაზღვროს ორგანიზაციის მართვის მეთოდების სპეციფიკა. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია სხვადასხვა მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული მომსახურების კლასიფიკაციები.

SERVICE CLASSIFICATION IN MARKETING

Giorgi Kazishvili, Invited Specialist, Doctor

RESUME

Today service, as a kind of commodity market, plays an important role in the development of the national economy. Nowadays, the service has emerged in the sector as a national and world economy, which identifies and promotes the country's competitiveness. Due to many types of service in the modern economy their classification is important.

The classification of services allows to improve the perception and understanding of the researched event, to distinguish each sign of the service types, to determine the specifics of the organization's management methods. The classifications of service offered by various scientists has been reviewed and analyzed in the work.

საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკა

მირანდა ყაჩლავაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

თანამედროვე ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა სულ უფრო მეტად იზრდება. საინვესტიციო აქტივობის ზრდა პროპორციულად უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. იგი, ერთი მხრივ, უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ, ხოლო მეორე მხრივ, დასაქმების დონის ამაღლების ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება, ამიტომ მისი მოზიდვა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. უცხოური ინვესტიციებისთვის ქვეყნის მიმზიდველობა დამოკიდებულია მის ბუნებრივ რესურსებზე, ეკონომიკურ-პოლიტიკურ სიტუაციასა და განვითარების დონეზე, თუმცა ასევე მკვეთრად უკავშირდება სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკას.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების პარალელურად უცხოური ინვესტიციებისადმი მიდგომა და იდეოლოგიები ცვლილებას განიცდიდა და სახელმწიფოების უმეტესობამ შეცვალა ინვესტიციებისადმი მიდგომა.

- **რადიკალური მიდგომა** სათავეს მარქსიზმის პოლიტიკური თეორიიდან იღებს. საერთაშორისო მეწარმეობა განიხილებოდა როგორც იმპერიალიზმის დომინირების ინსტრუმენტი, უცხოური ინვესტიციები კი მასპინძელი ქვეყნის ექსპლუატაციის საშუალება. ამ ტიპის მიდგომას გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე 1980-იან წლებამდე ჰქონდა. კომუნიზმის დაშლის შემდეგ კი ასეთი იდეოლოგია უკანა პლანზე გადავიდა, რაც აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის კოლაფსმა და რადიკალური მიდგომის მქონე ქვეყნებთან შედარებით კაპიტალისტური ქვეყნების მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა განაპირობა. შედეგად, აღნიშნული ტიპის ქვეყნებმა შეცვალეს ინვესტიციებისადმი მიდგომა და ბაზრის ლიბერალიზაციას მიემხრნენ.
- **თავისუფალი ბაზარი** - იგი საფუძველს იღებს ადამს სმიტისა და დევიდ რიკარდოს კლასიკური ეკონომიკისა და საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებიდან. კლასიკური საბაზრო ეკონომიკა გამორიცხავს საინვესტიციო აქტივობის ეფექტიანობის დაგეგმვას ზემოდან და მას თვითრეგულირებად მექანიზმად მიიჩნევს. ქვეყნები უნდა დასპეციალიზდნენ ინ პროდუქტისა და სერვისის წარმოებაში, რომლის წარმოებაც ყველაზე ეფექტურად შეუძლიათ. ამ მიდგომით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის მსოფლიო ეკონომიკის ეფექტურობას.
- **პრაგმატული ნაციონალიზმი** - პრაქტიკაში ბევრი ქვეყანა ცალსახად არ ემხრობა ზემოთ წარმოდგენილ იდეოლოგიებს და იზიარებს პრაგმატული ნაციონალიზმის იდეოლოგიას. ამ მიდგომის მიხედვით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვთ დანახარჯებიცა და სარგებლიანობაც. მათ შეუძლიათ მასპინძელ ქვეყანას მოუტანონ კაპიტალი, ტექნოლოგია, სამუშაო ადგილები, რაც დანახარჯებთანაა

დაკავშირებული. ამიტომ ასეთი ქვეყნები ცდილობენ ისეთი პოლიტიკის გატარებას, სადაც მაქსიმალურად შეძლებენ ეროვნული სარგებლის გაზრდას და დანახარჯების შემცირებას.

ისტორიული წარსულის შესაბამისად საქართველოს მიდგომა უცხოური ინვესტიციებისადმი ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცვლილებების შესაბამისად იცვლებოდა. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე და მით უმეტეს პოლიტიკაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. საქართველო, როგორც კომუნისტური იდეოლოგის მიმდევარი სახელმწიფო, იზიარებდა მარქსიზმის იდეებს და ემხრობოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისადმი რადიკალურ მიდგომას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წ) კი იდეოლოგია შედარებით ლიბერალური გახდა, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ და „უცხოური ინვესტიციების შესახებ“. კანონმდებლობის თვალსაზრისით ინვესტიციების სფეროში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა. დღეს საქართველოში ინვესტიციების პოლიტიკას არეგულირებს და შესაბამისად მისი ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს შემდეგი კანონები:

- **საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობისა და გარანტიების შესახებ (2006 წ),** რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს;
- **საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ (2006 წ),** მისი მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით;
- **საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ (2007 წ),** რომლის მიზანია მიმზიდველი ეკონომიკური გარემოს შექმნა და კაპიტალისა და ტექნოლოგიების საქართველოში შემოსვლის ხელშეწყობა;
- **საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ (2010 წ)** - იგი თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა სახის შეღავათების პირობებს ადგენს. მისი მიზანი საქართველოში ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობაა.

ინვესტიციების მოზიდვის კუთხით შესაბამისი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება დადებითი კუთხით უნდა შეფასდეს, თუმცა, მხოლოდ საკანონმდებლო ბაზა არაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის საკმარისი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, გეოპოლიტიკურ მდებარეობას და ა.შ

საინვესტიციო პოლიტიკა, გულისხმობს რა მოწესრიგებულ საკანონმდებლო ბზას, იგი დაკავშირებულია სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკასთანაც. უცხოელი ინვესტორებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკაც წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მხოლოდ ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა არ არის ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების გარანტი, თუმცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ნამდვილად გვევლინება.

2005 წლიდან განხორციელებულმა ეკონომიკურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა დადებითად იმოქმედა ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე, რამაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საგადასახადო რეფორმაც, რაც უცხოელი ინვესტორებისთავის შეღავათების შემოღებას გულისხმობდა. საქართველოში არსებული 21 გადასახადიდან უმეტესი მათგანი გაუქმდა და დღეს საქართველოში მხოლოდ ექვსი, შემდეგი სახის გადასახადი არსებობს: მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, იმპორტის გადასახადი და ქონების გადასახადი. ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანი ხელშეკრულებაა ”ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ”, რომლის მიზანსაც ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება და ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს. ამჟამად შეთანხმება ძალაშია 54 ქვეყანასთან.

საკადასტრო სისტემა და მიწის გასხვისებასთან დაკავშირებული საკითხები საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად გვევლინება და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იპყრობს. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, საქართველოს, როგორც მცირემიწიანი ქვეყნის ინტერესებია გასათვალისწინებელი, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელი ინვესტორის უფლებებთან დაკავშირებული საკითხებია მნიშვნელოვანი. სახელმწიფოს პოლიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით თანდათანობით იცვლებოდა: თუ მანამდე მიწის გასხვისებასთან დაკავშირებული პოლიტიკა ლიბერალური იყო და შესაბამისად უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ

საქართველოში შეძენილი მიწის ფართობი გაიზარდა, 2013 წლიდან კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით უცხოელ მოქალაქეს არ შეეძლო მიწის შესყიდვა. თუმცა მოგვიანებით, 2014 წელს ეს აკრძალვა გაუქმდა და სასოფლო სამეურნეო მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა ახალი კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც უცხოელებზე აიკრძალა მიწების გასხვისება საქართველოს საზღვრის მიმდებარე ხუთკილომეტრიან ზოლსა და მთავრობის მიერ დადგენილ შესაბამის ზონაში. მათ უფლება აქვთ შეისყიდონ მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 100 ჰექტარი, თუმცა საკითხი ისევ განხილვის პროცესშია და დღეს პარლამენტი ახალ ცვლილებებზე მუშაობს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით მნიშვნელოვანია ინვესტორებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მათთვის საინვესტიციო შესაძლებლობების გაცნობა. ამ მიზნით ქვეყანაში შექმნილია საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, რომელიც უცხოელ ინვესტორებსა და მთავრობას შორის შუამავალ რგოლად გვევლინება და ინვესტორებს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას აწვდის.

გარდა ამისა, ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით 2011 წელს საქართველოში დაარსდა „საპარტნიორო ფონდი“, რომლის კაპიტალიც 1.4 მილიარდია. ფონდი მონაწილეობს ახალ საინვესტიციო პროექტებში იმისთვის რომ უცხოელი ინვესტორებისთვის ქვეყანაში რისკი შემცირდეს. ფონდის პრიორიტეტული სექტორებია: სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა და ლოჯისტიკა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკუთვნის სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი” , რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ენერგეტიკის სფეროში დაინტერესებულ ინვესტორებთან.

ინვესტირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობაც. დღეს საქართველოში ოთხი თავისუფალი ეკონომიკური ზონა მოქმედებს: ფოთში, ქუთაისსა (ორი ეკონომიკური ზონა) და თბილისში. თუ ამ ზონაში მოქმედი კომპანია ექსპორტისთვის აწარმოებს პროდუქციას, მაშინ ის მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს გადაიხდის, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდული პროდუქტის შემთხვევაში ამას ეროვნული წლიური გაყიდვების 4% დაემატება. ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობა საინვესტიციო პოლიტიკის მნიშვნელოვან ასპექტად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება აუცილებელია.

ქვეყანაში მოზიდული ინვესტიციების რაოდენობამ 2005 წლიდან ზრდა დაიწყო და 2007 წელს მაქსიმუმს მიაღწია. ინვესტიციების შემოდინებაზე რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები დიდ გავლენას ახდენს, ამას 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდი და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიც ადასტურებს. 2009 წლიდან ინვესტიციების შემოდინებამ მკვეთრად იკლო (თუმცა ამას ლარის კურსის მნიშვნელოვანი რყევები არ გამოუწვევია, რადგან საქართველოში დახმარებების სახით მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი შემოვიდა), თუმცა მომდევნო წლებში მისი რაოდენობა გაიზარდა და 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს ყოველთვის აღემატებოდა.



წყარო: www.geostat.ge

2016 წელს უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური სექტორების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 39%, ენერგეტიკა-12%, მშენებლობა - 10%, საფინანსო სექტორი - 8%, დამამუშავებელი მრეწველობა - 7%, სასტუმროები და რესტორნები - 7%, უძრავი ქონება - 4%, ხოლო დანარჩენი 12% სხვა სექტორებზე მოდის.

უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანას აზერბაიჯანი წარმოადგენს 578 მლნ აშშ დოლარით, მეორე პოზიცია უჭირავს თურქეთს - 272 მლნ აშშ დოლარით, გაერთიანებული სამეფო - 121 მლნ აშშ დოლარი, ნიდერლანდები $95 მლნ, ჩეხეთი - $93 მლნ, ლუქსემბურგი - $79 მლნ, პანამა - $78 მლნ, აშშ-$45 მლნ, კვიპროსი $38 მლნ.

როგორც ვხედავთ მოზიდული ინვესტიციების თითქმის ნახევარი ნაწილი (51%) მხოლოდ ორ სფეროზე (ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა) სფეროზე მოდის, რაც მეტწილად საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან არის გამოწვეული.

როდესაც ვსაუბრობთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობასა და მოზიდვაზე, აუცილებელია შეფასებული იქნას ქვეყნის საინვესტიციო გარემო. ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს საინვესტიციო გარემოს SWOT ანალიზი.

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
• ლიბერალური კანონმდებლობა • იაფი შრომითი რესურსი • გეოპოლიტიკური მდგომარეობა • ბუნებრივი რესურსები	• მაკროეკონომიკური ინდიკატორების არასტაბილურობა • არაკვალიფიციური სამუშაო ძალა • ბაზრის განვითარების დაბალი დონე • საინვესტიციო გარემოს დაბალი დონე (ინფრასტრუქტურა)
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება • სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება • საქართველოს საინვესტიციო იმიჯის გაზრდა	• რეგიონში კონკურენტული გარემოს გაზრდა • პოლიტიკური სიტუაციის გაუარესება • ეკონომიკური რყევების გაძლიერება

დღეს ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთ თავისუფალ და ინვესტიციებისადმი ღია სახელმწიფოდ გვევლინება. მაგალითისთვის Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველოს 2017 წლის მონაცემებით მსოფლიოს 186 ქვეყანას შორის 13 ადგილი უჭირავს, (და ამ მაჩვენებლით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მხოლოდ ესტონეთს ჩამორჩება), რაც საქართველოსთვის ამ დრომდე საუკეთესო მაჩვენებელია. მისი ქულა 76.0 შეადგენს და უმეტესად თავისუფალი ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება, ინდექსი შეიცავს შემდეგ ინდიკატორებს: კანონის უზენაესობა, მთავრობის ზომა, რეგულირების ეფექტიანობა და ბაზრის ღიაობა. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი შემადგენელია, ხოლო ინდიკატორს კი საინვესტიციო თავისუფლება წარმოადგენს, რომელიც 80.0 ქულითაა შეფასებული (უმაღლესი ქულა-100). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იცვლებოდა ინვესტიციებისადმი მიდგომა, რამაც ასახვა ამ ინდიკატორშიც პოვა. მისი შეფასებით, საქართველოს მთავრობა იცავს ლიბერალურ მიდგომას და ცდილობს ფინანსური დისციპლინის დამყარებას. მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო თავისუფლებას საკმაოდ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ინდექსი აქვს მინიჭებული (ჩამორჩება მხოლოდ ფისკალური სიჯანსაღისა და სავაჭრო თავისუფლების ინდექსს), დასკვნაში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში არსებობს აკრძალვები უცხოელების მიერ აგრო-მიწების ფლობასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებიც. მათი რეკომენდაციით საქართველოში საკადასტრო სისტემის მოგვარება მნიშვნელოვანია.



წყარო: www.heritage.org

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო რეიტინგს ბიზნესის კეთების სიმარტივე წარმოადგენს. 2017 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველო 80.2 ქულით 16-ე პოზიციას იკავებს.

საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის შეფასების მიზნით ჩავატარე გამოკითხვა. კვლევის ჩატარების თარიღია 24.04.2017-01.05.2017. საქართველოს მასშტაბით გამოკითხულ იქნა 100 რესპოდენტი, რომლის 63% ქალია, ხოლო 37 % მამაკაცი. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სკალარული პრინციპი. მონაცემები დათვლილია 5 ბალიან სკალაზე, სადაც 5 ნიშნავს ძალიან ვეთანხმები, ხოლო 1 ნაკლებად ვეთანხმები. 3 არის სკალის ნეიტრალური პუნქტი, 1 და 2 დაბალი შეფასება, ხოლო 4 და 5 მაღალი. რესპოდენტების 84% ეთანხმება მოსაზრებას, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისთვის. 11% ამ იდეას ნეიტრალურად აფასებს, ხოლო 5% ნაკლებად ემხრობა. საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკას ლიბერალურად აფასებს და მაღალ შეფასებას უწერს (4 და 5) გამოკითხულთა 61 %, ნეიტრალურად 26%, ხოლო ნაკლებად ლიბერალურად მიაჩნია მიდგომა 13%-ს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს უცხოელ მოქალაქეებზე მიწის მიყიდვა წარმოადგენს. გამოკითხულთა უმეტესობა (95%) მიიჩნევს, რომ საინვესტიციო მიზნით უცხო ქვეყნის მოქალაქეზე მიწის გაყიდვა დასაშვებია, თუმცა 53 % გარკვეული შეზღუდვების შემოღებას ემხრობა. 5% კი ფიქრობს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწა არ უნდა გაიყიდოს.

როგორც ვხედავთ, გატარებული ღონისძიებებიდან გამომდინარე, ბოლო 10 წელში საქართველო ინვესტორებისთვის უფრო მიმზიდველ ქვეყანად იქცა. ლიბერალური კანონმდებლობა და იაფი შრომითი რესურსი კი ინვესტორებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს ჩვენს ქვეყანას.

მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს საქართველოში არსებული ძირითადი ეკონომიკური პრობლემებიდან უმთავრესი უმუშევრობა და ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა წარმოადგენს, აქედან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია ბაზრის ლიბერალიზაციის პოლიტიკის გაგრძელება. გატარებული პოლიტიკიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ინვესტირებისთვის უფრო მიმზიდველი ქვეყანა გახდა. თუმცა ეს არაა საკმარისი და საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობა, რაც გულისხმობს კონკურენტული ბაზრის შექნას, სტაბილური საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას, საქართველოს საინვესტიციო იმიჯის გაზრდაზე ზრუნვას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას და ა.შ

ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:
1. გელაშვილი მადონა, „საინვესტიციო პოლიტიკა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
2. ყუფარაძე გიორგი, „საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში“, მონოგრაფია, თბილისი, 2013.
3. Hill Charles W.L “International Business: Competing in the global marketplace” Third Edition, 2000
4. www.matsne.gov.ge საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
5. www.geostat.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
6. www.economy.ge საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7. www.investingeorgia.org
8. www.heritage.org 2017 index of Economic Freedom
9. www.doingbusiness.org Doing Business 2017

რეზიუმე

თანამედროვე ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა სულ უფრო მეტად იზრდება. საინვესტიციო აქტივობის ზრდა პროპორციულად უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებას. იგი, ერთი მხრივ, უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროდ, ხოლო, მეორე მხრივ, დასაქმების დონის ამაღლების ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება, ამიტომ მისი მოზიდვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვისაა. მსოფლიოში მიმდინარე პროცესების პარალელურად უცხოური ინვესტიციებისადმი მიდგომა და იდეოლოგიები ცვლილებას განიცდიდა და სახელმწიფოების უმეტესობამ შეცვალა ინვესტიციებისადმი მიდგომა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკა ლიბერალური გახდა (საგადასახადო რეფორმა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ა.შ), რამაც ასახვა საერთაშორისო რეიტინგებშიც პოვა. მაგალითად, Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველოს 2017 წლის მონაცემებით მსოფლიოს 186 ქვეყანას შორის 13 ადგილი უჭირავს. გაუმჯობესებული საინვესტიციო გარემოს მიუხედავად, ქვეყანა კვლავ რჩება ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორიცაა კონკურენტული ბაზრის შექნა, სტაბილური საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება, ინფრასტრუქტურის განვითარება, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.

INVESTMENT POLICY OF GEORGIA

Miranda Kachlavashvili, Invited Specialist

RESUME

The importance of foreign direct investments is increasing in the modern economy. Investment activity growth is strongly related to economic development of a country. On the one hand, FDI is a very important source of foreign currency inflows and on the other hand it helps enhance levels of employment. Therefore, attraction of FDI is of essential importance for developing countries, as Georgia is.

Historically, the approaches of FDI and ideologies have changed. There are the following types of approaches: Radical ideology, free market and pragmatic nationalism. After gaining independence, (1991) Georgian investment policy has become more liberal (tax reforms, creation of free industrial zones, relevant legislative base and etc), which is reflected in international ratings. For example: According to the Heritage Foundation's Economic Freedom Index of 2017, Georgia is ranked in the 13th position out of 186 countries. Despite the enhanced investment environment, the country still faces challenges, such as creating a competitive market, stabilizing a stable legislative base, improving infrastructure, increasing workforce qualifications, etc.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა

სოფიო ცეცხლაძე, მოწვეული სპეციალისტი

საგარეო ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. იგი უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო (საგარეო) ვაჭრობას. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო დიდი ნაწილი მისი ეროვნული პროდუქციისა არის ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში.

საგარეო ვაჭრობა ხელს უწყობს ეკონომიკისა და სოციალური სტაბილურობის ზრდას, დემოკრატიის განვითარებას ცალკეულ ქვეყნებში, აგრეთვე მსოფლიოს აყვავებას, კანონიერების დამყარებას და მშვიდობის უზრუნველყოფას საერთაშორისო ურთიერთობებში.

ვაჭრობის ღია სისტემა მოითხოვს, რომ ქვეყნებმა განახორციელონ სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი შეღწევა ერთმანეთის ბაზრებზე. ამისათვის ქვეყნები უნდა შეეცადონ შეუქმნან სხვა ქვეყნებს ხელსაყრელი პირობები თავის ბაზრებზე შესაღწევად - შეამცირონ თავიანთი სავაჭრო ბარიერები მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების დადების გზით. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციისას ძირითადი ყურადღება ტრადიციულად ეთმობა ტარიფებისა და გარკვეული არასატარიფო ბარიერების შემცირებას, უკანასკნელ წლებში გაჩნდა ახალი საშუალებები ამ ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად. ყველა ქვეყნის სავაჭრო კანონმდებლობა და სავაჭრო პრაქტიკა უნდა იყოს გამჭვირვალე, ანუ, სხვაგვარად, ყველამ უნდა იცოდეს წესები და ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შანსები კონკურენციაში მონაწილეობისათვის.

დღეს ძალიან ცოტა თუ აცნობიერებს, რომ ბიზნესი და ვაჭრობა, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ეკონომიკური შინაარსის მატარებელია და მათ აბსოლუტურად განყენებულ ცნებებად აღიქვამს. არადა ვაჭრობა, ჩემი აზრით, დღევანდელი ბიზნესის წინაპარია. ადამიანი ყოველთვის ყიდდა რაღაცას, მაგრამ საზღაურს ნამდვილად არ წარმოადგენდა ყოველთვის ფულადი ეკვივალენტი.

რით განსხვავდება უბრალო ვაჭრობა საგარეო ვაჭრობისაგან? საქმე იმაშია, რომ თუკი ვაჭრობა ქვეყნის შიგნით განხორციელებული კომერციული ოპერაციაა, საგარეო ვაჭრობა ქვეყნის საზღვრებს სცდება და ხშირად, მთელ მსოფლიოსაც მოიცავს. ყველა ბიზნესმენს ეგრეთწოდებულ „მოვაჭრეს'', რომელიც წარმატებით ახორციელებს თავის კომერციულ საქმიანობას ქვეყნის შიგნით, ერთხელაც უჩნდება სურვილი თავისი პროდუქციის მეშვეობით მთელი მსოფლიოს დაპყრობისა. რამ შეიძლება განაპირობოს უცხოური ბაზრის ათვისების სურვილი? ამის მიზეზი, ძირითადად, ორი ყველაზე გავრცელებული ფაქტორია. ეს გახლავთ ადგილობრივი ბაზრების გაჯერება და უცხოურ ბაზრებზე მეტი მოგების მიღების პერსპექტივა.

ჩემი აზრით, ვაჭრობა მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია ეკონომიკური განვითარებისა. თუკი მწარმოებელს არ ექნება იმედი, რომ მისი პროდუქცია გაიყიდება, მას არც მისი წარმოების სტიმული გაუჩნდება. თუმცაღა, ამის საშიშროება მსოფლიოში დღესდღეობით არ არსებობს. ადამიანთა მოთხოვნილებები სულ უფრო იზრდება. დღეს ჩვენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვცხოვრობთ, სადაც იმარჯვებს მხოლოდ ის, რომელიც ყველაზე უკეთ და სწრაფად შეძლებს მოცემული სიტუაციისადმი ადაპტაციას.

საგარეო პოლიტიკა ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. საქართველოსთვის, როგორც პატარა და რთული გეოპოლიტიკის მქონე სახელმწიფოსთვის, მწყობრი საგარეო პოლიტიკა გადამწყვეტია უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად. მისი როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კრიზისების პერიოდში. რომ დავაკონკრეტოთ, განუზომლად დიდი რესურსების მქონე რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ნაწილის ოკუპაციის პირობებში სუვერენიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი საშუალება საერთაშორისო თანამეგობრობის მზარდი მხარდაჭერის უზრუნველყოფაა.

ყველამ ვიცით, რომ საერთაშორისო ბიზნესის და უშუალოდ საგარეო ვაჭრობის ძირითად ფორმებს ექსპორტი და იმპორტი წარმოადგენს. მეტი სიზუსტისათვის, ექსპორტი არის იმ პროდუქციის გაყიდვა, რომელიც წარმოებულია საკუთარ ქვეყანაში, მისი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შემდგომი გამოყენების

ან/და გადაყიდვის მიზნით, ხოლო იმპორტი კი – წარმოადგენს იმ პროდუქციის შესყიდვას, რომელიც წარმოებულია სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, საკუთარ ქვეყანაში მისი შემდგომი გამოყენების ან/და გადაყიდვის მიზნით. უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ომი კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს, რომ რუსეთი რეგიონში არა ნორმალურ ურთიერთობებს, არამედ ექსკლუზიური გავლენის სფეროს მოპოვებას განსაკუთრებული აგრესიულობით ცდილობს. ამ ექსკლუზიური სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი კი საქართველოა. ამ პირობებში საქართველოსთვის გამართული და ეფექტური საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, როგორც უსაფრთხოების გარანტიის ერთადერთ საშუალებაზე, დასავლეთის სახელმწიფოების მზარდ ჩართულობასა და მხარდაჭერაზე, გადამწყვეტი ხდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის. სწორედ ამ კონტექსტში და ამ კონკრეტული გადმოსახედიდან არის მნიშვნელოვანი საქართველოს დღევანდელი საგარეო პოლიტიკის ანალიზი.

ამრიგად, მნიშვნელოვანია შევთანხმდეთ, თუ როგორ ვზომავთ საგარეო პოლიტიკის კურსს და ეფექტურობას. დღევანდელი ხელისუფლების ძირეულ პრობლემას, რომელიც ზიანს აყენებს ქვეყნის დასავლურ კურსს, წარმოადგენს შიდა და გარეპოლიტიკური პროცესების გადაჯაჭვულობის გაუაზრებლობა. მეტიც, მზაობა ვიწროპოლიტიკურ ინტერესებს შეეწიროს მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ამოცანები.

,,საქსტატის“ მიერ 19 აპრილს გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების თანახმად, 2017 წლის პირველ კვარტალში საქართველოს საგარეო ვაჭრობა 18%–ით გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 2.28 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

2017 წლის იანვარ–მარტში ექსპორტის მოცულობა 30%–ით გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 577 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (468 მილიონი რეექსპორტის გამოკლებით, 32%-ით მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით); იმპორტის მოცულობა 15%–ით გაიზარდა და 1.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 1.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან 2017 წლის პირველ სამ თვეში 26%–ით გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 641 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

„საქსტატის“ ინფორმაციით, ექსპორტმა ევროკავშირში 159 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 44%–იანი ზრდაა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხოლო იმპორტი ევროკავშირიდან 21%–ით გაიზარდა და 481 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

დსთ–სთან ვაჭრობა 2017 წლის პირველ სამ თვეში 35%–ით გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 751 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი დსთ–ს ქვეყნებში 59%–ით გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 205 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი დსთ–ს ქვეყნებიდან 27%–ით გაიზარდა და 546 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირის ქვეყნების წილმა საქართველოს საგარეო ვაჭრობაში 28% შეადგინა; 28% - ექსპორტში და 28% - იმპორტში (გასულ წელს ამ მაჩვენებლებმა 26%, 25% და 27% შეადგინა, შესაბამისად). დსთ-ის ქვეყნების წილმა 33% შეადგინა; 36% - ექსპორტში და 32% - იმპორტში (გასულ წელს 29%, 28% და 29% შესაბამისად).

თურქეთი კვლავ საქართველოს უმსხვილეს პარტნიორად რჩება 331 მილიონ აშშ დოლარიანი ბრუნვით 2017 წლის პირველ სამ თვეში; შემდეგ მოდიან რუსეთი, აზერბაიჯანი და ჩინეთი 255 მილიონი, 207 მილიონი და 175 მილიონი აშშ დოლარით, შესაბამისად.

საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ გერმანიასთან 111 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; შემდეგ მოდის უკრაინა - 104 მილიონი აშშ დოლარი; აშშ - 85 მილიონი აშშ დოლარი; სომხეთი - 84 მილიონი აშშ დოლარი; ბულგარეთი - 77 მილიონი აშშ დოლარი; იტალია - 64 მილიონი აშშ დოლარი.

ექსპორტის კუთხით, რუსეთი უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა სიის სათავეშია 90 მილიონი აშშ დოლარით; შემდეგ მოდიან თურქეთი და ჩინეთი 55 მილიონი და 49 მილიონი აშშ დოლარით, შესაბამისად. იმპორტის კუთხით თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და ჩინეთი ლიდერობენ 275 მლნ, 176 მლნ, 165 მლნ და 126 მლნ აშშ დოლარით, შესაბამისად.

2017 წლის პირველ სამ თვეში უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფი სპილენძის მადნები და კონცენტრატები იყო 98 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 17%); შემდეგ მოდის ფეროშენადნობი – 81 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 14%); ავტომობილების რეექსპორტი – 35 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 6%); ღვინო – 31 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 5.4%); სამკურნალო საშუალებები – 30 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 5.3%); არადენატურირებული ეთილის სპირტი

და სპირტიანი სასმელები – 23 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 4%); მინერალური წყლები – 22.6 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 3.9%); ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული – 17 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 3%); თხილი – 17 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 3%); დანარჩენი საქონელი - 199 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ექსპორტის 34%).

2017 წლის სამ თვეში ბუნებრივი აირი და ნავთობპროდუქტები საქართველოს საიმპორტო სიის სათავეშია 138 მილიონი და 122 მილიონი აშშ დოლარით, შესაბამისად; შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები – 105 მლნ აშშ დოლარი; მედიკამენტები – 92 მლნ აშშ დოლარი; სპილენძის მადნები და კონცენტრატები – 74 მლნ აშშ დოლარი; სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის – 40 მლნ აშშ დოლარი; ელექტროენერგია - 30 მლნ აშშ დოლარი; სამგზავრო ვაგონები - 22 მლნ აშშ დოლარი; მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან – 18 მლნ აშშ დოლარი; ხორბალი – 18 მლნ აშშ დოლარი; დანარჩენი საქონელი - 1 მილიარდი აშშ დოლარი.

2016 წლის მონაცემების მიხედვით, უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან კანადა, შემდეგ მოდის თურქეთი და რუსეთი. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 23 პროცენტია. ექსპერტების აზრით, საქართველოს წარმოება ვერ ახერხებს საექსპორტო პოტენციალის გამოყენებას: **„ვერ ვითვისებთ ბაზრებს, იმიტომ რომ ვერ ვთავაზობთ მაღალ ხარისხს და მეორე მიზეზია ის, რომ ქვეყნის ეკონომიკა ვერ ვითარდება იმ დონემდე, რომ მან საჭირო პროდუქცია აწარმოოს“** (საქართველოს საგარეო ვაჭრობის არასახარბიელო ტენდენციები, https://www.radiotavisupleba.ge/a/sgareo-vachrobis-tendenciebi/28264484.html)

საექსპორტო პოტენციალის გამოყენებისა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდისთვის საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა. მთავრობის პრიორიტეტი უნდა იყოს არა რომელიმე კონკრეტული სფეროს ან საწარმოს სუბსიდირება, არამედ, ზოგადად, ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ გავაანალიზებთ საქართველოს მიმდინარე საგარეო პოლიტიკას, მისი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, არსებობს რეალური საფრთხე, რომ შეგნებული თუ შეუგნებელი ქმედებების შედეგად ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაცია შეეწიროს ან რუსეთთან არაგონივრულ პოლიტიკას, ან მცდარ შიდა ვიწროპოლიტიკურ ამოცანებს. საჭიროა, შევინარჩუნოთ და განვავითაროთ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა, როგორც ერთ-ერთ ძლიერ სავაჭრო პარტნიორთან და ამავე დროს განვავითაროთ ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

ლიტერატურა:

1. ი. მესხია, საერთაშორისო ბიზნესი, სახელმძღვანელო, თბ., 2012.
2. ჟურნალი ,,Forbes Georgia“ - საქართველოს საგარეო პოლიტიკა - http://forbes.ge/news/389/saqarTvelos-sagareo-politika
3. http://www.civil.ge/geo/article.php?id=31207
4. http://www.geostat.ge/?action=wnews_archive1&qy=2&qy1=8&lang=geo
5. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade__04_2017_GEO-with%20cover.pdf
6. საქართველოს საგარეო ვაჭრობის არასახარბიელო ტენდენციები, https://www.radiotavisupleba.ge/a/sgareo-vachrobis-tendenciebi/28264484.html

რეზიუმე

საგარეო ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყველა ქვეყნის ეკონომიკაში. იგი უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. გამართული და ეფექტური საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, როგორც უსაფრთხოების გარანტიის ერთადერთ საშუალებაზე, დასავლეთის სახელმწიფოების მზარდ ჩართულობასა და მხარდაჭერაზე, გადამწყვეტი ხდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან კანადა, თურქეთი და რუსეთი. ექსპერტების აზრით, საქართველოს წარმოება ვერ ახერხებს საექსპორტო პოტენციალის გამოყენებას. საექსპორტო პოტენციალის გამოყენებისა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდისთვის საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა. მთავრობის პრიორიტეტი უნდა იყოს არა რომელიმე კონკრეტული სფეროს ან საწარმოს სუბსიდირება, არამედ, ზოგადად, ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება. აგრეთვე, საჭიროა, შევინარჩუნოთ და განვავითაროთ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა, როგორც ერთ-ერთ ძლიერ სავაჭრო პარტნიორთან და ამავე დროს განვავითაროთ ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

FOREIGN TRADE OF GEORGIA

Sophie Tsetskhladze, Invited Specialist

RESUME

Foreign trade is an important place in the economy of all countries. It has great influence on international politics, as it creates close business ties between countries. An effective and effective foreign policy aimed at Euro-Atlantic integration, as the only means of security guarantee, the growing involvement and support of Western states is decisive for maintaining the statehood of Georgia.

Georgia's largest trading partners are Canada, Turkey and Russia. According to experts, Georgia's production is not able to use export potential. The use of export potential and foreign trade turnover needs to change economic policy. Priority of the government should not be subsidized by any specific area or enterprise, but in general, the improvement of the business environment in the country. We also need to maintain and develop trade relations with Russia as one of the strongest trading partners and at the same time to develop Euro-Atlantic integration.

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი
Social Sciences and Law

მითოსი - ადამიანის თავდაპირველი მსოფლმხედველობა

ნუგზარ აბრამიშვილი, პროფესორი

ადამიანი არსებითად მსოფლმხედველობრივი არსებაა. მსოფლმხედველობა ჩვენი ცნობიერების თანდაყოლილი თვისება, უნარი და მოთხოვნილებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, როგორც ცნობიერების მქონე არსება აუცილებლობით დგება (არა აქვს მნიშვნელობა განვითარების რა საფეხურზე იმყოფება ის) ისეთი კითხვების წინაშე, როგორიცაა: რას წარმოადგენს სამყარო მთლიანობაში და რა არის მისი არსებობის პირველსაფუძველი? რისი ან ვისი წყალობით ეზიარება სამყარო წესრიგსა და ჰარმონიას? უკვდავია თუ არა ჩვენი სული და როგორია მარადისობასთან ზიარების შანსები? ვართ თუ არა თავისუფალნი ჩვენს ქცევა-მოქმედებებში, თუ სხვა არსებებივით აუცილებლობის და ბედისწერის წარგვმართავენ? არსებობს თუ არა სამყაროს უზენაესი მიზეზი, თუ ბუნების საგნები და მათი წესრიგი წარმოადგენს უკანასკნელ ინსტანციას, რაზეც უნდა შევჩერდეთ ჩვენი შემეცნების პროცესში? როგორია სამყაროს მთელში ჩვენი ადგილი და რა არის ჩვენი ცხოვრების ჭეშმარიტი საზრისი, სიცოცხლის მიზანი?

სამყაროს მთელის მსოფლმხედველობრივი გაგება ყოველთვის ადამიანის ყოფიერების საზრისის შუქზე ხდება, მის ახლებურ განათებას ახდენს. შეიძლება ასეც ვთქვათ, მსოფლმხედველობის მეშვეობით ადამიანი გარკვეული გაგებით ურთიერთობას ამყარებს საერთოდ არსებულთან და შემდეგ ამ გაგების საფუძველზე - თავის თავთან და ასე იმიტომ ხდება, რომ ადამიანი არსებითად მსოფლმხედველობითი არსებაა.

ცნობიერების გამოვლენის ვერცერთი ფორმა ისე სიღრმისეულად ვერ გამოხატავს ადამიანის არსებას, როგორც მსოფლმხედველობა. ჩვენ სამყაროში გადმოგდებული, მიტოვებული, თავის ანაბარა დარჩენილი თავისუფალი და მოკვდავი არსებები სამყაროში თავს უცხოდ ვგრძნობთ და გვინდა მსოფლმხედველობის მეშვეობით გავუშინაურდეთ სამყაროს.

მსოფლმხედველობის აუცილებლობა ჩვენი მოკვდავობიდანაც ამოიზრდება, რადგან ამ მოკვდავობასთან მიმართებაში იბადება ის განწყობა, რომელიც თავისი სევდიანი მელოდიით განმსჭვალავს ადამიანს. მსოფლმხედველობა ხორცს ისხამს სწორედ ამ განწყობაში, ის წმინდა ადამიანური ამბავია. ადამიანი მოკვდავი რომ არ იყოს, არც მსოფლმხედველობა დასჭირდებოდა. ღმერთს

არ სჭირდება მსოფლმხედველობა. ის სჭირდება ადამიანს, რადგან ბედად გვრგებია ამაოება ჩვენი ყოფნისა. ჩვენი მოკვდავი არსებობის სახით.

მითოსი არქაული ეპოქის სულიერი კულტურის ერთადერთ, გაბატონებულ ფორმას და მსოფლმხედველობის პირველსახეს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც ადამიანში ცნობიერების ალმა იელვა, მან სამყარო და თავისი თავი ამ სამყაროში მითოსურად გაიგო, განიცადა და მითოსური პასუხები გასცა ზემოთ ჩამოთვლილ მარადიულ და „წყეულ“ მსოფლმხედველობრივ კითხვებს. მითოსური მსოფლხედვის უპირველეს თავისებურებად უნდა დასახელდეს ის, რომ ადამიანის ცნობიერების უნართა შორის, მითოსის ქმნადობაში, დომინირებს მხატვრული წარმოსახვა.

მითოსის დაბადება, ამავე დროს, იყო მხატვრული წარმოსახვის დაბადება. მისი საწყისი არაცნობიერ პოეტურია. ხატოვნება და განსახოვნება, რაც ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი, მან მემკვიდრეობით მიიღო მითოსიდან. მართალია მითოსში შემეცნებითი ასპექტი მხატვრულითაა გაჯერებული და გადაფარული და „პოეზიის მაფორმებელი ძალა მითოსის შემქმნელ ძალას უტოლდება“, (ე. კასირესი, ვინ არის ადამიანი, გვ. 126. თბ. 1983.) მათ შორის არის არსებითი განსხვავება. თუ ხელოვნება გულგრილია მისი საგნის, გადმოცემული ამბის რეალურობა-არარეალურობის მიმართ. მითოსური ფანტაზიისთვის ასეთი გულგრილობა წარმოუდგენელია. მითოსური წარმოსახვა თავისი საგნის, გადმოცემული ამბის რეალურობის რწმენას ეფუძნება. ამის გარეშე ის მითოსი კი არა, მხატვრული ზეპირსიტყვიერება იქნება.

„მითოსური ცნობიერებისთვის არაფერია უფრო მართალი და რეალური, ვიდრე მითებით გადმოცემული ამბავი. ის არის ერთადერთი აბსოლუტური სინამდვილე, რომლის იქით, ან რომლის მიღმა არ ივარაუდება რაღაც სხვა რეალობა“ (ნ. კვარაცხელია, ადამიანი და მსოფლმხედველობა, თბ. 2001 წ. გვ. 9).

ეყრდნობა რა ძირითადად შინაგან და სოციალურ გამოცდილებას ადამიანი, რომელსაც ჯერ ვერ განუსხვავებია თავისი თავი ბუნების მოვლენებისგან, ბუნებას ანთროპომორფულად გაიაზრებს. ამიტომ საგანთა ის თვისებები, რაზედაც მითოსი მოგვითხრობს არა ობიექტური, არამედ ადამიანური თვისებებია „მითოსურ ხედვაში ყოველივე ისეთი ადამიანური გრძნობებითაა დამუხტული, როგორიცაა სიხარული თუ ტკივილი, შიში, მღელვარება, აღტკინება და სასოწარკვეთა. ყოველი საგანი თუ მოვლენა ადამიანის მიმართ ან სამოყვროდ არის განწყობილი, ან სამტროდ, ან ახლობელია ან ავისმომასწავლებელი, ან მაცდურია და მომნუსხველი, ან საზარელი და შიშის მომგვრელი“. (ე. კასირელი, ვინ არის ადამიანი, თბ. 1983, გვ. 129).

სინამდვილისადმი ასეთი დამოკიდებულება არც ჩვენთვისაა უცხო, როცა ძლიერი განცდები გვიპყრობს საგნები სულს იდგამენ. ჩვენი ვნებები - სიყვარული თუ სიძულვილი, შიში თუ იმედი, მრისხანება თუ სასოწარკვეთა - სახე უცვლის საგნებს და მათ ადამიანურ თვისებებს ანიჭებს.

საქმე ისაა, რომ მითოსური სამყაროს აგებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ ემოციები, ემოციურ მიმართებაში სინამდვილე ტრაგიკულ თვისებებს იძენს. ის შეიძლება იყოს მომხიბლავი, მშვიდი, მოსაწყენი ან შიშის მომგვრელი, მაშინ როცა ჩვენს გარეშე ის ისეთია, როგორიც ის არის.

მეცნიერული აზროვნება სინამდვილის შემეცნებისას კლასიფიკაციისა და სისტემიზაციის მეთოდებს იყენებს. ის მკაცრად ადგენს საზღვრებს მცენარეებს, ცხოველებსა და ადამიანებს შორის. აქ განსხვავებები მტკიცეა და პრინციპული. მითოსი კი მეტამორფოზით ხასიათდება. საგანთა და მოვლენათა შორის საზღვრები მქრქალია და მუდამ ცვალებადი. არსებულთაგან არაფერია ისეთი, რასაც უცვლელი ფორმა ექნებოდა. ნებისმიერი საგანი შეიძლება გარდაიქმნეს ნებისმიერ საგნად. არ არსებობს მათ შორის გადაულახავი საზღვრები.

ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება სიმპათიის კანონს, რომლის მიხედვითაც ყველა საგანსა თუ სულიერ მოვლენას მოიცავს იდუმალი კავშირი და ისინი ურთიერთზეგავლენას განიცდიან.

მითოსური ცნობიერებისთვის ბუნება წარმოადგენს სიცოცხლის ფორმათა განუყოფელ და გენეზისურ ერთიანობას. მასში ადამიანს არ უკავია განსაკუთრებული ადგილი. ისიც ბუნების შვილია და არაფრით არ დგას ამ ერთიანობის რომელიმე წევრზე უფრო მაღლა. სიცოცხლე ერთი და იგივე რელიგიური ღირებულების მატარებელია ყველა ფორმაში. ადამიანები და ცხოველები, ცხოველები და მცენარეები ერთ დონეზე განიხილებიან. იდეა ადამიანის განსაკუთრებულობისა, ღვთის ხატებისა და მსგავსებისა გვიანდელია და მონოთეისტურ რელიგიებს ეკუთვნის.

დროისა და სივრცის ასეთივე ერთიანობას ვხედავთ მითოსურ მსოფლმხედველობაში. მითოსისთვის უცხოა დროში ერთდროულობისა და თანამიმდევრობის მკაცრი გარჩევა. მითოსურ რწმენაში წინაპართა სულები კი არა კვდებიან, არამედ მომდევნო თაობებში განსხეულდებიან. ამიტომ დროის დანაწევრება წარსულად, აწმყოდ და მომავლად მითოსისთვის ბუნდოვანია.

სიცოცხლის ურღვევი მთლიანობისა და მუდმივობის რწმენა გამორიცხავს სიკვდილის ფაქტს. სიკვდილი შემთხვევითია და არა აუცილებელი. მითოსისთვის სიკვდილი იმთავითვე კი არ იყო, არამედ იგი გაჩნდა, რაღაც შემთხვევის გამო.

მითოსური მსოფლმხედველობისთვის დამახასიათებელ არსებით ნიშნად უნდა ჩაითვალოს სინკრეტიზმი, რომელიც შემდეგი სახით იჩენს თავს.

1. მითოსი ის მშობლიური წიაღია, სადაც ჩანასახის სახით არსებობენ სულიერი კულტურის ფორმები: რელიგია, ფილოსოფია, ხელოვნება, მორალი, სამართალი და ა. შ. ისინი ჯერ არ არიან გამოკვეთილი ფორმის მქონენი, არ არიან ერთმანეთისგან გამიჯნულნი (მათი დიფერენციაცია და სპეციფიკაცია განხორციელდა მოგვიანებით) ისინი ჰომოგენურ ერთიანობაში იმყოფებიან.

2. ერთმანეთისგან არ არიან გამიჯნული ბუნებრივი და ზებუნებრივი. იდეა ორი, ბუნებრივი და ზებუნებრივი სამყაროს არსებობისა, მათ შორის პრინციპული განსხვავებისა და გადაულახავი უფსკრულისა რელიგიური მსოფლმხედველობის მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

მითოსური ცნობიერებისთვის სამყარო ერთია და ერთიანია. ყველაფერი ბუნებრივი ამავე დროს ზებუნებრივია, ხოლო ზებუნებრივი ბუნებრივი. ბერძენთა ღმერთები აქ ამ სამყაროში ოლიმპოს მთაზე ცხოვრობენ, ზევსი ხან ჭექა-ქუხილის სახით ევლინება ადამიანებს, ხან თეთრი ხარის, ხან გედის სახით. პოსეიდონი პერსონიფიცირებული მღელვარე ზღვაა, აფრიდიტე არაჩვეულებრივი გრძნობის სახით გამოვლენილი სიყვარული, აპოლონი სინათლეა და წესრიგი და ა. შ.

„ღმერთი ღვთაებრივი სუბიექტი კი არ არის, რომელსაც მიეწერება ისეთი პრედიკატები, როგორიცაა ჭეშმარიტება, სიკეთე, სიყვარული; არამედ ბუნებისა და ცხოვრების მოვლენებით გამოწვეული ღრმა შთაბეჭდილება ან შიში ათქმევინებდა მათ ამ საგნების მიმართ: „ეს ღმერთია“, „ის ღმერთია“. თუ ქრისტიანი იტყვის “ღმერთი სიყვარულია“, წარმართისთვის „სიყვარულია ღმერთი“.(უ. გათრი, ბერძენი ფილოსოფოსები, თბ. 1983, გვ.28).

როცა წარმართი ამბობს: „სიყვარული, მეგობრობა, სამართლიანობა, მშვენიერება... ღმერთიაო, ამით ის იგულისხმება, რომ ის ადამიანურზე მეტია, წარმავლობას არ ემორჩილება, მარადიულია, ჩვეულებრივზე აღმატებულია.

არ არის გამიჯნული სუბიექტური და ობიექტური, მატერიალური და იდეალური, ბუნებრივი და ხელოვნური საგანი და სიტყვა, არსება და მისი სახელი. მაგალითად ისეთი სუბიექტური წარმონაქმნი, როგორიცაა სიზმარი - ისეთივე რეალობას წარმოადგენს, როგორც ცხადში თავს გადახდენილი ამბავი. სახელი ისეთივე რეალური არსებობის მქონეა, როგორც ამ სახელის მატარებელი საგანი და მათ შორის ისეთი კავშირია, რომ ყოველივე, რასაც ერთ-ერთი აკეთებს ან განიცდის, მეორემაც უნდა გააკეთოს და განიცადოს. ასეთი კავშირია, მაგალითად ადამიანსა და მის გამოსახულებას შორის. ამავე მიმართებაშია ადამიანი ყოველივე იმასთან, რაც ერთ დროს მისი ნაწილი იყო მოჭრილ თმასთან ან ფრჩხილთან. ასეთივე მნიშვნელობისაა ტანსაცმელიც, რომელიც პატრონის მუხტს ატარებს. გავრცელებული მაგიური პრაქტიკა, როცა მტრის სახელს ტყვიის ფირფიტაზე ამოტვიფრავენ, შემდეგ განგმირავენ და მიწაში ფლავენ, საკმარისია მისთვის ზიანის მისაყენებლად, ან როცა წვავენ, განსაზღვრული მიზნით მტრის ტანსაცმლიდან ამოძრობილ ძაფს ან მის თმას...

აბსტრაქტული აზროვნების განუვითარებლობა და შესაბამისად აბსტრაქტული ცნებების არ არსებობა. მაგ. მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ჩანაცვლებულია მოვლენათა სივრცულ-დროული მეზობლობით. საგნის ან მოვლენის არსის წარმოჩენა ხდება მისი წარმოშობის აღწერით. კითხვას “რა არის ეს“? ანაცვლებს „საიდან და როგორ გაჩნდა ეს“? მითოსისთვის ეს მახასიათებელი თვისება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აქ წარმოჩინდება მისი ისეთი სპეციფიკური ნიშანი, როგორიცაა სამყაროს მოდელირება - მის მოვლენათა წარმოშობის შესახებ თხრობით. მითო შემოქმედება ერთგვარი ამბოხია კანონზომიერების წინააღმდეგ. მითოსის სოციალური ფუნქციაა ჰარმონიაში მოიყვანოს ადამიანი სოციალურ გარემოსთან, ხოლო სოციუმი - ბუნებასთან. მითოსი ერთგვარად არეგულირებს ამ ურთიერთობებს. მითის ფუნქციაა არა მარტო სამყაროს გაგება, არამედ მისი მოწესრიგება, წონასწორობაში მოყვანა მაგიური და ფსიქოლოგიური აზრით.

როგორც აღვნიშნეთ, მითოსი ადამიანური წარმოსახვის ისეთი სუბიექტური წარმონაქმნია, რომელიც არქაული ხანის ადამიანითვის უმაღლეს რეალობას წარმოადგენს.

შინაარსობრივად მითოსის მთავარი თემაა სამყაროს დაბადება, სამყაროული ქაოსის გარდაქმნა კოსმოსად, რომელიც ხორციელდება ღმერთებისა და კულტურული გმირების მეშვეობით. ესაა ამბავი ცის, მიწის, მნათობების, ზღვების, ოკეანეების, ტბების, მდინარეების, მთების, მცენარეთა, ცხოველთა, ადამიანის, ადამიანურ საქმიანობათა დაბადებისა.

ყოველივე ამის შემოქმედი ღმერთები და კულტურული გმირები არქეტიპებს წარმოადგენენ ადამიანისთვის. მათი საქმიანობა იმიტომაა ადამიანისთვის არქეტიპური, ანუ სანიმუშო და მისაბაძი, რომ ამ საქმიანობის შედეგად მოხერხდა ქაოსის კოსმოსად გარდაქმნა, იმ კოსმოსად, ანუ მოწესრიგებულ სამყაროდ, რომელშიც შესაძლებელია არსებობა და ცხოვრება, ცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ მოწესრიგებულ სამყაროში.

ადამიანმა თავის საქმიანობაში უნდა მიბაძოს ღმერთებს და კულტურულ გმირებს, რადგან მხოლოდ ამით შეიძლება უზრუნველყო არსებობა და ცხოვრების სიცოცხლისუნარიანობა, მხოლოდ ამით აიცილებ ცხოვრებისეულ უბედურებებს.

ღმერთებისა და კულტურული გმირების საქმიანობა ქმნის უმაღლეს რეალობას, რომელიც წარმოადგენს არქაულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ცხოვრების წესისა და ურთიერთობის ფორმების სანიმუშო პირველ წყაროს.

მითების მეშვეობით ყალიბდება ღირებულებათა ერთიანი სისტემა მსოფლმხედველობრივი ორიენტირი, რომლის წყალობითაც მიიღწევა ერთიანობა და სოლიდარობა არქაულ საზოგადოებაში. ერთიანობა, სოლიდარობა და შეთანხმებული თანაცხოვრება კი არის გარანტი წარმატებისა ცხოვრებაში.

ლიტერატურა:

ერნსტ კასირერი, „ვინ არის ადამიანი“, თბ., 1983.
უილიამ გათრი, „ბერძენი ფილოსოფოსები“, თბ., 1983.
ნაპო კვარაცხელია, „ადამიანი და მსოფლმხედველობა“, თბ., 2001.

რეზიუმე

მითოსი არქაული ეპოქის სულიერი კულტურის ერთადერთ, გაბატონებულ ფორმას და მსოფლმხედველობის პირველსახეს წარმოადგენს. მისი საწყისი არაცნობიერ-პოეტურია. მითოსის დაბადება, ამავე დროს, იყო მხატვრული წარმოსახვის დაბადება.

მითოსი სინკრეტიზმით და ანთროპომორფიზმით ხასიათდება, ანუ ის თავის თავში ჩანასახის სახით ატარებს სულიერი კულტურის ყველა ფორმას; ადამიანი ვერ ხედავს თვისობრივ სხვაობას თავის თავსა და ბუნებას შორის, ბუნება გაადამიანებულია; ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული სუბიექტი და ობიექტი, მატერიალური და იდეალური, ბუნებრივი და ზებუნებრივი, საგანი და მისი თვისება, სივრცე და დრო.

მითოსის ფუნქციაა ჰარმონიაში მოიყვანოს ადამიანი სოციალურ გარემოსთან, ხოლო სოციუმი - ბუნებასთან.

მითების მეშვეობით ყალიბდება ღირებულებათა ერთიანი სისტემა, მსოფლმხედველობრივი ორიენტირი, რომლის წყალობითაც მიიღწევა ერთიანობა და სოლიდარობა არქაულ საზოგადოებაში.

MYTH – THE HUMAN`S PRIMARY WORLD OUTLOOK

Nugzar Abramishvili, Professor

RESUME

Mythos is the only and prevailing form and archetype of ideology of spiritual culture of the archaic epoch. Its birth is unconscious and poetic. The birth of mythos, at the same time is the birth of the artistic imagination.

Mythos is characterised with syncretism and anthropomorphism, that is, it carries in itself all the forms of spiritual culture as the nucleus; human being cannot see the qualitative difference between him/herself and the nature, the nature is humanized; subject and object, material and ideal, natural and supernatural, object and its qualities, space and time are not separated from each other.

The function of mythos is harmonization of human being with social environment, and the socium with the nature.

The unified system of valuables, as well as ideological orientation are established through the myths, by which unity and solidarity can be achieved in the archaic society.

ჟურნალისტური საქმიანობის სპეციფიკა
(ახალი ამბების ყოველმხრივობა და პროპორციულობა)

ალექსანდრე მღებრიშვილი, პროფესორი

ახალი ამბების მაქსიმალური სიზუსტის მისაღწევად პროპორციულობა და ყოველმხრივობა უმთავრესი საშუალებებია. წონასწორობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას შორის ბალანსის შენარჩუნება უმთავრესი მოთხოვნაა. შესაბამისად, დაუშვებელია ერთ-ერთი მიმართულების უგულებელყოფის ხარჯზე სხვა სეგმენტის გაძლიერება, ვინაიდან, ამბავი, რომელიც აუდიტორიის გარკვეული ნაწილისთვის უინტერესოა, სხვა ნაწილისთვის შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

ახალი ამბების პროპორციულობა და ყოველმხრივობა სუბიექტურია. „ამ მახასიათებლებისაკენ მისწრაფება ჟურნალისტიკის პოპულარობისა და ფინანსური სიძლიერისათვის არსებითია. ისიც შესაძლებელია, რომ სუბიექტურობის მიუხედავად, მაინც ვცდილობდეთ პროპორციულობისა და ყოველმხრივობის მიღწევას, ოღონდ არა მხოლოდ როგორც აბსტრაქტული ცნებებისა. მოქალაქესა და ჟურნალისტს შეიძლება განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რომელი თვისებაა უფრო მნიშვნელოვანი. მაგრამ მოქალაქეებს შეუძლიათ შეეგუონ ამ განსხვავებას, თუ დარწმუნებულნი იქნებიან, რომ ჟურნალისტები მათთვის იმის მიწოდებას ცდილობენ, რაც მათ უნდათ და სჭირდებათ. მთავარი ისაა, რომ მოქალაქეებს უნდა სწამდეთ - ჟურნალისტების არჩევანი გამორჩენის მიზნით არ კეთდება და არ შეიცავს მხოლოდ იმას, რაც კარგად იყიდება, ან იმას, რაც ვიღაცის გულის მოსაგებადაა საჭირო. ხალხი ნაკლებად იწუხებს თავს იმაზე ფიქრით, უშვებენ თუ არა ჟურნალისტები შეცდომებს, ასწორებენ თუ არა თავიანთ შეცდომებს და სწორად ირჩევენ თუ არა გასაშუქებელ მოვლენებს. სანდოობის ძირითადი ელემენტი ჟურნალისტის მიერ გათავისებული მოტივია. ხალხი არ ელის სრულყოფილებას. იგი კარგ განზრახვებს ელის. პროპორციულობაზე ზრუნვა საზოგადოების ინტერესებთან დაკავშირებული მოტივების დემონსტრირების საუკეთესო გზაა“ [1].

ყოველმხრივობისა და პროპორციულობის დაცვა პირველ ყოვლისა აუდიტორიის რიცხობრივი შემადგენლობის ზრდისკენ მიმართული ნაბიჯებია. მიგვაჩნია, რომ საფუძველშივე მცდარია ჟურნალისტიკის სტრატეგია - კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებზე აქცენტირების ლოგიკით, საზოგადოების გარკვეული ნაწილის უგულებელყოფა. ვგულისხმობთ წერას მხოლოდ საკუთარი წყაროების ინტერესთა შესაბამისად, ახალ ამბებში უსაფუძვლოდ გაზრდილი ადგილი, ვთქვათ, კრიმინალური, განათლების თუ ჯანდაცვის და სხვა საკითხებისადმი, რაც, საბოლოო ჯამში, აუდიტორიის დაბნეულობას უფრო იწვევს, ვიდრე მის საფუძვლიან ინფორმირებულობას.

კოვაჩისა და როზენსტილის მოსაზრებით, მსგავსი შეცდომის გამოსწორება შეიძლება გარკვეულ სირთულეებთან აღმოჩნდეს დაკავშირებული. ჟურნალისტიკამ სასწრაფოდ უნდა იმოქმედოს, რათა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების - ოღონდ, როგორც მთლიანი საზოგადოების ნაწილის - მომსახურების გზებს მიაგნოს [2].

ახალი ამბების ყოველდღიური მრავალფეროვნების გამო, იგი ნაკლებად ემორჩილება ბაზრის სტრატეგიულ კვლევებს. შესაბამისად, მკვლევართა მოსაზრებით, კვლევითი სეგმენტის გამოყენება, მხოლოდ იმ კუთხით იქნება ეფექტური, „რომელიც ჟურნალისტებს მსჯელობაში ეხმარება და არა ისეთი, რომელიც მათი მსჯელობის ადგილს იკავებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა შევწყვიტოთ ისეთი საბაზრო კვლევები, რომლებიც ჩვენს აუდიტორიას მომხმარებლებად განიხილავს და ეკითხება, რომელ პროდუქტს ანიჭებს უპირატესობას. უნდა შევქმნათ ჟურნალისტიკის ისეთი კვლევა, რომელიც ხალხს მოქალაქეებად განიხილავს და მათი ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. როგორ ატარებთ დროს? მოგვიყევით თქვენი დღის შესახებ. რა გაწუხებთ? რისი იმედი გაქვთ და რისი გეშინიათ თქვენს შვილებთან დაკავშირებით? ეს ინტერესთა ფართო ტენდენციების კვლევაა, რომელსაც მზა პასუხები არა აქვს. ის შედგება კითხვებისგან, რომლებიც რედაქტორებს იმის გაგების საშუალებას მისცემს, თუ როგორ უნდა ააგონ საინფორმაციო პაკეტი, რომ ყოველმხრივიც იყოს და პროპორციულიც“ [3].

ჟურნალისტური საქმიანობის ქვაკუთხედი ინფორმაციის მოძიებაა. ამა თუ იმ ფაქტის შესახებ სიმართლის დადგენის მიზნით წარმოებული ძიების პროცესი სამ განსხვავებულ დონეს მოიცავს. კერძოდ:

- ზედაპირული ფაქტები - საჯარო ინფორმაცია;
- ჟურნალისტური ინიციატივა - ფონური ინფორმაცია;

- ჟურნალისტური ანალიზი - ფაქტის ან მოვლენის წარმოშობის მიზეზების ხაზგასმა, შედეგების წამოწევა, ზოგადი მნიშვნელობის ჩვენება.

რაც შეეხება ინფორმაციის მოპოვების პროცესს, „ინფორმაციის „ქექვის“ დროს რეპორტიორები ხელმძღვანელობენ ჟურნალისტური მუშაობის ბუნების ასეთი გააზრებით: რეპორტიორობა - ეს არის შესაფერისი მასალის მოპოვება სხვადასხვა მეთოდით (უშუალო დაკვირვებით, ინტერვიუირებით, ანგარიშებისა და დოკუმენტების შესწავლით, მონაცემთა ბაზებისა და ინტერნეტით ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით) და მოპოვებული მასალის გადამოწმება და ანალიზი. ახალ ამბად ან ნარკვევად გაერთიანებული მასალა წარმოდგენას უქმნის მკითხველს, მსმენელსა და მაყურებელს იმის შესახებ, თუ რა მოხდა“ [4].

ჟურნალისტის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ინფორმაციის მომხმარებელს დროულად მიაწოდოს ისეთი ტიპის დაფარული, მიჩუმათებული ინფორმაცია, რომელიც დამოუკიდებლად რთული მოსაპოვებელია რიგითი აუდიტორიისათვის, მაგრამ გარკვეულ გავლენას ახდენს მასზე.

ოპტიმალური ჟურნალისტური საქმიანობის და ხსენებული დონეების შესახებ მენჩერი საგულისხმო მოსაზრებას ავითარებს.

I დონის ჟურნალისტიკა - ეს არის წყაროს მიერ შექმნილი მასალის (დოკუმენტები, საჯარო სიტყვა, პრესკონფერენცია) ზედმიწევნით ზუსტი გადმოცემა. მისი ძლიერი და სუსტი მხარეები - ეს იგივე ობიექტური ჟურნალისტიკის ღირსებები და ნაკლოვანებებია.

I დონე წარმოადგენს ახალი ამბების უმეტესობაში გამოყენებული ფაქტების წყაროს. ინფორმაცია ამოღებულია წყაროს მიერ შექმნილი და მის მიერვე გაკონტროლებული მასალიდან.

I დონეზე ფაქტების მოძიება საბადოს ღია წესით დამუშავებას ჰგავს. ჟურნალისტი შემთხვევაში ჩასაწვდომად მაღაროებს კი არ თხრის, არამედ ზედა ფენის მასალით კმაყოფილდება, რომლის ნაწილი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების თანამშრომლების მოწოდებულია. ჟურნალისტს ძირითადად უწევს ფაქტების გადარჩევა და დალაგება, მისამართებისა და თარიღების გადამოწმება, სახელების სწორი დაწერილობის შემოწმება. გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი გაშუქებული ამბების უმეტესობა წყაროს მიერ მოწოდებულ მასალას ეფუძნება.

II დონის ჟურნალისტიკა - როდესაც ჟურნალისტი საკუთარი ინიციატივით იწყებს ინფორმაციის მოგროვებას და I დონის მასალით არ კმაყოფილდება, ესე იგი, იგი II დონეზე გადასულა. ყოველთვის, პასუხისმგებელი პირები მას ვეღარ აკონტროლებენ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟურნალისტი II დონეზე მუშაობს.

პრესკონფერენციის დროს, შეგვიძლია, დავაკვირდეთ I დონიდან II დონეზე გადასვლას. ოფიციალური განცხადების კითხვა წყაროს მიერ შექმნილი მასალაა (I). კითხვა-პასუხის ნაწილი სპონტანურია (II). როდესაც წყარო უარს ამბობს კითხვისათვის პასუხის გაცემაზე, ჟურნალისტი უნდა მიხვდეს, რომ იგი ისევ I დონეზეა და საქმე აქვს მასალასთან, რომელსაც წყარო აკონტროლებს.

იმათ, ვინც II დონეზე ყველაზე ღრმად „ქექავს“, ჟურნალისტ-გამომძიებლებს უწოდებენ. მათი სამუშაო ორ კატეგორიად იყოფა - სისტემური ძალადობის გამოვლენად და უკანონო საქმიანობის გამოძიებად.

III დონის ჟურნალისტიკა - ჟურნალისტებს უწევთ მუშაობა საზოგადოებისათვის, რომელსაც სულ უფრო მეტად აინტერესებს მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების ყველა შესაძლო ასპექტი. შედეგად მივიღეთ ჟურნალისტიკა, რომელიც სცდება მომხდარის ფაქტობრივი ანგარიშის ფარგლებს. ჟურნალისტებისაგან ითხოვენ, რომ ისინი მოუყვნენ მკითხველებს, მსმენელებსა და მაყურებლებს, რა როგორ და რატომ მოხდა, ილაპარაკონ მოვლენის მიზეზებსა და შედეგებზე.

III დონის ჟურნალისტიკა ეუბნება ადამიანებს, რა როგორ ხდება, რატომ ხდება ასე ან რატომ არ ხდება [5].

ზემოთ უკვე ვამბობდით, რომ ჟურნალისტი თემას არჩევს აუდიტორიის მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მნიშვნელოვან ფაქტორთა შორისაა პოზიტიური და ნეგატიური ხასიათის მასალების გაშუქებას შორის წონასწორობის შენარჩუნების მომენტი. მხოლოდ პოზიტიური ტიპის მასალაზე ორიენტირება, ხშირად ხდება ყალბი ღირებულებების შექმნის საფუძველი და შესაბამისად ხელს უწყობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, მისი ინფორმირებულობის დაბალ დონეს. ასეთივე მიუღებელია მოვლენების გამუდმებით მრუდე სარკის პრინციპით აღქმა, რაც ასევე ობიექტური ინფორმაციის გავრცელების ხელის შემშლელი ფაქტორია და ხშირად კერძო მოსაზრებებიდან, სარეკლამო მიზნებიდან ან „ყვითელი პრესისთვის“ დამახასიათებელ იაფფასიან სენსაციაზე ორიენტირებულობიდან გამომდინარეობს.

„იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენას ახდენს მედიაინფორმაცია ადამიანის პიროვნული ინტერესების, გემოვნების, განწყობისა თუ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რაოდენ დიდი ზიანის მოტანა შეუძლია არასწორად დაჯგუფებულ და გასუქებულ მასალას. თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციული ზემოქმედებით შეიძლება ჩამოყალიბდეს პიროვნების ან მოვლენის ჭეშმარიტი ან, თუნდაც, ყალბი იმიჯი. შესაბამისად, მასმედია ყოველთვის მონაწილეობს როგორც „პრესტიჟულ“ ღირებულებათა შექმნაში, ისე მათ გაუფასურებაში“ [6].

ს. სილვერის მიხედვით, ჟურნალისტები ცდილობენ ისეთი მასალები მოიძიონ, რომლებიც შემდეგ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ:

❖ **დროული ინფორმაცია:** დარწმუნდით, რომ თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია საზოგადოებისთვის აქტუალურია;

❖ **ადგილობრივი ინტერესი:** დარწმუნდით, რომ თქვენ მიერ მიწოდებული მასალები აქტუალურია გაზეთების, რადიოს ან ტელევიზიის აუდიტორიისთვის. იმისთვის, რომ თქვენი მონათხრობი უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი გახდეს, მოარგეთ იგი ქვეყნის რეალობას;

❖ **საზოგადოების ინტერესი:** განსაზღვრეთ ის ემოციური ფონი ან უნივერსალური ჭეშმარიტება, რომელიც მასალამ უნდა წარმოაჩინოს, რომ საზოგადოების დაინტერესება გამოიწვიოს;

❖ **კონფლიქტები:** ჟურნალისტები მუდამ მოწადინებულნი არიან, რომ გააშუქონ მასალები ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალის კონფლიქტის შესახებ;

❖ **ცნობილი პიროვნებები:** სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საზოგადოება მუდამ დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ცნობილი ადამიანების ცხოვრებას. გაითვალისწინეთ ეს გარემოება;

❖ **განმასხვავებელი ნიშანი:** თქვენ მიერ გაშუქებულ მასალაში ხაზგასმით გამოკვეთეთ ის თვისება, რაც მას უნიკალურსა და არაორდინალურს გახდის;

❖ **ნდობის ფაქტორი:** ჟურნალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას მასალებისთვის საჭირო ინფორმაციის წყაროების უტყუარობას ანიჭებენ. დარწმუნდით, რომ თქვენი მიწოდებული მასალა სინამდვილეს შეესაბამება და სხვა წყარო მხოლოდ დაადასტურებს და ნათელს მოჰფენს ზოგიერთ დეტალს [7].

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამბის ოპერატიულად მომზადებას და მისი ორიგინალური კუთხით წარმოჩენას. ერთმანეთის მსგავსი ფაქტებიდან კონკრეტული შემთხვევის გამორჩეულად ჩვენება ჟურნალისტური ოსტატობის საუკეთესო გამოვლინებაა. საზოგადოებისთვის სიმართლის ჩვენების აუცილებლობა მნიშვნელოვან ინფორმაციაზე ყურადღების გამახვილებით და დაკვირვებით მიიღწევა.

ამ მიზნის მისაღწევად შეუცვლელი დამხმარეა ხელთ არსებული ინფორმაციის გადამოწმების ჩვევის გამომუშავება. ნებისმიერი ტიპის დოკუმენტის გადამოწმება (თუ ეს შესაძლებელია) ძალზე მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ფიზიკური ნივთმტკიცებების გადამოწმება ვერ ხერხდება. ჟურნალისტის ვარაუდების ჭეშმარიტება ადამიანური წყაროების დასტურს მაინც უნდა ეფუძნებოდეს.

მაქსიმალური ინფორმაციის ამოსაღებად რესპონდენტის დაყოლიებისას, არსებობს პრაქტიკული გამოცდილებით მიღებული რამდენიმე ხერხი. მათი გამოყენება ერთი მხრივ, გამართლებულია იმ მოტივით, რომ აუდიტორიას უფლება აქვს ინფორმირებული იყოს მის ირგვლივ მიმდინარე ყოველგვარ უკანონობათა შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ ჟურნალისტთა ამგვარი ქცევა ზრდის ადამიანების ნდობის მაჩვენებელზე ნეგატიურად ასახვის რისკს.

„ხშირად ჩივიან, რომ რეპორტიორები საიდუმლო ჯაშუშების ტაქტიკას იყენებენ. არც ისე დიდი ხნის წინ, ერთი ჟურნალისტი მღვდლის სამოსში გამოეწყო, რათა საავადმყოფოს პალატაში შეეღწია ლეგენდარულ ბრიტანელ ჟოკეისთან, რომელიც ცხენიდან გადმოვარდნისა და მძიმედ დაშავების შემდეგ მნახველებისგან სრულ იზოლაციას ითხოვდა. „ეი ბი სი-ს“ საინფორმაციო გადაცემის „პრაიმტაიმ ლაივის“ რეპორტიორი, რომელიც ფარული კამერით იყო შეიარაღებული, დიდ მაღაზიაში ხორცის შემფუთავად მუშაობდა, რათა იქ გამეფებული ანტისანიტარია გამოეაშკარავებინა“ [8].

წარმოგიდგენთ ჰამილტონისა და კრიმსკის მიერ მოცემულ რამდენიმე ფართოდ გავრცელებულ პროფესიულ ხრიკს:

❖ **ინტერვიუს დათბობა** - საუბრის დაწყება სასიამოვნო თემით, რისი მიზანიც გახლავთ, რომ რესპოდენტმა თავი თავისუფლად იგრძნოს;

❖ **სუსტ წერტილებზე დაჭერა** - სასიამოვნო საუბრის შემდეგ მოულოდნელი, მიზანმიმართული კითხვის დასმა;

❖ **ბლეფი** - ეს ობიექტს აფიქრებინებს, რომ რეპორტიორმა გაცილებით მეტი იცის, ვიდრე ამბობს;

❖ **პასუხის წინასწარ ფორმირება** - ზოგჯერ რეპორტიორს შეუძლია თავადვე განსაზღვროს მოსალოდნელი პასუხი (მიმანიშნებელი კითხვების დასმა);

❖ **არც ერთი კითხვა** - რეპორტიორი სიჩუმეს იყენებს თანამოსაუბრისაგან მეტი ინფორმაციის მისაღებად [9].

ნათქვამის მიუხედავად არსებობს გარკვეული ზღვარი, რომლის მიღმა ჟურნალისტი არ უნდა აღმოჩნდეს. ეს წესები რაიმე სახის ნორმატიულ ჩარჩოში მოქცეული არ გახლავთ და კანონის ძალა არ გააჩნია, თუმცა პროფესიონალ ჟურნალისტთა უდიდესი უმრავლესობა ამგვარი ტიპის პროფესიულ შეზღუდვებს ემორჩილება.

ქვემოთ მოცემულია ის ათი თეზისი, რაც ჟურნალისტების თქმით, მათ არ უნდა გააკეთონ:

1. ტყუილი გაზეთსა თუ ეთერში (იგულისხმება ფოტოსურათების შეცვლის თანამედროვე ტექნოლოგიებიც);
2. წყაროს მოტყუება ან დაშინება;
3. ჭორებისა და სხვა დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოქვეყნება;
4. იმ მოსაზრებების შეკვეცა ან გამოტოვება, რომელთაც ჟურნალისტი არ ეთანხმება;
5. პირადი სიმპათიების ჩვენება რეპორტაჟებში;
6. საკუთარი ვინაობის დამალვა და ტყუილი - ინფორმაციის მოპოვების მიზნით (თუ ასეთი ქცევა უკიდურესობით არაა გამოწვეული);
7. სიტყვების ან აზრების პლაგიატი (სხვისი სიტყვების გამოყენება შეიძლება ავტორის დამოწმებით);
8. სატელეფონო საუბრების ჩაწერა ნებართვის გარეშე;
9. პირადი მიზნებით საკუთარი მდგომარეობის გამოყენება (მაგ., წყაროებისაგან საჩუქრების მიღება);
10. ისეთი რამის გაკეთება, რაც შეიძლება ჩაითვალოს „ინტერესთა კონფლიქტად“ (მაგ., არჩევნებში მონაწილე ერთ-ერთი კანდიდატისთვის გამოსვლის ტექსტის შედგენა) [10].

წყაროსთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელია იმ ზოგიერთი ხერხის არსებობაც, რომლებიც ახალი ამბების მართვის მოტივაციითა და მათით მანიპულირების განწყობითაა ნასაზრდოები.

- ბრიფინგი - ოფიციალურ პირთაგან გაკეთებული განმარტებები;
- შეზღუდვა დროში - არსებული მონაცემების გადამოწმების და დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებელი დროის შეზღუდვა;
- მიმართულების შეცვლა - ფაქტის/მოვლენის შესახებ არასასურველი მიმართულებით საუბრისაგან თავის არიდება;
- სკანდალური ტიპის მასალისათვის გრიფი „საიდუმლოს“ არამიზნობრივად მინიჭება;
- უახლესი იფორმაციის სასურველი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ექსკლუზიურად (სისტემატური) მიწოდება.

მოგეხსენებათ, უახლესი ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარება ბუნებრივად იწვევს აუდიტორიის შემცირებას. ინფორმაციის ფართო მოხმარების საგნად გადაქცევა განაპირობებს რეალურად მოთხოვნადზე გაცილებით ჭარბი ინფორმაციის მიწოდებას.

პუბლიკის მოზიდვის შესახებ მსჯელობისას კოვაჩი და როზენსტილი ორი მომენტის გათვალისწინებას გვთავაზობენ. უფრო თვალსაჩინო წარმოდგენისათვის ეს ვარაუდები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი - ერთი მხრივ, თუ პუბლიკის მოზიდვა გინდათ, შეგიძლიათ ქუჩაში გახვიდეთ, სტრიპტიზი მოაწყოთ და სრულიად გაშიშვლდეთ. ამის შედეგად ალბათ სულ მცირე დროში დიდი აუდიტორიის შეკრებას მოახერხებთ. პრობლემა ისაა, თუ როგორ შეძლებთ ამ ხალხის შენარჩუნებას.

მეორე მიდგომით, იმავე ქუჩაზე გახვედით და გიტარაზე დაკვრა დაიწყეთ. პირველ დღეს რამდენიმე კაცი მოგისმენთ. მეორე დღეს შეიძლება ცოტა მეტი მოვიდეს. თუ კარგი გიტარისტი ხართ და მრავალფეროვანი და საინტერესო რეპერტუარი გაქვთ, მსმენელთა რაოდენობა ყოველდღიურად გაიზრდება. თუ კარგი მუსიკოსი ხართ, არ გაგიჭირდებათ იმაზე ფიქრი, რომ მსმენელთა ნაწილი მიდის, ვინაიდან მათ ახალი მსმენელები ჩაენაცვლებიან.

სწორედ ასეთია არჩევანი, რომლის წინაშეც დგას მასმედია დღეს [11].

პროფესიული საქმიანობის შედეგად საუკეთესო შემოქმედებითი პროდუქტის მისაღებად ჟურნალისტს ფართო და მყარი ზოგადი განათლება მოეთხოვება. აუდიტორია მრავალფეროვან ინდივიდთა ერთობას წარმოადგენს და ყოველი მათგანი მოელის, რომ ჟურნალისტს ყოველგვარი ცოდნა უნდა გააჩნდეს. ბუნებრივია, ყოვლისმცოდნეობა ასეთ დროს პირობითი მცნებაა და ძირითადად

გულისხმობს ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა დაკვირვება (პირდაპირი, ფარული, ჩართული) და საჭირო ინფორმაციის (ზოგადი, სპეციფიური) მოძიება.

დაკვირვების ყოველი მოცემული სახე გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. პირდაპირი დაკვირვება საყოველთაოდ გავრცელებული პროცესია. ფარული დაკვირვებისას ჟურნალისტი ცდილობს ისე დააკვირდეს გარკვეულ მოვლენებს, რომ თვითონ შეუმჩნეველი დარჩეს, ხოლო ჩართული დაკვირვებისას იგი თავად არის გარკვეულ პროცესებში ჩართული და ამგვარად აწარმოებს დაკვირვებით სამუშაოებს.

საჭირო ინფორმაციის მოგროვებისას ზოგად ინფორმაციაში ვგულისხმობთ ჟურნალისტის განათლების დონეს, ხოლო სპეციფიურში - ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის ინდივიდუალურად მოპოვებულ ცნობებს, რაც წარმატებული ახალი ამბის სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებაა.

„ჟურნალისტებს აქვთ ფართო და ღრმა ზოგადი ცოდნის მარაგი, რომელიც მათ კითხვის, ცხოვრებისეული გამოცდილების ან უწყვეტი პროფესიული განათლების შედეგად მოიპოვეს. ეს ძირითადად იმის ცოდნაა, თუ რა როგორ ხდება: როგორ ფუნქციონირებს პოლიტიკური სისტემა, ადგილობრივი მთავრობის სტრუქტურა, დაპატიმრების პროცესი, როგორ აფინანსებს მთავრობა სკოლებს, პოლიციას თუ სახანძრო სამსახურს. ეს გრძელი სიაა.

ასეთი ცოდნა მნიშვნელოვანია, რადგან იგი ის საძირკველია, რომელზეც აიგება ახალი ამბები. ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჯონ დიუიმ თქვა: „სიახლეს ვერ დავიჭერთ და ვერც დავაკვირდებით, მის გაგებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თუ არა ის იდეები და ცოდნა, რაც უკვე გვაქვს“. სოციალურ-პოლიტიკური საკითხების მიმომხილველი ირვინგ კრისტოლი ამბობს: „როდესაც საქმე გვაქვს რთულ მიმდინარე მოვლენებთან, შეუძლებელია დაწერო, თუ „რა მოხდა“, თუ წინასწარ არ აღიჭურვე აზრისა და მნიშვნელობის კონტექსტით“.

ასევე საჭიროა სპეციფიკური ცოდნაც... იმის ცოდნამ, თუ რა როგორ ხდება, შეიძლება არაფრით გამორჩეული დავალება ღირებულ სტატიად აქციოს“ [12].

ჟურნალისტური საქმიანობის ერთ-ერთი გავრცელებული თავისებურებაა ოფიციალური დოკუმენტებისა და პასუხისმგებელი პირების დამოწმება. ასეთი ტიპის ინფორმაციით ფაქტის/მოვლენის ახსნა ჟურნალისტის უსაფრთხოების ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს. ასეთ დროს, მთავარი გასააზრებელი მომენტია, თუ ვის, რა კომპეტენციის პირს იმოწმებ, რამდენად მნიშვნელოვანია მისი აზრი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ სხვისი დამოწმების უპირატესობაზე, რასაც პირველ ყოვლისა საკუთარი ნეიტრალიტეტის დაცვის მოტივი განაპირობებს.

წყაროთა დამოწმების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა ანონიმურ პირებთან ურთიერთობაა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც წყაროს საკუთარი ვინაობის გამხელა არ სურს.

„რაც შეეხება ჟურნალისტებს, ისინიც კი, ვისაც საიდუმლოებები არ უყვარს, იძულებულები არიან აღიარონ, რომ „ინფორმირებული წყაროების“ გარეშე მათი საქმიანობა ძალიან რთული იქნებოდა. ჟურნალისტებს ინფორმაცია სჭირდებათ და საიდუმლო წყაროები მისი მიღების კარგი საშუალებაა. როგორც არაერთმა გამოკვლევამ ცხადყო, ტიპიურ გაზეთში გამოქვეყნებული საინფორმაციო სტატიების ერთი მესამედი ანონიმურ წყაროს ეყრდნობა“ [13].

იმისათვის, რომ ჟურნალისტს შეეძლოს საზოგადოებას მიაწოდოს მაქსიმალურად მრავალმხრივი და განსხვავებული ინფორმაცია და მოიცვას გასაშუქებელი საკითხის ყველა მხარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტის მიერ საკუთარი წყაროს კონფიდენციალობის დაცვას. თუ წყარო ინფორმაციის მიწოდებაზე მხოლოდ იმ პირობით თანხმდება, რომ ჟურნალისტი არ გაამჟღავნებს მის ვინაობას, თავის მხრივ, ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება მაშინაც კი, თუ ასეთი პოზიცია პრობლემას შეუქმნის მას. ერთადერთ გამონაკლისს ამ საერთო წესიდან წარმოადგენს შემდეგი: თუ დადასტურდა, რომ წყარომ შეგნებულად და ბოროტი განზრახვით შეიყვანა ჟურნალისტი შეცდომაში, მაშინ ეს პირობა შესაძლოა დაირღვეს.

ინფორმაციის ამა თუ იმ წყაროს შესაძლოა, პირადი ინტერესი ამოძრავებდეს, ამიტომაც მნიშვნელოვანია, ჟურნალისტი კრიტიკულად მოეკიდოს თავის წყაროს.

პროფესიული სტანდარტი გულისხმობს ფაქტების გადამოწმებას სხვა დამოუკიდებელი წყაროების საფუძველზე. თუ ინფორმაციის გადამოწმება შეუძლებელია, მისი გავრცელებისას უნდა გაკეთდეს შესაბამისი დათქმა.

წყაროს დასახელება დამაჯერებლობას მატებს ინფორმაციას, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ინფორმაციის წყაროს დაცვის აუცილებლობას [14].

იყავით სკეპტიკური. გადაამოწმეთ ფაქტები - მიმართავს ჟურნალისტებს დ. ტალერი - შეუმოწმებლად არასდროს ენდოთ ნაამბობს. მნიშვნელობა არა აქვს, ეს ამბავი თქვენი საკუთარი, თუ რომელიმე სხვა საზოგადოების წევრისგან მოდის. გახსოვდეთ, რომ ყველას, ვისგანაც ინტერვიუს იღებთ ან ესაუბრებით, საკუთარი შეხედულებები და ინტერესები აქვს. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ მათი შეხედულებები, მაგრამ საჭიროა მათი დაბალანსება თქვენი დანახულით და სხვებისაგან გაგებულით [15].

საილუსტრაციოდ დავსძენთ, რომ წყაროების დამოწმების პრობლემას ქართული პრესა ადრეული პერიოდიდანვე უთმობს სათანადო ყურადღებას. კერძოდ, 1905 წელს გაზ. „ცნობის ფურცელის“ ერთ-ერთი ნომერი წერდა: „ცნობის ფურცელი“-ის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი გვქონდა კასპიდან მოწერილი ამბავი... სამწუხაროდ, კორესპონდენტმა თავისდა უნებურად შეცდომაში შეიყვანა რედაქცია და ისეთი წერილი დაასტამბინა, რომელიც მტკიცე საბუთებზე არ არის დამყარებული, მხოლოდ გაგონილი ამბავია და შეიძლება მოჭორებულიც იყოს“ [16].

ჟურნალისტური საქმიანობისას მოპოვებული ინფორმაციის გავრცელების დროს ერთ-ერთ მიღებულ ხერხს წარმოადგენს ციტატის გამოყენება. სხვა ადამიანის წერილობით ან ვერბალური გზით წარმოდგენილი ინფორმაციის ზუსტი წარმოდგენა მოცემულ ჟურნალისტურ თხზულებას მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს. „სხვისი ციტატის მოყვანით რეპორტიორი მკითხველს უჩვენებს, რომ საკუთარ აზრს კი არ გამოთქვამს, არამედ სხვა ადამიანისა, თანაც ხშირად იმ სიტყვებით, რომლებიც გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ყველაფერი, რასაც ნეიტრალური რეპორტიორი დაწერდა“ [17].

ზემოთ ჩვენ ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ ინფორმაციის გადამოწმებისას აუცილებელია, როგორც ფიზიკური, ასევე ადამიანური წყაროების გადამოწმება. წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს: დოკუმენტები, საძიებო სისტემები, ბიბლიოთეკები, სხვადასხვა რანგის და კატეგორიის ადამიანები და ა.შ.

მაშასადამე წყარო ძირითადად სამი სახის შეიძლება იყოს:

- **ადამიანური** - ჩინოვნიკები, თვითმხილველები, დარგის სპეციალისტები, ექსპერტები და სხვ.
- **ფიზიკური** - სხვადასხვა სახის დოკუმენტები, მასალები;
- **ინტერნეტრესურსი** - ინტერნეტსივრცეში განთავსებული მრავალფეროვანი ინფორმაცია;

გავრცელებული მოსაზრებით, ჟურნალისტის ახალი ამბისათვის საჭირო ინფორმაციის მქონე პირის ან საჭირო ინფორმაციის შემცველ დოკუმენტს წყარო ეწოდება.

„განსხვავება ადამიანურ და ფიზიკურ წყაროებს და სანდოობას შორის მშვენივრად აქვს ჩამოყალიბებული ბრიტანელ მწერალსა და კრიტიკოსს სერ კენეთ კლარკს: „რომ ეკითხათ, რა უფრო გვეუბნება სიმართლეს საზოგადოებაზე, საბინაო მშენებლობის მინისტრის სიტყვა თუ მისი მინისტრობის დროს აშენებული ნაგებობები, ვიფიქრებდი, რომ უფრო ნაგებობები“ [18].

წყაროს სანდოობის ხარისხს განსაზღვრავს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- წარსულში ამავე წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე;
- წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ადასტურებენ სხვა წყაროებიც;
- რამდენად კომპეტენტურია წყარო მოწოდებულ საკითხში;
- წყარო კონკრეტული ამბის თვითმხილველია;
- როდესაც წყარო თემის ირგვლივ იძლევა დამატებით დეტალურ ინფორმაციას, ეს კიდევ უფრო ზრდის ცნობის სანდოობას.

ბუნებრივია, წყაროთა სანდოობა განსხვავებულია. ფიზიკური წყაროების შემთხვევაში ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კომპეტენტურ პირთა მიერაა შედგენილი ისინი. „ფიზიკური ინფორმაცია ულევია. ფიზიკური წყაროების ხელმისაწვდომობა იმაზეა დამოკიდებული, იცის თუ არა ჟურნალისტმა მათი არსებობის შესახებ“ [19]. მხედველობაში გვაქვს: სხვადასხვა სახის მონაცემთა ბაზები, სტატისტიკური ცხრილები, ისეთი დოკუმენტები, როგორებიცაა - დაბადების, ქორწინების და ა.შ. მოწმობები, სამედიცინო ანკეტა, ქონების რეგისტრაციის საბუთები და სხვ.

სიფრთხილე მართებს ჟურნალისტს ინტერნეტრესურსების გამოყენებისას. ასეთი ტიპის წყაროთა სანდოობის გადასამოწმებლად პირველ რიგში იმის გააზრება გვმართებს, თუ რა კვალიფიკაციის ავტორებს ეკუთვნის გვერდი, რამდენად განახლებადია იგი, შემოწმებადია თუ არა მასზე განთავსებული მასალები და ა.შ.

ამდენად, ახალი ამბების მომზადების აქტიურ პროცესში საუკეთესო შედეგის მისაღებად მნიშვნელოვან ნაბიჯებს მისი ყოველმხრივობისა და პროპორციულობის მიღწევაზე ზრუნვა წარმოადგენს. მოცემულ ნაკვეთში წარმოდგენილია ფაქტის შესახებ სიმართლის დადგენის მიზნით

წარმოებული ძიების პროცესის სამი დონე. ამასთან, წინა პლანზეა წამოწეული რესპოდენტისგან ინფორმაციის მიღების და ახალი ამბების მართვის ზოგიერთი პრაქტიკული ხერხი.

ჟურნალისტურ საქმიანობაზე საუბრისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტის მიერ დაკვირვების, საჭირო ინფორმაციის მოძიების უნარების გამომუშავებას, წყაროსთან ურთიერთობის თუ მათი სანდოობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებზე აქცენტირებას და ა.შ.

ლიტერატურა:

1. ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბილისი, 2006, გვ. 204;
2. ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბილისი, 2006, გვ. 203;
3. ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბილისი, 2006, გვ. 211;
4. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბილისი, 2013, გვ. 230;
5. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბილისი, 2013, გვ. 232;
6. მარინე ვეკუა, ჟილ რუე (იდეის ავტორები), ჟურნალისტიკა, თბილისი, 2013, გვ. 229;
7. ს. სილვერი, არასამთავრობო ორგანიზაციების მედიასთან ურთიერთობის სახელმძღვანელო, ნიუ-იორკი/ლონდონი, 2003, გვ. 25;
8. ჯონ მაქსველ ჰამილტონი, ჯორჯ კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას (ამბავი საგაზეთო ცხოვრებაზე), თბილისი, 2004, გვ. 178;
9. ჯონ მაქსველ ჰამილტონი, ჯორჯ კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას (ამბავი საგაზეთო ცხოვრებაზე), თბილისი, 2004, გვ. 179;
10. ჯონ მაქსველ ჰამილტონი, ჯორჯ კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას (ამბავი საგაზეთო ცხოვრებაზე), თბილისი, 2004, გვ. 184;
11. ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, ჟურნალისტიკის ელემენტები (პირველი ქართული გამოცემა), თბილისი, 2006, გვ. 205;
12. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბილისი, 2013, გვ. 270;
13. ჯონ მაქსველ ჰამილტონი, ჯორჯ კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას (ამბავი საგაზეთო ცხოვრებაზე), თბილისი, 2004, გვ. 159;
14. მრავალფეროვნება - სახელმძღვანელო სამართლებრივი პრინციპები ქართული მედიისათვის /მედიის მრავალფეროვნების მარეგულირებელი საქართველოსა და საერთაშორისო კანონები და კოდექსები და მათი განმარტებები/, (ავტორები: ი. კოტეტიშვილი, დ. სტურუა, თარგმ. თ. იაშვილი), ლონდონი, 2005, გვ. 24;
15. დ. ტალერი, მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო, ლონდონი, 2004, გვ. 23;
16. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, #2780, გვ.2;
17. ჯონ მაქსველ ჰამილტონი, ჯორჯ კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას (ამბავი საგაზეთო ცხოვრებაზე), თბილისი, 2004, გვ. 173;
18. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბილისი, 2013, გვ. 281;
19. მელვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბილისი, 2013, გვ. 287.

რეზიუმე

ახალი ამბების მაქსიმალური სიზუსტის მისაღწევად პროპორციულობა და ყოველმხრივობა უმთავრესი საშუალებებია. წონასწორობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას შორის ბალანსის შენარჩუნება უმთავრესი მოთხოვნაა. შესაბამისად, დაუშვებელია ერთ-ერთი მიმართულების უგულებელყოფის ხარჯზე სხვა სეგმენტის გაძლიერება, ვინაიდან, ამბავი, რომელიც აუდიტორიის გარკვეული ნაწილისთვის უინტერესოა, სხვა ნაწილისთვის შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

ჟურნალისტური საქმიანობის ქვაკუთხედი ინფორმაციის მოძიებაა. ამა თუ იმ ფაქტის შესახებ სიმართლის დადგენის მიზნით წარმოებული ძიების პროცესი სამ განსხვავებულ დონეს მოიცავს. კერძოდ:

- ზედაპირული ფაქტები - საჯარო ინფორმაცია;
- ჟურნალისტური ინიციატივა - ფონური ინფორმაცია;
- ჟურნალისტური ანალიზი - ფაქტის ან მოვლენის წარმოშობის მიზეზების ხაზგასმა, შედეგების წამოწევა, ზოგადი მნიშვნელობის ჩვენება.

ჟურნალისტი თემას არჩევს აუდიტორიის მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მნიშვნელოვან ფაქტორთა შორისაა პოზიტიური და ნეგატიური ხასიათის მასალების გაშუქებას შორის წონასწორობის შენარჩუნების მომენტი. მხოლოდ პოზიტიური ტიპის მასალაზე ორიენტირება, ხშირად ხდება ყალბი ღირებულებების შექმნის საფუძველი და შესაბამისად ხელს უწყობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, მისი ინფორმირებულობის დაბალ დონეს. ასეთივე მიუღებელია მოვლენების გამუდმებით მრუდე სარკის პრინციპით აღქმა, რაც ასევე ობიექტური ინფორმაციის გავრცელების ხელის შემშლელი ფაქტორია და ხშირად კერძო მოსაზრებებიდან, სარეკლამო მიზნებიდან ან „ყვითელი პრესისთვის“ დამახასიათებელ იაფფასიან სენსაციაზე ორიენტირებულობიდან გამომდინარეობს.

მაქსიმალური ინფორმაციის ამოსაღებად რესპონდენტის დაყოლიებისას, არსებობს პრაქტიკული გამოცდილებით მიღებული რამდენიმე ხერხი. მათი გამოყენება ერთის მხრივ, გამართლებულია იმ მოტივით, რომ აუდიტორიას უფლება აქვს ინფორმირებული იყოს მის ირგვლივ მიმდინარე ყოველგვარ უკანონობათა შესახებ, ხოლო, მეორეს მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ ჟურნალისტთა ამგვარი ქცევა ზრდის ადამიანების ნდობის მაჩვენებელზე ნეგატიურად ასახვის რისკს.

იმისათვის, რომ ჟურნალისტს, შეეძლოს საზოგადოებას მიაწოდოს მაქსიმალურად მრავალმხრივი და განსხვავებული ინფორმაცია და მოიცვას გასაშუქებელი საკითხის ყველა მხარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტის მიერ საკუთარი წყაროს კონფიდენციალობის დაცვას.

ამდენად, ახალი ამბების მომზადების აქტიურ პროცესში საუკეთესო შედეგის მისაღებად მნიშვნელოვან ნაბიჯებს მისი ყოველმხრივობისა და პროპორციულობის მიღწევაზე ზრუნვა წარმოადგენს. ნაშრომში წარმოდგენილია ფაქტის შესახებ სიმართლის დადგენის მიზნით წარმოებული ძიების პროცესის სამი დონე. ამასთან, წინა პლანზეა წამოწეული რესპოდენტისგან ინფორმაციის მიღების და ახალი ამბების მართვის ზოგიერთი პრაქტიკული ხერხი.

ჟურნალისტურ საქმიანობაზე საუბრისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტის მიერ დაკვირვების, საჭირო ინფორმაციის მოძიების უნარების გამომუშავებას, წყაროსთან ურთიერთობის თუ მათი სანდოობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებზე აქცენტირებას და ა.შ.

THE PECULIARITY OF JOURNALISTIC BUSINESS (VERSATILITY AND PROPORTION OF NEWS)

Aleksandre Mghebrishvili, Professor

RESUME

Proportion and versatility are considered to be the main means to receive news with maximum preciseness. The main demand is to maintain the balance between important and interesting information. Consequently, it is impossible to intensify one segment at the expense of neglecting another one, as the news, which is not important for a certain part of the audience, may turn out to be of utmost importance for another one.

The corner stone of journalistic business is to search for information. In order to find the truth about this or that fact, the searching process comprises three different levels. Particularly,

- Superficial facts – public information;
- Journalistic initiative – background information;
- Journalistic analysis – to underline the causes of the origin of the fact or event, promote results and show general importance.

A journalist chooses the topic taking into consideration the demands and interests of the audience. Among the important factors while covering positive and negative information is the moment of maintaining balance. Focusing only on the information of positive type often turns out to be the basis for creation fake values, and accordingly, it misleads the society and helps to have a low level of informativeness. It is also unacceptable to constantly receive news using the false mirror, which is another factor that prevents spreading objective information, and it often originates from personal views, advertisement goals or is oriented on cheap sensation of the “yellow press”.

In order to receive maximum information and make the respondent speak, there are several techniques obtained from practical experience. On the one hand, their use is justified by the fact that the audience has the right to be informed about the injustice, which takes place around it; on the other hand, there is a view that such journalistic behavior may increase risk of a negative impact on the people`s trust.

In order for the journalist to be able to provide the audience with maximally versatile and different information, and cover all sides of the problem, it is important for the journalist to keep his own source of information confidential.

Thus, in order to receive best results while preparing the news, it is important to take care about the proportion and versatility of news. In the paper, three levels of searching process are presented, that help to reveal the truth about a fact. Some practical techniques of managing the news and receiving information from a respondent are brought to the forefront.

When talking about the journalistic business, the development of the skill of observation and finding necessary information by the journalist, focusing on the main factors of source relationship and defining its reliability are of great importance.

სტრუქტურული უმუშევრობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზების შესახებ

ლალი სრესელი, *მოწვეული სპეციალისტი*

სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული უმუშევრობის ტიპია. ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანი უმუშევრობაა, რომელიც, ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებთანაა დაკავშირებული, მას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ძველი წარმოება და დარგები ახალს უთმობს ადგილს. ახალი სამუშაო ადგილებისთვის ძნელდება საჭირო კვალიფიკაციის მუშაკის მოძებნა, ხოლო ძველი მუშაკები არასაკმარისი კვალიფიკაციის გამო სამუშაოდან თავისუფლდებიან და უმუშევართა რიგებს უერთდებიან. ამ შემთხვევაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და სამუშაო ძალის მიწოდების პროფესიული სტრუქტურები ერთმანეთს არ შეესაბამება, რაც **სტრუქტურული უმუშევრობის მიზეზია**. ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ პროფესია და კვალიფიკაციის გარკვეული დონე, არ შეესაბამებიან თანამედროვე მოთხოვნებს და განთავისუფლებულებს არ შეუძლიათ სამუშაოს მოძებნა. ამას გარდა სტრუქტურულ უმუშევრებს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებიც პირველად გამოდიან შრომის ბაზარზე, მათ შორის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომელთა პროფესიაც აღარ არის მოთხოვნადი ეკონომიკაში შრომის ბაზარზე. მსოფლიო ეკონომიკური გამოცდილება მოწმობს, რომ სრული დასაქმების უზრუნველყოფა და ამავდროულად საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება თანამედროვე პირობებში ძნელად მისაღწევია, უფრო სწორად შეუძლებელია. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია - მთავარი ფაქტორი ეკონომიკური ზრდისა, ამავე დროს, უმუშევრობის წარმოშობის მთავარი ფაქტორია.

სტრუქტურული უმუშევრობა მეტ-ნაკლები ზომით ყველა ქვეყანაში და განვითარების ყველა ეტაპზე შეინიშნება. იგი დროში ფრიქციულ უმუშევრობასთან შედარებით, უფრო ხანგრძლივი და სერიოზულია. იგი არ არის ნებაყოფლობითი, განსხვავებით ფრიქციული უმუშევრობისგან. მას მიაკუთვნებენ იძულებით უმუშევრობას. შრომაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობის დამყარება გარკვეულ დროს მოითხოვს. ადამიანებს, რომელთაც იგი შეეხო, უწევთ სრულად შეიცვალონ ცხოვრების წესი. ხალხი, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდა ამა თუ იმ დარგში, ფლობდა პროფესიას და კვალიფიკაციის თუ ოსტატობის განსაზღვრულ დონეს, უცბად გახდა არასაჭირო თავის სამუშაო დარგში. წარმოებამ მოითხოვა სხვა სპეციალობები და კვალიფიკაციები. სამუშაოს მოძებნა ახალ დარგებში, ახალ სფეროებში სპეციალური გადამზადების და გადაკვალიფიცირების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

უმუშევრები, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გამო დაზარალდნენ, დარჩნენ სამუშაოს გარეშე, ვიდრე ახალ სამუშაოს მიიღებენ, იძულებულნი არიან გადამზადება გაიარონ, თავიდან ისწავლონ, ახალ პროფესიებს დაეუფლონ, ამიტომ ასეთი უმუშევრების შრომითი მოწყობა დიდ დროს მოითხოვს.

სტრუქტურული უმუშევრობას ვერ გავუმკლავდებით ეფექტური მოთხოვნის გაზრდით (უმუშევრობის კეინსიანური თეორია) ან ხელფასის შემცირებით (უმუშევრობის კლასიკური თეორია). სტრუქტურული უმუშევრობის აღმოფხვრა მოითხოვს მსხვილ ინვესტიციებს ახალ დარგებში და მოსახლეობის ფართომასშტაბიან მიგრაციას დეპრესიული რეგიონებიდან.

ზოგადად, სტრუქტურული უმუშევრობის გამომწვევ მიზეზთაგან აღსანიშნავია: **დარგის მიერ თავისი საექსპორტო ბაზრების დაკარგვა** მსოფლიოში მიმდინარე მძაფრი კონკურენციის პირობებში. ქვეყნის რომელიმე დარგმა შესაძლებელია დაკარგოს თავისი საექსპორტო ბაზრები და დაუთმოს ისინი სხვა ქვეყნების განვითარებად დარგებს.

- **მოთხოვნის მოდელის შეცვლა.** დროთა განმავლობაში მოთხოვნა ზოგიერთი დარგის პროდუქციაზე ეცემა, ზოგიერთი დარგის პროდუქციაზე კი იზრდებ**ა.** მოთხოვნის დაცემა შესაძლებელია განაპირობოს ტრადიციული პროდუქციის რომელიმე ეფექტური შემცვლელის შემუშავებამ ან მომხმარებელთა გემოვნების ცვლილებებმა.

- სტრუქტურული უმუშევრობა შეიძლება აგრეთვე გამოწვეული იყოს ტექნიკური პროგრესით განპირობებული **ცვლილებებით წარმოების მეთოდებში.** ტექნიკური პროგრესი რევოლუციურ ცვლილებებს იწვევს წარმოების მრავალი დარგის ტექნოლოგიაში. ბევრ შემთხვევაში პროდუქციის საჭირო მოცულობის საწარმოებლად გაცილებით ნაკლები მუშახელია საკმარისი. ამ მიზეზით გამოწვეულ უმუშევრობას ზოგჯერ „ტექნოლოგიურ უმუშევრობას“ უწოდებენ.

- სტრუქტურული უმუშევრობა, არცთუ იშვიათად წარმოიშობა ქვეყნის მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში. ამ შემთხვევაში მას **რეგიონულ უმუშევრობას** უწოდებენ. ამას ხშირად ადგილი აქვს, როცა მრეწველობის გარკვეული დარგები გადაადგილებულია ქვეყნის განსაზღვრულ რეგიონებში. ზოგიერთ შემთხვევაში რეგიონული უმუშევრობის მიზეზია ცალკეული რეგიონების სპეციფიკური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები.

სტრუქტურული უმუშევრობის დონე დამოკიდებულია შემდეგ ძირითად ფაქტორებზე:

- **დარგთა რეგიონული კონცენტრაციის ხარისხი.** კრიზისში აღმოჩენილი დარგები რაც უფრო მეტად იქნება კონცენტრირებული განსაზღვრულ რეგიონებში, მით უფრო მეტი იქნება სტრუქტურული უმუშევრობის დონე.

- **მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებების სისწრაფე ეკონომიკაში.** რაც უფრო სწრაფად მიმდინარეობს ტექნოლოგიური ცვლილებები ან იცვლება მომხმარებელთა გემოვნება, მით მეტი იქნება სტრუქტურული უმუშევრობის დონე

- **სამუშაო ძალის მობილურობის ხარისხი.** რაც უფრო ნაკლებია სამუშაო ძალის ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაადგილების, ერთი დარგიდან მეორეში ან ერთი რეგიონიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობა და სურვილი, მით უფრო მეტი იქნება სტრუქტურული უმუშევრობის დონე.

საქართველოში უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ. 1980-იანი წლების ბოლოს, იმპერიის რღვევის პროცესის პარალელურად (ე.წ. „პერესტროიკის“), მოიშალა სახელმწიფო წარმოებისა და მასთან დაკავშირებული დასაქმების სისტემაც.

1990-იანი წლების კრიზისულმა მოვლენებმა და ეკონომიკის ტრანსფორმაციამ წინააღმდეგობრივი გახადა შრომის ბაზარზე რეალური მოთხოვნა და სამუშაო ძალის მიწოდება. სახელმწიფომ ვერ შეძლო მთელი სისრულით აღნიშნული პრინციპის განხორციელება და მრავალი ადამიანი პირველად აღმოჩნდა ისეთი პრობლემის წინაშე, როგორიცაა უმუშევრობა.

გეგმური მეურნეობიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი საკმაოდ რთული აღმოჩნდა საქართველოსთვის. უმუშევრობის გამომწვევ ძირითად ობიექტურ (ეკონომიკური არასტაბილურობა, დისპროპორციები საწარმოო სტრუქტურაში, წარმოების გაბანკროტება და წარმოების დაცემა) და სუბიექტურ (შტატების შემცირება, დაბალი ხელფასები, ხელფასის დაგვიანება, შრომის ცუდი პირობები და ა.შ.) მიზეზებს თან ერთვოდა სამოქალაქო ომი და ეთნოკონფლიქტები. ყოველივე ამ ფაქტორებმა ქვეყანაში უმუშევრობის მასობრივი ხასიათი განაპირობა.

წარმოების დონის მკვეთრად დაცემამ, ბუნებრივია, დასაქმების პრობლემისადმი ადრე, სოციალისტური ეკონომიკის ფონზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპების (მიდგომების) შეცვლა გამოიწვია. საბაზრო პრინციპების დამკვიდრების პროცესში საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის სრულიად ახალი ფორმები გამოიკვეთა, სხვადასხვა ინტერესთა დაპირისპირებამ სოციალური დაძაბულობა გააღრმავა, სახელმწიფომ ვერ შეძლო დაპირისპირებოდა ეკონომიკური კრიზისის გამოწვევებს და დასაქმების რეგულირების პროცესი (სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქცია) თვითდინებაზე მიუშვა.

საქართველოს საზოგადოებაში ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო მართვამ ადგილი დაუთმო საბაზრო შრომით ურთიერთობებს, რომლებიც ეფუძნება შრომის ბაზრის საშუალებით მოსახლეობის დასაქმების თვითრეგულირებად მექანიზმს. შრომითი ურთიერთობების რეგულირება საბაზრო მეურნეობაში ითვლება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ძირითად პრინციპად.

საქართველოში ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილების შედეგად არსებული უმუშევრობის მაღალი დონე ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან.

იმ კონკრეტულ მიზეზთა შორის, რომელთაც საქართველოში უმუშევრობის ზრდა განაპირობა, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- საბჭოთა ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშანი იყო საწარმოებში თუ ორგანიზაციებში პერსონალის გადაჭარბებული რაოდენობა. საბჭოთა საწარმოებში დასაქმებული იყო ჭარბი პერსონალი, 2-3-ჯერ მეტი, ვიდრე დასავლეთის ქვეყნების ანალოგიური პროფილის საწარმოებში. საბჭოთა იდეოლოგიის თანახმად, სოციალიზმი და უმუშევრობა შეუთავსებლად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, ადგილი ჰქონდა მასიურ ფარულ უმუშევრობას. საკუთრების ფორმის ტრანსფორმაციასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა დასაქმების ოპტიმიზაციის საკითხი და, შესაბამისად, დასაქმებულთა დიდი ნაწილი უმუშევარი გახდა.

- ამ პერიოდში მრავალი საწარმოს საქმიანობა საბაზრო მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა, რიგმა პროდუქციამ და მომსახურებამ ვერ გაუძლო კონკურენციულ გარემოს, ვერ იპოვა გასაღების ბაზარი და შეწყვიტა საქმიანობა.

გაკოტრების წინაშე მდგარი საწარმოების პრივატიზირება გაძნელებული იყო, მათ უწევდათ წინასწარ წარმოების გაჯანსაღება და შემდეგ გაყიდვა იურიდიულ თუ კერძო პირებზე, რომელნიც თანახმა იყვნენ და შეეძლოთ როგორც ვალების გასტუმრება, ასევე საწარმოო ინვესტიციების განხორციელება. ცხადია ახალი მესაკუთრეები თავისუფლდებოდნენ არასაჭირო პერსონალის ტვირთისგან, რაც უმუშევრობის ზრდის კიდევ ერთი ფაქტორი იყო.

- მრავალმა სახელმწიფო საწარმომ ფასების ლიბერალიზაცია გამოიყენა, როგორც მისი უკონტროლო ზრდის საშუალება, რათა დაეფარათ როგორც ხარჯები, ასევე მნიშვნელოვნად გაეზარდათ შემოსავალი. პირველ ხანებში ამან გაამართლა, მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება დიდხანს შენარჩუნებულიყო. ფასების უკონტროლო ზრდამ გამიწვია ნედლეულის, ენერგომატერებლების მრავალჯერადი გაძვირება და, საბოლოო ჯამში, კრიზისი, ადგილი ჰქონდა მასიურ გადაუხდელობას ყველა ტექნოლოგიურ რგოლში. ამ სიტუაციამ დააზიანა არა მარტო პოტენციური ბანკროტები, არამედ მრავალი საწარმო, რომელთა პროდუქცია საჭირო და აუცილებელი იყო მოსახლეობისთვის, მაგრამ იგი არ იყო მისი მომხმარებლების მიერ გადახდისუნარიანი. ამ მდგომარეობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უმუშევრობის გაზრდაში.

- საბაზრო რეფორმებს წარმატება მოაქვს, თუ მათ თან ახლავს ღრმა სტრუქტურული გარდაქმნები. ასეთი გარდაქმნები მოიცავს არა მარტო მიკროეკონომიკას (კონკრეტული საწარმოს რესტრუქტურიზაცია), არამედ მაკროეკონომიკას: რესურსების კონცენტრაცია ხდება მხოლოდ იმ დარგების განვითარებისთვის, რომელთაც წარმატების რეალური პერსპექტივები აქვთ საბაზრო კონკურენციის პირობებში, შესაბამისად ხდება ისეთი დარგების შეკვეცა, რომელთა პროდუქციაზეც მოთხოვნა არ არის. საქართველოში, რომლის ეკონომიკისთვისაც დამახასიათებელი იყო ღრმა დისპროპორციები, მათ შორის ადგილი ჰქონდა მასიურად შტატების გაბერვას, ასეთ გარდაქმნებს მივყავართ მასიურ სტრუქტურულ უმუშევრობასთან.

- ჩამოთვლილ გარემოებებს ემატება ისეთი სპეციფიკური ფაქტორი, როგორიცაა სამეურნეო კავშირების რღვევა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. ამ კავშირების რღვევამ მკვეთრად გააუარესა საწარმოთა მდგომარეობა როგორც მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების თვალსაზრისით, ასევე პროდუქციის გასაღების თვალსაზრისით, რაც უმუშევრობის ზრდის კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა.

ბოლო ათწლეულს თუ გადავხედავთ, ჩვენს ქვეყანაში დასაქმების დონის შემცირებაზე ზემოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

-- უკანასკნელ წლებში ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებიდან და საბიუჯეტო სექტორის სტრუქტურული ტრანსფორმაციიდან გამომდინარე, ათასობით ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი. საზოგადოების ინტელექტუალურმა ნაწილმა ვერ მოახერხა პროფესიის შეცვლა და გრძელვადიან უმუშევართა რიგებს შეუერთდა.

-- უმუშევართა რიცხოვნობის ზრდას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში შემოსულ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად შემოვიდა უცხოური სამუშაო ძალა და შემცირდა სამუშაო ადგილების რაოდენობა ადგილობრივი სამუშაო ძალისთვის.

-- მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, რამაც დასაქმებულთა მცირე რაოდენობით მაღალი მწარმოებლურობა განაპირობა.

-- საქართველოში მოხმარებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი წარმოებულია უცხო ქვეყნების სამუშაო ძალის მიერ. ამ პერიოდისთვის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ დაახლოებით ერთი მესამედი იქმნება ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენი იმპორტირებულია.

2015 წლის მდგომარეობით საქართველოს აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობამ 2021.5 (ათ. კაცი) შეადგინა, რაც 103.7 ათ. კაცით ნაკლებია 2008 წლის მაჩვენებელზე, 2015 წელს დასაქმებულთა რიცხოვნობა 1779.9 ათ. კაცს, ხოლო 2008 წელს 1601.9 ათ. კაცს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ 2008 - 2015 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც ქვეყნის აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა, ასევე დასაქმებულთა რიცხოვნობა და შესაბამისად უმუშევრობის დონეც იკლებს (2008 წელს უმუშევრობის დონე - 16,5%, ხოლო 2015 წელს 12%-ის ტოლია), ქვეყნის მთავარი გამოწვევა და პრობლემა მაინც უმუშევრობაა.

საქართველოს შრომის ბაზრის მთავარი პრობლემა **კვალიფიკაციის დეფიციტია.**

უმუშევრობის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორთა შორის **მთავარია მკვეთრი დისბალანსი სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის**. სამუშაო ძალის მიწოდების პროფესიული სტრუქტურა და მოთხოვნასთან ხარისხობრივი შესაბამისობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემაზე. სამუშაო ძალის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნის ურთიერთშედარება შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს, თუ ქვეყნის პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემა რამდენად არის ორიენტირებული შრომის ბაზრის საჭიროებებზე.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმები ხორციელდება, განათლების სისტემა კვლავ არაეფექტიანია ისეთი მომავალი თაობის აღზრდაში, რომლებსაც თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები ექნებათ განვითარებული. უმუშევართა ყველაზე დიდ ჯგუფს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები - 20-35 წლის ადამიანები შეადგენენ. უმუშევართა მეორე ჯგუფის ასაკი 36-55 წლამდე მერყეობს.

2011 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 81% ფლობს უმაღლესი ან საშუალო საფეხურის დამთავრების დამადასტურებელ დოკუმენტს. თუმცა იგივე კვლევა იძლევა ინფორმაციას არასათანადო სამუშაო ძალის არსებობაზე, შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების პრობლემა არა მხოლოდ სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობაა, არამედ საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე, მაგრამ არაკვალიფიციური კადრების არსებობა. ამავე დროს, მსოფლიო კონკურენტულობის ანგარიშის მიხედვით (2011-2012 წლები) ქვეყანაში ბიზნესის კეთების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არაადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალაა. სწორედ **ეს მიზეზი - არაადეკვატური განათლების მქონე მუშახელი არის სტრუქტურული უმუშევრობის მთავარი წყარო საქართველოში.**

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემადგენლობა განათლების დონის მიხედვით არსებითად განსაზღვრავს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონეს. საქართველოს მოსახლეობის განათლების ცენზი საკმაოდ მაღალია და ეს აისახება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განათლების დონეშიც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საქართველოს სამუშაო ძალის 29% -ს უმაღლესი განათლება აქვს, 16,9% - საშუალო პროფესიული, 4,1%-ს დაწყებითი პროფესიული, 40,1% სრული საშუალო განათლებითაა, 7,4 % საბაზო განათლებით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 2,2% არის დაწყებითი განათლებით და 0, 3% - განათლების გარეშე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამუშაო ძალის შემადგენლობაში მცირეა დაწყებითი პროფესიული (სახელობო) განათლების მქონე პირების წილი. ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ საქართველოში დაწყებითი პროფესიული განათლება არასოდეს არ იყო პრესტიჟული, 1990-იანი წლებიდან იგი სისტემატურ ნგრევას და დეგრადაციას განიცდიდა, რაც არსებითად განაპირობებს კვალიფიციური მუშახელის დეფიციტს და დისბალანსს ამ კვალიფიკაციის კადრებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხდება ისეთი პროფესიების შესწავლა, რაზეც დღეის მდგომარეობით ბაზარი ან გაჯერებულია ან დამსაქმებელი ამ პროფესიის კადრს უყენებს უფრო გაზრდილ მოთხოვნებს განათლების ცენზისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების მიხედვით.

პროფესიული განათლების კადრების მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იქნას რეგიონში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სპეციფიკა.

შრომის ბაზარი დღეს საქართველოში ვერ უზრუნველოფს დასაქმების სფეროში სამართლიანობის პრინციპების დაცვას და სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი პირობები არ არის.

საქართველოში შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა განუვითარებელია. არ არსებობს დასაქმების სახელმწიფო რეგულირების საკმარისი საკანონმდებლო ბაზა. არ ხორციელდება უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამები; არ ფუნქციონირებს

დასაქმების სახელმწიფო სამსახური, არ არის განვითარებული პროფესიული სწავლებისა და ზრდასრულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სისტემა; განუვითარებელია პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვის სისტემა, არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და სხვა სოციალური რისკების მქონე ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები.

აღნიშნული ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა განსაკუთრებით რეგიონებში მნიშვნელოვნად აფერხებს ბიზნეს აქტიურობას, სამუშაოს მოძიებას და დასაქმებას. დარღვეულია „ევროპის სოციალური ქარტიისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ კონვენციის ძირითადი პრინციპები, რაც ითვალისწინებს დასაქმების უფასო სამსახურების შექმნისა და ორგანიზების ვალდებულებას.

ყოველივე აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს დასაქმების ბაზრის ფუნქციონირებაზე და აისახება უმუშევრობის განმაპირობებელ ძირითად მიზეზებში.

ლიტერატურა:

1. სტატისტიკური კრებული: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008 წ. თბილისი 2009 გვ. 20
2. სტატისტიკური კრებული „შრომის ბაზარი საქართველოში 2006. თბილისი 2007 გვ. 32
3. სტატისტიკური წელიწდეული 2007 თბილისი 2008, გვ. 55
4. საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი. 2010 წლის ივნის-ივლისში ჩატარებული კვლევის ანგარიში. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო გვ. 18
5. საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი. 2010 წლის ივნის-ივლისში ჩატარებული კვლევის ანგარიში. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო გვ. 20
6. საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება. 2011 წლის თებერვალ-ივნისში ჩატარებული კვლევის ანგარიში. აშშ-ის საერთასორისო განვითარების სააგენტო, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, თბილისი. 2011 წელი გვ. 78.
7.http://iverioni.com.ge/print:page,1,12005-rogor-davamarckhoth-umushevroba-da-ra-unda-gaakethos-mthavrobam-amisathvis.html
8. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და და განვითარების კონცეფცია. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №733 დადგენილებით
9. შიდა ქართლის განვითარების სტრატეგია
10. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში - იაკობ მესხია. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ 2009 წელი თებერვალი №2
11. მერაბ ვანიშვილი. ავთანდილ მექვაბიშვილი, ეკონომიკის საფუძვლები. წიგნი II, თბილისი, 2007.
12. ნ. ჭითანავა, ლ. თაკალანძე, სოციალური ეკონომიკა ფორმირება და განვითარება, 1 ნაწილი, თბ., 2008.
13. Капканщиков С. Г. – Макроэкономика, Глава 9 Безработица, 2007.
14. АУДИТ И ФНАНСОВЫЙ АНАЛИЗ 2011 г № 2 - Социадьно-психологические особенности личности безработного на рынке труда – Петунова С А

რეზიუმე

დღეს ჩვენს ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობა და სიღარიბეა. სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული უმუშევრობის ტიპია. უმუშევრობის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორთა შორის მთავარია მკვეთრი დისბალანსი სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის.

ნაშრომში განხილულია სტრუქტურული უმუშევრობის გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, ის კონკრეტული გარემოებები, რამაც საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში უმუშევრობის ზრდა განაპირობა.

OBJECTIVE AND SUBJECTIVE REASONS OF STRUCTURAL UNEMPLOYMENT

Lali Sreseli, Invited Specialist

RESUME

Nowadays in our country there is a total unemployment and poorness. Structural poorness is the most prevalent tipe of unemployment.

The main reason is a steep inbalance between on hard-work request and its delivery.

In this work reviewed the reason if structural unemployment and its subjective reasons,These concrete reasons, which decided market economies in Georgia in transitional period, increase of unemployment.